

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

## **სოფიო დამატრავილი**

**სასამართლო გადაწყვეტილებათა  
საქვეყნოების პრინციპისა და პერსონალურ  
მონაცემთა დაცვის ურთიერთმიმართება**



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2020



**სოფიო დემეტრაშვილი**

სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნოების პრინციპისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ურთიერთმიმართება თბილისი, 2020

**Sophio Demetrashvili**

Relationship between the Principle of publicity of Court Decisions and the Protection of Personal Data  
Tbilisi, 2020

**სამეცნიერო რედაქტორი**

**დიმიტრი გეგენავა**

სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი

**რეცენზენტი**

**მარიამ ჯიქია**

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

*წიგნი იბეჭდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით.*

გარეკანზე გამოსახულია ფრაგმენტი რენე მაგრიტის ტილოდან – „საუკუნეთა ლეგენდა“.

© სოფიო დემეტრაშვილი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-747-5

## წინათქმა

ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც უზომოდ ბევრს შრომობენ და თავდაუზოგავად იღწვიან. სწორედ ამ პირთა წრეს მიეკუთვნება ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელი, პროფესორი დიმიტრი გეგენავა. ხაზგასმით მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მას, მიუხედავად გადატვირთული რეჟიმისა, კვლევის ყველა ეტაპზე ღირებული უკუკავშირისათვის. აგრეთვე, საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებისთვის, ღირებული რჩევებისა და წინადადებებისათვის. წარმოუდგენელი იქნებოდა ნაშრომის მომზადება, მისი მხარდაჭერის გარეშე.

მინდა მადლიერება გამოვხატო ჩემი მშობლების ავთანდილისა და მედეას მიმართ, უწყვეტი მხარდაჭერის, ნდობის, გამხნევებისა და გვერდში დგომისათვის. სწორედ მათ მასწავლეს საკუთარი თავის რწმენა, სწორი მიზნების დასახვა და მათკენ სწრაფვა. განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვთქვავ ჩემი შვილის ანამარიას მიმართ, რომელიც მიუხედავად მისი ასაკისა, მოთმინებითა და რუდუნებით მამხნევებდა, მახალისებდა და მავსებდა. მადლიერი ვარ ჩემი მეუღლის ვახაბერის, მოტივაციისათვის, რომ ცხოვრების გამოწვევებისთვის შემეხედა პირისპირ, აგრეთვე, მისი დედის დალის, მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის.

მინდა მადლობა გადავუხადო მეგობრებსა და თანამშრომლებს, რომლებიც მეხმარებოდნენ ნაშრომზე მუშაობისას. განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვთქვავ პროფესორ ირაკლი გაბისონიას, ჯემალ გაბელიას, მარიამ ჭიქიასა და ჩემი რეცენზენტების მიმართ (ვასილ გონაშვილი და ვახაბერ გოშაძე), ვინაიდან მათი გვერდში დგომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წინამდებარე ნაშრომის შექმნა.

აგრეთვე, მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში არაერთი საგულისხმო რჩევა მომცა.

და ბოლოს, მადლიერი ვარ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის, მისი თითოეული წევრისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის არაჩვეულებრივი კოლექტივის.

## სარჩევი

შესავალი .....	6
<b>I. სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნობა და ინფორმაციის თავისუფლება .....</b>	<b>9</b>
1. სასამართლო სხდომის საჯაროობისა და გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის ურთიერთმიმართება .....	21
2. სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ნაწილი .....	30
3. ინფორმაციის თავისუფლება და მართლმსაჯულება .....	34
3.1. ინფორმაციის მიღების საკონსტიტუციო საფუძვლები .....	40
3.2. ინფორმაციის გაცემა პერსონალური მონაცემის დაფარვის გარეშე .....	47
3.3. საერთო სასამართლოების პრაქტიკა პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით .....	52
<b>II. პერსონალურ მონაცემთა დაცვა სასამართლო გადაწყვეტილებაში .....</b>	<b>61</b>
1. პერსონალური მონაცემები და მათი დაცვის მნიშვნელობა ადამიანის ძირითადი უფლებებისთვის .....	69
2. პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტი მართლმსაჯულების განხორციელების დროს .....	81
2.1. საქმის მონაწილე პირები .....	86
2.2. მესამე პირთა ინტერესები .....	92
2.3. სასამართლოსა და სასამართლოს აპარატის ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დამუშავებისას .....	97
3. სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემთა დამუშავების ქართული პრაქტიკა .....	103
<b>III. სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობის შეზღუდვის საკონსტიტუციო-სამართლებრივი გამართლება .....</b>	<b>111</b>
1. ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში .....	116

2. სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობის შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი .....	129
3. თანაზომიერების პრინციპი, როგორც კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმი .....	134
3.1. გამოსადეგობა .....	140
3.2. აუცილებლობა .....	142
3.3. შესაბამისობა.....	146
3.3.1. გონივრული ბალანსი მისაღწევ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის .....	147
3.3.2. მონაცემთა დამუშავების შინაარსის და მოცულობის პროპორციულობა და ადეკვატურობა მონაცემების დამუშავების მიზნის პირისპირ .....	151
4. კერძო და საჯარო ინტერესების თანათარდობის ფარგლები....	156
4.1. „უფლება, იცოდე, ვინ ცხოვრობს შენს მეზობლად“ .....	163
4.2. საჯარო ინფორმაციის თავისუფლება .....	172
4.3. სამართლებრივი უსაფრთხოება და განჭვრეტადობა.....	175
5. გამომრიცხავი გარემოებები .....	182
<b>დასკვნა .....</b>	<b>184</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>195</b>

## შესავალი

მსოფლიოს ქვეყნებმა განიცადეს ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბდნენ როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია მაღალი სამართლებრივი კულტურა და იმართება კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე. მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად და არცთუ იშვიათად წარუმატებლად მიმდინარეობს და ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად კვლავ რჩება ზოგადად სასამართლო ხელისუფლების, სახელდობრ კი, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოთა გადაწყვეტილებების მნიშვნელობა (იურიდიული ძალა), ადგილი, შინაარსი და თავსებადობა ადამიანის ძირითად უფლებებთან სახელმწიფოებრივ მართლწესრიგში. სწორედ ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები შეადგენს წინამდებარე ნაშრომის საკვლევ ძირითად საგანს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს ის აქტუალური საკითხები, რომლებიც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებებში არსებულ ინფორმაციას, კერძოდ, რამდენად მიზანშეწონილია გადაწყვეტილება იყოს ყველასათვის საჯარო, მასში არსებული პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირებით, თუ დაცული უნდა იყოს ის მონაცემები, რომელიც შეიცავს პირის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას; ამასთან, შევეცდები ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალური მონაცემების ურთიერთმიმართების შედეგად, განვსაზღვრო შესაძლო სამართლებრივი შედეგები და ამ უკანასკნელთა კანონშესაბამისობა; ინფორმაციის საჯაროობის, როგორც დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ფაქტორის, როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა, ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული, პროგრესული სახელმწიფოს შენების პირისპირ; კვლევის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უფლების შეპირისპირების შედეგად, ერთგვარი ბალანსის დადგენა. ამ მიზნით განხორციელებული ქმედებების შეფასება, პრაქტიკაში არსებული პრობლემების გაცნობა და სიღრმისეული კვლევა; შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, რომლებიც მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდებს ეყრდნობა. აგრეთვე, ნაშრომში ნათლადაა გააზრებული პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროები, შესწავლილია როგორც ეროვნული, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა შედარებითსამართლებრივ მეთოდებს, ანალიტიკურ, ჰომოტეტიურ, სინთეზურ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს. განხილულ იქნება სასამართლო პრაქტიკაში არსებული შეუსაბამობები კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ნაშრომში გამოკვლეულ იქნება საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესების თავისებურებანი საქვეყნობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან მიმართებით, ასევე, სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ ჭრილში. კვლევის დროს მოხდება სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობის პრინციპისა და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ არსებული ლიტერატურისა თუ საკანონმდებლო აქტების შესწავლა. დამუშავდება როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე, ევროსასამართლოს, ევროკომისიის, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და ნაშრომის ფარგლებში მნიშვნელოვანი რამდენიმე სახელმწიფოს პრაქტიკა, რაც შედარებითსამართლებრივი ანალიზის, საქართველოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის ადეკვატური საშუალება იქნება. ხელმისაწვდომობის მხრივ, ნაშრომში წარმოჩენილია ის პრობლემური საკითხები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობასა და პერსონალური მონაცემების გამოაშკარავებას უკავშირდება.

არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ნაშრომში წარმოდგენილია სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის არსებული მდგომარეობა საქართველოს საერთო სასამართლოებში, განხილულია სისტემური საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები. დასკვნის სახით კი შემოთავაზებულია იმ პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები, როგორცაა მაგალითად სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობისა და აღნიშნულის ხელმისაწვდომობის პრობლემატიკის რეგულირება და სხვ. გაანალიზებულია სახელმწიფოს მიერ ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებათა დონე უფლებაში ჩარევის ნაწილში, განხილულია მონაცემთა დამუშავების შინაარსის და მოცულობის პროპორციულობა და ადეკვატურობა მონაცემების დამუშავების მიზნის პირისპირ.

ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილულია ყველა ძირითადი წყარო და სამართლებრივი აქტი, რომელიც აღნიშნულ სფეროს შეეხება. გამოყენებულია როგორც ქართული სამართლებრივი ლიტერატურა, ასევე, პრაქტიკული მაგალითები.

ასევე, განხილულია წამყვანი იურისტების ნაშრომები და მაგალითები, როგორებიცაა:

იზორია ლ., კორკელია ვ. და კუბლაშვილი ვ.-ს მიერ შესრულებული საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ევა გოცირიძის დისერტაცია „აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“, ქეთევან ერემაძის სტატიები და მრავალი სხვ. აგრეთვე, გამოყენებულია როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილება, ასევე, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები და განჩინებები. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის განსაზღვრისთვის გამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე, სხვადასხვა სტატიები და ინტერნეტ წყაროები. ნაშრომი გაჯერებულია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების, სამართლებრივი გამოცდილებითა და კულტურით მდიდარ ქვეყნების ეროვნული და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებით. ყოველივე ზ/აღნიშნულს ვი, თანამედროვე სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

## I. სასამართლო გადაწყვეტილებათა საქმეყნობა და ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ყოველი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია,<sup>1</sup> გამოთქვას საკუთარი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპები ასახულია საქართველოს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში.<sup>2</sup> კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილი და ბუნებრივი კომპონენტია. როგორი მონესრიგებულიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფა და სამართლებრივი ინსტიტუტები როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ, სოციალური კონფლიქტის თავიდან აცილება გამორიცხებულია, რადგან აღნიშნული წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობების თანმდევ მოვლენას.<sup>3</sup> ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით, ადამიანები მიმართავენ სასამართლოს. საზოგადოება მიმართავს სასამართლოს უფლების დაცვისა და დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.<sup>4</sup> პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე, როგორც მნიშვნელოვანი კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპი, გულისხმობს პირის პირადი უფლების განხორციელებას როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით.<sup>5</sup> პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე სამართლებრივი და დემოკრატიული პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლება ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც ანესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების ეფექტურ რეალიზაციასა და იცავს უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან.<sup>6</sup> აღნიშნული უფლება არის საკმაოდ კომპლექსური ხასიათის უფლება, რომლის შინაარსიც ურთი-

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, მე-2 პუნქტი.

<sup>2</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქმის განხილვის საჯაროობა და ინფორმაციის თავისუფლება, გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით, ხელმისაწვდომია: <[http://www.court.ge/files/files/1356432100\\_r\\_664.pdf](http://www.court.ge/files/files/1356432100_r_664.pdf)> [10.08.2020].

<sup>3</sup> Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, Alphen aad den Rijn, 2006, 166.

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი.

<sup>5</sup> იხ. იქვე.

<sup>6</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/1/403,427 გადაწყვეტილება საქმეზე, „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პარაგრაფი, 1.

ერთდაკავშირებულ რამდენიმე უფლებას აერთიანებს. სამართლიანი სასამართლოს უფლება საქმის სამართალწარმოებაზე ვრცელდება და გულისხმობს პირის შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტზე, ნებისმიერი გაუმართლებელი და პრაქტიკული ბარიერის გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით, დაცული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“.<sup>7</sup> შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაბომიერება დანესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის... ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს.“<sup>8</sup> ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული უფლებაა, იგი ქმნის მექანიზმს სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დასაცავად. შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვა, ისევე როგორც ზეპირი მოსმენის ჩატარება, არ არის თვითმიზანი, მისი საჭიროება არსებობს მაშინ, როდესაც ზეპირი მოსმენის ჩატარება ობიექტურად აუცილებელია საქმის სრულყოფილი გამოკვლევისათვის და საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>9</sup> სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ასევე წარმომადგენლის მონაწილეობას საქმის ზეპირ განხილვის დროსაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირის შესაძლებლობა, მის უფლებასთან დაკავშირებული საქმე განხილულ იქნეს საჯარო მოსმენით და ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, ასევე, გაასაჩივროს მის უფლებასთან შემხებლობაში მყოფი აქტი, დაცულია სამართლიანი სასა-

---

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის № /3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შ.პ.ს. სამაუნცებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შ.პ.ს. ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 12.

მართლოს უფლებით.<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „იაკოვლევი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“<sup>11</sup> აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია უზრუნველყოფს არა თეორიულ ან ილუზიურ უფლებებს, არამედ, იმ უფლებებს, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტიანია. სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფს და ხელს უწყობს კონსტიტუციური უფლებების დაცვას და სამართალწარმოების სწორად წარმართვას. სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მნიშვნელოვანი კომპონენტია დაცვის უფლება.

ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებაა.<sup>12</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.<sup>13</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები. შესაბამისად, სახელმწიფო ემსახურება ადამიანებს, რომლებიც თავად არიან სახელმწიფო ხელისუფლების წყარო.<sup>14</sup> სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება კანონის უზენაესობის პრინციპს.<sup>15</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არის გარანტი იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდული იქნება მოქმედი კანონებითა და ადამიანის უფლებებით და ამდენად არ იქნება თვითნებობის, ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი

---

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 5.

<sup>11</sup>“Yakovlev vs Russia”, Human Rights Court N72701.01 Decision, 15<sup>th</sup> of March 2005, ხელმისაწვდომია: [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516# {"itemid": \["001-68516"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#{)

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II, პარ. 3.

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>14</sup> სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ N5, „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ ერთობლივი გამოცემა, 2016 წ. გვ. 34.

<sup>15</sup> ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი., „კანონის უზენაესობა“, სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი (HiiL). იხ. <https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf>

ჩარევის შესაძლებლობა.<sup>16</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება, რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის.“<sup>17</sup> „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ქვეყნის სამართალი უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების სრული მოცულობით აღიარებასა და მათი დაცვის ყველა საჭირო გარანტიის შექმნას. ამ მიზნის მიღწევაში დიდია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. მან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეძლოს კონსტიტუციური უფლებების შინაარსის სწორად და სრულყოფილად განმარტება.“<sup>18</sup> „დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ არსს, დანიშნულებას და გამონწვევას წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა – ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გარანტირება.“<sup>19</sup> სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტირების გზით,<sup>20</sup> რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სწორედ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექა-

<sup>16</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შ.პ.ს. „პეტიტი“, თბილისი, 2013. გვ. 228.

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჭიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, პარ. 19.

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 2.

<sup>19</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 2.

<sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 36.

ნიმუშების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი.<sup>21</sup>

„ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადევკატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკვთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.“<sup>22</sup> უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის დამოუკიდებელი სასამართლოს უფლება. საზოგადოების მხრიდან უნდა არსებობდეს ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რომელიც სასამართლო სისტემის ლეგიტიმურობის შემადგენელი ნაწილია. სასამართლო პრაქტიკის როლი და გავლენა სულ უფრო იზრდება, მათ შორის, კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც.<sup>23</sup> საზოგადოებრივი ურთიერთობები დინამიკურად და სწრაფად იცვლება. „სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, რომ მოახდინოს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდაუვალია და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია. ასეთია ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი. ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ამ ვალდებულებით განსაკუთრებით შეზღუდულია პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შექმნისას და გამოყენებისას. ასეთი კანონმდებლობა თავისთავად ხასიათდება ადამიანის თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევის კანონზომიერებით. ამიტომ, კანონზომიერია სახელმწიფოს მომეტებული სიფრთხილის აუცილებლობა ამ პროცესში, რადგან სამართალი დაკარგავს თავის ფუნქციას, თუ ადამიანები დაისჯებიან ამისათვის შესაბამისი და აუცილებელი საფუძვლის გარეშე.“<sup>24</sup> სასამართლო პრაქტიკა ხელს უწყობს ამ შეცვლილ ურთიერთობებთან სამართლის ადაპტაციის პროცესს. „სამართლებრივი სა-

---

<sup>21</sup> იხ. იქვე.

<sup>22</sup> იხ. იქვე.

<sup>23</sup> ავტორთა კოლექტივი, „ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის“, მარინა დეკანოიძის რედაქტორობით, თბ. 2013, გვ. 148.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გულბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 62.

ხელმწიფოს უპირველესი მოთხოვნაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა.<sup>25</sup>

სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმთავრეს მოთხოვნას.<sup>26</sup>

სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობითა და ინფორმაციის თავისუფლებით ხდება საზოგადოების ჩართულობა, ინფორმირებულობა სასამართლო საქმიანობის შესახებ, რაც წარმოადგენს სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის საფუძველს. „საზოგადოება, რომელმაც თავისი ფუნქცია უნდა განახორციელოს, სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული. ხოლო საზოგადოება, რომელიც არ არის ინფორმირებული, შესაბამისად, არ არის ჭეშმარიტად თავისუფალი.“<sup>27</sup> საქმის განხილვის ღიაობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ზოგად წესს, რომელიც ითვალისწინებს ცალკეულ გამონაკლისებს, კონვენცია ადგენს საჭაროობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრეზუმფციას.<sup>28</sup>

ინფორმაციის თავისუფლება ის იარაღია, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას ქვეყნის მართვაში, ხოლო, მეორე მხრივ – საზოგადოების მიერ ხელისუფლების მუდმივ კონტროლს, შესაბამისად, ინფორმაცია ერთგვარი დემოკრატიის ჟანგბადია, ვინაიდან, თუ ხალხმა არ იცის რა ხდება საზოგადოებაში, თუ მმართველთა ქმედებები დაფარულია მათთვის, მაშინ, მათ არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ამ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში. ინფორმაცია აგრეთვე, კარგი მმართველობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.<sup>29</sup> მხოლოდ ცუდ მმართველობას ესაჭიროება ინფორმაციის გასაიდუმლოება თავის გადასარჩენად,

<sup>25</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის N3/3/601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

<sup>26</sup> მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრი, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, ხელმისაწვდომია: <<https://jelec.iliauni.edu.ge/samarthlebrivi-sakhelmtsiphos-printsipi/>> [10.08.2020].

<sup>27</sup> Inter-American Court of Human Rights Case of Claude-Reyes et al. v. Chile Judgment of September 19, 2006.

<sup>28</sup> ჩუგოშვილი თ., ლომჯარია ნ., კორძია თ., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, თბ. 2007, გვ. 3.

<sup>29</sup> იხ. იქვე.

რადგან საიდუმლოება არაეფექტურობის, ფლანგვისა და კორუფციის გარანტია. მხოლოდ სრული გამჭვირვალობის პირობებშია შესაძლებელი სახელმწიფოსადმი ნდობის აღდგენა.<sup>30</sup>

ინფორმაცია არის საჯარო, თუკი არ არსებობს ორი გარემოება.<sup>31</sup> პირველი, ინფორმაციის გამჟღავნება აზიანებს დაცულ ინტერესს, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლებას და მეორე, ზოგადი საჯარო ინტერესი, რომელიც ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, უპირატესობას ანიჭებს კონფიდენციალობის უფლებას.<sup>32</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.<sup>33</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.<sup>34</sup> ინფორმაციის მიღება არის გამოხატვის თავისუფლების უფლების ნაწილი. გამოხატვის თავისუფლების სუბიექტებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები.<sup>35</sup> სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის საკითხებში.<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელწიფო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი უნდა განსხვავდებოდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებში არსებული რეგულირებისგან.<sup>37</sup> მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასა-

<sup>30</sup> ჩუგოშვილი თ., ლომჯარია ნ., კორძია თ., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, თბ. 2007, გვ. 3.

<sup>31</sup> John Henry Dingfelder Stone., Court Interpreters and fair trials., 2<sup>nd</sup> of May, 2018, page 114.

<sup>32</sup> იხ. იქვე., გვ. 115.

<sup>33</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>34</sup> იხ. იქვე., მე-18 მუხლის მეორე პუნქტი.

<sup>35</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ. 2008, გვ. 211. იხ. აგრეთვე., ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., მედიასამართალი, თბილისი 2014, გვ. 81.

<sup>36</sup> გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბ. 2007, გვ. 292.

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

მართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზება ხდება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის/მიღების გზით. სასამართლოს გადაწყვეტილებებიც მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დადგენილი სხვადასხვა საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.<sup>38</sup> ამასთან, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში-სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.<sup>39</sup> ხოლო, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით,<sup>40</sup> სადაც ჩამოთვლილია მონაცემთა დამუშავების საფუძველები.<sup>41</sup> აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას, მე-2 პუნქტი ითვალისწინებს პირველი პუნქტიდან გამონაკლის შემთხვევებს, ხოლო მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „მე-2 პუნქტის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება“. აღნიშნული წესიდან გარკვეულ გამონაკლისები გათვალისწინებულია ამავე მუხლი მე-3 პუნქტით, რომლის „ზ“ ქვეპუნ-

<sup>38</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>39</sup> იხ. იქვე., 44-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>40</sup> იხ. იქვე., მუხლი 27<sup>1</sup>.

<sup>41</sup> „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

ქტის თანახმად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს სამართალწარმოების მიზნების დაცვა, ხოლო საჯარო ინფორმაციის სახით მონაცემის გაცემა უშუალოდ სამართალწარმოების მიზნებთან არ არის დაკავშირებული, ამდენად კონკრეტული საპროცესო მოქმედების შემატყობვით აქტის გაცემაზე, რომელიც იმავდროულად პერსონალური მონაცემების შემცველია, ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. ნორმის ამგვარ განმარტებაზე მიუთითებს, მათ შორის საერთო სასამართლოების პრაქტიკა.<sup>42</sup>

საერთაშორისო სასამართლოების პირველი პრაქტიკა ინფორმაციის თავისუფლების ფორმალური აღიარების ნაწილში დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულ სასამართლოსთან, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერ-ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლით დეკლარირებული გამოხატვის თავისუფლება მოიცავდა უფლებას ინფორმაციაზე<sup>43</sup> და განმარტა, რომ: „განსახილველ საქმეში ფაქტებთან მიმართებით, სასამართლო მოიაზრებს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი, რომლის მიხედვითაც, გარანტირებულია ინფორმაციის „მოძიება“ და „მიღება“, იცავს ყველა პირის უფლებას, ჰქონდეს წვდომა ხელისუფლების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, იმ გამონაკლისთა გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციით დეკლარირებული რეჟიმით.“<sup>44</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, მოგვიანებით, ასევე, სცნო აღნიშნული უფლება 2011 წელს გენერალურ კომენტარში და მიუთითა: „მე-19 მუხლის მე-2 პარაგრაფი ითვალისწინებს საჯარო ორგანოების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას.“<sup>45</sup>

სასამართლომ ფაქტობრივად უარყო ინფორმაციაზე წვდომის უფლების ადგილი გამოხატვის თავისუფლების უფლების კონსტრუქციაში<sup>46</sup> და

<sup>42</sup> მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოები მიუთითებენ პერსონალურ მონაცემებზე და არ გასცემენ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

<sup>43</sup> Claude Reyes and Others v. Chile 19<sup>th</sup> of September 2006, Serie C, N. 151.

<sup>44</sup> იხ. იქვე, პარ. 77.

<sup>45</sup> მენდელი ტ., სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში: როგორ დავიცვათ ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის, თბ. 2017, გვ. 5. ხელმისაწვდომია: <<https://idf.ge/public/upload/courts/conscom/Paper-on-Access-to-Court-Decisions%20geo.pdf>> [10.08.2020].

<sup>46</sup> Leander v. Sweden, 26th of March, 1987. Case N9248/81.

განმარტა: „ინფორმაციის თავისუფლება ფაქტობრივად უკრძალავს ხელი-სუფლებას პირის შემზღუდვას იმ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც სხვა პირებს სურთ ან შეიძლება სურდეთ გაუმხილონ მას. განსახილველ საქმეში, პირს არ ენიჭება უფლება, ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე და აღნიშნული არ ასახავს ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციის პირისათვის გამხელის ვალდებულებას.“<sup>47</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის როგორც შენახვა, ასევე გამჟღავნება, წარმოადგენდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევას.<sup>48</sup> საქმეზე „როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ მიუთითა არასწორი ინფორმაციის წაშლის უფლებაზე.<sup>49</sup> ევროპულმა სასამართლომ საბოლოოდ შეცვალა მიდგომა და განმარტა, რომ მიუხედავად დასაბუთების კომპლექსურობისა, საფუძველი ჩაეყარა ინფორმაციის უფლების კონვენციის მე-10 მუხლის სფეროში ცნობას.<sup>50</sup> დიდი პალატის გადაწყვეტილებით<sup>51</sup> სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ინტერ-ამერიკული იურისპრუდენციისაგან განსხვავებით, ევროპაში ცალკე მდგომი ინფორმაციის უფლება არ არსებობს. ამის ნაცვლად, უფლება თანმდევია განმცხადებლისა, რომელსაც ესაჭიროება ინფორმაცია, რათა „განახორციელოს მისი ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და მესამე პირთათვის გამხელის თავისუფლება.“<sup>52</sup>

პირის უფლება, სასამართლომ მისი საქმე განიხილოს საჯაროდ, სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც ასევე განამტკიცებს სასამართლოში საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპს. სხდომის საჯაროობა არის დამოუკიდებელ კონსტიტუციურ სიკეთეს, რომელიც სხდომის საჯაროობას პროცესის მხარის საპროცესო უფლებების მიღმა მატერიალურ შინაარსს ანიჭებს.<sup>53</sup> სხდომების საჯაროობა, სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობის, აგრეთვე, მართლმსაჭუ-

<sup>47</sup> იხ. იქვე, პარაგრაფი 74.

<sup>48</sup> ასევე, Rotaru v. Romania, 4<sup>th</sup> of May 2000, Case N28341/95.

<sup>49</sup> იხ. იქვე, პარაგრაფი 46.

<sup>50</sup> Társaság A Szabadságjogokért v. Hungary, 14<sup>th</sup> of April 2009, Case: N37374/05.

<sup>51</sup> Magyar Helsinki Bizottság v. Hungary., 8<sup>th</sup> of November 2016, Case N18030/11.

<sup>52</sup> იხ. იქვე, პარაგრაფი 158.

<sup>53</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის NN1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, პარაგრაფი 13.

ლების ხარისხის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა სასამართლოსადმი ნდობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა მოიაზრებს გარკვეული ლეგიტიმური ინტერესების შეზღუდვის დასაშვებობას. საჯარო სხდომაზე ხდება ყველა იმ არგუმენტისა თუ ინფორმაციის გამორკვევა, რასაც ეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილება. საქმის საჯარო განხილვა წარმოუდგენელია გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე. შესაბამისად, თუ ინფორმაციის დაფარვის მომეტებული ინტერესი არ არსებობს, სასამართლო სხდომაზე გამჟღავნებული ინფორმაცია წარმოადგენს საჯაროს. საქმის განხილვის საჯაროობას და მართლმსაჯულების გამჭვირვალობას საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს უპირობო უპირატესობას, ვინაიდან გათვალისწინებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვა სხდომის დახურვის სახით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი უნდა განსხვავდებოდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებში არსებული რეგულირებისაგან.<sup>54</sup> დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური უფლების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტები შეიძლება დაცული იყოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში, რაც ცალკე გატანილ უფლებრივ სფეროზე სპეციალური მონესრიგების საჭიროებაზე მიუთითებს, შესაბამისად, უფლების შეზღუდვის მართლზომიერება უნდა შეფასდეს სპეციალურ ნორმასთან მიმართებით.

კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების მესამე პირთათვის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ გადაწყვეტილებაში არსებულ მონაცემთა დეპერსონალიზაციის შემთხვევაში.<sup>55</sup> მონაცემთა დეპერსონალიზაცია არის „მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს“.<sup>56</sup> მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად პირი იყენებს იდენტიფიცირების ინდივიდუალურ ფორმებს,<sup>57</sup> პერსონალურ მონაცემთა დაფარვის შემთხვევაშიც კი, არაპირდაპირი გზით,

<sup>54</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

<sup>55</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი.

<sup>56</sup> იხ. იქვე.

<sup>57</sup> მაგ. გადაწყვეტილების ნომერს, თარიღს, მხარეთა ვინაობას და სხვ.

შესაძლებელი ხდება მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება. ამიტომ, საერთო სასამართლოები უარს აცხადებენ გადანაცვეტილების მესამე პირთათვის გადაცემაზე მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს აქტის გასაჯაროებასა და მესამე პირისათვის გადაცემას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.<sup>58</sup> ამავე კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში განწევრიანებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.<sup>59</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების არსი, საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში მოითხოვს მონაცემების გასაჯაროებას, პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძო პირის პირადი ინტერესი, რომელიც ასევე შეიძლება მოიცავდეს როგორც პირად, ისე საოჯახო საიდუმლო ინფორმაციას,<sup>60</sup> არ შეიძლება იქნეს გამჟღავნებული,<sup>61</sup> ვინაიდან პირადი ცხოვრება მოიცავს ისეთ ფაქტებს, რომელიც რეალურად კი მოხდა, მაგრამ ინდივიდს მისი გასაჯაროება არ სურდა.<sup>62</sup> პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად სურდა პირს პირადი საიდუმლოების შემცვე-

<sup>58</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.

<sup>59</sup> იხ. იქვე., მუხლი 2.

<sup>60</sup> ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ. 2017, გვ. 120.

<sup>61</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადანაცვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 63.

<sup>62</sup> ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ. 2014, ხელმისაწვდომია: <[http://www.library.court.ge/upload/aleko\\_nachkhebia\\_final.pdf](http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf)> [10.08.2020].

ლი მონაცემების გასაჯაროვება,<sup>63</sup> რამდენად მაღალია საჯარო ინტერესი, რომ გადანონილ იქნეს კანონით უზრუნველყოფილი კონფიდენციალურობის ვალდებულება.<sup>64</sup> მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ზღვარის არსებობა, რათა ერთი ინტერესის დაცვის მიზნით სხვათა უფლებები არ დაირღვეს ან შეილახოს.<sup>65</sup> პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ინფორმაციას გააჩნია დამხმარე ხასიათი სხვა კონსტიტუციური უფლებების დასაცავად,<sup>66</sup> თუმცა სხვა უფლებების დაცვა, იმ პირის უფლებების დაცვის ჭრილში უნდა იქნეს განხილული, ვისაც ასეთი სახის ინფორმაცია ეხება.<sup>67</sup> რაც მთავარია, კანონი უნდა ემსახურებოდეს იმ აზრისა და რწმენის დაცვას, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, გვჯეროდეს და ვთქვათ – „მე მნამს ჩემი პირადი ხელშეუხებლობის.“<sup>68</sup>

## 1. სასამართლო სხდომის საჯაროობისა და გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის ურთიერთმიმართება

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობას განიხილავს, როგორც უფლებას საჯარო ინფორმაციაზე, რომელზეც ვრცელდება ინფორმაციის გაცემის ზოგადი წესები და არ არის გათვალისწინებული მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სასამართლოსადმი ნდობის ლეგიტიმური ინტერესები. თუმცა, აშკარაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა წარმოადგენს საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის ეფექტურ საშუალებას.<sup>69</sup>

<sup>63</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: *Fressoz and Roire v. France* (29183/95, 1999); *Radio Twist, A.S. v. Slovakia* (622002/00, 2006); ასევე, *Guja v. Moldova* 14277/04, 2009.

<sup>64</sup> იხ. იქვე.

<sup>65</sup> ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი., წიგნი I., თბ. 2017, გვ. 120.

<sup>66</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, “საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, პუნქტი 21.

<sup>67</sup> ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი., წიგნი I., თბ. 2017., გვ. 151.

<sup>68</sup> I believe in a zone of privacy – Hillary Clinton <[https://www.brainyquote.com/quotes/hillary\\_clinton\\_170394](https://www.brainyquote.com/quotes/hillary_clinton_170394)>

<sup>69</sup> Szonja Navratil. A comprehensive overview of publicity in the administration of justice, Chapter 8, page 117.

არსებითი განსხვავებაა ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციულ საჯაროობასა და პროცესის საჯაროობას შორის.<sup>70</sup> კერძოდ, პირველი შეეხება სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ხოლო ეს უკანასკნელი კი, სასამართლო პროცესის შედეგად წარმოქმნილ მონაცემებს.<sup>71</sup> სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ, საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. გადაწყვეტილებათა ელექტრონულ რესურსებზე განთავსება ხდება მხოლოდ ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ. თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიდგომას, როგორც პირველი, ასევე, ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია საზოგადოებისათვის.<sup>72</sup>

არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნების დაცვა ისეთი ფუნდამენტური პროცედურული გარანტიების სრული უგულებელყოფის გარეშე, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა,<sup>73</sup> ვინაიდან, როგორც ავღნიშნე, სასამართლო გადაწყვეტილების სრული ხელმიწვდომლობა საზოგადოებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გამართლებულად, რადგან შეუძლებელი ხდება საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემის კრიტიკის უზრუნველყოფა.

ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები სავსაცხო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფისათვის, სასამართლო გადაწყვეტილების ნაკითხვის გარდა, მიმართავენ სხვა საშუალებებს, მაგალითად, ისეთ მექანიზმებს, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ რეესტრში განთავსება, მათ შორის სავსაცხო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფისათვის.<sup>74</sup> მითითებულ რეესტრში განთავსებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულად საზოგადოებისათვის „როგორც უფლება“, გადაწყვეტილების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის წარმოჩენის მოთხოვნის გარეშე.<sup>75</sup> პრაქტიკაში ევროპულ ქვეყანათა უმეტესობა ძირითადად

<sup>70</sup> Attila Bado., Fair Trial and Judicial Independence, Hungarian Perspectives, Comparative Perspectives on Law and Justice, 24<sup>th</sup> of October 2013, page 179.

<sup>71</sup> იხ. იქვე.

<sup>72</sup> Byfield Paul., Kroytor O., Accessibility of judicial decisions in the EBRD's countries of operations: a comparative review., Law in Translation online 2015. Article N1.

<sup>73</sup> სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2016 წ, გვ. 18.

<sup>74</sup> Pretto and Others v. Italy, 8<sup>th</sup> of December 1983, Case N 7984/77, Par. 26.

<sup>75</sup> Werner v. Austria., 24<sup>th</sup> of November 1997, Case N21835/93, Par. 57-60.

აკმაყოფილებს გადაწყვეტილებათა საქვეყნოების მოთხოვნას, იმ საკითხის გათვალისწინებით მოიცავს თუ არა აღნიშნული პერსონალურ მონაცემებს. მონაცემების გამჟღავნება შეიძლება ასევე მოთხოვნილი იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ღიაობის ფართო ინტერესით,<sup>76</sup> რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, იცავს სხვათა იდეების ოპოზიციას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას.<sup>77</sup> ინტერესთა შედარებისას მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნოების საფუძვლად არსებული პრინციპების გათვალისწინება.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ქვეყნდება ელექტრონულ რესურსებზე. შესაბამისად, ისინი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

განსხვავებული რეგულაციები არსებობს კვიპროსში, სადაც არ არის კანონმდებლობით დადგენილი სასამართლოს ვალდებულება გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების თაობაზე, პრაქტიკაში სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ ხდება ყველა გადაწყვეტილების შესაბამის ინტერნეტ რესურსებზე განთავსება. ასევე, მაკედონიის პარლამენტის მიერ, 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი, სასამართლო დოკუმენტაციის მართვის შესახებ, რომელიც ყველა ინსტანციის სასამართლოს ავალდებულებს გადაწყვეტილება გამოაქვეყნონ ინტერნეტ რესურსებზე. თუმცა, კვიპროსისგან განსხვავებით, მაკედონიაში შეინიშნება პრობლემები პრაქტიკაში, რადგან არ ხდება მიღებული კანონის მოთხოვნათა სრული იმპლემენტაცია.<sup>78</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში,<sup>79</sup> გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობისა და სასამართლო სხდომების ღიაობის საკითხები დადგენილია „სასამართლო წესები“-თ. აღნიშნული წესის 33<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ყველა ის დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იქნება დავის მხარისა თუ მესამე პირების მიერ, არის ხელმისაწვდომი, როგორც პროცესის

<sup>76</sup> ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის Nბს-286-284 (3-17) გადაწყვეტილება საქმეზე, “ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ”, გვ. 9.

<sup>78</sup> სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა EBRD-ის ბენეფიციარ ქვეყნებში, თბ. 2015. ხელმისაწვდომია: <<https://idf.ge/ge/accessibility-of-judicial-decisions-in-the-ebdrds-countries-of-operations>> [10.08.2020].

<sup>79</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია: <<http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/>> [10.08.2020].

მონაწილეებისათვის, ასევე, ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისათვის. „სასამართლო წესების“ 47<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ვინაობის დაფარვა. რა თქმა უნდა, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული.<sup>80</sup>

ღია და გამჭვირვალე მართლმსაჯულების პრინციპი მოიცავს როგორც სხდომების საჯაროობას, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას, შესაბამისად, ის სტანდარტი, რაც სხდომების საჯაროობასთან დაკავშირებით არის დადგენილი, გარანტირებული უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან მიმართებითაც. მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ინფორმაციის ღიაობის პრეზუმფცია, ისევე, როგორც გარანტირებულია სხდომების საჯაროობის პრეზუმფცია და ხელმისაწვდომი იყოს გადაწყვეტილებები პერსონალური მონაცემების მითითებით, იმ საქმეებზე, რომელთა განხილვა მოხდა ღია სხდომაზე, ხოლო ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც პერსონალური მონაცემების დაცვას უპირატესობა ენიჭება, ამომწურავად განისაზღვროს კანონით. გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც პერსონალური მონაცემების გამჟღავნებით პირს ადგება ზიანი, რაც ინფორმაციის მიღების საჯარო ინტერესს აღემატება. მტკიცების ტვირთი კი, უნდა დაეკისროს პირს, რომელიც თვლის, რომ ინფორმაციის გამჟღავნებით, მას შეიძლება მიაღგეს რაიმე სახის ზიანი.<sup>81</sup>

ინფორმაციის ღიაობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, რადგან ის არის სახელმწიფოს მიერ მის მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გარანტი, რომელიც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გაუნიოს კონტროლი ხელისუფლების მოქმედებებს და შებოჭოს ისინი თუ ადგილი ექნება მისი დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტებას თუ კანონშეუსაბამობას.<sup>82</sup>

---

<sup>80</sup> იხ. იქვე, მუხლი 47 პრიმა.

<sup>81</sup> EMC-ის მოსაზრებები „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესის“ პროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <[http://coalition.ge/files/emc-sasamartlo\\_aqtebis\\_xelmisawvdomoba\\_04052016.pdf](http://coalition.ge/files/emc-sasamartlo_aqtebis_xelmisawvdomoba_04052016.pdf)> [10.08.2020].

<sup>82</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის Nბს-286-284 (კ-17) გადაწყვეტილება საქმეზე, “ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ”, გვ. 12-13.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული სასამართლო სხდომის ღიაობასა და გადანაცვლებათა საჯაროობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ხაზგასმულ იქნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სხდომათა საჯაროობის პრინციპს ეწინააღმდეგება სასამართლოში მიმდინარე ფარული სამართალწარმოების პრაქტიკა, შესაბამისი საჯარო კონტროლის არარსებობის ფონზე.<sup>83</sup> გადანაცვლებებში მითითებულია, რომ სამართალწარმოების საჯაროობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის სამივე შტოს მიმართ საზოგადოებრივ ნდობას და წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვის გარანტს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაცვლებებში<sup>84</sup> დარღვეულ იქნა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლება, კერძოდ, მოჰასუხე სახელმწიფოს მიერ დაირღვა სასამართლო გადანაცვლებების ხელმისაწვდომობის ვალდებულება ნებისმიერ დაინტერესებული პირისათვის და ნაცვლად აღნიშნულისა, სასამართლო გადანაცვლებებზე წვდომის უფლება, მხოლოდ პირთა ვიწრო წრეს შეეძლო.<sup>85</sup> „პროცესი არის საჯარო ხასიათის მოვლენა, ყველაფერი, რაც ხდება სხდომათა დარბაზში, არის საჯარო საკუთრება.“<sup>86</sup>

მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს სასამართლო სხდომის ღიაობასა და გადანაცვლებების საჯაროობას შორის. განსხვავებით საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან, სომხეთში, სასამართლო გადანაცვლებები ქვეყნდება სრულად<sup>87</sup>, დაპტრიხვის გარეშე და საჯაროდ.<sup>88</sup> საქართველოსა და აზერბაიჯანში კი, სასამართლო გადანაცვლებები ქვეყნდება სახელეებისა და გვარების დაფარვით, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს გა-

---

<sup>83</sup> ECHR, *Preto and others vs. Italy* (1983) App No 7984/77 (Application No) A/71 (Official Citation), ob. <<https://quizlet.com/138341874/echr-art-6-fair-trial-flash-cards/>> [10.08.2020].

<sup>84</sup> European Court of Human Rights Case of *Werner v. Austria* (138/1996/757/956), ob. <[http://www.menschenrechte.ac.at/orig/97\\_6/Werner.pdf](http://www.menschenrechte.ac.at/orig/97_6/Werner.pdf)> [10.08.2020].

<sup>85</sup> სასამართლო გადანაცვლებათა ხელმისაწვდომობა – საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, თბ. 2016, ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/ge/access-to-court-decisions-the-best-international-practice>> [10.08.2020].

<sup>86</sup> *Richmond Newspapers, Inc. v. Virginia*, 1980, (Case N79-243), United States Supreme Court.

<sup>87</sup> <<http://www.cylaw.org/>> [10.08.2020].

<sup>88</sup> მაგ: სომხეთი, ბოსნია, ჰერცეგოვინა, კვიპროსი.

დაწყვეტილებებისა, რადგან ამ უკანასკნელს კანონმდებლობა პირდაპირ ავალდებულებს გადაწყვეტილების სრული სახით გამოქვეყნებას.<sup>89</sup>

ვინაიდან, სასამართლო სხდომები საჯაროა, კონფიდენციალურობის ნებისმიერი ინტერესი უკვე შეზღუდულია და, შესაბამისად, აღარ არსებობს სასამართლოთა გამოქვეყნებული გადაწყვეტილებებიდან მხარეთა სახელების ამოღების შემდგომი გამართლება. მონმეთა და მტკიცებულებათა სასამართლოზე წარმოდგენით მეტად ირღვევა მხარეთა კონფიდენციალურობა, ვიდრე ეს გადაწყვეტილების გამოქვეყნებით შეიძლება მოხდეს. ამასთან, გაურკვეველია, თუ როგორ უნდა შეიცავდეს სასამართლოს გადაწყვეტილება ღია სასამართლო სხდომაზე გაჟღერებულ ინფორმაციაზე მეტ მონაცემს.

სომხეთში შექმნილია სპეციალური სამოსამართლო პორტალი, სადაც როგორც ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე, სხდომათა დღის წესრიგი ქვეყნდება საჯაროდ, აგრეთვე, შესაძლებელია სასამართლო ბაჟის გადახდა და სხვადასხვა სერვისებით სარგებლობა. მსგავსი პორტალი არსებობს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში,<sup>90</sup> განსხვავებით რუსეთის, კოსოვოს, ბულგარეთსა და უკრაინისა, სადაც გადაწყვეტილების მხოლოდ ნაწილი ხდება საჯარო.<sup>91</sup> საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.<sup>92</sup>

კანადაში ზოგიერთი სასამართლო აქვეყნებს გადაწყვეტილების სრულ ტექსტს (მხარეთა პერსონალური მონაცემების მითითებით), რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა სისტემების გამოყენებით, მაგრამ არ ხდება გადაწყვეტილებების მაიდენტიფიცირებელი დეტალების მითითება,<sup>93</sup> შესაბამისად, კანადის სასამართლო გადაწყვეტილება ვერ იქნება მოძიებული საერთო საძიებო სისტემებში (მაგ. Google). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს ან/და მათ ვინც იცნობს საქმის

<sup>89</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 31<sup>5</sup>, პუნქტი 6.

<sup>90</sup> Sud Bosne i Hercegovine, <<http://www.sudbih.gov.ba/?jezik=e>> [10.08.2020].

<sup>91</sup> სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა EBRD-ის ბენეფიციარ ქვეყნებში, თბ. 2015. ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/ge/accessibility-of-judicial-decisions-in-the-ebirds-countries-of-operations>> [10.08.2020].

<sup>92</sup> განსხვავებით ბოსნია და ჰერცეგოვინისა, ბულგარეთისა, კვიპროსისა, მაკედონიისა, მონტენეგროსა და სერბეთისა, სადაც არ არსებობს სპეციალური ორგანო ან პირი, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობას.

<sup>93</sup> მაგ. გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი და სხვა.

დეტალებს, შესაძლებლობა აქვთ მონაცემთა ბაზის საძიებო სისტემის საშუალებით მოიძიონ სასამართლოს გადანაცვეტილება.<sup>94</sup> ყველა საქმე მოიცავს პირადი ცხოვრების გარკვეულ ელემენტს, თუმცა აღნიშნულზე მითითებით სასამართლო სხდომათა ღიაობისა თუ გაშუქების შეზღუდვა, მხოლოდ მაშინ არის დაშვებული, როდესაც მას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, რომელიც ამართლებს შეზღუდვას. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ შეზღუდვა უნდა იყოს მაქსიმალურად პროპორციული და მკაცრად შემოიფარგლებოდეს პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობით.<sup>95</sup>

სასამართლო პროცესები უნდა წარმართოს საჯაროდ, ხოლო მოსამართლეთა პროფესიონალიზმისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, გადანაცვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამის მონაცემთა ბაზებში ელექტრონულად. სამართალწარმოების, მათ შორის სხდომათა საჯაროობის საკითხებს ეხება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტიც, რომელიც აღნიშნავს, რომ სასამართლოთა მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხდომების ღიაობა და იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული ინტერესის დაცვის<sup>96</sup> მიზნით სხდომა დაიხურება, სასამართლო გადანაცვეტილება უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.<sup>97</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებში დადგენილია სასამართლოს გადანაცვეტილებათა ხელმისაწვდომობის და სასამართლო სხდომების ღიაობის სხვადასხვა სტანდარტები<sup>98</sup>, თუმცა ქვეყნის მასშტაბით ყველა ინსტანციის სასამართლოს გადანაცვეტილება ქვეყნდება

---

<sup>94</sup> ეს სისტემა გასაჩივრებულ იქნა კანადის სასამართლოში, მას შემდეგ რაც რუმინეთში დადგენილმა ვებსაიტმა გადმონერა კანადის სასამართლოს გადანაცვეტილებები და მოითხოვა ანაზღაურება დაუყოვნებლივი აღებისთვის. სასამართლომ დაადგინა სასამართლოს გადანაცვეტილებების გამოქვეყნების ალტერნატიული სისტემა. იხ., A.T. v. Globe24H.com, 2017, ხელმისაწვდომია: <<https://www.canlii.org/en/ca/fct/doc/2017/2017fc114/2017fc114.html>> [10.08.2020].

<sup>95</sup> *Diennet v. France*, 31 of August 1995, Case N18160/91, Par. 34, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ თუკი ექიმი სხვა პაციენტების კერძო ცხოვრება შეიძლება გამჟღავნებულიყო, სხდომა შეიძლებოდა დახურულიყო ამის თავიდან არიდებისათვის საჭირო პერიოდის მანძილზე და არა მეტი ხნით.

<sup>96</sup> მაგ. არასრულწლოვანთა ინტერესები.

<sup>97</sup> აღნიშნულია ეუთოს კიევის რეკომენდაციებში აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, 2010 წელი, ნაწილი 3, სექცია 32.

<sup>98</sup> *Research Handbook on International Human Rights Law*, edite by Sarah and Adam Mcbeth, 2010, page 349.

ელექტრონულ რესურსებზე.<sup>99</sup> გარდა სრული გადანყვეტილებების ხელმისაწვდომობისა, აგრეთვე, შესაძლებელია გადანყვეტილების მოკლე აღწერილობითი ნაწილების გაცნობა. გადანყვეტილებები გაიცემა დაპტრიხული, არასრული სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება გამჭვირვალობის პრინციპის გადახედვის აუცილებლობა, კონკრეტულ საქმეში, გამონაკლისის სახით.<sup>100</sup>

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე.<sup>101</sup> დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა

დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუმცა, გადანყვეტილება მაინც ცხადდება საჯაროდ.<sup>102</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13<sup>1</sup> მუხლი ადგენს სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაშუქებას, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, ვინო-, ვიდეო-, აუდიოჩანწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე.“<sup>103</sup>

აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით კი, „სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება, ვინო-, ვიდეოჩანწერა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩანწერა. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიღოს საქართველოს

<sup>99</sup> Public Access to Court Electronic Records, ხელმისაწვდომია: <<http://www.pacer.gov/>> [10.08.2020].

<sup>100</sup> Report on access to Judicial Information, Open Sociality Justice Initiative, March 2009, paragraph 2, pg. 30.

<sup>101</sup> საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>102</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლი.

<sup>103</sup> იხ. იქვე., მუხლი 13<sup>1</sup>, პუნქტი 2.

სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები.“<sup>104</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი განსაზღვრავს კონკრეტულად სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპს,<sup>105</sup> სასამართლო სხდომის საჯაროობა აღიარებულია აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.<sup>106</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ, სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რაც დასაშვებია მხოლოდ მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე და წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის საქვეყნობას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი.<sup>107</sup> მართლმსაჯულების საჯაროობა არ გულისხმობს მხოლოდ სასამართლო სხდომის ღიაობას, არამედ წარმოადგენს მთელი პროცესისა და მისი ყველა მონაწილის ქმედებათა გამჭვირვალობას, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას და მისი გაცნობისა და შეფასების უზრუნველყოფას. სასამართლო არა ღია სხდომაზე, არამედ წერილობით გადაწყვეტილებაში უთითებს მთავარ არგუმენტებსა და დასაბუთებაზე. გადაწყვეტილების გაცნობა და შეფასება კი, საზოგადოებისათვის სწორედ მართლმსაჯულების კონკრეტული სუბიექტის პერსონიდან გამომდინარე შეიძლება იყოს საინტერესო.<sup>108</sup>

საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ პირს აქვს უფლება თავისუფლად დაესწროს ნებისმიერ სასამართლო სხდომას,<sup>109</sup> ხოლო მედია საშუალებებს აქვთ სასამართლო სხდომის გაშუქების შესაძლებლობა,<sup>110</sup> ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება მაინც ხელმიუწვდო-

<sup>104</sup> იხ. იქვე., პუნქტი 4.

<sup>105</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>106</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>107</sup> ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“-ს საკონსტიტუციო სარჩელი N693, იხ. <<http://constcourt.ge/ge/court/sarchelebi>> [10.08.2020].

<sup>108</sup> იხ. იქვე.

<sup>109</sup> გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როგორიცაა მაგალითად: ბავშვთა უფლებები, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სხვა., რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.

<sup>110</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლი.

მელია.<sup>111</sup> სასამართლოები არ გასცემენ ყოფილ მაღალ თანამდებობის პირთა შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს.<sup>112</sup> ფართოდ განმარტავენ დე-პერსონალიზაციის ვალდებულებას, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემას.<sup>113</sup> შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს არ აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს და მიიღოს კონკრეტულად მისთვის საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, იგი ესწრებოდა თუ არა ყველა სასამართლო სხდომას, ან მოხდა თუ არა მედიის მიერ აღნიშნულის სრულად გავრცელება. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას კი, უნდა გააჩნდეს პრაქტიკული შედეგი და არ არის საკმარისი მხოლოდ თეორიული ან ისტორიული სარგებელის არგუმენტზე მითითება.

## 2. სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ნაწილი

სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტირების გზით,<sup>114</sup> რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სწორედ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი.

---

<sup>111</sup> ავალიშვილი ლ., სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმიუწვდომლობა, ხელმისაწვდომია: <<http://netgazeti.ge/law/169056/>> [10.08.2020].

<sup>112</sup> აღნიშნული დასტურდება IDFI-ის მიერ ჩატარებული კვლევით, რომლის მიხედვითაც, 2015 წლის შემოდგომიდან, სასამართლო გადაწყვეტილებები ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია. იხ. <<https://idfi.ge/ge/access-to-court-decisions-the-best-international-practice>> [10.08.2020].

<sup>113</sup> ავალიშვილი ლ., სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმიუწვდომლობა, ხელმისაწვდომია: <<http://netgazeti.ge/law/169056/>> [10.08.2020].

<sup>114</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 36.

სამართლიანი სასამართლოს უფლება ორგანულ კავშირშია კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.<sup>115</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებათა (საქმიანობის) საჯაროობა – მისი მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობაა, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვა – მისი (სამართლიანი სასამართლოს) ერთ-ერთი მიზანი. სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოთხოვნაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა, რაც მოითხოვს, რომ ქვეყნის სამართალი უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების სრული მოცულობით აღიარებასა და მათი დაცვის ყველა საჭირო გარანტიის შექმნას. ამ მიზნის მიღწევაში დიდია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ვინაიდან, ამ უკანასკნელმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეძლოს კონსტიტუციური უფლებების შინაარსის სწორად და სრულყოფილად განმარტება.<sup>116</sup>

სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დაცული. მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის არსებობას ხელისუფლების სასამართლო შტოს მიმართ და წარმოადგენს ერთ-ერთ გარანტიას იმისა, რომ დაცული იქნება სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. მსგავს მიდგომას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მის არაერთ გადაწყვეტილებაში.<sup>117</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებათა ონლაინ ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებათა სარეზოლუციო ნაწილის საჯაროდ გამოქვეყნების, სასამართლო გადაწყვეტილებათა დაშტრიხვის პრაქტიკისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით, ქვეყნებში არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის შესწავლით, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის ინდექსით, საქართველომ 27 შეფასებულ სახელმწიფოს შორის მე-15-ე პოზიცია დაიკავა.<sup>118</sup>

<sup>115</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – მთვარისა ვევილიზილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 10.

<sup>116</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 2.

<sup>117</sup> Pretto and Others v. Italy, (Case N 7984/77), ECHR, 8<sup>th</sup> of December 1983.

<sup>118</sup> სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა EBRD-ის ბენეფიციარ ქვეყნებში, თბ. 2015. ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/ge/accessibility-of-judicial-decisions-in-the-ebdrs-countries-of-operations> > [10.08.2020].

მიუხედავად საზოგადოების მაღალი ინტერესისა, ისეთ გადაწყვეტილებებზე როგორცაა, მაგალითად, ლევან ყარამანაშვილის, გიორგი ყარამანაშვილის, შპს „ტელეკომპანია საქართველოს“, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“, ნინო ნიჟარაძის (მოპასუხეები) საკასაციო საჩივრები ქიბარ ხალვაშისა და შპს „პანორამას“ (მოსარჩელეები) წინააღმდეგ (ე.წ.რუსთავი 2-ის საქმე)<sup>119</sup> და სხვ., რომლებიც დიდი რისკის შემცველია გამჭვირვალობის კუთხით და წარმოადგენს არსებითად მნიშვნელოვან და საინტერესო გადაწყვეტილებებს, არ შეიძლება იყოს დაფარული და ხელმიუწვდომელი მესამე პირებისათვის. აგრეთვე, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებს შეიცავდა მაგალითად, რუსლან მამედოვის საქმე, რომელიც 2013 წელს 11 პირის სასამართლო გადაწყვეტილებაში ფიგურირებს მონმის სტატუსით. აღნიშნული თერთმეტივე მოხელე, ფინანსთა სამინისტრომ დააკავა.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩეს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების არცერთი უკანონო ქმედება. აუცილებელია, არსებობდეს ხელმისაწვდომი და ეფექტური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, პირი შეძლებს უფლების აღდგენას და მიყენებული მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს მიიღებს და მოწყვლადი გახდება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ უკანონო ქმედებების ჩადენის მიმართ.<sup>120</sup>

აღსაღნიშნავია ის გარემოებაც, რომ პირთა მონაცემების ანონიმურობის სრული დაცვა ვერ განხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური თუ სხვა მონაცემების დაფარვით, რადგან პირის, თუ გარემოებების, ირიბი იდენტიფიკაციის გამორიცხვა მაინც შეუძლებელი იქნება. ფაქტობრივად არცერთ ქვეყანაში სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობა არ რეგულირდება ერთი ცალკეული კანონმდებლობით, არა-

<sup>119</sup> ლევან ყარამანაშვილის, გიორგი ყარამანაშვილის, შ.პ.ს. „ტელეკომპანია საქართველო“-ს, შ.პ.ს. „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-სა და ნინო ნიჟარაძის საკასაციო საჩივრები ქიბარ ხალვაშისა და შ.პ.ს. „პანორამა“-ს წინააღმდეგ, ე.წ. „რუსთავი 2-ის საქმე“, ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/news/id/1367>> [11.08.2020].

<sup>120</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პუნქტი 4.

მედ რეგულაციები მიმოფანტულია კონსტიტუციებსა და კანონებში.<sup>121</sup> შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი ქვეყანა იძლევა სასამართლო გადაწყვეტილების უფრო ფართო საჯაროობას, ვინაიდან თითოეული ქვეყნის ეროვნულ-სამართლებრივი რეგულაციები განსხვავებულია.<sup>122</sup> მაგალითად ეკვადორში, სასამართლო გადაწყვეტილებები და დოკუმენტები ხელმისაწვდომია ყველასათვის, მხოლოდ ბეჭდური სახით (მატერიალური) და არა ელექტრონული, თუმცა აკრძალულია სასამართლო პროცესის აუდიო ან ვიდეოჩანერა.<sup>123</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ესტონეთში, შვედეთში და სხვა მრავალ ქვეყანაში არსებობს საჯაროობის მაღალი სტანდარტი, სადაც ნებისმიერ მომთხოვნს აქვს საშუალება, რომ მიიღოს სრული სასამართლო გადაწყვეტილება და თავად განსაჯოს, რამდენად სამართლიანი იყო მოსამართლე, რამდენად აკმაყოფილებდა გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, როგორი პოზიციები ჰქონდათ მხარეებს და ვინ იყო ჩართული საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.<sup>124</sup> აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში ეუთოს კიევის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესები უნდა წარიმართოს საჯაროდ, ხოლო გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამის მონაცემთა ბაზაში ელექტრონულად.<sup>125</sup> საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტიც შეეხება სამართალწარმოებას, მათ შორის სხდომათა საჯაროობის საკითხებს, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლოთა მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხდომების ღიაობა და იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული ინტერესის დაცვის (მაგ: არასრულწლოვანთა ინტერესები) მიზნით<sup>126</sup>, სხდომა დაიხურება, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი

---

<sup>121</sup> Szonja Navaratil., A comprahative Overview of publicity in the Administration of Justice, Principles, Regulations and Challenges, page 178, “the data in the study is derived from two comparative studies, which analysed regulation in 26 countries.”

<sup>122</sup> იხ. იქვე.

<sup>123</sup> Eduardo Carmigniani, Hugo Garcia Larriva, Daniel Dziouba and Carla Cepeda, Global Arbitration Review, Court system, The General organisation of the court system for civil litigation, 2017.

<sup>124</sup> ავალიშვილი ლ., სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმიუწვდომლობა, თბ. 2017, ხელმისაწვდომია: <<http://netgazeti.ge/law/169056/>> [11.08.2020].

<sup>125</sup> KYIV recommendations on judicial Independence in Eastern Europe, South Caucasus and Central Asia, Judicial Administration, Selection and Accountability, Kiev, 23-25 June 2010, part 3, 32.

<sup>126</sup> Research Handbook on International Human Rights Law, edited by Sarah Joseph and Adam Mcbeth, 2010, page 536.

პუნქტის თანახმად,<sup>127</sup> სამართალწარმოება უნდა მიმდინარეობდეს საქვეყნობის პრინციპის დაცვით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ. აღსანიშნავია, მედიის შესაძლებლობაც, რომ დაესწროს სასამართლო სხდომებს და მაღალი საჯარო ინტერესის შემცველი მასალები გააშუქოს, როდესაც საქმეში მოსამართლის მოსაზრებები და დასაბუთება შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მხარეთა ვინაობის დაფარვით.

სასამართლო სხდომისა თუ გადაწყვეტილების საჯაროობით მოპოვებულ იქნება საზოგადოების ნდობა, რაც ხელისუფლების ყველა შტოს შეცდომებისა თუ გადაცდომების პრევენციას უზრუნველყოფს და უზრუნველყოფილ იქნება ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლი.

### 3. ინფორმაციის თავისუფლება და მართლმსაჯულება

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა შვედეთში იღებს სათავეს, სადაც მსოფლიოში პირველი ინფორმაციის თავისუფლების აქტი 1766 წელს იქნა მიღებული.<sup>128</sup> დღესდღეობით, ინფორმაციის თავისუფლება აღიარებულია მსოფლიოს ყველა კონტინენტზე როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, მათ შორის გაეროს<sup>129</sup>, ევროპის საბჭოს, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და აფრიკული კავშირის მიერ.<sup>130</sup> 1948 წელს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლში, ინფორმაციის მიღების უფლებამ შემდეგი ფორმულირება ჰქონდა: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“<sup>131</sup>

<sup>127</sup> მიღებულ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს, E.T.S. N5, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს.

<sup>128</sup> Lennart Weibull., Freedom of the Press Act of 1766., Swedish Legislation. ხელმისაწვდომია: <<https://www.britannica.com/topic/Freedom-of-the-Press-Act-of-1766>> [11.08.2020].

<sup>129</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წელს გამართულ პირველსავე სესიაზე მიღებულ რეზოლუციაში, ხელმისაწვდომია: <<http://daccessods.un.org/TMP/6700160.50338745.html>> [11.08.2020].

<sup>130</sup> ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი, შედარებითი ანალიზი, თბ. 2012, გვ. 4.

<sup>131</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი<sup>132</sup> კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელმაც ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება აღიარა, სადაც ნათქვამია: „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით“.<sup>133</sup> გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტების გარდა, ინფორმაციის უფლება რეგიონალურ კონვენციებშიც აისახა.<sup>134</sup> „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრებს მიუხედავად.“<sup>135</sup> საქმეზე „სდრუჟენი იოჩესკე მატკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“<sup>136</sup>, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ინფორმაციის თავისუფლების უფლება თვისობრივად ახალ რანგზე აიყვანა და კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების ფარგლები მნიშვნელოვნად გაფართოვდა: „ადმინისტრაციული დოკუმენტების გაცნობის უფლება შესაძლოა შეზღუდულ იქნეს მხოლოდ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირობებით, რომლის თანახმად, უარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით, არსებობს შესაბამისი ლეგიტიმური საფუძველი და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“.<sup>137</sup>

ინფორმაციის თავისუფლება, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მიერ დაცული ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას, განმტკიცებულია არა მხოლოდ საკანონმდებლო აქტებში, არამედ ბევრი ქვეყნის კონსტიტუციაშიც. მაგალითად, ესტონეთის 1992 წლის კონსტიტუციის 44-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას და სახელმწიფოს ვალდებულებას, კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესა-

<sup>132</sup> საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

<sup>133</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი.

<sup>134</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა 1999 წლის მაისში.

<sup>135</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10.

<sup>136</sup> ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო შოტლანდია, ესტონეთი – შედარებითი ანალიზი, 2012 წ. გვ. 6.

<sup>137</sup> იხ. იქვე.

ხებ.<sup>138</sup> აღნიშნულმა ჩანაწერმა, შემდგომში ასახვა ჰპოვა ესტონეთის ნორმატიულ აქტებშიც.<sup>139</sup> გაერთიანებულ სამეფოში ინფორმაციის თავისუფლება, რომელიც გამოხატვის თავისუფლებასაც მოიცავს, გარანტირებულია 1998 წლის აქტით ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც არ წარმოადგენს კონსტიტუციურ კანონს, მაგრამ სპეციალური სტატუსით სარგებლობს.<sup>140</sup> აღნიშნული აქტი არ ვრცელდება შოტლანდიაზე, ვინაიდან, მათ დამოუკიდებელი კანონი გააჩნიათ, რომელიც 2002 წელს იქნა მიღებული და ძალაში 2005 წლის იანვარსი შევიდა.<sup>141</sup> მაგალითად, მექსიკასა და იამაიკაში ინფორმაციის თავისუფლება, აღიარებულია, როგორც ცალკე უფლება, რომელზეც გარკვეული გამონაკლისები ვრცელდება, განსხვავებით დიდ ბრიტანეთსა და ტაილანდისაგან, სადაც აღნიშნული უფლება პროცედურული ნორმებით არის არანტირებული.<sup>142</sup> ამერიკის შეერთებული შტატები იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აქტი მიიღო.<sup>143</sup>

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნორმები სხვადასხვა ქვეყანას, განსხვავებულ საკანონმდებლო აქტებში აქვს გადანაწილებული. საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც უფლება ინფორმაციაზე კონსტიტუციითაა გარანტირებული.<sup>144</sup> ინფორმაციის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციის ძებნას, მოპოვებასა და მიღებას, ასევე, ინფორმაციის გადაცემასა და გავრცელებას.<sup>145</sup> შესაბამისად, ერთის მხრივ ეს არის უფლება ინფორმაციის მიღებისა, მეორეს მხრივ კი, ინფორმაციის თავისუფლება მოიხრება როგორც აზრის გამოხატვის უფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი და მოიცავს ინფორმაციის გავრცელების უფლებას.<sup>146</sup> ხალხის მიერ ხელისუფლების კონტროლი ვერ განხორციელდება, თუ საზოგადოება არ იქნება ინფორმირებული სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის შესა-

---

<sup>138</sup> იხ. იქვე., გვ. 10.

<sup>139</sup> David Banisar., Freedom of Information and Access to Government Records around the World, Privacy International, April 2011. Page 9.

<sup>140</sup> Toby Mendel., Freedom of Information, a comparative legal Survey, Paris, 2008, page 133.

<sup>141</sup> იხ. იქვე., გვ. 134.

<sup>142</sup> ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო შოტლანდია, ესტონეთი – სედარებითი ანალიზი, 2012 წ. გვ. 6.

<sup>143</sup> Summary of the Freedom of Information Act, 5USC para 552, 1966. ხელმისაწვდომია: <<https://www.epa.gov/laws-regulations/summary-freedom-information-act>> [11.08.2020].

<sup>144</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17 და მუხლი 18.

<sup>145</sup> თავისუფლების ინსტიტუტი, ინფორმაციის თავისუფლება, 2005 წ. გვ. 7.

<sup>146</sup> იხ. იქვე.

ხებ.<sup>147</sup> იმ საზოგადოებაში, რომელსაც საკმარისი ინფორმაცია არ მიეწოდება სახელმწიფო ოგანოების შესახებ, დემოკრატია მხოლოდ მოჩვენებით კატეგორიად ჩამოყალიბდება.

მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვის ერთ-ერთ გარანტს და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის არსებობას<sup>148</sup> სახელმწიფო მმართველობის მიმართ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ავითარებს მსგავს მიდგომას მის არაერთ გადანყვეტილებაში.<sup>149</sup> მართლმსაჯულების პრაქტიკა ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ შემთხვევასთან. ამიტომ, სასამართლო პრაქტიკას მთლიანობაში, არ აქვს ისეთი მბოჭავი ძალა, როგორც კანონს, ვინაიდან ამ მხრივ კანონმდებელს უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს, მას ყოველთვის შეუძლია შეცვალოს მართლმსაჯულების პრაქტიკით ჩამოყალიბებული წესები.

სასამართლოს დამოუკიდებლობა მეტწილად ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მართლმსაჯულება „არა მართო უნდა ხორციელდებოდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდევ, რომ ხორციელდება“. საქმეში „პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ“, <sup>150</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა მოიპოვონ საზოგადოების ნდობა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებში და ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიუკერძოებლობის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, უნდა იყოს აცილებული.<sup>151</sup> ამ პრინციპის გამოყენებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ობიექტურად საკმარისი მიუკერძოებლობა აშკარა არ იყო, როდესაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე ადრე იყო პროკურატურის იმ დეპარტამენტის უფროსი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ დევნაზე.<sup>152</sup> შესაბამისად, განმცხადებლის ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი, ტრიბუნალის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, თავისთავად

<sup>147</sup> იხ. იქვე. გვ. 8.

<sup>148</sup> R. Wolfrum (Ed.), *The Max Planck Encyclopedia of Public International Law* Oxford: Oxford University Press, June 2019, pp. 1104–1112.

<sup>149</sup> *Pretto & Others v Italy, Werner v Austria & Szucs v Austria*. ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/public/upload/courts/access-to-court-decisions-the-best-international-practice/access-to-court-decisions-the-best-international-practice-geo.pdf>> [11.08.2020].

<sup>150</sup> *Piersack v. Belgium.*, App No 8692/79, A/53, 1982.

<sup>151</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს კვლევითი განყოფილების მიერ მომზადებული სახელმძღვანელო იურისტებისათვის, „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი)“, თბ. 2008, გვ. 73.

<sup>152</sup> იხ. იქვე., გვ. 74.

საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ ამ ნორმის დარღვევა დაადგინოს. აღნიშნული პრინციპის გამოყენებით, სასამართლომ აგრეთვე განიხილა ის საქმეები, რომლებიც შეეხებოდა იმ მოსამართლეებს, რომელთაც ადრე ეკავათ პროკურორის ან გამომძიებლის თანამდებობა. ხაზგასმულ იქნა გარემოებები, რომლის მიხედვითაც, ბევრ ხელშემკვრელ სახელმწიფოში სრულიად ნორმალურია, როდესაც ამჟამინდელი მოსამართლეები ყოფილ პროკურორებს წარმოადგენენ,<sup>153</sup> ხოლო, აღნიშნული ფაქტი მოსამართლის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ არ აყენებს. არამედ, მიუკერძოებლობა ხდება საეჭვო მაშინ, როდესაც პირი, რომელიც პროკურორი იყო და მონაწილეობდა იმ საქმეში, რომელსაც დღეს განიხილავს როგორც მოსამართლე.

საქმეში „ჰაუსშილდტი დანიის წინააღმდეგ“<sup>154</sup> სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან, მოსამართლე, რომელიც განიხილავდა სარჩელს, აღნიშნულ საქმეზე მანამდე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის განსაზღვრის თაობაზე.<sup>155</sup> ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეზე „დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ“,<sup>156</sup> რომელშიც სასამართლომ აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლო, როგორც წესი, არ ადგენს მე-6 მუხლის დარღვევას მხოლოდ იმ საფუძვლის გამო, რომ მოსამართლეს, იგივე პირის მიმართ, ადრე აქვს გადაწყვეტილება მიღებული ამ უკანასკნელის წინასწარი პატიმრობის შესახებ,<sup>157</sup> რადგან გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ საკითხზე, არსებობს თუ არა საფუძვლიანი ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, თავისთავად არ იწვევს მოსამართლის მიუკერძოებლობის<sup>158</sup> ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს.<sup>159</sup>

---

<sup>153</sup> იხ. იქვე., გვ. 75.

<sup>154</sup> Hauschildt v. Denmark, (Case N10486/83), ECHR, 1989.

<sup>155</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს კვლევითი განყოფილების მიერ მომზადებული სახელმძღვანელო იურისტებისათვის, „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი)“, თბ. 2008, გვ. 75.

<sup>156</sup> De Cubber v. Belgium., Case No 8/1983/64/99, A/86, 1984.

<sup>157</sup> Jasinski v. Poland, (Case N30865/96), ECHR, 2005.

<sup>158</sup> John Henry Dingfelder Stone., Court Interpreters and fair trials., 2<sup>nd</sup> of May, 2018, page 105.

<sup>159</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს მითითებული სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე, მოსამართლის მიერ მიუკერძოებლად მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე, მაგ: PerotePellon v. Spain, (Case N45238/99), ECHR, 2002 და სხვ.

მართლმსაჯულების ერთიანობა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გამოხატულებაა. სამართლიანი სასამართლოს უფლება გამორიცხავს სასამართლო გადანყვეტილებებისათვის უკუძალის მინიჭებას, რადგან აღნიშნული დაარღვევდა სასამართლოსადმი მიმართვის პრინციპებს. მითითებული უფლება გამორიცხავს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც მიზნად ისახავს მიმდინარე სასამართლო პროცესზე ზეგავლენას.<sup>160</sup> ამერიკის შეერთებული შტატები ისტორიულად წარმოადგენს ქვეყანას, სადაც დადგენილია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მსოფლიოში ყველაზე მაღალი სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს კონსტიტუცია არ შეიცავს ჩანაწერს, რომელიც კონკრეტულად სასამართლო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გარანტი იქნებოდა, აღნიშნული განმტკიცებულია კონსტიტუციის პირველი შესწორებიდან, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება.<sup>161</sup> ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს ევროკავშირის ინსტიტუტებში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის აუცილებელ ელემენტს, რომელიც ხელს უწყობს გადანყვეტილების მიმღები ორგანოების სწორ მმართველობას და ევროპის კავშირის ინსტიტუტების კომუნიკაციის განვითარებას.<sup>162</sup> მსოფლიოს ყველას პროგრესული ინფორმაციის თავისუფლების აქტები ითვალისწინებს ინფორმაციის კატეგორიას, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რეგულირების სპეციალურ რეჟიმს ექვემდებარება. მოცემულ საგამონაკლისო რიცხვს მიეკუთვნება ისეთი ინფორმაცია, რომელიც მოიცავავს ქვეყნის თავდაცვას, საერთაშორისო ურთიერთობებს, პროფესიულ, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.<sup>163</sup> მნიშვნელოვანია, რომ გამონაკლისთა წრე იყოს მკაცრად შეზღუდული და პრაქტიკაში გამოყენება კი, ზომიერი.<sup>164</sup>

<sup>160</sup> Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece, case N13427/87, December 1994.

<sup>161</sup> Legal Information Institute, U.S. Constitution, First Amendment, ხელმისაწვდომია: <[http://www.law.cornell.edu/constitution/first\\_amendment](http://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment)> [11.08.2020].

<sup>162</sup> The right of access to information in the European Union institutions and the role of the European Ombudsman in this process, Institute for Development of Freedom of Information, Nino Tsukhishvili 2013, July p. 2

<sup>163</sup> ხატიაშვილი თ., ბერიძე მ., პერსონალური მონაცემების დაცვის ფარგლები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადანყვეტილებებში ადვოკატის პერსონალური მონაცემების საჯარო განთავსების ჭრილში, თბ. 2018, გვ. 5.

<sup>164</sup> ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა., საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი-შედარებითი ანალიზი, IDFI., 2012 წ, გვ. 40.

### 3.1. ინფორმაციის მიღების საკონსტიტუციო საფუძვლები

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიკეთეა, რომლის მარეგულირებელი ნორმები კონსტიტუციის რამოდენიმე მუხლშია მიმოფანტული. „ყველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია“.<sup>165</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ „ყველას აქვს უფლება ვანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დანესებულებაში მასზე არსებულ ან სვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად ვანონით ან ვანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.“ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, არც ისე მრავალფეროვანია, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძირითად ორიენტირს.<sup>166</sup> საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ამ უფლებას როგორც მისი სხეულის განუყოფელ ნაწილს და როგორც დემოკრატიის ერთ-ერთ გარანტორ ფაქტორს. „კონსტიტუციის მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა“.<sup>167</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილებით, ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და ამომწურავად განსაზღვრა ის სიკეთე, რომელსაც იგი, მისი დროულად, სრულად განხორციელების შემთხვევაში მოუტანს საზოგადოებას: „ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლების და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასი-

<sup>165</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>166</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011, გვ. 22.

<sup>167</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მერე კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II, 3.16.

ცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის.<sup>168</sup>

პირველი საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით განიხილა, იყო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.<sup>169</sup> მოცემულ საქმეში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა იმ დროს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით<sup>170</sup> გარანტირებული უფლების განხორციელება, კერძოდ, „ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულია ეკისრება, რომ არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე, არ შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დაწესებით.“<sup>171</sup> საკონსტიტუციო სასამართლო, მოგვიანებით, საქმეში „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ კიდევ უფრო მკვეთრად განსაზღვრა 24-ე მუხლის<sup>172</sup> მნიშვნელობა ინფორმაციის თავისუფლების დაცვის საკითხში, კერძოდ, „კონსტიტუციის 24-ე მუხლის<sup>173</sup> პირველი პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გა-

---

<sup>168</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 10.

<sup>169</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>170</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

<sup>171</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, პარაგრაფი 6.

<sup>172</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17.

<sup>173</sup> იხ. იქვე.

მოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. ეს არის ნორმა, რომელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის ინფორმაციული ფილტრის დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის.<sup>174</sup> ყოველივე ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იცავს პირის უფლებას, ვერძო წყაროებიდან მოიპოვოს ინფორმაცია, ასევე, მის ხელთ არსებული ნებისმიერი კანონიერი საშუალებით მოახდინოს ინფორმაციის გავრცელება. სახელმწიფოს ეკრძალება საინფორმაციო ბაზრის რეგულირება, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა და საშუალებებით.<sup>175</sup> საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით<sup>176</sup> დადგენილი ზღვარი საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით<sup>177</sup> მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ვერძოდ, „საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ ანებს რიგებს ინფორმაციის მოპოვებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. სახელმწიფო დაწესებულებები არ წარმოადგენენ ამგვარ წყაროებს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის ყურადღების ცენტრში მოქცეულია სწორედ სახელმწიფო დაწესებულებებში და ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია.<sup>178</sup> ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ – სამართლებრივი რეჟიმი, რა თქმა უნდა, განსხვავდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების სამართლებრივი რეჟიმისაგან.“<sup>179</sup> აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი<sup>180</sup>

<sup>174</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II პარაგრაფი 14. იხ. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.11.

<sup>175</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011, გვ. 25.

<sup>176</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18.

<sup>177</sup> იხ. იქვე., მუხლი 17.

<sup>178</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.11.

<sup>179</sup> იხ. იქვე.

ინფორმაციის თავისუფლების კონკრეტულ შემთხვევას – ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაციის მიღების უფლებას იცავს.<sup>181</sup> ნებისმიერი უფლების სრულყოფილად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ დაიცვას როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულება, რომ ადამიანების უფლებით სარგებლობა არ გახდეს ფრაგმენტული და მის ძირითად დანიშნულებას მოკლებულიო, რომელიც თითოეული უფლების შინაარსში დევს.<sup>182</sup> შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის გადასაწყვეტი, რამდენად გამართლებულია აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევა.<sup>183</sup>

ინფორმაციის მიღება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების უფლების ნაწილს. გამოხატვის თავისუფლების სუბიექტებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები.<sup>184</sup> სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის საკითხებში.<sup>185</sup> აღნიშნულის მსგავსია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება: ადამიანი ვერ მოახერხებს განვითარებას, თუ მას არ მიეცა საკუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის შესაძლებლობა.<sup>186</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოხატვის თავისუფლების კანონიერი შეზღუდვა და-

---

<sup>180</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>181</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.13.

<sup>182</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011, გვ. 28.

<sup>183</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N2/3/359 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 1. იხ. აგ., 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 1.

<sup>184</sup> კუბლაშვილი ვ., ძირითადი უფლებები, 211. იხ. აგრეთვე., ჯორბენაძე ს., მაჭარაძე მ., ბახტაძე უ., „მედიასამართალი“, თბილისი 2014, გვ. 81.

<sup>185</sup> გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბ. 2007, გვ. 292.

<sup>186</sup> კუბლაშვილი ვ., ძირითადი უფლებები., 210. იხ. აგრეთვე., ჯორბენაძე ს., მაჭარაძე მ., ბახტაძე უ., „მედიასამართალი“, თბილისი 2014, გვ. 82.

საშვებია, მხოლოდ მისი შეზღუდვის ფარგლები, ანუ დაცული სიკეთე, საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) მნიშვნელობისა უნდა იყოს. აღნიშნული დასტურდება გამოხატვის თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების არა აბსოლუტური ხასიათი.<sup>187</sup> გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის საფუძველს წარმოადგენს,<sup>188</sup> რომელიც მოიცავს არა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ, მესამე პირთათვის სასიამოვნო შეხედულებების გამოხატვას, არამედ დაუფიქრებელ, სპონტანურ, მწვავე და პოლემიკურ გამონათქვამებსაც,<sup>189</sup> რომელიც არ უნდა სცდებოდეს სასამართლოს ფარგლებს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს.<sup>190</sup> აღნიშნულ საფუძველზე კი, სახელმწიფოში შესაძლებელი გახდება სხვადასხვა საკითხზე შესაბამისი პოზიციის დაფიქსირება, ადამიანის ნების საფუძველზე მისი ინტერესების გასაჭაროება და სხვ.<sup>191</sup>

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია შესაბამისი ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას ეხება. აზრის თავისუფლება ინფორმაციის ერთგვარი წყაროა, ხოლო ინფორმაციის თავისუფლება აზრის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.<sup>192</sup> ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, იგი ინფორმაციის პასიურად მიღების უფლებით სარგებლობს, როგორცაა გაზეთი, ინტერნეტი და სხვა.<sup>193</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არ არის განწერილი წესები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია პირს მოითხოვოს პერსონალური მონაცემების დათარვა, რა პროცედურებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ და რა შემთხვევაში დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა. ზოგადად არსებობს სხვადასხვანაირი მოდელი, მათ შორის, როდესაც თავად სასამართლო წყვეტს როდის მოხდეს პერსონალური მონაცემების დათარვა, მაგრამ აუცი-

<sup>187</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 26.

<sup>188</sup> ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, გვ. 255.

<sup>189</sup> ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედიასამართალი“, თბილისი 2014, გვ. 83.

<sup>190</sup> იხ. იქვე.

<sup>191</sup> ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., თავი მეორე., საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, გვ. 256.

<sup>192</sup> იხ. იქვე., გვ. 260.

<sup>193</sup> ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედიასამართალი“, თბილისი 2014, გვ. 83.

ლებელია ეს უფლებამოსილება სასამართლოს მინიჭებული ჰქონდეს შესაბამისი კანონმდებლობით ან შიდა აქტით. თუმცა, ეროვნული თუ საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის პირობებშიც, აუცილებელია, აღნიშნული საკითხი, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად შეფასდეს, განსახილველ საქმეში არსებული გარემოებების ზედმინვნით შესწავლით.<sup>194</sup>

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ ჰქონია პრაქტიკაში ისეთი საქმეები, რომლებიც შეეხებოდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, გადაწყვეტილებები მაინც არ იყო დაშიფრული.<sup>195</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა ადგენს მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებას, რაც არსებითად წინააღმდეგობაში მოდის განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემებთან, რომელიც რეგულირდება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.<sup>196</sup>

2017 წლის 15 თებერვალს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო მოქალაქე ს.გ.-ს კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N864), რომლის ფარგლებშიც, სადავოდ იყო გამხდარი იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებითაც სამართალდამცავების მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის დისკრეციული წესით გამოცემა იყო დადგენილი.<sup>197</sup> 2017 წლის 12 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე მიიღო განჩინება, რომლითაც საქმე შეწყდა სადავო ნორმების ცვლილების საფუძველზე.<sup>198</sup> ორივე აქტში მოსარჩელის ვინაობა დაშტრიხულია. თუმცა, 2017 წლის 12 ოქტომბრის განჩინების შემთხვევაში, სასამართლომ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ვინაობის დაშტრიხვის თაობაზე, ხოლო, 15 თებერვლის გადაწყვეტილების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით მოახდინა მოსარჩელის მონაცემების დაშტრიხვა.

<sup>194</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგები, ხელმისაწვდომია: <[https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2018/Rule\\_of\\_law/monitoring\\_results\\_of\\_the\\_constitutional\\_court\\_of\\_georgia\\_geo.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/Rule_of_law/monitoring_results_of_the_constitutional_court_of_georgia_geo.pdf)> [11.08.2020].

<sup>195</sup> იხ. მაგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>196</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი.

<sup>197</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N1/7/864 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ს.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, პუნქტი 6.

<sup>198</sup> იხ. იქვე.

ოც წელზე ოდნავ მეტია რაც არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო. მთელი მისი პრაქტიკის განმავლობაში, აღნიშნული წარმოადგენს პირველ პრეცედენტს, როდესაც მხარის ვინაობა დაფარულია. თუმცა, გადაწყვეტილებას ერთვის მოსამართლის განსხვავებული აზრი,<sup>199</sup> სადაც მითითებულია, რომ „საქმის დასახელება, მოსარჩელე და მოპასუხე მხარის, საქმის განხილვის მონაწილეების ვინაობა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის განუყოფელ ნაწილს. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის დეპერსონალიზაციის ან მონაცემთა სხვაგვარი დაფარვის შედეგად, ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს სული ტექსტი ვერ გამოქვეყნდება“ და, შესაბამისად, ვერ შესრულდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები. მოსამართლემ მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის აქვს უპირატესი იურიდიულ ძალა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით. შესაბამისად, მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა ორგანული კანონით და გამოქვეყნებინა განჩინების სრული ტექსტი. მოსამართლემ ყურადღება ასევე გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებში მონაცემების დაშტრიხვა არ ხდებოდა და განსახილველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მონაცემების დაშტრიხვისას დაეყრდნო კანონის იმ ნორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული და რომლის კონსტიტუციურობაც ამავე კოლეგიამ უნდა შეაფასოს. მოსამართლემ აგრეთვე აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობით დოკუმენტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის საკითხის უნდა გადაწყვიტოს უშუალოდ ადმინისტრაციულმა ორგანომ ან უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა.

საერთაშორისო დოკუმენტებითა და საქართველოს კონსტიტუციით გაწარმოებული სასამართლო განხილვების საჯაროობის პრინციპი, მოიაზრებს როგორც სხდომის საჯაროობას, ასევე, გადაწყვეტილების საქვეყნოობისა და საჯაროობის პრინციპსაც. რაც გულისხმობს პირის უფლებას, სრულად და დაუბრკოლებლად ჰქონდეს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე წვდომის უფლება. ხშირ შემთხვევაში, სწორედ მართლმსაჯულების კონკრეტული სუბიექტის პიროვნების გათვალისწინებით იძენს ინფორმაცია ლეგიტიმურ ინტერესს. აღსაღნიშნავია, რომ კონსტიტუციური სარჩელის განხილვა საჯარო სხდომაზე

<sup>199</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის NN1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მიმდინარეობს, სადაც ნებისმიერ პირს აქვს დასწრების შესაძლებლობა, რაც მოიცავს სრულ წვდომას საქმის დეტალებზე, ინფორმაციაზე.

საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოების პრაქტიკისგან განსხვავებით, არ ფარავდა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას. საერთო სასამართლოების პრაქტიკა კი, ხშირად გამხდარა საფუძვლიანი უკმაყოფილების საგანი. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილება, კერძოდ, განმცხადებლებმა, რომელთაც არ სურთ საკუთარი ვინაობის გამჟღავნება, თხოვნით უნდა მიმართონ სასამართლოს და მიუთითონ ინფორმაციის დაფარვის საფუძველი. სასამართლო ინდივიდუალურად აფასებს მოთხოვნებს და დაპირისპირებული ინტერესების სამართლიანი ბალანსის დადგენის მიზნით, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ მოსარჩევეებს არ შეეხება, არამედ პირთა განუსაზღვრელ წრეს და შეიძლება ინვევდეს სისტემურ ცვლილებებს ქვეყანაში. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაშტრიხვა დაუშვებელია.

### 3.2. ინფორმაციის გაცემა პერსონალური მონაცემის დაფარვის გარეშე

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტის<sup>200</sup> მთავარ სუბიექტს წარმოადგენს ის პირი, რომლის კერძო სფეროს მიუკუთვნებული ინფორმაცია და მონაცემები დაცულია ოფიციალურ წყაროებში. შესაბამისად, ამ პუნქტით დაცული სიკვთე არის პირის კერძო, პრივატული სფეროს ხელშეუხებლობა, პირადი მონაცემების საიდუმლოება. აღნიშნული იცავს პირის ფუნდამენტურ უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფოსგან ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან დაცვა. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და პროპორციულობის ტესტის გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი შეზღუდვა.<sup>201</sup> პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც იცავს ამა თუ იმ პირის პერსონალურ მონაცემებს, ხოლო პერსონალური მონაცე-

<sup>200</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>201</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

მების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს თვით ის პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში. პერონალური მონაცემები არის ინფორმაცია, რომელის პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უნდა დაბალანსდეს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, რომელიც დევლარირებულია კონვენციის მე-10 მუხლით.“<sup>202</sup>

სასამართლოს მიერ ბალანსის დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, აფასებს იგი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვას გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ, თუ პირიქით. სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ინდივიდები პირად ცხოვრებაში არა-საჯარო მონაწილეებისაგან მსგავსი ჩარევისაგან. გამოსაყენებელი პრინციპები ერთგვარია, ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა მიექცეს სამართლიან ბალანსს, რომელიც უნდა დადგინდეს კონფლიქტში მყოფ ინტერესებს შორის.“<sup>203</sup> ბალანსის დადგენა საჭიროებს გამოხატვის თავისუფლების ფართო საზოგადოებრივი ღირებულების გათვალისწინებას და არა მხოლოდ იმ პირის, ან მხარის ვიწრო ინტერესებისა, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას.

„პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის პრეამბულაში განმტკიცებულია მონაწილე სახელმწიფოთა ნება პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის გარანტიების შექმნის მიზნით.<sup>204</sup> პრობლემურია სასამართლო გადაწყვეტილების გამოთხოვა პერსონალური მონაცემების დაფარვის გარეშე, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტული საქმე საჯარო ინტერესის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს, სწორედ ამ საქმის სუბიექტიდან გამომდინარე. მონაცემების დაფარვით კი, შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების სრული ფორმით მიღება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი უნდა განსხვავდებოდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებში არსებული რეგულირებისგან.<sup>205</sup> მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სა-

<sup>202</sup> Von Hannover v. Germany, 24<sup>th</sup> of June 2004, Case N59320/00, Par. 58.

<sup>203</sup> Von Hannover v. Germany (no. 2), 7<sup>th</sup> of February 2012, Cases: N40660/08 and N60641/08, Par. 99.

<sup>204</sup> „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენცია, 1981 წლის 28 იანვარი, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს, ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან, მუხლი 1.

<sup>205</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პუნქტი 42.

სამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზება ხდება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის/მიღების გზით. სასამართლოს გადაწყვეტილებებიც მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დადგენილი სხვადასხვა საფუძვლები.

საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს პერსონალური მონაცემებისა და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების წესს. 2011 წლის 28 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2012 წლის პირველი მაისიდან.<sup>206</sup> კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.<sup>207</sup> კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური ან ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, აგრეთვე არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.<sup>208</sup> მონაცემების დამუშავება ხდება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ. კანონი განმარტავს, თუ ვინ შეიძლება იყოს ასეთი. მონაცემთა დამმუშავებელია: „საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს“. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. კანონში ტერმინთა განმარტების სახით არსებობს „განსაკუთრებულ კატეგორიის მონაცემების“ ცნება, რომელიც შედგება შემდეგი სახის მონაცემებისაგან: „მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამარ-

<sup>206</sup> გარდა 43-ე – 55-ე მუხლებისა.

<sup>207</sup> "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი (2011 წლის 28 დეკემბერი), მუხლი 1.

<sup>208</sup> იხ. იქვე., მუხლი 3.

თლეობასთან, ასევე ბიომეტრული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით“.<sup>209</sup>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.<sup>210</sup> ხოლო 44-ე მუხლის პირველი ნაწილი იმეორებს ამავე შინაარსს და უშვებს გარკვეულ გამონაკლისს მხოლოდ თანამდებობის პირებთან მიმართებით.<sup>211</sup> ეს ნორმები, ადგენს პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის (სასამართლოს გადაწყვეტილების) გაუცემლობის ზოგად წესს, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით. ამავე კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.<sup>212</sup> ხოლო აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონის მოქმედება ვრცელდება, საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.<sup>213</sup> აღნიშნული წესიდან გარკვეულ გამონაკლისები გათვალისწინებულია ამავე მუხლი მე-3 პუნქტით, რომლის „ 8“ ქვეპუნქტის თანახმად კანონის მოქმედება არ ვრცელდება „სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე“.<sup>214</sup> აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს სამართალწარმოების მიზნების დაცვა, ხოლო საჯარო ინფორმაციის სახით მონაცემის გაცემა უშუალოდ სამართალწარმოების მიზნებთან არ არის დაკავშირებული, ამდენად კონკრეტული საპროცესო მოქმედების შემაჯამებელი აქტის გაცემაზე, რომელიც იმავდროულად პერსონალური მონაცემების შემცველია, ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესა-

<sup>209</sup> იხ. იქვე., მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი.

<sup>210</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი.

<sup>211</sup> იხ. იქვე., მუხლი 44.

<sup>212</sup> იხ. იქვე., მუხლი 27<sup>1</sup>.

<sup>213</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

<sup>214</sup> იხ. იქვე., პუნქტი „ზ“.

ხებ საქართველოს კანონის მოქმედება. ნორმის ამგვარ განმარტებაზე მიუთითებს, მათ შორის საერთო სასამართლოების პრაქტიკა.<sup>215</sup>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ.“<sup>216</sup> სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროობის პრინციპიდან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, შესაბამისად, მასზე წვდომა უნდა იყოს იმდენად ფართო, რამდენადაც ეს შესაძლებელია. გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მადეინტიფიცირებელმა მონაცემებმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს უშუალოდ საჯარო და კერძო ინტერესებს. პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვები უნდა დადგინდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში, როგორცაა მაგალითად ბავშვთა უფლებები და არა ზოგადად.

განმცხადებელმა უნდა მოითხოვოს ინფორმაცია საჯარო ინტერესის მიზნისათვის. მისი როლი „ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოებაში მისი გავრცელებისთვის წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანს.“<sup>217</sup> ეს ინფორმაცია უნდა იყოს „მზა და ხელმისაწვდომი“ იმ გაგებით, რომ ხელისუფლებას იგი ხელთ უნდა ჰქონდეს და არ სჭირდებოდეს მისი შეგროვება.<sup>218</sup>

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სადავო ნორმები ვერ უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, რადგან კანონმდებლის მიერ მიღებულია იმგვარი ზომა, რომლითაც სასამართლო გადაწყვეტილების სრული სახით გამოთხოვა და მიღება ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლებელია, მაშინაც კი, როდესაც საქმის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს. გარდა ამისა, ინფორმაციის მიღების უფლების ამგვარი არათანაბომიერი შეზღუდვა გამოუსადეგარი და არაპროპორციულია, რადგან სასამართლო სხდომების საქვეყნობა, მედიის მიერ მათი გაშუქება და გადაწყვეტილების საჯარო გამოცხადება პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას გულისხმობს, შესაბამისად, ერთხელ გამჟღავნებული პერსონალური მონაცემების შემდგომში დაფარვის სამართლებრივი ინტერესი აღარ არსებობს.

<sup>215</sup> მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოები მიუთითებენ პერსონალურ მონაცემებზე და არ გასცემენ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

<sup>216</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>217</sup> Magyar Helsinki Bizottság v. Hungary, 8<sup>th</sup> of November 2016, Case N18030/11, Par. 164.

<sup>218</sup> იხ. იქვე, პარაგრაფი 169.

### 3.3. საერთო სასამართლოების პრაქტიკა პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, სასამართლო გადაწყვეტილებებში მხარეთა ვინაობა რედაქტირებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ხოლო პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში, როგორცაა ირლანდია და გაერთიანებული სამეფო, ღია მართლმსაჯულების უპირატესობის მიზნიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება სრულად ხელმისაწვდომია.<sup>219</sup>

ისტორიულად, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა პირადი ცხოვრების პატივისცემის ფორმატში, რადგან შინაარსობრივად ყველაზე ახლოს, სწორედ აღნიშნულ უფლებასთან იყო და ამ უფლების მკაცრად განსაზღვრული სამოქმედო სფეროს არსებობა იძლეოდა ამის შესაძლებლობას.<sup>220</sup> ერთ-ერთ სასამართლო დავაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრება“ ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომხურავ განსაზღვრას,<sup>221</sup> თუმცა ზოგადი დეფინიციიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემები წარმოადგენს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან მაიდენტიფიცირებელ ინდივიდთან.<sup>222</sup> ცალკეული პიროვნების იდენტიფიცირება შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს პირად მონაცემებს. პერსონალური მონაცემები, რომელიც დე-იდენტიფიცირებულია, დაშიფრულია ან ფსევდონიმიზებულია,<sup>223</sup> მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანისთვის ხელახალი იდენტიფიცირებისათვის პირადი მონაცემებით და კანონის ფარგლებში.<sup>224</sup> პერსონალური მონაცემები, რომელიც ანონიმურად იქნა მოძიებული ისე, რომ ინდივიდი აღარ არის ან ვეღარ იდენტიფიცირდება, არ წარმოადგენს პირად მონაცემს. მონაცემები ნამდვილად ანონიმური იქნება, ანონიმურობა შეუქცევად-

<sup>219</sup> Court Decisions in Georgia: How to Negotiate the Minefield Between Access and Respect for Privacy – Toby Mendel Executive Director Centre for Law and Democracy February 2017 pg. 1

<sup>220</sup> საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემები – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ჭრილში. რედ. კორველია ვ., ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2015, გვ. 180.

<sup>221</sup> Costello-Roberts v. the United Kingdom, Series A no. 247-C, The European Court of Human Rights 25<sup>th</sup> of March 1993.

<sup>222</sup> იმორია ლ., კორველია ვ., კუბლაშვილი ვ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2005 წ. გამომცემლობა "მერიდიანი", გვ. 123.

<sup>223</sup> გოშაძე ვ., „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2015 წელი, გვ. 98.

<sup>224</sup> Article 29 working party opinion 05/2014 on Anonymisation Techniques, p.1.

დი რომ იყოს.<sup>225</sup> კანონი იცავს პერსონალურ მონაცემებს, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებული ტექნოლოგია – ნეიტრალურია და ვრცელდება როგორც ავტომატიზირებულ, ისე სახელმძღვანელოს დამუშავებაზე, თუ მონაცემების დამუშავება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.<sup>226</sup> ასევე, არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ ინახება მონაცემები – საინფორმაციო სისტემაში, ვიდეოთვალის მეშვეობით თუ ქაღალდზე; ყველა შემთხვევაში, პირადი მონაცემები ექვემდებარება ზოგად მონაცემთა დაცვის რეგულაციის მოთხოვნების დაცვას.<sup>227</sup>

პერსონალური მონაცემები შეიძლება მხოლოდ შეგროვებული იყოს სპეციფიური, გასაგები და ლეგიტიმური მიზნებისათვის და უნდა იყოს შეზღუდული, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე.<sup>228</sup> „სასამართლოსთვის მითითებულ ვინაობათა მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, უკავშირდებოდა პროფესიული აქტივობის განხორციელებას საჯარო წარმოების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო დამცველთა პროფესიული საქმიანობა არ შეიძლება მოაზრებულ იქნას როგორც ვერძო საკითხი.“<sup>229</sup> აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ინფორმაცია არ ატარებდა პირად ხასიათს, შესაბამისად არ არსებობდა გამოხატვის თავისუფლებასა<sup>230</sup> და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დადგენის აუცილებლობა.<sup>231</sup> ამის ნაცვლად, მითითებულ საქმეში უპირატესობა გამოხატვის თავისუფლების ინტერესს მიენიჭა. მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემი, ავტომატურად არ წარმოშობს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.<sup>232</sup> შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებას უპირატესობა ენიჭება პირადი ცხოვრების ელემენტების გარეშე არსებულ პერსონალურ მონაცემთან მიმართებით, რამდენადაც აღნიშნული არ წარმოადგენს კონვენციით დაცულ ადამიანის უფლებას.

<sup>225</sup> იხ. იქვე., გვ. 2.

<sup>226</sup> მაგალითად, ანბანის მიხედვით.

<sup>227</sup> General Data Protection Regulations of Germany, Articles 2, 4(1) and (5) and Recitals (14), (15), (26), (27), (29) and (30).

<sup>228</sup> The first German court, the Regional Court (Landgericht) Bonn. decision dated 29 May 2018, case number 10 O 171/18.

<sup>229</sup> იხ. იქვე, პარაგრაფი 194.

<sup>230</sup> მოცემულ შემთხვევაში უფლებას ინფორმაციის წვდომაზე.

<sup>231</sup> The first German court, the Regional Court (Landgericht) Bonn. decision dated 29 May 2018, case number 196.

<sup>232</sup> იხ. იქვე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა პრინციპი, რომ „გარკვეულ შემთხვევებში, პირს გააჩნია მისი პირადი ცხოვრების დაცვისა და პატივისცემის<sup>233</sup> ლეგიტიმური მოლოდინი,“<sup>234</sup> კონკრეტულ შემთხვევებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა, არ შეიძლება გამართლებული იყოს გამოხატვის თავისუფლებაზე მითითებით.<sup>235</sup> თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შინაარსობრივი თანხმობაც კი შესაძლებელია აღიარებული იყოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სასამართლო საფუძვლად: დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „დამუშავება არ არის აკრძალული, თუ იგი მოიცავს მონაცემებს, რომელიც მონაცემთა სუბიექტმა აშკარად საჯარო გახადა.“<sup>236</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში<sup>237</sup> განმცხადებლები ასაჩივრებენ ელ.ფოსტის, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ფარული მიყურადების განხორციელების შესახებ სუბიექტის ინფორმირებასა და მის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობაზე შესაბამისი ვანონმდებლობის არარსებობას გერმანიაში,<sup>238</sup> სადაც სასამართლომ, ტერმინი „პერსონალური მონაცემი“ საერთოდ არ უხსენებია, თუმცა ცალსახაა, რომ კონკრეტულ იდენტიფიცირებულ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების შემთხვევები განიხილა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების<sup>239</sup> ხელყოფის ფორმატში.<sup>240</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ზ. ფინეთის წინააღმდეგ*<sup>241</sup> პირველად გამოიყენა ტერმინი „პერსონალური მონაცემი“<sup>242</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფერო,<sup>243</sup> კერ-

<sup>233</sup> Jessica Almqvist., *Human Rights, Culture, and the Rule of Law*, Oxford and Portland, Oregon, 2005, page 3.

<sup>234</sup> *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary*, Case N18030/11, 8<sup>th</sup> of November 2016.

<sup>235</sup> იხ. იქვე.

<sup>236</sup> გომაძე, ვ. „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი“, თბ., 2015 წელი, გვ. 115-116.

<sup>237</sup> *მაგ. Klass and others v Federal Republic of Germany*, European Court of Human Rights (Series A, NO 28) (1979-80) ECHR, 6<sup>th</sup> of September 1978.

<sup>238</sup> ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს ვანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, კორველია ვ.-ს რედაქტორობით, საგინაშვილი ნ., *პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა*, 2015, გვ. 180.

<sup>239</sup> „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენცია, 1950 წ. მუხლი 8.

<sup>240</sup> *Klass and Others v. Germany.*, 6<sup>th</sup> of September 1978, Par. 39-60.

<sup>241</sup> *Z. v. Finland* 25<sup>th</sup> of February 1997, Case N9/1996/627/811, Par. 95.

<sup>242</sup> „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

<sup>243</sup> *Z. v. Finland.*, 25<sup>th</sup> of February 1997, Case N9/1996/627/811, Par. 95; *M.S. v. Sweden.*, 27<sup>th</sup> of August 1997, Case N 74/1996/693/885, Par. 41; *L.L. v. France.*, 10<sup>th</sup> of October 2006, Par. 44 and other.

ძოდ, განმცხადებლის ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების წინააღმდეგ, გაამყარა ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის დებულებაზე დაყრდნობით „MUTATIS MUTANDIS“-ზე გადამისამართებით.<sup>244</sup> უფრო მეტიც., სასამართლომ, მის რამდენიმე გადაწყვეტილებაში<sup>245</sup> კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვას განიხილავდა პირადი ცხოვრების ცნების ფორმატში.<sup>246</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების ცნებების ურთიერთმიმართებას განმარტავს, როგორც „პერსონალური მონაცემების დაცვა, ... არსებითი მნიშვნელობის არის პირის მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობისთვის.“<sup>247</sup> აღნიშნული მიდგომა განპირობებულია ძირითადი უფლებების სასამართლოს ზოგადი პრინციპების შემადგენელი ნაწილიდან გამომდინარე, რომლის აღსრულებასაც უზრუნველყოფს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო.<sup>248</sup> აღსაღნიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არასოდეს დაუდგენია, რომ პირადი ცხოვრება ფარავს პერსონალური მონაცემების ნებისმიერ დამუშავებას.<sup>249</sup> ევროპული კონვენცია არის პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელ, ცალკე უფლებებად ასახელებს<sup>250</sup> პირადი ცხოვრების პატივისცემას<sup>251</sup> და პერსონალური მონაცემების დაცვას.<sup>252</sup>

<sup>244</sup> ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე., სტატიათა კრებული., კორკელია ვ.-ს რედაქტორობით., საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2015, გვ. 180.

<sup>245</sup> Amann v. Switzerland., 16<sup>th</sup> of February 2000, Par. 65; Rotaru v. Romania., 4<sup>th</sup> of May 2000, Par. 43; P.G. and J.H. v. The United Kingdom., 25<sup>th</sup> of September 2001, Par. 57 and other.

<sup>246</sup> ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე., სტატიათა კრებული., კორკელია ვ.-ს რედაქტორობით., საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2015, გვ. 181.

<sup>247</sup> M.S. v. Sweden (Case N 74/1996/693/885), ECHR, 27<sup>th</sup> of August 1997, Par. 41.

<sup>248</sup> ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე., სტატიათა კრებული., კორკელია ვ.-ს რედაქტორობით., საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2015, გვ. 182.

<sup>249</sup> Runeberg K., Balancing the Right to Data Protection and the Right of Access to Documents, Lund University, Faculty of Law, 2018, p. 10.

<sup>250</sup> EU Network of Independent Experts on Fundamental Rights, Commentary of the Charter of Fundamental Rights of the European Union, 90. იხ. <http://ec.europa.eu/justice/fundamental-rights/> Commentary of the Charter of Fundamental Rights of the European Union.

<sup>251</sup> “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის” მე-7 მუხლი.

<sup>252</sup> იხ. იქვე., მუხლი 8.

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის.<sup>253</sup> საქართველოსთვის, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოსათვის, რომელზეც ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი რეგულირების განვითარება ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე, აუცილებელია პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფციას შორის ურთიერთმიმართების ანალიზი და აღნიშნულის შედეგად გაკეთებული დასკვნების პრაქტიკაში გამოყენება.<sup>254</sup>

საქართველოში, პირველად პირადი ცხოვრების დაცვაზე საუბარი იყო 1921 წლის კონსტიტუციაში.<sup>255</sup> „პიროვნება ხელშეუვალია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვა მხრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრევილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით“.<sup>256</sup> 28-ე მუხლით კი, იკრძალებოდა ბინის ჩხრევა, ამისთვის საჭირო იყო სასამართლოს დადგენილება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მთავარი გარანტი საქართველოში, საქართველოს კონსტიტუცია.<sup>257</sup> კერძოდ კი, კონსტიტუციის მე-15 მუხლი.<sup>258</sup> მართალია, მოცემული დებულება იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მაგრამ არა აბსოლუტურად. იქვე არის დათქმა, რომელიც უშვებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც დასაშვებია მისი „ხელყოფა“. მსგავსი შემთხვევა დასაშვებია, თუ ამაზე არსებობს „სასამართლოს გადაწყვეტილება“.<sup>259</sup> აქვე, არსებობს ბუნდოვანი დათქმა, სადაც ნათქვამია „...ან მის გარეშე“, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.<sup>260</sup> კონსტიტუციით, ასევე აკრძალულია საცხოვრებელ ბინაში შესვლა და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ. თუმცა, აქაც არსებობს ამის შემღებების გზა, როდესაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

<sup>253</sup> Volker und Markus Schecke and Eifert., C-92/09, 9<sup>th</sup> of November 2010, Par. 48.

<sup>254</sup> ჭგერენია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, თბ. 2012, ხელმისაწვდომია: <<https://www.scribd.com/doc/125796218/პირადი-ცხოვრების-ხელშეუხებლობის-დაცვის-გარანტიები-საქართველოში-დასაერთაშორისო-ასპექტები>> [11.08.2020].

<sup>255</sup> საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია., მუხლი 22.

<sup>256</sup> იხ. იქვე.

<sup>257</sup> იხ. იქვე., მუხლი 28.

<sup>258</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი.

<sup>259</sup> იხ. იქვე.

<sup>260</sup> იხ. იქვე.

მსგავსი უფლების შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინტერესებს, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სადავოა, თუ რა არის „საჯარო ინტერესი“ ან/და სახელმწიფოს უსაფრთხოება“, ამიტომაც არის შემთხვევები, როდესაც ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ხელყოფა, უკანონოდ.<sup>261</sup>

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულია ორი ტიპის უფლებები: უფლებები, რომლებსაც სახელმწიფო ვერ შეზღუდავს ვერცერთ სიტუაციაში, მათ შორის საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი<sup>262</sup> და უფლებები, რომლებიც, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება მართლზომიერად შეიზღუდოს. საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღიარების შედეგია არა მხოლოდ ის, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ, დაიცვან თავიანთი უფლებები და თავისუფლებები კონვენციის საფუძველზე, არამედ ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების იმ კრიტერიუმებით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით.<sup>263</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას, გარკვეულ შემთხვევებში მართლზომიერად შეზღუდოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. ძირითადად, ასეთი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია კონვენციის 8-11 მუხლებით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რელიგიის თავისუფლება, გამობატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება),<sup>264</sup> რომლებიც განსაზღვრავენ ამ უფლებების შეზღუდვის პირობებს. ეს მუხლები შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ანიჭებს პირებს ამა თუ იმ უფლებას,<sup>265</sup> ხოლო მეორე ნაწილი ადგენს სახელმწიფოს მიერ ამ უფლების მართლზომიერი შეზღუდვის პირობებს.<sup>266</sup>

სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც დაცულია საჯარო დანესებულებაში და საქართველოს ზო-

<sup>261</sup> <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/coe-human-rights-protection.pdf>> [20.07.2019].

<sup>262</sup> მაგ., სახელმწიფო ვერ დაუშვებს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, რაც აკრძალულია კონვენციის მე-3 მუხლით.

<sup>263</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხლები 8-11.

<sup>264</sup> ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა მუხლით, მაგ. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი.

<sup>265</sup> მაგ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

<sup>266</sup> D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, Page 503.

გადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, რომლის გაცემის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების გამოყენებით მოქმედი კანონმდებლობა იძლევა სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნის შესაძლებლობას.

პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გაცემის ზოგად წესს<sup>267</sup> განსაზღვრავს „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ამომწურავ ჩამონათვალს, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა სახელდებით არ არის მოხსენიებული. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემს, შესაძლებელია დამუშავდეს თუ „კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა“. ხოლო, აღნიშნული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.“ შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ იგი არ შეიცავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, შეიძლება გაიცეს საჯარო ინტერესის არსებობისას, თუმცა გარკვეულწილად მაინც ნორმა ბუნდოვანია, ვინაიდან გაურკვეველია რას გულისხმობს ტერმინი „კანონის შესაბამისად“, რადგან თუ აღნიშნული მოიაზრებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას, ყოველგვარი საჯარო ინტერესი არსებობის გარეშე მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას მიეკუთვნება, შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დამოუკიდებელი დამუშავების საფუძველს წარმოადგენს. აღსაღნიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივლისის განჩინება, სადაც ის მსჯელობს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციიდან გამომდინარე და შეწყალებული პირის შესახებ ინფორმაციას მი-

<sup>267</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემების დამუშავება არის “მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩანერა, ვიდეოჩანერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, ნაშლა ან განადგურება”.

იჩნევს განსაკუთრებით მგრძობიარე პერსონალურ მონაცემად.<sup>268</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, მის რამოდენიმე გადაწყვეტილებაში განმარტავს პერსონალურ მონაცემთა გაცემის წესის დარღვევას, ვერძოდ, 2015 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია დავის შესახებ, რომელიც ეხებოდა პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ გამჟღავნების ფაქტს<sup>269</sup>, ხოლო 2014 წლის გადაწყვეტილებაში სხვა სადავო საკითხებთან ერთად, აღნიშნული იყო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ სასამართლოსათვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტის უკანონობის შესახებ, რაც უზენაესმა სასამართლომ კანონიერად მიიჩნია.<sup>270</sup> პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ზომები გულისხმობს სამოქალაქო<sup>271</sup>, ადმინისტრაციულ<sup>272</sup> და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას<sup>273</sup>. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იყენებს პასუხისმგებლობის სამივე ზომას საჭიროებისამებრ.<sup>274</sup> თუმცა, უნდა დადგინდეს სამივე ზომის ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობა, ან უნდა მოხდეს გამიჯვნა თუ რომელი ზომის გამოყენება იქნება მართებული.

ყოველივე ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იძლევა პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების გამჟღავნების შესაძლებლობას, გარდა განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული პერსონალური მონაცემებისა, ვინაიდან, განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული პერსონალური მონაცემების დამუშავება არის აკრძალული. მითითებულის გათვალისწინებით, სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება შეიცავს გარკვეული სახის პერსონალურ ინფორმაციას, თუმცა, უნდა დადგინდეს უპირატესობა პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლო გადაწყვეტილების დაცვისა და საჯარო ინტერესებს შორის.

საინტერესოა ინფორმაციის თავიდუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, სასამართ-

<sup>268</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ს-664-635-2016 გადაწყვეტილება საქმეზე, ლ.ყ.გ.ყ. შპს „ტ.ს.“, ნ.ნ. შპს „ჰ.ჯ.“ ქ.ბ. შპს „პ“-ს წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/didi-palata-02.03.2017.pdf>> [11.08.2020].

<sup>269</sup> იხ. იქვე.

<sup>270</sup> იხ. იქვე.

<sup>271</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი.

<sup>272</sup> იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე, 45-ე, 47-49-ე, 51-52, 54-ე მუხლები.

<sup>273</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი.

<sup>274</sup> მაგალითად, ჰოლანდია, რუსეთი, პოლონეთი და სხვ.

ლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პრაქტიკული მხარის ანალიზის მიზნით, IDFI-მ მიმართა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ყველა სასამართლოს.<sup>275</sup> კვლევის ანალიზი<sup>276</sup> ცხადყოფს, რომ მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა 231, ხოლო მიღებული პასუხების რაოდენობამ 25, ამასთან უარი პასუხის გაცემაზე წარმოადგენდა 1-ს, რაც სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული კვლევის თანახმად, გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ საერთო სასამართლოები ახდენენ სახელმწიფოს წარმომადგენლების დეპერსონალიზაციას, ხოლო ერთ-ერთი სასამართლოს მიერ მიწოდებულ პასუხში დაფარულია საქმის განმხილველი მოსამართლე და სხდომის მდივანიც,<sup>277</sup> რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა სიასთან, ვინაიდან მოსამართლე წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ სუბიექტს, შესაბამისად, მისი მონაცემები უნდა იყოს ღია.

ყოველივე ზ/აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა პერსონალური მონაცემების დაცვაზე მითითებით, მნიშვნელოვნად აზიანებს სასამართლოსადმი ნდობას და არ არსებობს ერთგვარი ბალანსი, თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა მათ შორის კონფლიქტის შემთხვევაში. მონაცემთა დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხშირი და განმეორებითი დარღვევები განპირობებულია მათი გადაჭრისათვის არსებული გზების არასრულფასოვნებით. აგრეთვე, უნდა განხორციელდეს საერთაშორისო კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან საქართველოში მოქმედი პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა.

---

<sup>275</sup> გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოსა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოსი.

<sup>276</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, ხელმისაწვდომია: <[https://idfi.ge/public/upload/Meri/Projects/courts\\_of\\_general\\_jurisdiction\\_practice\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/Meri/Projects/courts_of_general_jurisdiction_practice_analyses.pdf)> [11.08.2020].

<sup>277</sup> იბ. იქვე., გვ. 18.

## II. პერსონალურ მონაცემთა დაცვა სასამართლო გადაწყვეტილებაში

დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს, რომელიც დაცულია 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, პირადი ცხოვრების უფლება.<sup>278</sup> აღნიშნული უფლების რეალიზაციისათვის არსებობს ინსტიტუციური უწყებები და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები. სასამართლო გადაწყვეტილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და პირადი თავისუფლება, ისევე, როგორც სასამართლო პროცესის მუშაობის ხარისხი, წარმოადგენს საკონსტიტუციო სახელმწიფოს ხარისხის მაჩვენებელს.<sup>279</sup> ფუნდამენტური უფლებების შესახებ ევროკავშირის ქარტიის მე-8 მუხლი ადგენს მონაცემთა დაცვის უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდებაში კონფიდენციალურობის უფლებაა. ეს მოიცავს მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელ უფლებას,<sup>280</sup> განსხვავებით ევროკავშირის ქარტიაში ადამიანის სხვა საერთაშორისო დოკუმენტებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, იყენებენ მონაცემთა დაცვის კონფიდენციალურობის უფლებას.<sup>281</sup> როდესაც ქარტიამ ხელი მოაწერა და გამოაცხადა აღნიშნული აქტი, როგორც საზეიმო პოლიტიკური განაცხადი 2000 წელს, ევროსასამართლომ (CJEU) ჯერ კიდევ არ აღიარა ევროკავშირის სამართლებრივი წესით მონაცემთა დაცვის უფლების არსებობა.<sup>282</sup> უფრო მეტიც, 1995 წელს მიღებული ევროპული მონაცემთა დაცვის დირექტი-

<sup>278</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [11.08.2020].

<sup>279</sup> Zoltan Fleck., "A comparative analysis of judicial power, organizational issues in judicature and the administration of courts, page 20.

<sup>280</sup> European Union, Charter of Fundamental Rights of the European Union [2000] OJ C364/01 and [2010] OJ C83/389.

<sup>281</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ დონეზე ასეთი დამოუკიდებელი უფლება არსებობს, მონაცემთა დაცვა განიხილება როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფიდენციალურობის უფლება, აღნიშნულს აღიარებენ ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოები, როგორცაა ნიდერლანდები, ესპანეთი და ფინეთი. მაგალითად, ფინეთის კონსტიტუციის მე -10 მუხლი, რომელიც "პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება"-ს აცხადებს, "გარანტირებულია ყველას პირადი ცხოვრება, პატივი და სინამდვილე. პერსონალური მონაცემების დაცვის დეტალურ დებულებებს აწესრიგებენ კანონი".

<sup>282</sup> ეს უფლება პირველად იქნა აღიარებული სასამართლოს მიერ 2008 წელს. *Productores de Música de España (Promusicae) v Telefónica de España* (Case C-275/ 06), ECHR, 2008, para 63.

ვა,<sup>283</sup> არ ითვალისწინებდა მონაცემთა დაცვის უფლებას. მითითებული ლაკონურად აღნიშნავს, რომ მონაცემთა დაცვის უფლება ეფუძნება ევროკომისიის 286-ე მუხლს,<sup>284</sup> მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-7 მუხლს<sup>285</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-8 მუხლს,<sup>286</sup> ევროპის საბჭოს კონვენციის 109-ე მუხლს.<sup>287</sup> თუ მონაცემთა დაცვა არის კონფიდენციალურობის უფლების სანინააღმდეგო, რატომ უნდა იყოს კონფიდენციალურობის უფლება, რომელიც დიდი ხანია აღიარებულია ევროსასამართლოს მიერ, როგორც ევროკავშირის კანონმდებლობის ზოგადი პრინციპი და ევროკავშირის ქარტიაში ჩამოყალიბებული და თუ აღნიშნული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ლეგიტიმაცია გაუწიოს ფუნდამენტურ უფლებათა განზომილებას ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ბაზაში.<sup>288</sup> ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ თანამდებობის პირების ხელფასები უნდა მიწოდებულ ყოფილიყო ეროვნული აუდიტორული ორგანოსთვის, რომელიც პარლამენტს გადაეცემოდა და მოგვიანებით საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა. დასკვნის მისაღწევად სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დირექტივის დებულებები უნდა განიმარტოს ფუნდამენტურ უფლებებად, კერძოდ, კონფიდენციალურობის თვალსაზრისით.<sup>289</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის რიგი ფუძემდებლური პრინციპები შესაძლოა პირდაპირ მომდინარეობდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ცნებიდან. სასამართლომ განსაზღვრა, რომ კერძო ინფორმაციის შეგროვება წარმოშობს საფრთხეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონტექსტში.<sup>290</sup> მხოლოდ ის ფაქტი, რომ ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, ავტომატურად არ გულისხმობს პირადი ცხოვრების ინტე-

<sup>283</sup> European Parliament and Council Directive 95/46/EC of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data [1995] OJ L281/23 (Directive 95/46 EC).

<sup>284</sup> ევროკომისიის 286-ე მუხლის თანახმად, "საზოგადოების საქმიანობა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებაში ვრცელდება იმ ინსტიტუტებსა და ორგანოების მიმართ, რომლებიც შექმნილია ამ ხელშეკრულების საფუძველზე.

<sup>285</sup> Directive 95/46 EC (n 4). ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>> [11.08.2020].

<sup>286</sup> ეს დებულება ადგენს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას და მე-3 ნაწილში ახდენს დეტალურ განხილვას.

<sup>287</sup> Council of Europe, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, ETS No 108, 1981.

<sup>288</sup> National Panasonic v Commission (Case N C-137/79), ECHR, 1980, para 18–20.

<sup>289</sup> Rechnungshof v Osterreichischer Rundfunk and others, (Case NI-04989), ECHR, 2003.

<sup>290</sup> Murray v. the United Kingdom, 28<sup>th</sup> of October 1994, Case No. 14310/88, Par. 86.

რესის არსებობას. საქმეში ს. და მამფერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც დიდმა პალატამ განიხილა, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ კონრეტული ინფორმაციის შენახვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემს, მაგრამ შემდეგ შეათვალა თუ რამდენად წარმოადგენდა ამგვარი ინფორმაციის შენახვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევას. სასამართლომ მიუთითა, რომ: „იმის განსაზღვრის პროცესში, სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია მოიცავს თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რომელიმე ასპექტს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სადავო ინფორმაციის ჩანერისა და მოპოვების სპეციფიური კონტექსტი, ჩანანერის ხასიათი, ჩანანერების გამოყენების ბუნება და შედეგები, რაც შესაძლოა აღნიშნულს მოჰყვეს.“<sup>291</sup>

აღნიშნულმა ზოგადად დაადგინა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფართო უფლებაა, და ხშირად იყენებს მითითებულ ციტატას გადანაცვტილებებში: „სასამართლო აღნიშნავს, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის“ კონცეფცია არის ძალზე ფართო ცნება და არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას.“<sup>292</sup> პერსონალური მონაცემები არის პირადი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი.

საქმე „ალექს სპრინგერი აგ გერმანიის წინააღმდეგ“ მოიცავდა კოლიზიას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პირის პატივისა და ღირსების უფლებას შორის. სასამართლოს დიდმა პალატამ მიუთითა, რომ უკანასკნელი იყო „პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ნაწილი“ და ასევე განმარტა, რომ: „იმ შემთხვევაში, როდესაც დავა ეხება პატივისა და ღირსების შელახვას, რომელიც თანმდევია პირის ქმედებისა, მაგალითად დანაშაულის ჩადენა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კონვენციის მე-8 მუხლი.“<sup>293</sup>

„სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროთი დაცული პარლამენტის წევრის პირადი ცხოვრების რაიმე ასპექტი გამოვლენილი ყოფილიყო მისი კონსტიტუციური სარ-

<sup>291</sup> მენდელი ტ., სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში: როგორ დავიცვათ ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის, თბ. 2017, ხელმისაწვდომია: <[https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_FOTOS\\_2016/Prolog\\_closing\\_event/Paper\\_on\\_Access\\_to\\_Court\\_Decisions\\_geo.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Prolog_closing_event/Paper_on_Access_to_Court_Decisions_geo.pdf)> [11.08.2020].

<sup>292</sup> S. and Marper v. the United Kingdom, 4<sup>th</sup> December 2008, Par. 66.

<sup>293</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, „ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ, N2, ხელმისაწვდომია: <<http://catalog.supremecourt.ge/blog/foto/400.pdf>> [11.08.2020].

ჩელიდან. მან შეატყობინა პრესას კონსტიტუციური სარჩელის შესახებ, შესაბამისად მისი მოსაზრება ამ საჯარო საკითხზე შესაძლოა იდენტიფიცირებული ყოფილიყო მის პიროვნებასთან ერთად. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიტიკის სფეროში გამოხატვის თავისუფლებისათვის ფატალური იქნებოდა, თუკი საჯარო პირებს შეეძლებოდათ პრესისა და საჯარო დისკუსიისათვის ცენზურის დანესება მათი პერსონალური უფლებებიდან გამომდინარე, იმაზე მითითებით, რომ მათ მოსაზრებები საჯარო საკითხებთან დაკავშირებით მიემართება მათ პიროვნებას და შესაბამისად წარმოადგენს კერძო მონაცემებს, რომელთა გამჟღავნება არ შეიძლება თანხმობის გარეშე. აღნიშნული არგუმენტები, სასამართლოს აზრით, ვერ გაამართლებს განსახილველ საქმეში არსებულ შეზღუდვას.<sup>294</sup>

დღესდღეობით ევროპაში ძალზედ გაურკვეველი და რთული პერიოდია მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში 2016 წლის 23 ივნისის „ბრექსიტი“-ს რეფერენდუმის შედეგად.<sup>295</sup> კანონის აღქმა, ხშირად მედიის მიერ შემოთავაზებული ანგარიშების საფუძველზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ქცევის ჩამოყალიბებაში. რას წარმოადგენს "პირადი მონაცემების ბოროტად გამოყენება" და მონაცემთა დაცვა, რომლებიც არსებით გავლენას ახდენდნენ სხვადასხვა ფაქტორზე.<sup>296</sup> კონფიდენციალურობის დარღვევისა და პირადი ინფორმაციის არასწორად გამოყენების პრეტენზიების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ცხადი იყო, რომ ცილისწამება კვლავ დომინანტური შემთხვევას წარმოადგენდა დიდ ბრიტანეთში.<sup>297</sup> როგორც ბრიტანეთის სახელმძღვანელოს, McNae's Essential Law-ის ჟურნალისტები აცხადებენ: "მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დაცვა თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში მოქმედებს, ჟურნალისტების უმრავლესობამ არ იცის ამის შესახებ, ალბათ იმიტომ, რომ ჟურნალისტების მიმართ დევნის საფრთხე იშვიათია". ხოლო, წიგნის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ "ეს იცვლება."<sup>298</sup> ცხადია, რომ მედია ორგანიზაციებისათვის მონაცემთა დაცვა ბევრად უფრო აქტუალური ხდება.<sup>299</sup> ახალი „ბრიტანული ბილი უფლებების

<sup>294</sup> Társaság A Szabadságjogokért v. Hungary, Case no. 37374/05, ECHR, 14<sup>th</sup> of April 2009.

<sup>295</sup> International Journal of Legal Information 45.1, 2017, pp. 28–33.

<sup>296</sup> Townend, Judith. 'Defamation, Privacy & the "Chill": A Socio-Legal Study of the Relationship between Media Law and Journalistic Practice in England and Wales, PhD thesis. City University London, 2015.

<sup>297</sup> იბ. იქვე.

<sup>298</sup> Hanna, Mark, and Mike Dodd, McNae's Essential Law for Journalists, 2016, Page 358.

<sup>299</sup> International Journal of Legal Information 45.1, 2017, pp. 28–33.

შესახებ“, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში განიხილებოდა, შესაძლოა კვლავ აქტუალური იყოს. თუმცა, თუ ბრიტანეთი ევროპის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრად დარჩება, მან უნდა დაიცვას სასამართლოს გადაწყვეტილებები პირადობის და მონაცემთა დაცვის უფლებებთან დაკავშირებით, იქნება თუ არა ახალი ადამიანის უფლებათა ეროვნული კანონმდებლობა მიღებული.<sup>300</sup>

„ბავარიის ლაგერი“-საქმეში,<sup>301</sup> გენერალურმა სასამართლომ მოითხოვა მონაცემთა დაცვის უფლების შეთავსება დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლებასთან (ასევე ევროკავშირის ქარტიაში დაცული). კომპანია „ბავარიის ლაგერი“-მა თხოვნით მიმართა ევროკომისიას, კანონმდებლობის შესაბამისად (რეგულაცია 1049/200136) და მოითხოვა წუთი კონკრეტული შეხვედრისათვის და შეხვედრის მონაწილეების სახელების გაცნობისათვის.<sup>302</sup> სასამართლომ განმარტა, რომ კომისია მხოლოდ ანონიმურ ფორმებში მიაწვდის მონაცემებს, იმ პირობით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და მონაცემთა გამჟღავნება არ შესაბამეა ევროკავშირის ინსტიტუტებისათვის (რეგლამენტის 45/200137) დადგენილ მონაცემთა დაცვის წესებს.<sup>303</sup> გენერალურმა სასამართლომ მოითხოვა განსაზღვრება, რომ ამ კომისიის გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ, დამყარებულია თუ არა სწორ ბალანსზე, ინფორმაციის თავისუფლებისა და მონაცემთა დაცვის შესახებ ევროკავშირის მიერ დადგენილი წესით. გენერალურმა სასამართლომ, ამ ინტერპრეტაციას, როგორც მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით დგინდება, განიხილა შეხვედრის დამსწრეთა სახელები, რომლებიც არღვევენ მე-8 მუხლით დადგენილ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.<sup>304</sup> შედეგად, გენერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპული მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში ჩამოთვლილი "დამატებითი პირობების" შესაბამისად მოთხოვნილი განაცხადი, როგორცაა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მოთხოვნა, ეწინააღმდეგება

<sup>300</sup> Elgot, Jessica. 2016. 'UK Bill of Rights Will Not Be Scrapped, Says Liz Truss'. The Guardian, August 22, sec. Law. ხელმისაწვდომია: <<https://www.theguardian.com/law/2016/aug/22/uk-bill-of-rights-will-not-be-scrapped-says-liz-truss>> [11.08.2020].

<sup>301</sup> Commission v Bavadan Lager (Case NC-28/08), ECHR, 29<sup>th</sup> of June 2010, par. 130.

<sup>302</sup> Regulation No 1049/2001 of the European Parliament and of the Council of 30 May 2001 regarding public access to European Parliament, Council and Commission documents [OJ] L 145/43.

<sup>303</sup> Regulation 45/2001 of the European Parliament and of the Council of 18 December 2000 on the protection of individuals with regard to the processing of personal data by the Community institutions and bodies and on the free movement of such data [2001] OJ L8/1.

<sup>304</sup> Commission v Bavadan Lager (Case NC-28/08), ECHR, 29<sup>th</sup> of June 2010, par. 132–133.

რეგულაციის 1049/2001 მოთხოვნებს.<sup>305</sup> სასამართლომ გააუქმა კომისიის გადაწყვეტილება.

სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, იმ პირს, რომელსაც აქვს ჩხრევის უფლება, ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება, ვერძოდ, შეარჩიოს ის მასალები, რომელიც კონკრეტულ საქმეს სჭირდება, რითაც ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება,<sup>306</sup> ვინაიდან, სასამართლო განჩინება ჩხრევის ჩატარების თაობაზე წარმოადგენს ძალიან ზოგადი ხასიათის მატარებელ დოკუმენტს, რადგან სასამართლო იფარგლება მხოლოდ წინადადებით: „შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს – ჩატარდეს ქ. თბილისში ... მდებარე ბინის ჩხრევა.“<sup>307</sup> სასამართლოებს მაქსიმალური სიფრთხილით უნდა გამოჰქონდეთ გადაწყვეტილებები, მით უფრო თუ გადაწყვეტილება ზოგადი ხასიათისაა.<sup>308</sup> როდესაც გადაწყვეტილება დეტალური ხასიათისაა, აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისგან დაცვას,<sup>309</sup> რაც საზოგადოებისათვის მაღალი ნდობის გარანტიას სასამართლო ხელისუფლების მიმართ და აღნიშნული ხელს უწყობს გასაჩივრების უფლების სრულყოფილად გამოყენებას.<sup>310</sup> როდესაც განჩინება დეტალიზებულია, ვერძოდ, მითითებულია ყველა ის შესაძლო ნივთი, რომელიც ჩხრევის შედეგად ამოღებულ უნდა იქნეს, ამგვარი განმარტებისას სასამართლო მას თვლის საკმარისად დეტალიზებულად.<sup>311</sup> ხოლო, თუ განჩინება ჩხრევის განხორციელების თაობაზე არ მოიცავს არანაირ დაზუსტებას და წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დოკუმენტს, მიიჩნევა, რომ აღნიშნული მაღალი ალბათობით არღვევს პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიებს.<sup>312</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი სასამართლოსათვის, აღნიშნული ეყრდნობა ობიექტურ სტანდარტს, ვერძოდ, მსგავს საქმეებში, ბრალდების მხარის წარმომადგენლის

<sup>305</sup> იხ. იქვე, პარაგრაფი 137.

<sup>306</sup> Smirnov v. Russia, (Case N71362/01), ECHR, 7<sup>th</sup> of June, 2007.

<sup>307</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული, კორკელია ვ.-ს რედაქტორობით, თბ. 2014, ხელმისაწვდომია: <[http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-adamianis\\_uplebata\\_dacva.pdf](http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-adamianis_uplebata_dacva.pdf)> [11.08.2020].

<sup>308</sup> M. Britz, Computer Forensics and Cyber Crime, 3rd ed., 2013, page 308.

<sup>309</sup> Taxquet v. Belgium, (Case N 926/05), ECHR, 12<sup>th</sup> of January 2009, Par. 43.

<sup>310</sup> ლ. სუნდე, სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. ვ. კორკელია, 2010 წელი, 145.

<sup>311</sup> United States v. Triplett and United States v. Burgess (Case N576), 2009.

<sup>312</sup> UNITED STATES of America, Plaintiff-Appellee, v. James RICCARDI, Defendant-Appellant (Case N 03-3132), 19th of April, 2005.

პერსონალური გამოცდილებიდან გამომდინარე, რა სახის მტკიცებულებები შესაძლოა არსებობდეს.<sup>313</sup> დასაბუთებული ვარაუდი აუცილებლად უნდა იყოს ინდივიდუალიზებული და არა განზოგადებული.<sup>314</sup> თუ შუამდგომლობა ჩხრეკის ჩატარების თაობაზე ემყარება მხოლოდ მონმის ეჭვს, ვარაუდს ან რწმენას, აღნიშნული ვერ ჩაითვლება დასაბუთებულ შუამდგომლობად.<sup>315</sup> როგორც სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნა: „პროკურორი თავის შუამდგომლობაში დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შესახებ საერთოდ არ უთითებს და ჩხრეკის წარმოებას ამყარებს პოლიციელის მიერ მიღებულ ოპერატიულ ინფორმაციაზე მაშინ, როდესაც ასეთი ოპერატიული ინფორმაცია და მისი მიმღების მონმის სახით დაკითხვა დასაბუთებული ვარაუდის არსებობას გამორიცხავს, რადგან სახეზე არ არის დანაშაულთან კავშირი და მტკიცებულებითი სტანდარტი“.<sup>316</sup> სასამართლო უნდა ამოწმებდეს არა მარტო ღონისძიების ჩატარების საფუძვლების კანონიერებას, არამედ ასევე მიზნის კანონიერებას და აუცილებლობას, რაც განპირობებული უნდა იყოს მხოლოდ აუცილებლობით და არა ინფორმაციის მოპოვების გამარტივების მიზნით. ვინაიდან, შუამდგომლობა ითვალისწინებს „საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებასა და დამატებითი მტკიცებულების მოპოვება“-ს, რაც ძალიან ფართო სპექტრია, დიდი ალბათობაა პირადი ცხოვრების სივრცეში აშკარა ჩარევის.<sup>317</sup> საქმის განხილვის პროცესში ძალზედ მარტივია საბანკო ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა, რის მიზნსაც წარმოადგენს ის, თუ ვის მიერ და რა მიზნით იქნა გახარჯული სადავო თანხა.<sup>318</sup>

კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს დეტალურ რეგულირებას, თუ რა შემთხვევაში არის სავალდებულო სასამართლო გადანყვეტილებებში პერსონალური მონაცემების დაფარვა. სასამართლოს გადანყვეტილების გაცემისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი, აგრეთვე კონკრეტული საქმის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი.

<sup>313</sup> J. Cook, Inside Investigative Criminal Procedure: What Matters and Why, 2012, page 43.

<sup>314</sup> P. Henning, Mastering Criminal Procedure, Investigative Stage, 2010, page 80.

<sup>315</sup> W. Singoreli, Criminal Law – Procedure and Evidence, 2011, 132.

<sup>316</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 აპრილის N010703113207137 განჩინება, ხელმისაწვდომია: <<https://www.hr.gov.ge/files/c6836b88-6a08-461f-a4d5-eb12a3f6710f>> [11.08.2020].

<sup>317</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით, ხელმისაწვდომია: <[http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-adamianis\\_uplebata\\_dacva.pdf](http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-adamianis_uplebata_dacva.pdf)> [11.08.2020].

<sup>318</sup> იხ. იქვე.

პერსონალური მონაცემების ერთნაირი დაცვის ხარისხით სარგებლობს, ერთი მხრივ, სასამართლოს ის აქტი, რომელიც მიღებულ იქნა საქმის ღია სხდომაზე განხილვის შედეგად და, მეორე მხრივ, ის აქტი, რომელიც სასამართლომ გამოიტანა საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შედეგად. საინტერესოა სოციალური ქსელი „Facebook“-ის სასამართლო დავა, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა სოციალური ქსელის მოქმედება, რომლითაც ირლანდიის მონაცემებს აშშ-ს სერვერებზე ათავსებდა (გადაჰქონდა), ამით მან წამოიწყო სერიოზული სამართლებრივი გამოწვევები.<sup>319</sup> ევროსასამართლომ დაადგინა, რომ "Safe Harbor" – ის შეთანხმება, რომელიც აშშ-სა და ევროპას შორის მონაცემთა გადაცემას ითვალისწინებდა, არასწორია და არ უზრუნველყოფდა სათანადო დაცვას, განსაკუთრებით მასობრივი ზედამხედველობის სანინალმდებო გარანტიებთან დაკავშირებით.<sup>320</sup> ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისარმა განმარტა, რომ Facebook-ის ევროპული აბონენტების მონაცემების გადატანა ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა შეჩერდეს იმ პირობით, რომ ქვეყანას არ აქვს პერსონალური მონაცემების ადექვატური დაცვის შესაძლებლობა. აშშ-ს მთავრობა ირლანდიურ საქმეს შეუერთდა. კომპანია „Schrems“ გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ამერიკის მთავრობას სურდა თავისი სათვალთვალო კანონების დაცვა მოეხდინა ევროპის სასამართლოში.<sup>321</sup>

ევროკავშირის კანონმდებლობა სთხოვს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ავალდებულებს ინტერნეტ-პროვაიდერების, საავტორო უფლებების მფლობელთა დარღვევის პირად მონაცემებს მისცეს შესაბამისი ხასიათი, სამოქალაქო სამართალწარმოების ხელშეწყობის მიზნით.<sup>322</sup> კერძოდ, ესპანეთის სასამართლომ განუმარტა მართლმსაჯულების სასამართლოს, რომ საავტორო უფლებების მფლობელთათვის პერსონალური მონაცემების მიწოდების დადებითი ვალდებულება სამივე ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების დირექტივას

---

<sup>319</sup> <<http://europe-v-facebook.org/EN/en.html>> [11.08.2020].

<sup>320</sup> Maximillian Schrems v Data Protection Commissioner, Case C-362/14. CJEU (Grand Chamber) 2015.

<sup>321</sup> Europe-v-Facebook.org. 2016. 'NSA Mass Surveillance: US Government Wants to Intervene in European Facebook Case'. ხელმისაწვდომია: <[http://www.europe-v-facebook.org/PR\\_MC-US.pdf](http://www.europe-v-facebook.org/PR_MC-US.pdf)>[11.08.2020].

<sup>322</sup> Productores de Música de España (Promusicae) v Telefónica de España SAU, (Case NC-275/06) ECHR, 2008. ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62006CJ0275>> [11.08.2020].

წარმოადგენდა.<sup>323</sup> აქვე გასათვალისწინებელია, რომ ვერძო ინფორმაციის გავრცელება წარმოშობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს.<sup>324</sup>

## 1. პერსონალური მონაცემები და მათი დაცვის მნიშვნელობა ადამიანის ძირითადი უფლებებისთვის

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი ადგენს, რომ „არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან“.<sup>325</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად კი, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.<sup>326</sup> ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად: „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა და მის პირად და

<sup>323</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის 2002/58/EC დირექტივა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებით, 2000 წლის 8 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საინფორმაციო საზოგადოების იურიდიული ასპექტების შესახებ, ვერძოდ, ელექტრონული კომერციის, შიდა ბაზარზე განთავსება და 2001/29/EC დირექტივა 2001 წლის 22 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ ინფორმაციის საზოგადოებაში, საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციაზე.

<sup>324</sup> Z. v. Finland, 25<sup>th</sup> of February 1997, Case No. 22009/93, Par. 94.

<sup>325</sup> საერთაშორისო პაქტის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მე-17 მუხლი.

<sup>326</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივის და რეპუტაციის, ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისგან.<sup>327</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემების დაცვა ძალზედ აქტუალური საკითხებია როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების დონეზე.<sup>328</sup> პერსონალური მონაცემების დაცვა უკავშირდება ადამიანის ავტონომიას, პირადი ინფორმაციის განკარგვას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პირადი ცხოვრების უზრუნველყოფას.<sup>329</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქვს.

ამერიკის ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსამართლემ განმარტა, რომ ადამიანს აქვს მართო დარჩენის უფლება (to be let alone).<sup>330</sup> მოცემული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანს აქვს უფლება იყოს მართო იმ ვარაუდით, რომ მისი პირადი ცხოვრება იქნება დაცული.<sup>331</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით.<sup>332</sup> ასევე, თურქეთის რესპუბლიკის 1982 წლის კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.<sup>333</sup>

აღსაღნიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას.<sup>334</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მთავარი გარანტი საქართველოში, საქართველოს კონსტიტუციაა.<sup>335</sup> კერძოდ კი, კონ-

<sup>327</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი.

<sup>328</sup> საგინაშვილი ნ., „პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული ვ. კორკელიას რედაქტორობით, 2015, გვ. 166.

<sup>329</sup> P. Hustinx, EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and The Proposed General Data Protection Regulation, 2013, 2.

<sup>330</sup> ჯგერენაია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, თბილისი 2012, გვ. 5.

<sup>331</sup> Cooley, T.M. A Treatise on the Law of Torts 29. United States, 1888.

<sup>332</sup> James, S.F. (1873). Liberty, Equality, Fraternity.

<sup>333</sup> ჯგერენაია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, თბილისი 2012, გვ. 5.

<sup>334</sup> საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 22.

<sup>335</sup> იხ. იქვე, მუხლი 28.

სტიტუციის მე-15 მუხლი.<sup>336</sup> მართალია, მოცემული დებულება იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მაგრამ არა აბსოლუტურად. იქვე არის დათქმა, რომელიც უშვებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც დასაშვებია მისი „ხელყოფა“. მსგავსი შემზღუდვა დასაშვებია, თუ ამაზე არსებობს „სასამართლოს გადაწყვეტილება“.<sup>337</sup> აქვე, არსებობს ბუნდოვანი დათქმა, სადაც ნათქვამია „...ან მის გარეშე“, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.<sup>338</sup> კონსტიტუციით, ასევე აკრძალულია საცხოვრებელ ბინაში შესვლა და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ. თუმცა, აქაც არსებობს ამის შემზღუდვის გზა, როდესაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. მსგავსი უფლების შემზღუდვა უნდა ემსახუროდეს საჯარო ინტერესებს, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სადავოა, თუ რა არის „საჯარო ინტერესი“ ან/და სახელმწიფოს უსაფრთხოება“, ამიტომაც არის შემთხვევები, როდესაც ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ხელყოფა, უკანონოდ.<sup>339</sup>

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულია ორი ტიპის უფლებები: უფლებები, რომლებსაც სახელმწიფო ვერ შეზღუდავს ვერცერთ სიტუაციაში, მათ შორის საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი<sup>340</sup> და უფლებები, რომლებიც, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება მართლზომიერად შეიზღუდოს.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ამკვიდრებს ტერმინებსა და განმარტებებს, რომლებიც არ არის ახალი.<sup>341</sup> ისინი სათავეს იღებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული საერთაშორისო აქტებიდან და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო კონვენციებიდან.<sup>342</sup> 2013 წელს კი შეიქმნა პერსონალურ

<sup>336</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15.

<sup>337</sup> იხ. იქვე.

<sup>338</sup> იხ. იქვე.

<sup>339</sup> ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებათა დაცვა, ხელმისაწვდომია:

<<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/coe-human-rights-protection.pdf>>

[11.08.2020].

<sup>340</sup> მაგ., სახელმწიფო ვერ დაუშვებს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, რაც აკრძალულია კონვენციის მე-3 მუხლით.

<sup>341</sup> სტატიათა კრებული შრომის სამართალში., რედ: ჩაჩავა ს., ბაალიშვილი ვ., „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების იმპლემენტირება შრომის სამართალში“, თბ. 2014, გვ. 29.

<sup>342</sup> Council of Europe, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Convention 108.

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო, ინსპექტორის აპარატის სახით, რომლის უმთავრეს უფლებამოსილებას განეკუთვნება პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე კონტროლი. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა აღნიშნულ საკითხს. 2013 წლის 29 ნოემბერს, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების<sup>343</sup> და 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე<sup>344</sup>, საქართველომ აიღო ვალდებულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვის, საკანონმდებლო რეგულაციების და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების მიზნით. პერსონალური მონაცემების დაცვა პირის პირადი ცხოვრების ხელყოფისაგან დაცვას, პერსონალური მონაცემების უკანონო გამოყენებისა და აღნიშნული მონაცემების შეცვლის საფრთხის თავიდან აცილებას წარმოადგენს.

საქართველოში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სამართლებრივ გარანტიად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო შეთანხმებები. აღსანიშნავია, რომ სწორედ მათი მეშვეობით არის დაშვებული ამ უფლების შეზღუდვა, რომელსაც დეტალურად არეგულირებს შესაბამისი ნორმატიული აქტები. „პირადი ცხოვრება“ – ძალიან საკამათო და ბუნდოვანი, თითქმის არაფრის მთქმელი ტერმინია. სწორედ მისი ბუნდოვანება წარმოადგენს დავის არსს. სად გადის ზღვარი პირად სფეროსა და საჯარო სფეროს შორის, როგორ შეიძლება მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა? პირადი ცხოვრების ზუსტი დეფინიცია არ გვაქვს მოცემული, რაც სრულიად არამართებულად მიმაჩნია. მისი განსაზღვრის შესახებ არსებობს გარკვეული „მითითებები“ სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკიდან. ერთ-ერთ სასამართლო დავაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრება“ ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას.<sup>345</sup> დოქტრინაში, პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით, საუბარია რამდენიმე ელემენტის ერთობლიობაზე: 1. პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობაზე; 2. სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებასა და შე-

<sup>343</sup> ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, ხელმისაწვდომია: <<https://ninishoshiashvili.wordpress.com/2014/12/24/ასოცირების-ხელშეკრულება/>> [11.08.2020].

<sup>344</sup> იხ. იქვე.

<sup>345</sup> Costello-Roberts v. the United Kingdom (Case N247-C), ECHR, 25<sup>th</sup> of March 1993.

ნახვაზე, პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე; 3. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებაზე; 4. სახელებზე.<sup>346</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად: „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას, საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია, შელახვისაგან“.<sup>347</sup> სახელმწიფო ერთის მხრივ ვალდებულია დაიცვას ადამიანის პატივი და ღირსება, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულია უფლების დარღვევის შემთხვევაში, აღკვეთოს იგი. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ ურთიერთობათა სფერო საკმაოდ ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას.<sup>348</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულების განვითარების ისტორია საქართველოში მხოლოდ რამოდენიმე წელს ითვლის. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემატიკა და პრობლემატიკა, როგორც აკადემიური კვლევის, ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, წარმოადგენს სიახლეს ქართული სამართლისათვის. სტატისტიკის მიხედვით, ყოველდღიურად, მილიონ ნახევრამდე მონაცემი იკარგება ან იპარავენ მას,<sup>349</sup> რის შედეგადაც მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციების გარდა, ზიანი მონაცემთა მესაკუთრეს – მონაცემთა სუბიექტს ადგება, ვინაიდან მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა რისკის ქვეშ დგება. ინფორმაციაზე აბსოლუტური უფლების არსებობა შეუძლებელია. „ნართვა“ პირს მიღებული ცოდნა – შეუძლებელია. ინფორმაციის თავისუფლების პრობლემა საკმაოდ რთულია. საქართველოში ინფორმაციის საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით, ეროვნული საკანონმდებლო ბაზა მწირია. ინფორმაციის გასაიდუმლოება უნდა ხორციელდებოდეს „ზომიერების“ ფარგლებში, ხოლო, ინფორმაციის საიდუმლოება ზღვარდადებული უნდა იყოს, რადგან ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს თავისუფალი ცხოვრების წინაპირობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვი-

<sup>346</sup> იმორია ლევან., კორკელია კონსტანტინე., კუბლაშვილი კონსტანტინე., ხუბუა გიორგი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ. 2005, გვ. 123.

<sup>347</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, მე-2 ნაწილი.

<sup>348</sup> Costello-Roberts v. the United Kingdom (Case N247-C), ECHR, 25<sup>th</sup> of March 1993, Par. 36.

<sup>349</sup> Gemalto's 2015 Breach Level Index, [მოხსენიებულია: „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები (სტატიათა კრებული)“, ქალდანი თ., სარიშვილი ნ., სტატია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, 2016 წელი].

თაც და ხელი შეეწყოს მათი დაცვის გაუმჯობესებას. „პირადი მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა შესაბამისად წარმოადგენს პირადი ცხოვრების პირობებს“.<sup>350</sup> “Computer Sciences Corporation”-ის მიერ მომზადებულ ერთ-ერთ საბოლოო ანგარიშის თანახმად, და “IBM”-ის განმარტებით, დღესდღეობით არსებული მონაცემების 90 პროცენტი შექმნილია 2011-2012 წლებში.<sup>351</sup> მონაცემთა ბაზაზე წვდომის შემთხვევაში, მარტივად არის შესაძლებელი პერსონალური ინფორმაციის მოძიება და შეცვლა, რაც ასევე ზრდის მონაცემთა ბოროტად და არამიზნობრივად გამოყენების რისკს. „ის ფაქტი, რომ მომხმარებლებს არ ესმით, როგორ იცავენ მათ მონაცემებს, მხოლოდ ერთი პრობლემაა, მეორე არის უსაფრთხოების სისტემის რღვევა, მონაცემებზე უკანონო წვდომის გახშირებული შემთხვევები.“<sup>352</sup>

პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება და მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობა არსებითადაა დამოკიდებული მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების დაცვაზე. კანონით დადგენილი პრინციპები და საფუძვლები, „მათი მდგრადი ხასიათიდან გამომდინარე, ამკვიდრებენ მონაცემთა დამუშავების ზოგად წესს და განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავებლების ქმედების კანონიერებას“.<sup>353</sup> პერსონალური მონაცემები განიხილება, როგორც 21-ე საუკუნის ნავთობი, რადგანაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებას სამომხმარებლო ბაზარზე.<sup>354</sup>

მონაცემთა დაცვის შესახებ 95/46/EC დირექტივის<sup>355</sup> შესაბამისად, ნევრი სახელმწიფოები იცავენ ფიზიკური პირების ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და კერძოდ მათ პირად მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით კონფიდენციალურობის უფლებას. კონფიდენციალურობის

---

<sup>350</sup> იხ. იქვე.

<sup>351</sup> Tereza M. Payton and Theodore Claypoole “Privacy in the age of big data”, May 2014.

<sup>352</sup> “Analysis: Why an open and honest approach to personal data use could save you from losing a vitak commodity”, ხელმისაწვდომია:

<<http://www.cbronline.com/news/cybersecurity/data/dataprotection-day-improve-your-privacy-policy-or-lose-your-data-4796165>> [11.08.2020].

<sup>353</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2013-2014 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <<http://www.library.court.ge/upload/TAMTA%20ARCHUADZE.pdf>> [11.08.2020].

<sup>354</sup> Liem C., Petropoulos G., “The economic value of personal data for online platforms, firms and consumers”, 2016, ხელმისაწვდომია:

[http://www.pieria.co.uk/articles/the\\_economic\\_value\\_of\\_personal\\_data\\_for\\_online\\_platforms\\_firms\\_and\\_consumers](http://www.pieria.co.uk/articles/the_economic_value_of_personal_data_for_online_platforms_firms_and_consumers) [11.08.2020].

<sup>355</sup> Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, Article 1 (1).

ეს უფლება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში.<sup>356</sup>

კონვენციით დადგენილი უფლებები ფართოდ განიმარტება და მოიცავს როგორც დადებით, ასევე, უარყოფით ვალდებულებას. სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც არღვევს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. რაც შეეხება დადებით ვალდებულებას, სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ინდივიდების დაცვის მიზნით.<sup>357</sup> კონფიდენციალურობის უფლების ფარგლების ინტერპრეტირება იმოქმედებს იმაზე, თუ როგორ განიხილება ანონიმურობის პროცესი. კონფიდენციალობის აბსოლუტური თვალსაზრისი ეფუძნება იმ აზრს, რომ ინდივიდს აქვს უფლება, მოახდინოს თავისი ინფორმაციის გამოყენების კონტროლი ყველა გარემოში, მაშინაც კი, როდესაც ინფორმაცია ანონიმურია.<sup>358</sup> კონფიდენციალურობის უფლება დაბალანსებული უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით განმტკიცებულ უფლებას წარმოადგენს და განიხილება როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განვითარების კონცეფციის საფუძველი.<sup>359</sup> კანადის ფედერალური კონფიდენციალურობის აქტის თანახმად, პირადი ინფორმაცია შეიძლება იქნეს გამჟღავნებული "თანმიმდევრული" გამოყენების მიზნით, რისთვისაც აღნიშნული იქნა "მიღებული ან შედგენილი".<sup>360</sup>

ბრიტანეთის კოლუმბიის კანონმდებლობა შეიცავს უფრო ფართო განსაზღვრებას:

„პერსონალური ინფორმაციის გამოყენება შეესაბამება 32-ე და 33-ე მუხლებით გათვალისწინებულ მიზნებს, რისთვის ინფორმაცია იქნა მიღებული ან შედგენილი:

(ა) გააჩნია გონივრული ან პირდაპირი კავშირი მიზანთან და, (ბ) საჯარო ორგანოს, რომელიც იყენებს ან აქვეყნებს ინფორმაციას სამართლებ-

---

<sup>356</sup> Ian Walden, *Anonymising Personal Data*, 10 *Int'l J.L. & Info. Tech.* 224 (2002), page 229.

<sup>357</sup> Harris, Boyle and Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, Butterworths, 1995.

<sup>358</sup> Dunkel, Y., 'Medical Privacy Rights in Anonymous Data: Discussion of rights in the United Kingdom and the United States in the light of the Source Informatics Cases', *Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review*, February 2001.

<sup>359</sup> Council of Europe Recommendation No. R (91 ) 10, 'Communication to third parties of personal data held by public bodies', Explanatory Memorandum, at para. 10.

<sup>360</sup> *Law Society of British Columbia v. Trinity Western University*, (Case N 37318), Supreme Court of Canada, June 15, 2018.

რივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“.<sup>361</sup>

ავსტრალიის კონფიდენციალურობის აქტი ითვალისწინებს პირადი ინფორმაციის კონკრეტული გამოყენების წესს, კერძოდ, მიღებული პირადი ინფორმაცია არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა მიზნებისთვის, თუ მიზნისთვის, რომლისთვისაც გამოიყენება ინფორმაცია, პირდაპირ კავშირშია იმ საფუძველთან, რომლითაც მიიღეს ინფორმაცია.

ბრიტანეთის საინფორმაციო კომისარის მიერ ასევე განხორციელდა აღნიშნული უფლების უფრო შეზღუდული ინტერპრეტაცია:

„პრინციპის ეფექტურობაა პირველი პრინციპის (სამართლიანი და კანონიერი დამუშავების) გაძლიერება და ასევე რივი შემთხვევების შეზღუდვა, სადაც მონაცემები შეიძლება დამუშავდეს იმ მიზნებისათვის, რომელიც მონაცემთა სუბიექტს არ ეცნობა და შესაბამისობაშია პირველად მოპოვებულ მონაცემებთან.“<sup>362</sup>

დანიამ აღიარა პირადი ინფორმაციის მეორადი გამოყენებისათვის დადგენილი მცდარი პრაქტიკა, სადაც მონაცემთა ინსპექციის სააგენტო აწესრიგებს ვვლევის მიზნებისთვის გამოყენებულ სამედიცინო მონაცემების დამუშავებას.<sup>363</sup> მონაცემთა დამუშავებლებზე დაკისრებული მოვალეობაა, რომ უზრუნველყონ მესამე პირებისათვის პირადი მონაცემების გადაცემისას, კომუნიკაციის დაწყებამდე არსებულ მონაცემებთან შესაბამისობის დადგენა.<sup>364</sup>

ადამიანის პირადი უფლებების, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხები, უკვე მრავალი წელია საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ობიექტია. „... ადრეულ საუკუნეებში, სამართალი აწესებდა რეგულაციებს პირად ცხოვრებასა და საკუთრებაში ფიზიკური ჩარევისათვის, „*vie et armis*“ პრინციპის მიხედვით, შემდგომ კი, „ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო გახდა სხვადასხვა ფორმების შემუშავება.“<sup>365</sup> ევროპის საბჭო და ევროპის კავშირის კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში რიგ რეგულაციებსა

<sup>361</sup> იხ. იქვე., პარ. 39.

<sup>362</sup> Draft Guidance, 'Use and Disclosure of Medical Data', issued for consultation by the Information Commissioner, May 2001.

<sup>363</sup> Noted in the House of Lords, Science and Technology Committee, Fourth Report, 'Human Genetic Databases: Challenges and Opportunities', 20 March 2001, at para. 7.35 et seq.

<sup>364</sup> Organic Law, 13 December 1999, on the Protection of Personal Data (published in the Boletín Oficial del Estado, no. 14, of 14 December 1999), at art. 3(f): 'Procedimiento de disociación'.

<sup>365</sup> Samuel D. Warren & Luis D. Brandies, The Right To Privacy, Published in the 2015 Hardcover Edition By Quid Pro Books.

და სტანდარტებს აწესებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 95/46/EC დირექტივა, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემთა თავისუფალი გადაადგილებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ“, ასევე, ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები და განმარტებები. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მიერ. დამუშავებული მონაცემები კი, გადაეგზავნება მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რომელიც დამუშავების კანონიერების ზედამხედველობას ახორციელებს. ტერმინი „დამუშავება“ გულისხმობს პერსონალურ მონაცემებზე შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, რაც ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნების – მისი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზას.<sup>366</sup> აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მიხედვით კი, „მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ მკათიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის“.<sup>367</sup> მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მაშინ, როდესაც აღნიშნული აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უხფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.<sup>368</sup>

უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვთ ფაქტობრივი ბოჭვის ძალა და სასამართლო პრაქტიკა ორიენტირებულია ამ გადაწყვეტილებებზე. სხვადასხვა ინსტანციების მიერ მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა ხდება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. გარდა ამისა, პრეიურიდიციებს მინიჭებული აქვთ ნორმატიული ხასიათი. სასამართლოს, მართალია, შეუძლია გადაუხვიოს პრეიურიდიციებს, მაგრამ მან აუცილებლად უნდა დაასაბუთოს ამ გადახვევის მართლზომიერება. სასამართლოს ამ შემთხვევაში ეკისრება არგუმენტაციის ვალდებულება, თუ რატომ არ გაიზიარა პრეიურიდიციები. თუ სასამართლო არ გაითვალისწინებს შესაბამის პროცედურებს, ეს შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც სასამართლო დაცვის კონსტიტუციური გარანტიების დარღვევა.<sup>369</sup>

<sup>366</sup> ჯგერენია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf>> [11.08.2020].

<sup>367</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი.

<sup>368</sup> იბ. იქვე.

<sup>369</sup> Muller/Christensen, Juristische Methodik, Band II, Europarecht, 2003, 239.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სასამართლოს გადაწყვეტილებები. კანონმდებელი „ყველაფერს“ არეგულირებს, მაგრამ ზოგადად, განსხვავებით ამერიკული მოდელისაგან, რომელსაც ახასიათებს რეგულირების ზუსტი და დეტალიზებული სტილი, კონტინენტური ევროპის სამართლებრივი აზროვნება ეფუძნება არა კონკრეტულ მიდგომას, არამედ ზოგად პრინციპებს. „ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ გარანტიას, კონსტიტუციის სხვა ძირითად პრინციპებთან ერთად, წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველყოფელი ნორმა-პრინციპები, რომლებიც განაპირობებენ მთლიანად კონსტიტუციის შინაარსს. სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპი კი გულისხმობს, რომ ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონსა და მთლიანად სამართალს.<sup>370</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს კანონმდებლის ვალდებულება, რომ ზუსტად, მკაფიოდ მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნებს. „მხოლოდ სტაბილური და სამართლიანი კანონმდებლობაა ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვის სერიოზული გარანტი, ნორმატიულმა აქტმა მხოლოდ ასე შეიძლება შეინარჩუნოს სრულიად მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. აღნიშნულ მოთხოვნათა უგულვებელყოფით კი ირღვევა კანონთა სამართლიანობისა და შეუქცევადობის პრინციპი.“<sup>371</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ ვერძო და საჭარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება<sup>372</sup>, რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის.<sup>373</sup> არ არსებობს სამართლიანობის დეფინიცია, განმარტება, კანონით რეგლამენტირებული ცნება, თუმცა,

<sup>370</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>371</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შუთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>372</sup> იხ. მაგ. *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece* (Case N13427/87), ECHR, December 1994, Par. 42-50.

<sup>373</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჭიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 19.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე, სამართლიანობა წარმოადგენს როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართლის შეფარდების უპირობო მიზანს და შეფასებადია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისა და დაცვის ხარისხით.<sup>374</sup>

საინტერესოა 2019 წლის 27 მაისს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომლის მთავარი მიზანი არის უკვე არსებული კანონის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება შემდგომში ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით. ერთის მხრივ, აღნიშნული ინიცირება შესაძლოა დადებითადაც ჩაითვალოს, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ილტვის ევროპულ კავშირში ინტეგრაციისაკენ. ასოცირების შეთანხმების I დანართის თანახმად, საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის No95/46/EC დირექტივასთან, ევროპის საბჭოს 108 კონვენციასთან და მის დამატებით ოქმთან, ასევე, ევროკავშირის 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებასთან და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 15 ნოემბრის No R (87)15 რეკომენდაციასთან.<sup>375</sup> „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით იცვლება „პერსონალური მონაცემის“ და „განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის“ განმარტება.<sup>376</sup>

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/679(GDPR) რეგულაციის შესაბამისად,<sup>377</sup> პერსონალურ მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მო-

<sup>374</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება, საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 44.

<sup>375</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222087?>> [11.08.2020].

<sup>376</sup> იხ. იქვე.

<sup>377</sup> 2016 წლის 27 აპრილის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ახალი რეგულაცია 2016/679(GDPR), რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისიდან. გემოაღნიშნულმა რეგულაციამ დაადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი სტანდარტები, გააუქმა „ასოცირების შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული 95/46/EC დირექტივა და სხვ.

ნაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი განიმარტება როგორც მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული კავშირის წევრობასთან, ჯანმრთელობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, მსჯავრდებასთან, ნასამართლობასთან, არასრულწლოვნის განრიდებასთან, სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის დაბარალეებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები.

სიახლე არის აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღება, რომლის ფუნქციადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და უფლებამოსულების ფარგლებში, რეაგირება. საინტერესოა აგრეთვე, პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ, სამართალდამრღვევი პირის პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრულია გაფრთხილება და ფულადი ჯარიმა. ხოლო, ორი ან მეტი სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი დადებულ იქნება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალცალკე. აგრეთვე, გაზრდილია ჯარიმების ოდენობაც. კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს როგორც დამამძიმებელ გარემოებებს,<sup>378</sup> ასევე შემამსუბუქებელ გარემოებებსაც.<sup>379</sup>

<sup>378</sup> ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია: ერთი წლის განმავლობაში იგივე სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება კანონის მოთხოვნათა დარღვევით; დიდი რაოდენობით მონაცემთა დამუშავება კანონის მოთხოვნათა დარღვევით ან ასეთი საფრთხის შექმნა; არასრულწლოვანის მონაცემების დამუშავება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ანგარებით.

<sup>379</sup> შემამსუბუქებელ გარემოებებად ჩაითვლება: მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა და სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება ან/და მსგავსი სამართალდარღვევის შემდგომში თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება; სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; სამართალდარღვევის გულწრფელი მონანიება და სახელმწიფო ინსპექტორთან თანამშრომლობა; სხვა გარემოება, როგორცაა, სამართალდარღვევის ხასიათი და სამართალდამრღვევის ბრალის ხარისხი, რომელსაც საქმის გადანყვეტისას სახელმწიფო ინსპექტორი მიიჩნევს შემამსუბუქებელ გარემოებად. სანქციების შეფარდებისას, შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები.

აღნიშნული კანონპროექტის ამოქმედება<sup>380</sup> დაგეგმილია მისი მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ, რაც დასაბუთებულია იმ მიზეზით, რომ კანონპროექტის რეგულირებული სფერო პრაქტიკაში გონივრულ ვადაში იქნეს იმპლემენტირებული. მეორეს მხრივ, ნათლად ჩანს, რომ კანონპროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა შემოსულობების (ჯარიმების) ხარჯზე, რაც დადასტურებულია საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში.<sup>381</sup> აგრეთვე, კანონპროექტით დადგენილია ახალი სახის სამართალდარღვევებზე საქნქციები.<sup>382</sup> კანონპროექტით, უკვე არსებული სანქციები გაორმაგებულია, რაც არსებით გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდაზე.

აგრეთვე, მიზანშეუწონლად მიმაჩნია მითითებული კანონპროექტის ამოქმედება პრაქტიკაში, რადგან ამით ხელის შეწყობა მოხდება იმ არსებული ხისტი პრაქტიკის, რომელიც სახეზეა საქართველოში, რის თაობაზეც ჩემს მიერ არაერთი მაგალითი იქნა მოყვანილი.

აღნიშნულის ამოქმედებით, ხელის შეწყობა მოხდება იმ არსებული დამახინჯებული პრაქტიკის, რომელიც სახეზეა საქართველოში, რის თაობაზეც ჩემს მიერ არაერთი მაგალითი იქნა მოყვანილი. უფრო მეტიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილების შესაბამისად, მითითებულ კანონში არსებითი ცვლილებების შეტანა იქნება სავალდებულო, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გათვალისწინებულია 2020 წელი.

## **2. პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტი მართლმსაჯულების განხორციელების დროს**

საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების, საკონსტიტუციო კონტროლისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.<sup>383</sup> მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელი-

---

<sup>380</sup> გარდა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის 31-ე და 33-ე მუხლებისა. აღნიშნული მუხლების ამოქმედება იგეგმება კანონპროექტის მიღებიდან 1 წლის შემდეგ, რადგან გონივრული ვადა არის დადგენილი ახალი ვალდებულებების შესასრულებლად და ჯეროვნად იმპლემენტირებისათვის.

<sup>381</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/#law-drafting/18184>> [11.08.2020].

<sup>382</sup> იხ. იქვე., გვ. 10.

<sup>383</sup> პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <<https://gdi.ge/ge/news/statement-04-11-18.page>> [11.08.2020].

სუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოთხოვნაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა,<sup>384</sup> შესაბამისად, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ არსს, დანიშნულებას და გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა – ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გარანტირება.<sup>385</sup> ხოლო, სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლებათავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, რაც გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.<sup>386</sup> თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის მიერ პირის ძირითად უფლებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოწესრიგების კანონმდებლისთვის მიზნობა არ გულისხმობს მისთვის უპირობო თავისუფლების მინიჭებას.<sup>387</sup> კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლების ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის უზენაესობის, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. კონსტიტუციის ძირითადი იდეა ადამიანის უფლებების დაცვაა და, შესაბამისად, შეუძლებელია იგი ხელისუფლებას ანიჭებდეს უპირობო ან/და აბსოლუტურ თავისუფლებას იმ ურთიერთობების დარეგულირების პროცესში, რომლებიც ეხება კონსტიტუ-

<sup>384</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

<sup>385</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 2.

<sup>386</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 1.

<sup>387</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 25.

ციით განმტკიცებულ უმთავრეს ღირებულებებს – ადამიანის ძირითად უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მიერ კანონმდებლისთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებას თან სდევს სახელმწიფოს ვალდებულება, არ მოხდეს ამა თუ იმ უფლების არაგონივრული, არაპროპორციული შეზღუდვა.<sup>388</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, ადამიანის თავისუფლებაში (მის ნებისმიერ უფლებაში) ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდაუვალია და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია.<sup>389</sup> ასეთია ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი. ინფორმაციის თავისუფლება კი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებაა.<sup>390</sup> სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმთავრეს მოთხოვნას.

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს, მართლმსაჯულება არის არა სამართლის წყარო, არამედ იგი უფრო მეტად სამართლის მეცნიერების წყაროა.<sup>391</sup> იურიდიულ პრაქტიკაში გადაწყვეტილებას ხშირად დებულობენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განვითარებული სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე და იყენებენ მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტაციის პროცესში. სასამართლო პრაქტიკა უფრო შემეცნებითი სახის, დამხმარე ფუნქციას ასრულებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ეროვნულ დონეზე. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ, თავიანთი უფლებები დაიცვან ევროპული კონვენციის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (და მისი დამატებითი ოქმების) ტექ-

<sup>388</sup> იხ. იქვე.

<sup>389</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557/574,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 34.

<sup>390</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II, პარ. 3.

<sup>391</sup> Vogel, J., Juristische Methodik, 1998, S. 83.

სტში, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით.<sup>392</sup> ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.<sup>393</sup> კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა მეტისმეტად ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა სტანდარტები გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.<sup>394</sup> ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები.<sup>395</sup> კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.<sup>396</sup> როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა ლუციუს ვილდჰაბერმა აღნიშნა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ სამართალში ენიჭება კონვენციის ტექსტს, თუმცა ასეთივე მნიშვნელობა უნდა განეკუთვნოს სასამართლო პრაქტიკას, რომელიც კონვენციის ტექსტიდან გამომდინარეობს.“<sup>397</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ გარანტიების დასადგენად, რომლებიც დაცულია კონვენციით. ის ფაქტი, რომ კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითება ამა თუ იმ გარემოებაზე, რომლებზეც შეიძლება გავ-

---

<sup>392</sup> A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.) 2001, 676.

<sup>393</sup> M. Macovei, *Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights*, 2001, 5.

<sup>394</sup> J. Polakiewicz, *The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law*, 17 *Human Rights Law Journal*, №11-12, 1996, 407.

<sup>395</sup> L. Wildhaber, *Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention*, in: *The European Convention on Human Rights at 50*, *Human Rights Information Bulletin (special iss.)*, № 50, 2000, 42.

<sup>396</sup> U. Kilkelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 5.

<sup>397</sup> ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, *ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“*, №1, 2002 წელი, გვ. 63.

რცელდეს კონვენციის კონკრეტული დებულება, არ ნიშნავს, რომ გამოირიცხება ამ გარემოებაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებისა და თავისუფლების გავრცელება. კონვენციით განმტკიცებული გარანტიების გამოყენების არეალი შეიძლება გაფართოვდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით და გამოყენებულ იქნეს ისეთი გარემოების მიმართ, რომელიც პირდაპირ არ არის მოხსენიებული ევროპულ კონვენციაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კონკრეტული მაგალითების მოყვანა. საქმეზე კლასი გერმანიის წინააღმდეგ<sup>398</sup>, რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ იცავს სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურობას, ამ მუხლით განსაზღვრული ცნებები: „პირადი ცხოვრება“ და „მიმოწერა“ მოიცავს მას.

ასევე, შეიძლება სხვა მაგალითის მოყვანა, რომელიც ნათელყოფს, კონვენციის დებულებებთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას კონკრეტული უფლების შინაარსის დასადგენად. საქმეზე – ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ<sup>399</sup>, რომელიც ეხებოდა ბ-ნი მ. ნიმიტცის, პროფესიით ადვოკატის, პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას, – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის საადვოკატო ოფისის ჩხრეკამ დაარღვია მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საადვოკატო ოფისი, უფრო ზოგადად კი, მომჩივნის სამუშაო ადგილი, ექცევა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „საცხოვრებელი“, რომელიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, მოიცავს ადამიანის სამუშაო ადგილს და, შესაბამისად, იცავს პირს არამართლმომიერი ჩარევისაგან.

ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში არსებობს "მონაცემთა ნაკადის" და "მონაცემთა გადაცემის" ცნებები, რომელიც დადებითი ხასიათის მატარებელია. ევროკავშირის კანონმდებლობით პერსონალური მონაცემების განთავისუფლება და დაბლოკვის შესახებ მონაცემები, მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემთა გაცვლის შესახებ გადანაცვლებები, ხორციელდება პირადი მონაცემების გაცვლის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია მოხდეს დოკუმენტაციის მატერიალური სახით. უფრო

<sup>398</sup> Klass and others v Federal Republic of Germany, (Case N1979-80), ECHR, 6 September 1978.

<sup>399</sup> Niemietz v. Germany (Case N251-B) ECHR, 16<sup>th</sup> of December 1992, Par. 29-33.

ზოგადად, მონაცემთა ნაკადის ცნება, რომელიც განსაზღვრავს წინასწარ განსაზღვრულ სივრცეში მონაცემთა თავისუფალ მიმოქცევას, ხოლო საერთაშორისო მონაცემთა გადაცემის ცნების მიხედვით, რომ მონაცემები ეფექტურად იგზავნება ან მიიღება, ამოღებულია ან მიბმული, არსებული ნაკვალევით და მხოლოდ მათი მეშვეობით. თუმცა ეს სივრცული მეტაფორები სრულად არ შეესაბამება მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის რეალობას.

ამ თვალსაზრისით, (თავისუფალი) "მონაცემთა ნაკადები" ძირითადად ერთჯერადი (ევროპული) იურისდიქციის ქვეშ მყოფი მონაცემთა გამრავლების შეუზღუდავი ოპერაციებია და "მონაცემთა გადაცემა" ფუნდამენტურად მოქმედება იმ მონაცემებით, რომლებიც აღსადგენად ხელმისაწვდომი გახდება სხვა ქვეყნის იურისდიქციაში. აღნიშნული გამომდინარეობს იმ რეალობისგან, რომ მონაცემთა ადგილმდებარეობა და მისი შემდგომში მინოდების ადგილი სრულიად შეუსაბამობაშია, შესაბამისად, ივარაუდება, რომ პერსონალური მონაცემები გაედინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიზნებისათვის მონაცემების ადგილმდებარეობის შესაბამისობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინფორმაცია ექსტრატერიტორიის შესახებ. არსებობს მუდმივი ტრანსატლანტიკური უთანხმოება იმის შესახებ, არის თუ არა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონი ექსტრატერიტორიული.<sup>400</sup> ევროკავშირის პირადი მონაცემების დაცვა ფაქტიურად არის ტერიტორიული. ადამიანის უფლებების დაცვის ფუნდამენტური უფლება, ამ თვალსაზრისით, არ ითვალისწინებს ევროკავშირის ინდივიდუალურ მონაცემებზე დაფუძნებულ ყველა პერსონალურ მონაცემებს, მაგრამ ყველა იმ ადამიანის უფლება, რომელიც უზრუნველყოფილია ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე, იმდენად რამდენადაც მათი პირადი მონაცემების დამუშავება ხდება სწორედ აღნიშნულის მიერ.

## 2.1. საქმის მონაწილე პირები

პერსონალური მონაცემი, კანონით თანახმად, „არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.“<sup>401</sup> პრობლემატურია, მონაცემთა სუბიექტისთვის ინ-

<sup>400</sup> Christopher Kuner, 'Extraterritoriality and regulation on international data transfers in EU data protection law' (2015), 5(4) International Data Privacy Law 235-245.

<sup>401</sup> საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, 28.12.2011 წელი, მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

ფორმაციის მინოდების საკითხი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი: „თუ მონაცემთა შეგროვება არ ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიანოდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია“. კანონი არაფერს ამბობს იმაზე, თუ საიდან შეიძლება შეიტყოს მონაცემთა სუბიექტმა, მასზე მონაცემების დამუშავების შესახებ? როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში დაიწყოს ისეთი მონაცემების შეგროვება, რომლითაც ილახება ადამიანის უფლებები, მაშინ როდესაც მან ამის შესახებ არც იცის და შესაბამისად ვერც თავის დაცვას შეძლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაცემების დამმუშავებელს უნდა დაევალოს შეტყობინების ვალდებულება მონაცემთა სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ასეთ ვალდებულებას ითვალისწინებს ლატვიის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, სადაც დეტალურადაა განვრილი, თუ რა ვალდებულება ეკისრება კონტროლის განმახორციელებელ პირს, მონაცემების დამუშავების დაწყებამდე. ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად: მონაცემთა შეგროვების დაწყებამდე კონტროლის განმახორციელებელი პირი მონაცემთა სუბიექტს ატყობინებს შემდეგ ინფორმაციას: ა) კონტროლის განმახორციელებელი პირის და დამმუშავებელი პირის სახელწოდებას ან სახელს და მისამართს; ბ) მონაცემთა დამმუშავების მიზანს და საკანონმდებლო საფუძვლებს. ხოლო მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, კონტროლის განმახორციელებელი პირი მონაცემთა სუბიექტს ატყობინებს მონაცემთა სავარაუდო მიმღებთა ვინაობას, მონაცემთა სუბიექტის უფლებას, მიიღოს ნებართვა საკუთარი პერსონალური მონაცემების გაცნობასა და მათში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით (მუხლი 8).<sup>402</sup> აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივები "პირთა დაცვის შესახებ მათი პირადი მონაცემების გადამმუშავების პროცესში და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ"<sup>403</sup> რომლის მიხედვით „ყოველ პირს, რომლის შესახებაც შეგროვდა ან/და დამუშავდა ინფორმაცია, უფლება აქვს, მაკონტროლებლისგან მოითხოვოს: დასტური, რომ მის შესახებ ინფორმაციას აგროვებენ

<sup>402</sup> Personal Data Protection Law, 23<sup>rd</sup> of March 2000, Retrieved on 23<sup>rd</sup> of February 2012, from Data State Inspectorate: <http://www.dvi.gov.lv/eng/legislation/pdp/ Article 8>.

<sup>403</sup> Directive 95/46/EC on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data.

ან\და ამუშავებენ“.<sup>404</sup> ასევე გაუგებარია მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის დანიშნულება კანონში, სადაც წერია: „დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შესახებ ხელშეკრულების დადება, თუ, უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე“. „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად – „მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი. მცდარი და არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, ხოლო კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს“. აღნიშნული კანონი აგრეთვე ითვალისწინებს „თანხმობას“.<sup>405</sup>

„მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება“.<sup>406</sup> დაშვებულია, რომ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა ზეპირად გაიცეს. თუმცა, არ არის განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ზეპირად გაცემული თანხმობა. კერძოდ, თუ ზეპირ თანხმობაში იგულისხმება, მაგალითად, სატელეფონო საუბრისას გამოთქმული თანხმობა, მაშინ რა საჭიროა, „ზეპირი“-საგან ცალკე „სატელეკომუნიკაციო“-ს გამოყოფა? მოცემული ჩანაწერის მიხედვით, ზეპირ თანხმობაში, შეიძლება მივიჩნიოთ პირისპირ საუბრისას გაცემული თანხმობა. ასეთ შემთხვევაში დგება მტკიცების ტვირთის საკითხი, თუ როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ პირმა ნამდვილად გასცა თანხმობა. ინფორმაციის დამუშავებელს შეუძლია ამტკიცოს, რომ მან მართლაც მიიღო ასეთი თანხმობა (როცა სინამდვილეში არ მიუღია) და ასევე, პირს შეუძლია ამტკიცოს, რომ მას არ მიუცია ნებართვა ინფორმაციის დამუშავებაზე (როცა სინამდვილეში გასცა ასეთი თანხმობა). ამიტომ სიტყვა „ზეპირი“ მოითხოვს დაზუსტებას, თუ რას მოიცავს ის. განსაზღვრული უნდა იყოს, რომ ზეპირი თანხმობა შეიძლება ნიშნავდეს ვიდეო კამერის საშუალებით მიცემულ თანხმობას, რომლის შესაბამისი წესით შესრულებული ჩანაწერი არსებობს და სხვა.<sup>407</sup>

<sup>404</sup> ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ. 2005, გვ. 41.

<sup>405</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „8“ პუნქტი.

<sup>406</sup> იხ. იქვე.

<sup>407</sup> ჭვერენაია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკა, თბ. 2012, ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf>> [11.08.2020].

ბუნდოვანია აგრეთვე, „საჯარო ინტერესის“ ცნება. აქ მნიშვნელოვანია, სასამართლო პრაქტიკა, თუ მსგავს შემთხვევებში რას მიიჩნევს ის საჯარო ინტერესის ცნებაში, აუცილებელია, რომ ის მაქსიმალურად დავინროვებული იყოს და არ მოიცავდეს ფართო სპექტრს. სიღრმისეულად უნდა მოხდეს საჯარო სიკეთისა და კერძო სიკეთის გააზრება, თუ რამდენად უფრო მნიშვნელოვანია კონკრეტულ შემთხვევაში კერძო სიკეთის ხელყოფა საჯარო სიკეთის დასაცავად. გათვალისწინებული უნდა იყოს პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპიც. ასევე, გამოყენებული და გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი, რომლის მიხედვით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა შესაძლებელია რამდენიმე (გამონაკლის) შემთხვევაში, კერძოდ კი: საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის; უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად; ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. რაც მთავარია, კანონი უნდა ემსახურებოდეს იმ აზრისა და რწმენის დაცვას, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, გვჭეროდეს და ვთქვათ – „მე მწამს ჩემი პირადი ხელშეუხებლობის“ (I believe in a zone of privacy – Hillary Clinton).

ფარმაცევტთა მიერ ანონიმური რეცეფტის მონაცემების გამჟღავნება წარმოადგენს პირადი მონაცემების გამჟღავნებას. ევროპულ მონაცემთა დაცვის დირექტივის გამოყენების საფუძველზე, სიმონ ბრაუნის სახალხო დამცველმა<sup>408</sup> შემოატრიალა სააპელაციო სასამართლოში უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>409</sup>, რომელმაც განმარტა, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არ წარმოადგენს უფლების დარღვევას. იგი ამტკიცებდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით<sup>410</sup>, "გადამუშავების" განსაზღვრა მოიცავს ანონიმურობის პროცესს, საიდენტიფიკაციო მონაცემების გადაქცევას არა-გადამონმებულ მონაცემებად. სასამართლომ დაბეჭითებით აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი ინტერპრეტაცია "სალი აზრისა და სამართლიანობის საფუძველზე" იყო.<sup>411</sup> ასეთი ინტერპრეტაციის შედეგები ისაა,

<sup>408</sup> იბ. იქვე.

<sup>409</sup> G.T. Laurie, S.H.E. Harmon, and G. Porter, *Mason and McCall Smith's Law and Medical Ethics*, Oxford University Press, Tenth Edition, 2016. Page 208.

<sup>410</sup> Directive 95/46/EC 'on the protection of individuals with regard to the processing of personal data and

on the free movement of such data', 23<sup>rd</sup> of November, 1995, p. 31.

<sup>411</sup> DR Stanley Lai., *The Copyright Protection of Computer Software in the United Kingdom*, Oxford-Portland Oregon, 2000. Page 31.

რომ ანონიმურობის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, განსაკუთრებით პირველ პრინციპს, პირადი მონაცემების სამართლიანი და კანონიერი დამუშავების შესახებ.<sup>412</sup>

ვინაიდან, პერსონალური მონაცემები წარმოადგენს ჩვენი "საინფორმაციო საზოგადოების" ერთ-ერთი ძირითად აქტივობას, ამგვარი ინფორმაციის გამოყენების კონტროლის საჭიროება უფრო აქტუალური გახდა.<sup>413</sup> მაგალითად, გერმანიაში, იგი დაცულია მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილი წესით:

„პერსონალური მონაცემების გამოყენება უნდა განხორციელდეს ანონიმურობისა და ფსევდონიმიზაციის შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც საჭიროებს ძალისხმევას, ინტერესების პროპორციული დაცვის მიზნით.“<sup>414</sup> 1997 წელს ევროპის მინისტრთა საბჭომ მიიღო რეკომენდაცია სამედიცინო მონაცემების დაცვის შესახებ, სადაც იგი აცხადებს: „პროფესიული და სამეცნიერო ორგანიზაციები, ისევე როგორც სახელმწიფო ორგანოები ხელს უნდა უწყობდნენ ანონიმურობის დაცვის ტექნიკასა და პროცედურებს.“<sup>415</sup>

ეფექტური ანონიმურობის მიღწევა შეიძლება იყოს რთული ამოცანა, როგორც ტექნიკური, ისე შესაბამისობის თვალსაზრისით. ანონიმურ მონაცემებზე დახვეწილი მონაცემების ანალიზისა და მონაცემების მოპოვების მეთოდები საბოლოოდ გამოიმუშავებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც "პირდაპირ თუ ირიბად" დაკავშირებულია კონკრეტულ ინდივიდთან, რომლითაც აღნიშნული "პირადი მონაცემების" დირექტივას ექვემდებარება.<sup>416</sup>

გერმანიის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით, მონაცემები განიხილება "დეპერსონალიზებულ"-ად თუ ადამიანი შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს მხოლოდ დროის, ხარჯებისა და შრომის არაპროპორციული ოდენობით.<sup>417</sup>

---

<sup>412</sup> Regulations on the processing of personal data (Personal Data Regulations), Issued by the Ministry of Justice and the Police, transferred to the Ministry of Labour and Government Administration by the Decree of 15 December 2000 No. 1263. Amended on 23 December 2003 No. 1798.

<sup>413</sup> Ian Walden, *Anonymising Personal Data*, (2002).

<sup>414</sup> The Federal Data Protection Act of 20 December 1990 (Federal Gazette 1, pp. 2954, 2955).

<sup>415</sup> Council of Europe, Committee of Ministers, Recommendation No. R (97) 5 on the Protection of Medical Data (Feb. 13, 1997), at Article 12.1.

<sup>416</sup> Sweeney, L., 'Weaving Technology and Policy Together to Maintain Confidentiality', *The Journal of Law, Medicine & Ethics*, 1997, pp. 98-110.

<sup>417</sup> Ian Walden, *Anonymising Personal Data*, 2002, page 226.

ავსტრიის მონაცემების დაცვის კანონმდებლობის თანახმად, მონაცემთა ცალკეული კატეგორიისთვის მითითებული, "არაპირდაპირი პერსონალური მონაცემები", არ ითვლება არც პერსონალურ მონაცემებად და არც მთლიანად ანონიმურ მონაცემებად, არამედ წარმოადგენს პერსონალური მონაცემების მაკონტროლებლს, რომელსაც არ შეუძლია "მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება კანონით დადგენილი წესით".<sup>418</sup> აღსაღნიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ პირადი მონაცემების უფლება დაცულია ავსტრიის კონსტიტუციით:

„ყველას უნდა ჰქონდეს პირადი მონაცემების გასაიდუმლოების უფლება, კერძოდ ისეთი უფლების, რომელიც უშუალოდ მას შეეხება, განსაკუთრებით კი, მის პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, იმდენად, რამდენადაც მას აქვს აღნიშნულის ინტერესი. ეს ინტერესი იზღუდება მაშინ, როდესაც მონაცემები არ შეიძლება იყოს გასაიდუმლოებული მათი ზოგადად ხელმისაწვდომობის გამო, ან იმის გამო, რომ ვერ მოხდა მათი მოკვლევა.“<sup>419</sup> ანონიმურობის ეფექტურობის საკითხი საბოლოო ჯამში რეგულატორის ან სასამართლოების მიერ კონკრეტულ გარემოებებში არის გადასაწყვეტი, თუმცა, ანონიმური მონაცემების ნორმატიული განმარტება უზრუნველყოფს დადგენილ კრიტერიუმებს, რომლის წინააღმდეგაც შეიძლება გაკეთდეს შეფასება.<sup>420</sup>

პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის. პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც აგროვებენ და ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს ვალდებული არიან დაიცვან ეს მონაცემები არასწორი/უკანონო გამოყენებისგან. პირადი მონაცემების უკანონოდ გამოყენება, მაგალითად, მონაცემთა ბაზის გატეხვა ინფორმაციის მოპოვების მიზნით, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა უკანონო გამჟღავნება, მათი გამოყენება პირადი მიზნებისთვის ან მათი დაზიანება ან/და პირადი ინფორმაციის გამჟღავნება იმ პირის მიერ, ვისთვისაც ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე და სხვა, წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ მონა-

<sup>418</sup> Datenschutzgesetz 2000, Federal Law Gazette I (Bundesgesetzblatt) No. 165/1999 (unofficial English translation), at Art. 2, Sect. 4(1).

<sup>419</sup> Austria The Fed. Constitutional Law of 1920 as amended in 1929 as to Law No. 153/2004, December 30, 2004.

<sup>420</sup> Ian Walden, *Anonymising Personal Data*, 2002, page 227.

ცემთა სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული მონაცემთა სუბიექტის კანონიერი ინტერესი, დაცული იყოს მისი პირადი ცხოვრების უფლება.<sup>421</sup>

## 2.2. მესამე პირთა ინტერესები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, განსაკუთრებით კი 1995-2000 წლებში, საქართველოში საკანონმდებლო საქმიანობა სრულად ორიენტირებული იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ.<sup>422</sup> ამ პერიოდს უკავშირდება სახელმწიფოს ძირითადი კანონის, საქართველოს კონსტიტუციის მიღება,<sup>423</sup> რომელიც „პერსონალური მონაცემების დაცვას ცალკე უფლებად არ გამოყოფს. აღნიშნული მოიაზრება პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დაცულ სფეროში.“<sup>424</sup> „პირის ინტერესი, არ დაუშვას ვერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია.“<sup>425</sup> თუმცა, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა სოციალური კონცეფციაა და მისი აღქმა მუდმივ ცვლილებებს განიცდის“,<sup>426</sup> ამასთან, მონაცემთა „უსაფრთხოებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა მიღწეული უნდა იქნეს სამართლიან პირობებში.“<sup>427</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ნორმის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეათვასოს ნორმის შეჩერე-

---

<sup>421</sup> Personal Data Act 1998:204, ხელმისაწვდომია: <<http://www.freedominfo.org/documents/sweden%20personal%20data%20act-eng.pdf>> [11.08.2020].

<sup>422</sup> გაგნიძე ე., საიქოძე ნ., პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ვერძო და საჯარო ინტერესის თანაფარდობა და უფლებაში ჩარევის საფუძვლიანობის კრიტერიუმები“, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2016 წ, გვ. 64.

<sup>423</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

<sup>424</sup> იზორია ლ., ბერაია ი., და სხვები, „საპოლიციო სამართალი“, თბ. 2015 წელი, შსს-ს აკადემიის გამომცემლობა, გვ. 83.

<sup>425</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406.408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 15.

<sup>426</sup> S.D. Warren & L.D. Brandeis, “The Right to Privacy”, Harvard Law Review, 1890, p. 193.

<sup>427</sup> Sophie Stalla-Bourdillon, Joshua Philips, Mark D. Ryan, Privacy vs. Security, 2010, p. 16.

ბით გამოწვეული სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეც,<sup>428</sup> ვინაიდან აღნიშნულით შესაძლოა დაირღვეს სხვათა ინტერესები. შესაბამისად, ნორმის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხდება მოსარჩელის ინტერესებისა და მესამე პირის ინტერესების აწონ-დანონვაც. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მიღებული საოქმო ჩანაწერით<sup>429</sup> დაუშვა ნორმის კონკრეტული ნორმატიული შინაარსით შეჩერების შესაძლებლობა, რაც სწორედ მესამე პირების ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად. კანონი ადგენს პრინციპებს, წესებს, საფუძვლებსა და უსაფრთხოების ზომებს, რომელთა დაცვაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მოქალაქეთა მონაცემების დამუშავებისას, რომელთა დარღვევით მონაცემთა შეგროვება, გამოყენება, შენახვა და გავრცელება კანონდარღვევაა და შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც. სამართლებრივი საფუძვლების არსებობა და კანონით დადგენილი მონაცემთა დამუშავების საფუძველი წარმოადგენს იმ ორ ძირითად პირობას, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე.<sup>430</sup> სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავება დაუშვებელია. გარდა განსაკუთრებული კატეგორიას მიკუთვნებული საქმეებისა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, კანონი უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს, რა დროსაც მხოლოდ ზეპირი (სიტყვიერი) თანხმობა არ არის საკმარისი და აუცილებელია თანხმობა გაცხადებულ იქნეს წერილობით.<sup>431</sup> განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში. ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მესამე პირებისათვის გადაცემამდე უნდა არსებობდეს მონაცემების გადაცემის საფუძველი და საჭიროება. „ვერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტში არის მოცემული მესამე პირის დეფინიცია, ვერძოდ, „ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი საჯრო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა სახელმწიფო ინსექტორის სამსახურისა, მოაცემთა დამ-

<sup>428</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე “სოფო ებრალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, მე-9 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/recording-notices>> [11.08.2020].

<sup>429</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის 2015 წლის 25 ნოემბრის N3/9/682 საოქმო ჩანაწერი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3082537?publication=0>

<sup>430</sup> სახელმწიფო ინსექტორის სამსახური, მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები, ხელმისაწვდომია: <<https://personaldata.ge/ka/orginnerpage4>> [11.08.2020].

<sup>431</sup> იხ. იქვე.

მუშევებისა და უფლებამოსილი პირისა“. აღნიშნული კანონის მე-2 თავის მე-5 მუხლის, „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.“ საჯარო დანესებულება ვალდებულია, პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს პირს, რომელზეც გროვდება ესა თუ ის ინფორმაცია, აცნობოს დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი. სხვა წყაროებიდან პერსონალური მონაცემების შეგროვების შემთხვევაში, საჯარო დანესებულება ვალდებულია აცნობოს პირს იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შესაძლოა გადაეცეთ ეს მონაცემები, შემდგომში ინფორმაციის მიწოდების მიზნით.<sup>432</sup>

საინტერესოა ლიტვაში არსებული კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს მესამე პირების არსებობას პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, კერძოდ, აღნიშნული კანონის ტერმინთა განმარტებებში, ასახულია ტერმინი „მესამე პირი“, რომლის დეფინიციაც აცხადებს, რომ მესამე პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა მონაცემთა სუბიექტის, კონტროლის განმახორციელებელი პირის, დამმუშავებელი პირის ან პირისა, რომელსაც დავალებული აქვს მონაცემთა დამუშავება კონტროლის განმახორციელებელი პირის ან დამმუშავებელი პირის მიერ.

2015 და 2016 წლის ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები და ახალი კანონმდებლობის შემუშავების მიზეზი თურქეთის იურისდიქციებში იყო პირადი მონაცემების დაცვა. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ №6698 კანონი ძალაში შევიდა 2016 წლის 24 მარტს, მას შემდეგ, რაც აღნიშნული კანონპროექტის განხილვა თურქეთის პარლამენტის მიერ საყოველთაოდ შეჩერებული იყო ათწლეულის წინ. კანონი განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების მოქმედების სფეროს, განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების მფლობელს და ამ მონაცემების ნებისმიერი დამმუშავებლის იდენტიფიცირების სამართლებრივ განსაზღვრებებს და ამ მონაცემების უზრუნველსაყოფად გამოყენებული მონაცემთა შენახვის მეთოდებს.<sup>433</sup> ამასთანავე, კანონი განსაზღვრავს მონაცემთა მფლობელების გარკვეული ძირითადი უფლებებს. ის კრძალავს, მაგალითად, მონაცემების დამუშავებას

<sup>432</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., პერსონალური მონაცემების დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი, 2007 წ. გვ. 6.

<sup>433</sup> Burçak Unsal., Protection of Personal Data in Turkey and Japan, Turkish Commercial Law Review, 2016, page 187.

იმ მონაცემების ნამდვილი პირის მფლობელობის აშკარა თანხმობის გარეშე.<sup>434</sup> კანონი განსაზღვრავს დამუშავებულ მონაცემებსა და მონაცემთა დამუშავებას. კანონი ითხოვს, რომ მონაცემთა მესაკუთრის თანხმობა იქნეს მიღებული ნებისმიერ ქმედებამდე, რომელიც კვალიფიცირდება მონაცემთა დამუშავების პროცესში.

მონაცემთა დამუშავებელი არ მოითხოვს პერსონალურ მონაცემებს ზემოაღნიშნული პრინციპების ფარგლებს მიღმა. მონაცემთა დამუშავებლებმა ეს უნდა განიხილონ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თანხმობა მოითხოვება მონაცემთა მფლობელისგან. ძირითადი წესი ის არის, რომ მონაცემთა მფლობელის აშკარა თანხმობა უნდა იყოს მიღებული პირადი მონაცემების დამუშავების მიზნით. ერთადერთი გარემოება, სადაც თანხმობა არ არის აუცილებელი (გამონაკლისია), მითითებულია ზ/აღნიშნულ წესში, კერძოდ, როდესაც ნორმატიული კანონმდებლობა ადგენს მონაცემთა დამუშავების სავალდებულობას; როდესაც პერსონალური მონაცემები უკავშირდება პირის ჯანმრთელობას ან სექსუალურ ცხოვრებას, მაშინ უფრო მაღალია ბარიერი, ვიდრე სავალდებულო ნორმატიული დებულებებით დადგენილი. ასეთ შემთხვევებში, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ ავტორიზებული პირების ან დანესებულებების კონფიდენციალურობის პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი ფორმით და მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სადაც პრევენციული მედიცინის ან სამედიცინო დიაგნოზის, სამედიცინო მკურნალობის ან ჯანდაცვის მომსახურების დაგეგმვის, მართვის ან დაფინანსების გამოყენებით არის სავალდებულო; როდესაც მონაცემთა დამსწრე პირს აქვს იურიდიული ვალდებულება ამ მონაცემების გამჟღავნებაზე და სხვა.

გარდა ზემოაღნიშნულ გამონაკლისი შემთხვევებისა, პერსონალური მონაცემები შეიძლება გაიყოს მესამე პირზე მხოლოდ მონაცემთა მფლობელის აშკარა თანხმობის შემდგომ. პერსონალური მონაცემები არ უნდა იქნეს გადაცემული საზღვარგარეთ, თუ მონაცემთა მიმღების იურისდიქცია არ არის საკმარისი პირადი მონაცემების დასაცავად. მონაცემთა დაცვის საბჭო განსაზღვრავს, თუ რომელი იურისდიქციები ითვლება საკმარისად დაცულად. გარდა ამისა, მონაცემთა დაცვის საბჭოს ნებართვა უნდა იქნას მიღებული, სანამ პერსონალური მონაცემები საზღვარგარეთ გადაეცემა. უცხოელი იურისდიქციის მონაცემების მიმღები წერილობით იძლევა გარანტიას, რომ ის დაიცავს პერსონალურ მონაცემებს. თუ თურქეთი ან სხვა ნებისმიერ პირი საზღვარგარეთ პირადი მონაცემების გადაცემის შედეგად სერიოზულ

<sup>434</sup> The Turkish Commercial Law Review Volume 2, Issue 2, Winter 2016, page 188.

ზიანს აყენებს პერსონალური მონაცემების დაცვას, საჭიროა შესაბამისი საჯარო ხელისუფლების ნებართვაც. პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დებულების დარღვევა ექვემდებარება სისხლის სამართლის კოდექსის 5237 თავის, 135-ე და 140-ე მუხლებს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ექვს წლამდე.<sup>435</sup> თუმცა, მიუხედავად ზემოთ დადგენილი სავალდებულო წესებისა, რომელიც 2016 წლის 24 მარტს იქნა მიღებული, დღეის მდგომარეობითაც არ ამოქმედებულა პრაქტიკაში. აღნიშნულმა კანონმა მიანიჭა უფლება შესაბამის ორგანოს, პირის თანხმობის გარეშე მოახდინოს პერსონალური მონაცემების დამუშავება ორწლიანი სამეფლავათო პერიოდის განმავლობაში.

იაპონიაში პერსონალური მონაცემების დამუშავება და პერსონალური მონაცემების სხვა საკითხები რეგულირდება 2005 წლის აპრილში დათარიღებული პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ (აქტის) მიერ.<sup>436</sup> მონაცემთა დაცვის კანონის ფარგლებში, სამინისტროები აქტს აქვეყნებენ საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკისა და მასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ეს პუბლიკაციები არ არის სავალდებულო მომავალი სამინისტროს საქმიანობაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ შინაარსს, თუ როგორ განმარტავს მას შესაბამისი სამინისტრო, ახორციელებს თავის უფლებამოსილებას მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით და, როგორც წესი, იცავს, მას ისე, თითქოს აღნიშნულს გააჩნია კანონის ძალა.<sup>437</sup> 2005 წლის შემდეგ, აღნიშნულ აქტში არაერთი ცვლილება/დამატება არის განხორციელებული. ცვლილებები მოიცავს აქტში გაწერილ ე.წ. „მგრძობიარე ინფორმაციის“ ფარგლებს, როგორებიცაა სამედიცინო ისტორიის, გენეტიკური ინფორმაციის, რასის, რწმენის, სოციალური სტატუსის, დანაშაულებრივი ჩანაწერების და ინფორმაციის, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაციულ ნიშნებს უნდა იყოს დაცული აღნიშნული პირადი ინფორმაცია ზ/მითითებული ნორმატიული აქტის შესაბამისად.<sup>438</sup>

მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვის საკითხებზე საუბრობს ინსპექტორი 2015 წლის ანგარიშში და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ორგანიზაციებს (მონაცემთა დამუშავებლებს) არ აქვთ განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების კონკრეტული და მკაფიო მიზანი, შესაბამისად, ინფორმაცია მუშავდება მიზნის არაადეკვატური და არაპროპორციული მოცულობით,

<sup>435</sup> Burqak Unsal., Protection of Personal Data in Turkey and Japan, Turkish Commercial Law Review, 2016, page 191.

<sup>436</sup> იბ. იქვე., 196

<sup>437</sup> იბ. იქვე. გვ. 197

<sup>438</sup> იბ. იქვე., გვ. 198

ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, კვლავ არ არის განსაზღვრული მონაცემთა შენახვის ვადები.<sup>439</sup> პიროვნების კონფიდენციალური ინფორმაციის საჭაროდ გამჟღავნება საზოგადოების თვალში, პიროვნების ელემენტების მითვისება საკუთარი მიზნებისათვის არის კონფიდენციალურობის უფლების დარღვევა.<sup>440</sup> მაგალითად, პირის სამედიცინო ისტორია<sup>441</sup> ყოველთვის წარმოადგენდს პირადი ცხოვრების ნაწილს.<sup>442</sup>

### 2.3. სასამართლოსა და სასამართლოს აპარატის ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დამუშავებისას

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განიმარტა ისე, რომ იგი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ ასევე პოზიტიურ ვალდებულებას.<sup>443</sup> ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის მესამე მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ დარღვევის შემთხვევაში (პოზიტიური ვალდებულება).<sup>444</sup> თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება პასუხისმგებლობის საკითხი თავად სახელმწიფოსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის მრავალი დებულების ძირითადი მიზანია საჭარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა არამართლზომიერი შეზ-

<sup>439</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: [www.pdp.ge](http://www.pdp.ge).

<sup>440</sup> Jacques Velu, "The European Commission on Human Rights and the Right to respect for private life, the home and communications", A. H. Robertson, Privacy and Human Rights, 32 (1973).

<sup>441</sup> Mr 'X' v. Hospital 'Z', (Case N4641), Supreme Court of India, 1999.

<sup>442</sup> Pierre Juvigny, "Modern Scientific and Technological Developments", 1973.

<sup>443</sup> ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002 წელი, გვ. 59-60.

<sup>444</sup> D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, page. 504.

ლუდვის აკრძალვა, უდავოა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ამ უფლებათა ეფექტიანი დაცვის ვალდებულება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოზიტიური ვალდებულება გამომდინარეობს კონვენციის მრავალი მუხლიდან, მათ შორის მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებიდან.<sup>445</sup> საქმეში მარქსი ბელგიის წინააღმდეგ<sup>446</sup> ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „ამ მუხლის მიზანია, არსებითად, საჯარო ხელისუფლების უკანონო ჩარევისაგან პირის დაცვა ... ამასთანავე, ის არა მხოლოდ მოითხოვს სახელმწიფოსაგან ასეთი ჩარევისაგან თავშეკავებას – ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი „პატივისცემისგან“ განუყოფელია. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ერთ-ერთი ასპექტია, უზრუნველყოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საფუძველი მე-8 მუხლის დაცული უფლების რეალიზაციისათვის. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საილუსტრაციოდ შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მოშველიება.“<sup>447</sup>

ტექნიკის განვითარებამ დადებითი მუხტი შექმნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დადგინდეს საკმარისი გარანტიები რათა მოხდეს პერსონალური მონაცემების დაცვისა და მართვის კონტროლი.<sup>448</sup> ტექნიკის განვითარებას მოსდევს იმ პარადიგმების ცვლა, რომელიც პირად მონაცემების დაცვას შეეხება. აღნიშნული პარადიგმის ცვლა არ არის გამონწვეული მხოლოდ კანონმდებლობის დადგენით, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს პირადი მონაცემების დაცვა, ცალსახაა, რომ ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისეთი საქმეები, რომლებიც შეეხება პირადი მონაცემების დაცვას.<sup>449</sup> აღნიშნული პოზიციის განმტკიცებას არსებითად ხელი შეუწყო ძირითად უფლებათა ქარტიის ძალაში შესვლამ, რომლის მე-7 და მე-8 მუხლები სრულად შეეხება პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. მართლაც, კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე აქტის მიღებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა პირადი

<sup>445</sup> Gaskin v. the United Kingdom (Case N10454/83), ECHR, 7<sup>th</sup> of July 1989, Par. 42-49.

<sup>446</sup> Marckx v. Belgium, (Case N6833/74), ECHR, 13<sup>th</sup> of June 1979.

<sup>447</sup> X and Y v. the Netherlands (Case N 8978/80) 26<sup>th</sup> of March 1985, Series A no. 91.

<sup>448</sup> Agreement between the European Union and the United States on the processing and transfer of Financial Messaging Data from the European Union to the United States for the purposes of the Terrorist Finance Tracking Program, OJ L 195, 27 July 2010, pp 5-14.

<sup>449</sup> Rechnungshof v Osterreichischer Rundfunk and others, (Case NI-04989), ECHR, 2003.

ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებასთან.<sup>450</sup> თუმცა, პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა ადმინისტრაციის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი სხვა უფლებებით<sup>451</sup>, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ საყოველთაოდ აღიარებული უფლება, მეტი ღიაობისა და გამჭვირვალობის საფუძველზე განახორციელონ. ევროკავშირის დონეზე უფრო მნიშვნელოვანია ღიაობა და გამჭვირვალობა. ვინაიდან ქვეყნებს აქვთ საკუთარი მოქალაქეების ნდობით აღჭურვილი ფუფუნება, რომელიც ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ აღიქვა შორეულად და კომპლექსურად, რაზეც აუცილებლად უნდა მოხდეს მუშაობა მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად. იმ რეალობაში, როდესაც ევროკავშირს მოუწოდებენ უფრო მეტი საკითხების მოგვარებისაკენ, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროკავშირის მოქალაქეების სასიცოცხლო ინტერესებზე (ამ ეტაპზე მაინც, ფინანსური და ეკონომიკური სტაბილიზაციის სფეროში), შეუძლებელია ევროკავშირის ადმინისტრაციის მხრიდან დარჩეს ღიად. როგორც ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა, ჯეფირგენ ჰაბერმანმა განაცხადა: "ევროპული ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ყოველთვის ხელმძღვანელობდა მოსახლეობის ინტერესებით უკვე ჩიხში აღმოჩნდა. მას არ შეუძლია შემდგომი წასვლა მისი ჩვეულებრივი ადმინისტრაციული რეჟიმის შეცვლის გარეშე, როგორცაა მაგალითად, საზოგადოებრივი ჩართულობა.<sup>452</sup> ევროკავშირის ხელშეკრულების პირველი მუხლი ითვალისწინებს, რომ გადანყვეტილებები ღიად უნდა იქნეს მიღებული. ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების მე-15 მუხლი (TFEU) ავალდებულებს ევროკავშირის ინსტიტუტებს, ორგანოებს, სამსახურებსა და სააგენტოებს, თავიანთი მუშაობა მაქსიმალურად ღიად განახორციელონ. ამ მიზნით, TFEU- ის მე-15 მუხლი ადგენს ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოების, ოფისებისა და სააგენტოების მიერ განხორციელებული საქმიანობის ხელმისაწვდომობის უფლებას.<sup>453</sup> ფუნდამენტურ უფლებათა

---

<sup>450</sup> Volker und Markus Schecke and Eifert (Case NC-92/09), ECHR, 9<sup>th</sup> of November 2010.

<sup>451</sup> Article 52(1) of the Charter, which states that limitations may be imposed on the exercise of rights (such as those set forth in Articles 7 and 8 of the Charter) as long as the limitations are provided for by law, respect the essence of those rights and freedoms, and, subject to the principle of proportionality, are necessary and genuinely meet objectives of general interest recognised by the European Union or the need to protect the rights and freedoms of others.

<sup>452</sup> Jilrgen Habermas speaking at the European Council on Foreign Relations, translated and quoted in Judy Dempsey, 'EU elites keep power from the people', New York Times, 22 August 2011.

<sup>453</sup> Consolidated version of the Treaty on the Functioning of the European Union – Part One: Principles – Title II: Provisions having general Application – Article 15 (ex Article 255 Tec), Official Journal 115, 09/05/2008, P. 54-55, ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12008E015:EN:HTML>> [11.08.2020].

ქართის 42-ე მუხლი ასევე ადგენს ევროპის პარლამენტის, საბჭოს და კომისიის დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლებას. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 30 მაისის N1049/2001 რეგულაცია ადგენს ევროკავშირის დაწესებულებებში არსებული დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობის შესახებ არსობრივ და პროცედურულ ნორმებს<sup>454</sup> რომელიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილებების როგორც საჯაროდ, ასევე შეზღუდულ დროში მიღებას. ასეთი ღიაობით მოქალაქეებს საშუალებას აძლევს უფრო მჭიდროდ ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და უზრუნველყონ ადმინისტრაციის საქმიანობის უფრო მაღალი ლეგიტიმაცია, ეფექტური და მეტად ანგარიშვალდებულებული მოქალაქე დემოკრატიულ სისტემაში. "ეს ხელს უწყობს დემოკრატიის პრინციპების განმტკიცებას და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას."<sup>455</sup> არ არის გასაკვირი, რომ დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნა ითვალისწინებს ევროპის სახალხო დამცველისთვის წარდგენილ საჩივრის 37 პროცენტს.<sup>456</sup> აღნიშნული დებულების მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ინდივიდუალურ დაცვას, კერძოდ, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, პირადი მონაცემების დაცვას.<sup>457</sup> ევროკომისიამ დაადგინა, რომ 1049/2001 დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი უნდა იქნეს განმარტებული, როგორც ამას მოითხოვს დოკუმენტის მფლობელი დაწესებულება, აგრეთვე, გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, კერძოდ, რეგულაცია 45/2001. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს „Bavarian Lager case“-ის<sup>458</sup> საქმე. საქმე ეხებოდა ევროპის კომისიის, დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებსა და ევროპის ლუდის ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის შეხვედრის წვდომას. ეს შეხვედრა მოხდა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ევროკომისიის მიერ დარღვეული პროცედურების კონტექსტში (კომისია განიხილავდა თუ არა ბრიტანეთის კანონმდებლობის შესაბამისად ბაზარზე შესვლის უცხოური ლუდსახარშების შემადგენელი გავლენის უფლებას). მას შემდეგ, რაც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოძიების დახურვის შესახებ, ბავარი ლუგარის დირექტორმა, განაცხადა, რომ კომისიის გადაწყვეტილება იყო ყალბი და აღნიშნულის გასაჩივრების მიზნით, მოითხოვა წვდომა ინფორმაციაზე სამართალდარღვევის საქმის წარმოების შესახებ, რომ მიეცათ საჯარო წვდომა ოქმზე, რათა

<sup>454</sup> იხ. იქვე.

<sup>455</sup> Regulation 1049/2001, Recitals 1 and 2.

<sup>456</sup> Annual Report of the European Ombudsman 2010, p 27.

<sup>457</sup> Regulation 1049/2001, article 4(1) (b).

<sup>458</sup> Commission v Bavarian Lager (Case C-28/08 P) Judgment of 29<sup>th</sup> of June 2010.

გაერკვია, თუ რატომ ჰქონდა კომისიას მიღებული გადაწყვეტილება საქმის დახურვის შესახებ. კომისიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და გამოუყო რამოდენიმე ნუთი დოკუმენტაციის გასაცნობად. თუმცა, აქვე განაცხადდა, რომ არ გამჟღავნებინა იმ ხუთი პირის ვინაობა, რომელიც მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში. ბავარი ლაგერმა შეიტყო, რომ ორი მათგანი არ ეთანხმებოდა რომ მათი სახელები გამჟღავნებულიყო და კომისიამ ვერ შეძლო სხვა პირებთან დაკავშირება მათი თანხმობის მისაღებად ვინაობის გამჟღავნების მოტივით. კომისიის პოზიცია იყო ცალსახა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემებს და შეუძლებელი იყო მათი გამხელა შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე, ასევე, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი, რომ აღნიშნულით საქმის მონაწილე პირის ინტერესი არ დაირღვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევა. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინების შეპირისპირებას. დებულების თანახმად, პირი, რომელიც ითხოვს დოკუმენტზე საჯარო ხელმისაწვდომობას, არ არის უფლებამოსილი დაადგინოს დოკუმენტზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნის მიზეზები.<sup>459</sup> ის ფაქტი, რომ ბავარიის ლაგერის მიხედვით, განახლებული უნდა იყოს რეგულაცია 45/2001-ში ის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს დოკუმენტის საჯარო ხელმისაწვდომობის მოთხოვნის უფლებას, აგრეთვე მოიცავს "პერსონალური მონაცემების გადაცემას", რაც არ არის აღნიშნული დებულების შესაბამის მუხლში.<sup>460</sup> ევროპული მონაცემთა დაცვის ხელმძღვანელი ამტკიცებდა, რომ ინდივიდუალური პირების "კონფიდენციალურობა" უნდა დადგინდეს ანუ ის ბარიერი, რომელსაც არ უნდა გადავაბიჯოთ, მანამ, სანამ აუცილებელია პირადი მონაცემების დაცვის წესების შემოწმება. ევროპული მონაცემთა დაცვის ხელმძღვანელის პოზიცია იყო, რომ სახელის გამჟღავნება აუცილებლად გულისხმობდა პერსონალური მონაცემის გამჟღავნებასაც.<sup>461</sup> აღნიშნული გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ "პირადი მონაცემები" განისაზღვრება ძალიან ფართოდ.<sup>462</sup> უბრა-

---

<sup>459</sup> Article 6(1) of Regulation 1049/2001 states that the applicant is not obliged to state reasons for the application for public access to a document.

<sup>460</sup> The EDPS background paper is available at the EDPS website ([www.edps.europa.eu](http://www.edps.europa.eu)).

<sup>461</sup> The Bavarian Lager Co Ltd v. Commission (Case NT-194/04) ECHR, 2007, Paragraphs 68 and 69.

<sup>462</sup> Regulation 45/2001 of the European Parliament and of the Council of 18 December 2000 on the protection of individuals with regard to the processing of personal data by the Community institutions and bodies and on the free movement of such data [2001], Article 2a.

ლო მითითება პირის სახელის, პერსონალური ინფორმაციის გარეშე<sup>463</sup>, ის მაინც წარმოადგენს პირად მონაცემს. ბავარიის მაჟორიტარული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელები არ შეიძლება იქნეს გამხელილი თუკი მხარის მოთხოვნა არ იძლევა გათავისუფლების აუცილებლობას (ან მონაცემთა სუბიექტები თანხმობას).<sup>464</sup>

სამართლებრივ კონტექსტში, შესაძლებელია თუ არა ბალანსის დადგენა გამჭვირვალობის საჭიროებასა და პერსონალური მონაცემების დაცვას შორის. ინსტიტუტებმა უნდა შეისწავლონ, შეგროვებული და დამუშავები პერსონალური მონაცემების გამჟღავნების პროცესუალური სავალდებულობის ხარისხი.<sup>465</sup> 1049/2001 რეგულაცია არ არის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი, რომლის მეშვეობითაც მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. კონკრეტული მხარეებისათვის არსებობს პერსონალურ მონაცემებზე დაშვების გარკვეული უფლებები, კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართ, როგორცაა მაგალითად, კონკურენციის პროცესი. ივარაუდება, რომ საკონკურსო კომისია, კონკურსის მიმდინარეობის პროცესში იკვლევს მრავალ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს "პერსონალურ მონაცემებს" (როგორცაა თანამშრომლების სახელები, მომხმარებლები და ა.შ.). საკონკურსო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა არ არის "საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობა" (მხოლოდ სამართალწარმოების მხარეებს ჰქონდათ ამ ფაილზე ხელმისაწვდომობა და სავალდებულოა, რომ მხოლოდ საკონკურსო დოკუმენტაციის მიზნებისათვის მოხდეს დოკუმენტაციის მიღება).<sup>466</sup>

შეუძლია თუ არა „მონაცემთა სუბიექტს“ პრეტენზია გამოთქვას მისი მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით? 1/2003 დებულების და 773/2004 დებულების შესაბამისად, მონაცემთა გადასაცემად პირი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სავალდებულო მოთხოვნებს, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსის მონაწილე მხარეები მხოლოდ კომისიისგან მიი-

<sup>463</sup> როგორც არის ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და სხვ.

<sup>464</sup> The Bavarian Lager Co Ltd v. Commission (Case NT-194/04) ECHR, 2007.

<sup>465</sup> Public access to documents containing personal data after the Bavarian Lager ruling' available at the EDPS website ([www.edps.europa.eu](http://www.edps.europa.eu)).

<sup>466</sup> Article 27(2) of Council Regulation 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles (101 and 102) of the Treaty, OJ L 1, 4 January 2003, pp 1-25; and Articles 8, 15 and 16 of Commission Regulation 773/2004 of 7 April 2004 relating to the conduct of proceedings by the Commission pursuant to Articles (101 and 102 of the Treaty) OJ L 123, 27 April 2004, pp 18-24.

ღებენ დოკუმენტაციას მათი უფლებების დაცვის მიზნით და კომისია მხოლოდ მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს გადასცემს იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი სამართლებრივი უფლების განხორციელება, რომ გამოძიებებში მონაწილე მხარეებმა თავიანთი უფლებების დაცვა შეძლონ.<sup>467</sup>

### 3. სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური | მონაცემთა დამუშავების ქართული პრაქტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად განიხილება. დასავლეთის იურისდიქციების უმრავლესობა ამ მხრივ მნიშვნელოვან მოთხოვნებს აყალიბებს და ვისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს ადამიანის უფლებას დაცულ იქნას მისი პერსონალური ინფორმაცია დამუშავებისაგან. საქართველოში პერსონალური მონაცემები განმარტებულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში<sup>468</sup>, რომელიც მიუთითებს, რომ პერსონალური მონაცემები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. მათ დამუშავებაზე კი კანონმდებლობაში კონკრეტული დანაწესი არსებობს მხოლოდ საჯარო დანესებულებებთან მიმართებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი<sup>469</sup> ასევე ითვალისწინებს პირის უფლებას იცოდეს მისი პერსონალური მონაცემების განკარგვის შესახებ. კოდექსის მიხედვით, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას, საჯარო დანესებულება ვალდებულია აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა, პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა, აგრეთვე იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი<sup>470</sup> მიუთითებს რომ დაცულია პირის უფლება გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან და მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

<sup>467</sup> Stanley George Adams v Commission (Case 145/83) ECHR, 1985, par. 3539.

<sup>468</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „თ“ პუნქტი.

<sup>469</sup> იბ. იქვე., მუხლი 43.

<sup>470</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18<sup>1</sup> მუხლი.

აგრეთვე, პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს მის პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ.

როგორც სასამართლოები, ასევე, ბიბლიოთეკები და არქივები გადადიან სასამართლოს ჩანაწერების ელექტრონულად მიღებაზე ინტერნეტის მეშვეობით, რადგან საზოგადოებრივი ინტერესი მნიშვნელოვნად გაზრდილია, ვინაიდან ხელმისაწვდომობა არსებითად მარტივდება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეჭვქვეშ აყენებს კონფიდენციალურობის საკითხს. პატარა, თუმცა ამავდროულად მეტად მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად ხდება სენსიტიური მგრძობიარე ინფორმაცია სასამართლო ჩანაწერებში და მის კონტექსტში.<sup>471</sup> სასამართლო ჩანაწერებში ასახულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს "კერძო" ან "სენსიტიური"<sup>472</sup> დანყებული სოციალური დაცვის ნომრებიდან, სექსუალურ ძალადობაში ჩართული არასრულწლოვანი ბავშვების სახელის ჩათვლით. მაგალითად, ბრაზილიაში, ჩრდილოეთ კაროლინის მიერ გასაჯაროვებული მოკლე აღწერილობაში გადმოცემულია მონაცემები ათი წლის გოგონას გატაცებისა და გაუპატიურების შესახებ. ბავშვის სახელი პირველ გვერდზე აღბეჭდილი და თითქმის ყოველ გვერდზე არის ნახსენები.<sup>473</sup>

აღნიშნულის მსგავსად, მოსარჩელე-აპელანტის პეტიციას ჩრდილოეთ კაროლინის უზენაეს სასამართლოში დისკრეციული განხილვისათვის ერთვის დანართი, რომელიც მოიცავს მოსარჩელეთა მოცულობითი სამედიცინო ხასიათის ფაილს და რამდენიმე ადგილას აღნიშნულია ცნობა ხსენებულთა სოციალური უსაფრთხოების, ნომრის, დაბადების თარიღისა და სახლის მისამართის შესახებ.<sup>474</sup>

საქართველოში კომერციული საიდუმლოების მქონე ინფორმაციის გავრცელება ფართო შეზღუდვის ობიექტია, რაც ინფორმაციის ღირებულებიდან გამომდინარე დგინდება. კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია, რომელსაც ნამდვილი ან პოტენციური კომერციული ღირებულება გააჩნია, რადგან არ არის ცნობილი მესამე პირებისათვის, მასზე არ ვრცელ-

<sup>471</sup> David S. Ardia., Anne Klinefelter., Privacy and Court Records: An Empirical Study, 2015, Page 12.

<sup>472</sup> The terms "private" and "sensitive" in the context of personally identifiable information are not necessarily coterminous. As we discuss in Part III, there are no uniform definitions for these terms and their scope is widely debated by privacy scholars. For readability, we use "sensitive information" to refer to all types of personally identifiable information that might raise privacy concerns.

<sup>473</sup> State of Louisiana v. Dan Bright (Case N 002-KP-2793, 2003-KP-2796), Supreme Court of Louisiana, Decided: May 25, 2004.

<sup>474</sup> Notice of Appeal and Petition for Discretionary Review, Dean v. Cone Mills Corp, 1984.

დება თავისუფალი დაშვების რეჟიმი და ასეთი ინფორმაციის მფლობელი მიმართავს მისი კონფიდენციალურობის დაცვის ღონისძიებებს.<sup>475</sup> ინფორმაცია კომერციულად ითვლება შესაბამისი პირის მოთხოვნის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ავტომატურად წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზანია კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაყალბების, დატაცების, გაჟონვის პროფილაქტიკა.<sup>476</sup> პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთარი კომერციული საიდუმლოება არ გააჩნია, რადგან აღნიშნულნი საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებენ.

სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვისა და სასამართლო სისტემისადმი ნდობის შესანარჩუნებლად, თანაზომიერი, ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხის მნიშვნელობა სასამართლო გადაწყვეტილებაში, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობას შორის ბალანსის დადგენა.

საქმეში, სახელწოდებით „სატმედია“,<sup>477</sup> სასამართლომ მოითხოვა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენა, სასამართლო, თავის თავდაპირველ პოზიციას დაუბრუნდა. მითითება არ იყო მონაცემთა დაცვის უფლებაზე და დირექტივა განიხილებოდა კონფიდენციალურობის დაცვის ინსტრუმენტად. "დავინყების უფლება" ასევე ცნობილი, როგორც "წაშლის უფლება" არის მონაცემთა დაცვის ასპექტი, რომელმაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ეს ცნება აღიარებულია ევროპის კანონმდებლობაში, 1995 წლის დირექტივაზე, რომელიც მე-12 მუხლით გათვალისწინებულ საგადასახადო უფლებებს იძლევა, ხოლო სასამართლოში დირექტივის გამოყენება, განსაკუთრებით კი CJEU-ის გადაწყვეტილებაში „Google ესპანეთის კოსტესი გონსალესის საქმე“-ში 2016 წელს.<sup>478</sup> ვიკიპედიის დამფუძნებლის, ჯიმი უელსისათვის ეს იყო "ერთ-ერთი ყველაზე მრავ-

<sup>475</sup> ცაცანაშვილი მ., „ინფორმაცია, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტი“, ავტორეფერატი, თბილისი, 1999 წ, გვ.167.

<sup>476</sup> იხ. იქვე., გვ. 168.

<sup>477</sup> Tietosuojavaltuutettu v Satakunnan Markkinapörssi OY, Satamedia (Case NC-73/07), ECHR 2008.

<sup>478</sup> Google Spain SL, Google Inc. v Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González. 2016, Case C-131/12. CJEU Grand Chamber.

ვალფეროვანი ინტერნეტ ცენზურის გადაწყვეტილება, რომელიც მას ოდესმე ჰქონდა ნანახი".<sup>479</sup> ამავე დროს, დადგინდა, რომ "დავინწყების უფლება" აბსოლუტური არ არის, მაგრამ უნდა იყოს დაბალანსებული სხვა ფუნდამენტური უფლებების წინააღმდეგ, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება.<sup>480</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საქმის განხილვისას აუცილებელი ფაქტორების გათვალისწინება, მაგალითად, ინფორმაციის სახეობა, მისი პირადი ცხოვრების სენსიტიურობა და საზოგადოების ინფორმირება ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ფრაზა "დავინწყებული" ასევე კონკრეტულად არის მოხსენიებული ევროკავშირის საერთო მონაცემთა დაცვის დებულების მე-17 მუხლში.<sup>481</sup> მონაცემთა დამუშავების პრინციპის არსი მოცემულია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის მე-5 მუხლში.<sup>482</sup> „იგივე პრინციპები მოცემულია ევროკავშირის მონაცემთა დაცვის დირექტივის მე-6 მუხლში და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების მეორე ნაწილში, თუმცა ნაწილობრივ განსხვავებული ფორმულირებით.“<sup>483</sup> აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის საკვანძო პრინციპებად განიხილება: „კანონიერი დამუშავების პრინციპი, მიზნის კონკრეტულობისა და ლიმიტირების პრინციპი, მონაცემთა ხარისხის პრინციპი, მონაცემთა სამართლიანი დამუშავების პრინციპი, ანგარიშვალდებულების პრინციპი.“<sup>484</sup> აღნიშნული უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი სტანდარტის შესაბამისად, ჩარევა კანონთან შესაბამისად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი არის „ხელმისაწვდომი მოცემული პირებისთვის, ხოლო მისი შედეგები – განჭვრეტადი.“<sup>485</sup>

<sup>479</sup> Lee Dave., Google Ruling “Astonishing”, Says Wikipedia Founder Wales, BBC News, May 14, 2014. sec. Technology. <http://www.bbc.co.uk/news/technology-27407017>.

<sup>480</sup> Google Spain SL, Google Inc. v Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González. 2016, Case C-131/12. CJEU Grand Chamber. para 85.

<sup>481</sup> The EU General Data Protection Regulation, May 25th, 2018, Article 17. This regulation is applicable in all member states to harmonize data privacy laws across Europe.

<sup>482</sup> გოშაძე ვ., მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი., თბ. 2015, გვ. 20.

<sup>483</sup> ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი, „საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კვლევის ანგარიშის მოკლე მიმოხილვა“, 2015 წელი, გვ.9.

<sup>484</sup> გოშაძე ვ., „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი“, გამომცემლობა „იურისტის სამყარო“, თბ. 2015, გვ. 82.

<sup>485</sup> Amann v. Switzerland [GC], No. 27798/95, 16<sup>th</sup> of February 2000, Par. 50.

მნიშვნელოვანია აკადემიური კვლევის შედეგები. უნდა იყოს კვლევის ეთიკური პრინციპების შემუშავების შესაძლებლობა, რომელიც უნდა იყოს მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტით (კანონით), ვინაიდან, არქივები და განახლებული დოკუმენტაცია, ან საინტერესო მოვლენები მომხდარი მრავალი წლის წინ, რომელიც შეიძლება არასდროს ყოფილიყო ციფრულ ფორმაში. თუ ასეთ მასალას ადამიანი აქვეყნებს, რომელიც პირადი ინფორმაციის შემცველია, უნდა არსებობდეს რიგი მარეგულირებელი ნორმები. თუმცა, რა შეიძლება ითქვას გადაჭრით, ვინაიდან ბელგიაში სასამართლომ წყაროსთან დაკავშირებული მასალა შეცვალა.<sup>486</sup> ბელგიის საკაცო სასამართლომ გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა, რომ საგზაო შემთხვევის შესახებ ახალი ამბები უნდა იყოს ანონიმური; აღმოჩნდა, რომ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის გამოცემის გაგრძელება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.<sup>487</sup> ევროკომისიის 2015 წლის ივლისში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, ევროპელებს "ძალიან მჭერა, რომ ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლებები და დაცვის მექანიზმები თავიანთ პერსონალურ ინფორმაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო, რომელიც საჯარო დაწესებულება ან ვერძო კომპანიაა, სთავაზობს მომსახურებას".<sup>488</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის სიახლიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანეს როლს ატარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით ამოწმებს არამხოლოდ ნორმას, არამედ ნორმის გამოყენების პრაქტიკასაც.<sup>489</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან აღსაღნიშნავია 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენდა „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ანიჭებდა უფლებამოსილებას, კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან

<sup>486</sup> Olivier G v. Le Soir, 29 April 2016, C.15.0052.F

<sup>487</sup> Tomlinson, Hugh. 2016. 'Case Law, Belgium: Olivier G v Le Soir. "Right to Be Forgotten" Requires Anonymization of Online Newspaper Archive'. Inform's Blog. July 19. ხელმისაწვდომია: <<https://inform.wordpress.com/2016/07/19/case-law-belgium-olivier-g-v-le-soir-right-to-be-forgotten-requires-anonymisation-of-online-newspaper-archive-hugh-tomlinson-qc/>> [11.08.2020].

<sup>488</sup> European Commission. 2015. 'Special Eurobarometer 431: Data Protection'. ხელმისაწვდომია: [http://ec.europa.eu/public\\_opinion/archives/ebs/ebs\\_431\\_en.pdf](http://ec.europa.eu/public_opinion/archives/ebs/ebs_431_en.pdf) [11.08.2020].

<sup>489</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, გვ. 63.

ჰქონოდა ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნით სათანადო აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსების შესაძლებლობა, რაც საონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო, ხოლო, აღნიშნული მონაცემების მოპოვების შემდგომ, მათი ორი წლის ვადით შენახვა მიიჩნია არაგონივრულად ხანგრძლივ პერიოდად.<sup>490</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2008 წლის 30 ოქტომბერს, საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ, სადაც მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ საგადასახადო საიდუმლოების მარეგულირებელი ნორმები შეუსაბამო იყო საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან.<sup>491</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია არის იმ მონაცემების ერთობლიობა, რაც გადასახადის გადამხდელის იდენტიფიცირების საშუალებას წარმოადგენს, რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით.<sup>492</sup> მსგავსი ინფორმაციის გასაიდუმლოება ნორმატიულად დამკვიდრებულ წესს წარმოადგენდა ისეთ ქვეყნებშიც, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და სხვა.<sup>493</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ არ შეიზღუდოს მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს საკუთარი თავის შესახებ არსებული ინფორმაცია და მის მიმართ გატარებული თუ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ფლობდეს ინფორმაციას.<sup>494</sup> ნიშანდობლივია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის განჩი-

<sup>490</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „შაერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საქართველოს საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, პარ. 113.

<sup>491</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი.

<sup>492</sup> იხ. იქვე.

<sup>493</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, პარ. 26.

<sup>494</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 3.

ნება,<sup>495</sup> რომლითაც ამ უკანასკნელმა შეწყვიტა საქმე სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, ვინაიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის<sup>496</sup> და ხშირ შემთხვევაში გაჭიანურებული პროცედურების გამო ან სხვა მიზეზით, მოსარჩელეს ეკარგება ინტერესი სარჩელის მიმართ. თუმცა, საინტერესოა რა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელში დასმული საკითხის მიმართ, რომელიც შეეხებოდა პირადობის ელექტრონული მონუმობის და პასპორტის გაცემის უალტერნატივო წესის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, როდესაც მოსარჩელე აპელირებდა ამ დოკუმენტების გამოყენებისას სახელმწიფოსათვის ადამიანის საქმიანობის, ფინანსური ტრანზაქციების, ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა ინფორმაციის თაობაზე, რომელიც შესაძლოა უკანონო დამუშავების ობიექტები გამხდარიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით განაგრძოს საქმის განხილვა სადავო აქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით<sup>497</sup>, მან ისევე როგორც მითითებულ საქმეზე, აგრეთვე, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორცაა მაგალითად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129<sup>8</sup> მუხლის შემთხვევაში, რომელიც სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების დროს ძალაში აღარ იყო, თუმცა აქტის შინაარსი შეეხებოდა ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორცაა საარჩევნო პროცესზე მიმდინარე ვიდეოჩანერის მეშვეობით მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობას, დარღვევების აღმოჩენასა და მათზე რეაგირების განხორციელებას, აირიდა არსებითი განხილვისაგან.<sup>498</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მრავალფეროვანი პრაქტიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით არა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ სასამართლო პროცესი ჭიანურდება და მოსარჩელეს ეკარგება ინტერესი განსახილველი საქმის მი-

<sup>495</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის N2/2/610 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლია ჯანაშვილი და ხათუნა საგინაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

<sup>496</sup> ხშირად დასმული შეკითხვები საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე, ხელმისაწვდომია: <<http://constcourt.ge/ge/questions/xshirad-dasmuli-kitxvebi>> [11.08.2020].

<sup>497</sup> "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>498</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის 1/1/452-453 განჩინება საქმეზე, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პარ. 1.

მართ, არამედ ხშირ შემთვევაში პრობლემას საკონსტიტუციო სარჩელის დაუსაბუთებლობა წარმოადგენს, რაც ამ უკანასკნელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.<sup>499</sup>

---

<sup>499</sup> იხ. მაგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N2/4/546 განჩინება საქმეზე, “ა(ა)იპ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N1/1/618 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი კვეცნაძე, ნინო კვეცნაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და სხვ.

### III. სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოების შეზღუდვის საკონსტიტუციო-სამართლებრივი გამართლება

თანამედროვე დინამიურად და სწრაფად ცვალებად დროში სახელმწიფო მმართველობის სისტემა მუდმივად დგას ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე. თანამედროვე სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და ადამიანის უფლებების უგულვებლყოფით.<sup>500</sup> სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა ისე უნდა განახორციელონ მინიჭებული უფლებამოსილება, რომ მუდმივად ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების განხორციელებას. ევროსასამართლო ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ თითოეულ საქმეზე უნდა უზრუნველყოს, რომ კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში, „სამართლიანი სასამართლოს“ მოთხოვნები იყოს დაცული.<sup>501</sup> სამართლებრივი სიცხადის პრინციპი კი, კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.<sup>502</sup> მმართველობის გამჭვირვალობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ და ჰქონდეთ წვდომა საჯარო დანესებულებაში დაცულ დოკუმენტაციას.<sup>503</sup> საქვეყნოების პრინციპი განსაკუთრებულად ვრცელდება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.<sup>504</sup> როდესაც სახელმწიფო, სათანადო მიზეზის არარსებობის პირობებში, დაინტერესებულ პირს ხელს უშლის დოკუმენტაციის გაცნობაში, ირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება. სამართალწარმოების სამართლიანობის დადგენა კი ხდება მთლიანობაში მისი შესწავლით.<sup>505</sup>

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.<sup>506</sup> საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება-თავისუფლებების დაცვაზე ორიენტირებული, სათანადო ღირებულებებზე დაფუძნებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, ადამიანის უფლებების რეალიზაციით, მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს დემოკრატიული და სამარ-

<sup>500</sup> საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, ხუბუა გ., და ზომერმანი ვ.პ.-ს რედაქტორობით, თბ. 2016, გვ. 5.

<sup>501</sup> *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands* (Case N 14448/88) 27<sup>th</sup> of October 1999, par. 33.

<sup>502</sup> *Beian v. Romania* (N1) (Case N 30658/05) ECHR, 6th of December 2007, Par. 39.

<sup>503</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი არეგულირებს ინფორმაციასზე წვდომის უფლებას.

<sup>504</sup> საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, ხუბუა გ., და ზომერმანი ვ.პ.-ს რედაქტორობით, თბ. 2016, გვ. 111.

<sup>505</sup> *ANKERL v. SWITZERLAND* (Case N 17748/91) ECHR, 23<sup>rd</sup> of October, 1996, Par. 33.

<sup>506</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

თლებრივი სახელმწიფოს მიზნებიდან გამომდინარე, რითაც უზრუნველყოფს ზრუნვის საგნად ქცეული სიკვთეების პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას საქართველოს იურისდიქციაში მყოფი თითოეული (ყველა) პირისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ნორმათა განმარტების შედეგად, ქმნის ცოცხალ კონსტიტუციას. სასამართლო თითქმის ყველა საქმეზე უშუალოდ ეხება რა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათი განმარტება უნდა დააფუძნოს თითოეული უფლების ფარგლების, შინაარსის, დიაპაზონის სრულყოფილად გაანალიზებას, რათა განმარტების შედეგად მიღებული უფლების პრაქტიკული შინაარსი სრულყოფილად ადეკვატური იყოს ამ უფლების კონსტიტუციური წონის.<sup>507</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი და დანიშნულებაა კონსტიტუციურ უფლებათა ისეთი განმარტება, რომელიც კონსტიტუციის მიზნების, კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულებებისა და თავად ძირითადი უფლების არსის შესაბამისია, რაც უზრუნველყოფს უფლებით პრაქტიკულად, რეალურად და ეფექტურად სარგებლობას და არ გამოფიტავს მას თეორიულ და ილუმბორულ უფლებამდე.<sup>508</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მატერიალური შინაარსი მკაფიო გამოხატულებას პოვებს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში, რომელის თანახმადაც: „სახელმწიფოცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.“<sup>509</sup> აღნიშნული წარმოადგენს სწორედ იმ ფუძემდებლურ ნორმა-პრინციპს, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებების მასშტაბისა და მნიშვნელობის შეგრძნების შესაძლებლობას, განაპირობებს მთლიანად კონსტიტუციისა და, განსაკუთრებით, კონსტიტუციური უფლებების განმარტებისა და გამოყენების ფარგლებს.<sup>510</sup>

<sup>507</sup> ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში., თბ. 2013, გვ. 9.

<sup>508</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 11.

<sup>509</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>510</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 3.

ცალკეულ სფეროებში სახელმწიფოს, რეგულირების კუთხით, გააჩნია განსაკუთრებით ფართო დისკრეცია. ცხადია, დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს აბსოლუტურ თავისუფლებას. სამართალშემოქმედის მიხედულების ფარგლები პირობადებულია კონსტიტუციური პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებით, რაც უზრუნველყოფს უფლებამოსილების გადაჭარბებისა და მისი არამიზნობრივად გამოყენების რისკის თავიდან აცილებას. სხვაგვარად, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა და მისი გამოყენება ყოველთვის გულისხმობს გადაწყვეტილების შედეგების დასაბუთებას. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს იმგვარი დასაბუთების მოთხოვნას, რომელიც შესაძლებელს გახდის სამართლებრივი შედეგის სისწორის შეფასებას.<sup>511</sup> „საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ მზღუდავი რეგულაცია უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას. კერძოდ, არ უნდა არსებობდეს ამავე ლეგიტიმური მიზნის ნაკლებად მზღუდველი საშუალებით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა. ამასთან, აღნიშნული საფუძვლით ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს სხვა მექანიზმი/საშუალება, რომელსაც აქვს რესურსი, ისევე ეფექტურად უზრუნველყოს საჯარო ინტერესის დაცვა, როგორც სადავო რეგულაციას.<sup>512</sup> სასამართლო განმარტავს, რომ უფლება შემზღუდველი ნორმა უნდა უზრუნველყოფდეს ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. დაუშვებელია, ერთი უფლების დაცვა სხვა უფლების ხარჯზე უსაფუძვლო უპირატესობის მინიჭების გზით.<sup>513</sup> სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებიდან მომდინარე საფრთხისაგან მოპასუხის დაცვა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს.<sup>514</sup>

რამდენიმე გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელმომწერ სახელმწიფოებს გააჩნიათ „მიხედულების თავისუფლება“, რათა შეათავსონ, რამდენად და რა ზომით შეიძლება არსებობდეს კანონით დადგენილი მსგავსი ვითარების შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა. ხშირ შემთხვევა-

<sup>511</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 20.

<sup>512</sup> იხ. იქვე.

<sup>513</sup> იხ. იქვე.

<sup>514</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის N2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „ჯორჯიან მანგანგი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 36.

ში, სახელმწიფოს მიხედულობა მე-14 მუხლის საქმეებში არ არის გამოყენებული. „მიხედულება“, როგორც განსაზღვრება, განმარტებულ იქნა, როგორც „მოძრავი სტანდარტი“, რომელსაც სასამართლო იმისთვის იყენებს, რომ განმარტოს ჩარევის აუცილებლობა, ან სახელმწიფოს მიერ ნაკისრ კოზიტიურ ვალდებულებათა დონე კონვენციით დაცულ უფლებაში. მიხედულება წარმოიშობა კონვენციის დამხმარე ბუნებიდან; პრინციპში, საერთაშორისო ორგანოსთან შედარებით, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები უკეთეს მდგომარეობაში არიან. მათ შეუძლიათ, შეაფასონ საქმის გარემოებები და დაადგინონ ბალანსი საჯარო ინტერესსა და ინდივიდუალურ ინტერესს შორის.<sup>515</sup>

ინფორმაცია უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოს მიერ და არახელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. ეს კრიტერიუმები ინფორმაციამ შეიძლება მაშინაც დააკმაყოფილოს, თუ ის არ არის კლასიფიცირებული, როგორც საიდუმლო ინფორმაცია, არ გაუვლია გასაიდუმლოების არანაირი ოფიციალური პროცედურა. ამერიკის შეერთებული შტატების საქმე შეერთებული შტატები პროგრესივ ინკ.-ის წინააღმდეგ<sup>516</sup>, არის კარგი მაგალითი იმისა, რომ საჯარო სივრცეში არსებული ინფორმაცია შეიძლება იქნეს გამოყენებული ქვეყნისთვის ზიანის მისაყენებლად. პროცედურული საკითხის გამო, ამ საქმეზე არ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა ის საინტერესოა სწორედ იმით, რომ ეხებოდა სტატიას წყალბადის ბომბის მომზადების წესის შესახებ.<sup>517</sup> ინფორმაცია, რომელსაც ავტორი ეყრდნობოდა სტატიის მოსამზადებლად აღებული იყო საჯარო წყაროებიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანს, რომელიც გადაამუშავებს ამ ინფორმაციას, რამაც თვისობრივად შეიძლება შეუცვალოს ინფორმაციას ხასიათი: „თუნდაც ცალკეული ინფორმაცია საჯარო დომენში იყოს, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უნარებს და ექსპერტიზას“<sup>518</sup>, რაც გამოყენებული იქნა ამ სტატიის წერისას. ავტორს სჭირდებოდა მნიშვნელოვანი ექ-

<sup>515</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია: <<http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-21-15-22-36/298-2014-07-01-07-31-30>> [11.08.2020].

<sup>516</sup> United States v. Progressive, Inc., 467 F. Supp. 990 (W.D. Wis. 1979) ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/federal/district-courts/FSupp/467/990/1376343/>> [11.08.2020].

<sup>517</sup> Bomb threats and reports of suspicious items in the Philippines: Spatial and temporal patterns, ხელმისაწვდომია: <[https://www.researchgate.net/publication/276855387\\_Bomb\\_threats\\_and\\_reports\\_of\\_suspicious\\_items\\_in\\_the\\_Philippines\\_Spatial\\_and\\_temporal\\_patterns](https://www.researchgate.net/publication/276855387_Bomb_threats_and_reports_of_suspicious_items_in_the_Philippines_Spatial_and_temporal_patterns)> [11.08.2020].

<sup>518</sup> United States versus Progressive, Inc. 467, F. Supp. 990 (W.D. Wis. 1979), ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/federal/district-courts/FSupp/467/990/1376343/>> [11.08.2020].

პსერტიზა, რომ მიმხვდარიყო რა იყო რელევანტური და რა იყო არარელევანტური ინფორმაცია და ისე შეეჯერებინა მოპოვებული ინფორმაცია. მას სწორი კითხვები უნდა დაესვა და სწორი და განათლებული მიგნებები გაეკეთებინა. სპეციალური განათლების, აზროვნების უნარის და განსაკუთრებული დაჟინებულიობის მქონე ცალკეულ ინდივიდებს არ სჭირდებათ კლასიფიცირებული ინფორმაციის ხელში ჩაგდება დამატებითი ცოდნის მოსაპოვებლად, თუმცაღა ასე ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ იქნებოდა ცხადი სხვებისთვის, რომლებსაც მსგავსი მომზადება ან მოტივაცია არ ქონდათ... ამ სტატიას შეუძლია საკმარისი ინფორმაცია მიანოდოს საშუალო ზომის ქვეყანას, რომ უფრო სწრაფად დაწინაურდნენ წყალბადის ბომბის განვითარების საქმეში.<sup>519</sup> საჯარო წყაროებში არსებული ინფორმაციის გავრცელებაც შეიძლება იყოს ზიანის მომყენებელი ქვეყნის ინტერესებისთვის და სასარგებლო გარეშე სუბიექტებისთვის, რომლებსაც გავლენის მოხდენა შეუძლიათ სახელმწიფოს ინტერესებზე. თუმცა იმავდროულად, იგივე ინფორმაცია შეიძლება სახელმწიფოს დაცვით სარგებლობდეს და არ იყოს ხელმისაწვდომი (იმ სახით როგორც მას კონკრეტული პირი ავრცელებს) საზოგადოებისთვის.

სახელმწიფოს მხრიდან უფლების შეზღუდვისას უნდა დადგინდეს შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლება, თავად ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფორმალური კონსტიტუციური საფუძვლებიდან გამომდინარე. კერძოდ, ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს ჩარევა უშუალოდ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს ან კანონის შესაბამისად სრულდებოდეს. აღნიშნულის საფუძველზე ადამიანის უფლებებში ჩარევა სახელმწიფო მხრიდან იქნება ფორმალურად კონსტიტუციური. რაც შეეხება უშუალო კონსტიტუციურ შეზღუდვის საფუძვლებს, მითითებული თავად განსაზღვრავს უფლებაში ჩარევის წინაპირობებს. უშუალო კონსტიტუციური შეზღუდვის საფუძველზე სახელმწიფოს ადამიანის უფლებებში ჩარევა იქნება ფორმალურად კონსტიტუციური, თუ ეს უკანასკნელი კონსტიტუციაში უშუალოდ განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს.<sup>520</sup> ადამიანის უფლებები, რომლებიც არც კონსტიტუციური და არც უშუალოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ ჩარევებს ექვემდებარება, შეიძლება კონსტიტუციით იმანენტური

<sup>519</sup> შ.3.ს. „თავისუფალი უნივერსიტეტი“-ს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში და ვახტანგ ხმალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: <<http://freeuni.edu.ge/sites/default/files/amikus.pdf>> [11.08.2020].

<sup>520</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში., სტატიათა კრებული ვ. კორველიას რედაქტორობით., თბ. 2002, გვ. 48.

პრინციპებით შეიზღუდოს.<sup>521</sup> როგორცაა მაგალითად, სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სახელმწიფოსა და თავად ადამიანის უფლებების პრინციპები. მოცემულ შემთხვევაში, ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს ჩარევა ფორმალურად იქნება კონსტიტუციური, თუ აღნიშნული კონსტიტუციის იმანენტური პრინციპების კონკრეტიზაციას წარმოადგენს.<sup>522</sup> შესაბამისად, ადამიანის უფლებების შეზღუდვა კონსტიტუციურია, თუ კონსტიტუცია თვითონ იძლევა ასეთი შეზღუდვის კანონისმიერ დათქმას.

## 1. ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე.<sup>523</sup> უფლებების დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება გულისხმობს უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფელი ყველა საჭირო ბერკეტის გარანტირებას, უფლებათა დარღვევის პრევენციის, ასევე, დარღვეული უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების შექმნას.<sup>524</sup> სახელმწიფომ უნდა შექმნას ყველა პირობა ადამიანის უფლებებით სარგებლობისთვის, რომელთა დაცვასა და უზრუნველყოფის აუცილებლობაზე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოები თანაბიარნი არიან, რაც საეჭვოს გახდის ქვეყნის სწრაფვას სამართლებრივი სახელმწიფოსკენ.<sup>525</sup>

ინფორმაციის თავისუფლების და ხელმისაწვდომობის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანის უფლება, მიიღოს

<sup>521</sup> იხ. იქვე.

<sup>522</sup> იხ. იქვე.

<sup>523</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის N2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 2.

<sup>524</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბ. 2017, გვ. 31.

<sup>525</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 3.

სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. აღნიშნული ნორმა ასევე ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი აღიარებს გამოხატვის თავისუფლებას, რაც მოიცავს ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლებას. აღნიშნული ნორმებით გარანტირებული უფლების რეალიზაციის მექანიზმი მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში (ინფორმაციის თავისუფლება).<sup>526</sup>

აღსაღნიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლისა<sup>527</sup> და 2017 წლის 12 ოქტომბრის<sup>528</sup> უპრეცედენტო განჩინებები, როდესაც სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს მოქალაქე ს.გ.-ს კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N864). სარჩელის ფარგლებში სადავოდ იყო გამხდარი იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებითაც სამართალდამცავების მიერ შემაკავებელი ორდერის დისკრეციული წესით გამოცემა იყო დადგენილი, ოჯახში ძალადობის საფუძვლით. 2017 წლის 12 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ ამავე საქმეზე მიიღო განჩინება<sup>529</sup>, რომლითაც საქმე შეწყდა სადავო ნორმების ცვლილების გამო.

სასამართლოს მიერ მიღებულ, მ/აღნიშნულ ორივე აქტში, მოსარჩელის ვინაობა დაშტრიხულია, რის საფუძვლადაც მიჩნეულია ის, რომ სარჩელი შეეხება ოჯახური ძალადობის ფაქტს, ხოლო ვინაობის გასაჯაროვებით მოხდება მოსარჩელის შესახებ სენსიტიური და პირადი ინფორმაციის საზოგადოებისათვის გამჟღავნება. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუ-

<sup>526</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი 3, ინფორმაციის თავისუფლება.

<sup>527</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის N01/760 წერილი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წინაშე, ხელმისაწვდომია: <<https://drive.google.com/file/d/0Bw15WoYsRZ4zSnFFZ0VhSE1Bd1k/view>> [11.08.2020].

<sup>528</sup> იბ. იქვე.

<sup>529</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ს.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია: <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/1-2-864-saqartvelos-moqalae-sg-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>> [11.08.2020].

თითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისთვის დაშვებული გამონაკლისი შემთხვევები.<sup>530</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გიორგი ვერენჩილაძე, აღნიშნულს არ დაეთანხმა და განმარტა, რომ „საქმის დასახელება, მოსარჩელე და მოპასუხე მხარის, საქმის განხილვის მონაწილეობის ვინაობა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის განუყოფელ ნაწილს. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის დევერსონალიზაციის ან მონაცემთა სხვაგვარი დაფარვის შედეგად, ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს სრული ტექსტი ვერ გამოქვეყნდება“ და შესაბამისად, ვერ შესრულდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები. მოსამართლემ მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით. შესაბამისად, მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა ორგანული კანონით და გამოექვეყნებისა განჩინების სრული ტექსტი.“<sup>531</sup> მოსამართლემ აგრეთვე აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკით სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებში მონაცემების დაშტრიხვა არ ხდებოდა და განსახილველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მონაცემების დაშტრიხვისას დაეყრდნო კანონის იმ ნორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული და რომლის კონსტიტუციურობაზეც ამავე კოლეგიამ უნდა იმსჯელოს.<sup>532</sup> ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდმა“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ 2016 წელს N693 და N857 კონსტიტუციური სარჩელებით მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც ადგენს პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის წესსა და საფუძვლებს.<sup>533</sup>

<sup>530</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პერსონალურ მონაცემების დაშტრიხვის წესი პრობლემატურია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ. 2017, ხელმისაწვდომია:

<<https://idfi.ge/ge/rules%20of%20the%20constitutional%20court%20on%20covering%20personal%20data%20are%20problematic>> [11.08.2020].

<sup>531</sup> იხ. იქვე.

<sup>532</sup> ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2016 წლის 22 დეკემბრის N693 და N857 კონსტიტუციური სარჩელები.

<sup>533</sup> იხ. იქვე.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათთვის პრობლემურია ის გარემოება, რომ სასამართლოს აქტის გამოთხოვისას, სადავო ნორმების საფუძველზე, ხდება მასში არსებული ყველა იმ ინფორმაციის დაშიფვრა, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემს მათი აზრით, არსებობს თუ არა აღნიშნული მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაფარვის აუცილებლობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს იმ საქმეში მოცემული პერსონალური მონაცემების დაფარვის ლეგიტიმური ინტერესი, რომლის განხილვაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.<sup>534</sup>

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული და გარანტირებული სასამართლო განხილვების საჯაროობის პრინციპი, თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილების საქვეყნოობასა და საჯაროობის პრინციპსაც, რომელიც არამხოლოდ სასამართლო პროცესზე ფიზიკურად დასწრებას მოიცავს, არამედ აღნიშნული წარმოადგენს პირის უფლებას, სრულიად დაუბრკოლებლად მიიღოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები.

აღსაღნიშნავია ის გარემოებაც, რომ წლების განმავლობაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოებისაგან განსხვავებით, არ ფარავდა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, ხოლო საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, არაერთხელ გამხდარა საზოგადოების მხრიდან კრიტიკის საგანიც.<sup>535</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს უკანასკნელი შეეხება არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევას, ან კონკრეტულ მოსარჩელებს, არამედ პირთა განუსაზღვრელ წრეს და შეიძლება არსებით გავლენასაც ახდენდეს როგორც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, აგრეთვე, ნებისმიერ პიროვნებაზე.

საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, სადაც მოსარჩელები, რომლებსაც არ სურთ ვინაობის გამჟღავნება, თხოვნით მიმართავენ სასამართლოს, რომელიც აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევას და ინდივიდუალურად, საქმიდან გამომდინარე, იღებს

<sup>534</sup> იხ. იქვე.

<sup>535</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი., სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, იხ. <[https://idfi.ge/public/upload/Meri/Projects/courts\\_of\\_general\\_jurisdiction\\_practice\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/Meri/Projects/courts_of_general_jurisdiction_practice_analyses.pdf)> [11.08.2020].

გადაწყვეტილებას პერსონალური მონაცემების დაფარვის თაობაზე.<sup>536</sup> შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, არსებობს შესაბამისი წესები, რომლებიც ემსახურება დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენას.<sup>537</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა პრინციპი, რომ „გარკვეულ შემთხვევებში, პირს გააჩნია მისი პირადი ცხოვრების დაცვისა და პატივისცემის<sup>538</sup> ლეგიტიმური მოლოდინი,“<sup>539</sup> კონკრეტულ შემთხვევებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა, არ შეიძლება გამართლებული იყოს გამოხატვის თავისუფლებაზე მითითებით.<sup>540</sup> საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას განიხილავს, როგორც ორდინალურ საჯარო ინფორმაციას და მასზე ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ზოგადი წესები,<sup>541</sup> თუმცა არ არის გათვალისწინებული მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სასამართლოსადმი ნდობის ლეგიტიმური ინტერესები. საჯარო ინფორმაციის გაცემის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების გამოყენებით მოქმედი კანონმდებლობა იძლევა სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნის შესაძლებლობას. კანონმდებლობით დადგენილია ნორმატიული ბალანსი სამართლებრივ სიკეთეებს შორის და ინდივიდუალურად არ ფასდება თითოეული საქმე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლისა<sup>542</sup> და აღნიშნული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის გამჟღავნებისას, თუ ის იმავდროულად შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, უპირატესობა ენიჭება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გაცემის ზოგად წესს

<sup>536</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, <<https://www.coe.int/ka/web/tbilisi/europeancourtofhumanrights> > [11.08.2020].

<sup>537</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების დაპირისპირების წესი პრობლემატურია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ. 2017, ხელმისაწვდომია:<<https://idfi.ge/ge/rules%20of%20the%20constitutional%20court%20on%20covering%20personal%20data%20are%20problematic> > [11.08.2020].

<sup>538</sup> Jessica Almqvist., Human Rights, Culture, and the Rule of Law., Oxford and Portland, Oregon, 2005, page 3.

<sup>539</sup> Magyar Helsinki Bizottság v. Hungary, 8<sup>th</sup> of November 2016, Case N18030/11.

<sup>540</sup> იხ. იქვე.

<sup>541</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი.

<sup>542</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა ცნება და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით.

განსაზღვრავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი<sup>543</sup>, სადაც დეტალურად არის განწერილი იმ პირთა წრე, რომელთა პერსონალური მონაცემების გამჟღავნება დაუშვებელია, თუმცა ეს უკანასკნელი არ ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,<sup>544</sup> პერსონალური მონაცემის შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების დამუშავება დასაშვებია თუ „კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა“. ხოლო, მითითებული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი<sup>545</sup> ითვალისწინებს, რომ „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების განსაკუთრებული რეჟიმი. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად მონაცემთა სუბიექტისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, მონაცემთა დაცვას ენიჭება უპირობო უპირატესობა სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით.<sup>546</sup> ინფორმაციის თავისუფლება ძლიერი იარაღია საზოგადოებისათვის, რათა მუდმივად შეძლოს კონტროლი სახელმწიფო ხელისუფლების კეთილსინდისიერებისა და ეფექტიანობის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ამ უფლებას, როგორც მისი სხეულის განუყოფელ ნაწილს და როგორც დემოკრატიის ერთ-ერთ გარანტორ ფაქტორს.<sup>547</sup> „საქართველოს კონსტიტუციის მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა“.<sup>548</sup> საკონსტიტუციო სასა-

<sup>543</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

<sup>544</sup> იხ. იქვე., მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>545</sup> „იხ. იქვე., „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>546</sup> სასამართლო გადაწყვეტილებთა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, თბ. 2016, ხელმისაწვდომია: <[https://idfi.ge/ge/access\\_to\\_court\\_decisions\\_in\\_georgia\\_analyses\\_of\\_general\\_courts\\_practices](https://idfi.ge/ge/access_to_court_decisions_in_georgia_analyses_of_general_courts_practices)> [11.08.2020].

<sup>547</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, თბ. 2011, გვ. 22.

<sup>548</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II, პარ.13.

მართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, განმარტა, რომ ინფორმაციის თავისუფლება არის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, რომელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის“.<sup>549</sup> აღნიშნული ჩანაწერით, სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული ნორმა იცავს კერძო პირებთან დაცული ინფორმაციის გავრცელებისა და მოპოვების შესაძლებლობას.<sup>550</sup> „ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება, რადგანაც ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა“.<sup>551</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სახალხო დამცველის საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობას და ამომწურავად განსაზღვრა შემდეგი: „ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დოსკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუციელებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის.“<sup>552</sup> შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის გამოვლინებას,

---

<sup>549</sup> იხ, იქვე.

<sup>550</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, თბ. 2011, გვ. 24.

<sup>551</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 13.

<sup>552</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 10.

რომელიც გამოიხატება ინფორმაციის მუდმივი მოძრაობით, ღიაობითა და საყოველთაო ჩართულობით.<sup>553</sup>

პირველი საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, იყო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>554</sup> კერძოდ, გადანყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ „სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე, არ შეიძლება შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დაწესებით.“<sup>555</sup>

ნიშანდობლივია, ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“-ს 2016 წლის 23 ივნისის „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრება სასამართლო ატების ხელმისაწვდომობის საკითხზე.<sup>556</sup> კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მონაცემთა (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები) დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროვება და მესამე პირისათვის გადაცემა“, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე, თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა“. აღნიშნული ნორმები პრაქტიკაში გამოიყენება იმგვარად, რომ შეუძლებელი ხდება სასამართლო გადანყვეტილების ასლის მიღება მაშინაც კი, როდესაც საქმის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი. საინტერესოა ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი გადანყვეტი-

<sup>553</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში., თბ. 2011, გვ. 23.

<sup>554</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>555</sup> იხ, იქვე.

<sup>556</sup> ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინის ცენტრი (EMC)“ სასამართლო მეგობრის მოსაზრება საქმეზე, ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015 წლის 20 ნოემბრის N693 სარჩელზე, ხელმისაწვდომია: <[https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc\\_amicus.pdf](https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc_amicus.pdf)> [11.08.2020].

ლება, როდესაც სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა კონკრეტული ფიზიკური პირების შესახებ (სახელისა და გვარის მითითებით) განაჩენის ასლები და სასამართლომ გასცა ინფორმაცია განცხადებაში მითითებული პირების შესახებ. ინსპექტორის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას კანონის დარღვევით.<sup>557</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპრატის განმარტებით, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება საჭიროებს პირის წერილობით თანხმობას და მიუხედავად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თანამდებობის პირთა შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მათი თანხმობის გარეშე გასაჯაროების შესაძლებლობას.<sup>558</sup> ა(ა)იპ „მედიის განვითარების ინსტიტუტი“ კი, არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით აღნიშნული მუხლების ნორმატიული შინაარსი, წინააღმდეგობაში მოდის იმ სტანდარტებთან, რაც სასამართლო სხდომების საქვეყნოობასთან არის დადგენილი.<sup>559</sup> მოცემულ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება,<sup>560</sup> რომელიც საქმის განხილვის საქვეყნოობასა და სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებას ითვალისწინებს. აღნიშნული უფლების დიდ მნიშვნელობასა და მის ფუნდამენტურობას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა, სწორედ აღნიშნულ მუხლს შეეხება. „სასამართლო, ინტერპრეტაციის გარეშე, როგორც ეს ვენის კონვენციის 32-ე მუხლით არის განსაზღვრული, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს ნებისმიერი პირის „უფლებას სასამართლოზე“, რომელიც მოიცავს სასამართლოსადმი ხელმისაწ-

<sup>557</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2015 წლის ანგარიში., გვ. 27. ხელმისაწვდომია: <[http://manage.personaldata.ge/res/docs/Angarishi%202015/Angarishi\\_2015\\_.pdf.pdf](http://manage.personaldata.ge/res/docs/Angarishi%202015/Angarishi_2015_.pdf.pdf)> [11.08.2020].

<sup>558</sup> იხ. იქვე., გვ.24.

<sup>559</sup> ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის 2016 წლის 23 ივნისის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე, „მედიის განვითარების ფონდი“ საქართველოს პარლამენტი წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: <<https://emc.org.ge/ka/products/emc-m-sakonstitutsio-sasamartlos-tsarudgina-sasamartlos-megobris-mosazreba-sasamartlo-aktebis-khelmisatsvdomobaze>> [11.08.2020].

<sup>560</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის მე-6 მუხლი. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

ვდომობას“.<sup>561</sup> სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. შესაძლებელია დადგინდეს გარკვეული შეზღუდვები სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვები არ უნდა აყენებდეს ზიანს თავად ხელმისაწვდომობის უფლების ძირითად არსს,<sup>562</sup> უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ მიზანს და უნდა იყოს პროპორციული.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება და ინფორმაციის თავისუფლება კონკურირებადი უფლებებია. თუ რომელს ენიჭება უპირატესობა, კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური შეფასების საგანია, რაც შეუძლებელია პროპორციულობის ტესტის გარეშე, რომლის საფუძველზეც დგინდება ზარალის ოდენობა, ერთის მხრივ საზოგადოებისა, ხოლო მეორეს მხრივ, იმ კონკრეტული პირისა, რომლის ინფორმაციაც ვრცელდება.<sup>563</sup>

უპრეცედენტო გადანყვეტილება მიიღო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 7 ივნისს საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სადავო რეგულაცია ზღუდავდა საჯარო ინფორმაციაზე, მათ შორის, ღია სხდომაზე მიღებულ სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობას იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომლის განხილვა მიმდინარეობდა თითქმის 4 წლის განმავლობაში. სადავო ნორმები არეგულირებდა პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობას, სადაც განსხვავებული იყო ორი კატეგორიის პერსონალური მონაცემები: პერსონალური მონაცემები და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი. განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება ძირითადად სისხლის სამართლის საქმეები. პერსონალური მონაცემების მიღების ნაწილში უნდა მომხდარიყო დასაბუთება და აუცილებელი იყო მომეტებული საჯარო ინტერესი, ხოლო, განსაკუთრებული კატეგორიის შემთხვევაში, აუცილებელია პირის თანხმობა.

დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის

<sup>561</sup> Golder v. the United Kingdom., ECHR 21 Feb, 1975. ხელმისაწვდომია: <<https://swarb.co.uk/golder-v-the-united-kingdom-echr-21-feb-1975/>> [11.08.2020].

<sup>562</sup> Winterwerp v. the Netherlands., ECHR 24 Oct, 1979. ხელმისაწვდომია: <<https://swarb.co.uk/winterwerp-v-the-netherlands-echr-24-oct-1979/>> [11.08.2020].

<sup>563</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, თბ. 2011, გვ. 33.

კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა.“ ხოლო, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.“ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტი კი არეგულირებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ალტერნატივას. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 41-ე მუხლს, აღნიშნული ითვალისწინებს „საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“ ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუცია 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, მითითებული 41-ე მუხლი, იდენტური შინაარსით გახდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომელსაც დაემატა ჩანაწერი „ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.“ ამ ჩანაწერით ფაქტობრივად დეტალურად განიმარტა და კიდევ უფრო გამყარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. მოცემულ საქმეში, ერთმანეთს შეუპირისპირდა ინფორმაციის თავისუფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, რაც ჩემი საკვლევი თემის არსებით კომპონენტს შეადგენს. ინფორმაციის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, ხოლო უფლებაში ჩარევისთვის აუცილებელია არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, აუცილებლად უნდა იყოს გამოსადეგი, კერძოდ, რამდენად იძლევა სადავო შეზღუდვა ლე-

გითმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, უდავოდ უნდა იყოს აუცილებლობა, უფლების შემზღუდველი ღონისძიების მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდველი საშუალება. აუცილებლად უნდა იყოს პროპორციული ვინრო გაგებით. ჩემი უფლება, რომ არ გახდეს პერსონალური მონაცემი საჯარო არ არის აბსოლუტური უფლება, ეს უკანასკნელიც, შესაძლოა თავისუფლად შეიზღუდოს.

ყველა ჩარევა არ არის არაკონსტიტუციური. მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება ინდივიდის უფლება პერსონალური მონაცემების დაცვაზე და სახელმწიფო, დემოკრატიული, გამჭვირვალე მმართველობის, სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიული მმართველობის ძალიან მნიშვნელოვანი ინტერესი, რომელიც გადის ვინრო მიზნებს და არის უფრო გლობალური ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. რის კები დადევვა, რომ სახელმწიფო რესურსები არ იქნეს არამიზნობრივად, გადამეტებულად ბოროტად გამოყენებული. ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემაკავებელი არის საზოგადოების კონტროლი. მე საზოგადოების წევრს მაქვს უფლება მოვისმინო, მაგრამ აგრეთვე მაქვს უფლება მივიღო და შევამოწმო რიგი სახელმწიფო აქტები, რომ ჩემი როგორც საზოგადოების წევრის ინფორმირებულობის ხარისხი იყოს მაღალი. ჩარევა და უფლების შემზღუდვა არის საკმაოდ დაბალი სტანდარტი. უფლებაში ჩარევა გვაქვს ყველა შემთხვევაში. 2007 წლამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პერსონალური ინფორმაცია არის „ტაბუ დადებული“ თემა, ის არ წამოადგენს საჯარო ინფორმაციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2018 წელს მიღებული გადაწყვეტილებით<sup>564</sup> შეცვალა პრაქტიკა და თქვა, რომ როგორც პირველი უფლება საჯარო ინფორმაციის მიღებისა, ისე პერსონალური ინფორმაცია შეიძლება შეიზღუდოს. საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება მოიცავს მათ შორის საჯარო დაწესებულებაში დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. სახელმწიფო ნებისმიერ აქტში დაცული პერსონალური მონაცემები, არ არის გაცემული იმ საფუძვლით, რომ სახელმწიფო იცავს ადამიანს პერსონალური მონაცემების გაცემისგან, თუმცა აღნიშნულის გამოსადეგობა სათუთა. ერთია და ცალკე მოცემულობაა საჯარო სხდომა და მეორეა სხდომის შედეგად მიღებული აქტი. სხდომა არის გარკვეულ წილად იმ წუთიერი მიუხედავად მედიის დასწრებისა და სხვ. განსხვავებულია მასშტაბები. ამასთან,

<sup>564</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უნდა დგინდებოდეს გამოსადეგობა რომ დააკმაყოფილოს არ არის აუცილებელი სრულად აღწევდეს მიზანს, რომელიც უდავოდ უნდა იყოს დაცული. ღონისძიება, ანუ შეზღუდვა მიმართულია იმისკენ რომ დაიცვას მიზანი – პერსონალური მონაცემი, ამ ღონისძიებამ შესაძლოა ყოველთვის მიზანს ვერ მიაღწიოს, თუმცა არის ლოგიკურ, რაციონალურ კავშირში ერთმანეთთან. სასამართლოგან მიღებული აქტი სარგებლობს ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხით, ავტორიტეტული და სარწმუნო დოკუმენტია. ინტენსივობა განსხვავებულია. აუცილებლობის ეტაპი გულისხმობს, რომ ყველაზე ნაკლები ინტენსივობით უნდა მიზღუდავდეს მე ინფორმაციის მიღებას და აუცილებლად უნდა იყოს მიზანთან ახლოს. პერსონალური ინფორმაციის დაცვით, სახელმწიფო იცავს ინდივიდის უფლებებს. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ ახორციელებს, ის იცავს ვერძო პირის ინტერესებს. აღარ არსებობს სიკეთე, რომელსაც სახელმწიფო იცავს პერსონალური მონაცემის დაპტრისხით. მეორე მხარეს არ გვაქვს პირის ინტერესი პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. შესაბამისად, ეს არის უფრო ართო შეზღუდვა, ვიდრე პირს გააჩნია დაფარვის ინტერესი. იმ შემთხვევაში, თუ პირს აქვს ინფორმაციის დაფარვის ინტერესი, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ნაკლებად მზღუდავი საშუალება. რა მოცულობითაც ვიღებ ინფორაციას, იმ ინტენსივობით იზღუდება პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება. ვინრო პროპორციულობის ეტაპზე სასამართლომ გადანწყვეტილებით გამოყო, სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესი. სასამართლოს აქტების მიმართ არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი საჯარო ინტერესი. სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს მართლმსაჯულებას. გამჭვირვალე მართლმსაჯულება ემსახურება საზოგადოების მხრიდან სანდოობას. დახურულ ვარს მიღმა საზოგადოების ნდობა არ იარსებებს, ვინაიდან არ ეცოდინებათ თუ რა ხდება ვარს მიღმა. საზოგადოებას უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აკონტროლოს სასამართლო ხელისუფლება, რაც ერთგვარ შეკავების ბერკეტს წარმოადგენს სასამართლოსთვის, გადანწყვეტილების მიღების ეტაპზე. საზოგადოების მხრიდან უნდა ხდებოდეს ზედამხედველობა სასამართლოს საქმიანობაზე. აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს ნაწილიც. საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლების კონტროლი მოსამართლის საქმიანობაზეც აისახება, რადგან გადანწყვეტილება მეტად დასაბუთებულია, როდესაც შესაძლებლობა იქნება გადანწყვეტილების ხელმისაწვდომობა. პარლამენტის მიერ მიღებული ნორმას საბოლოოდ ადგენს სასამართლო, ნორმის მოქმედების ფარგლებს, რადგან თავად ნორმას პრაქტიკაში იყენებს სა-

სამართლო. ამასთან, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს სავალდებულო ძალა. შესაძლებელია ნორმა არ იყოს ცხადი. ნორმის ბუნდოვნებაში იგულისხმება ის, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია არაერთგვაროვნად. სასამართლო ნორმის განმარტებით გვეუბნება, თუ რა შინაარსი შესძინა ან ნორმას. ყველა დეტალი რომ იყოს კანონში გფანერილი ბუნდოვანების პრობლემა იქნებოდა მოხსნილი. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია მოსამართლეს ჰქონდეს გარკვეული თავისუფლება.

## 2. სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობის შემზადვის ლეგიტიმური მიზანი

უფლების შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უფლების შემზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას უკავშირდება.<sup>565</sup> სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობის შემზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუ არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის. აღნიშნულით კი ილახება სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება და ფაქტობრივად ქრება საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ. სასამართლოს ხელმისაწვდომობა მოიცავს როგორც სასამართლოს ფორმალურ ხელმისაწვდომობას, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას. საქმეზე „კლოდ რეიესი და სხვები ჩილეს წინააღმდეგ“ სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების განხორციელება აუცილებელია მაქსიმალურად გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, რაც ადგენს პრეზუმფციას, რომ ყველა ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ექვემდებარებოდეს მხოლოდ გამონაკლისთა შემზღუდულ სისტემას. ეს შემზღუდვები კი, უნდა შეესაბამებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს და აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში“.<sup>566</sup>

სასამართლო პროცესზე, ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შე-

<sup>565</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <[http://constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=22&id=810&action=show](http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=810&action=show)> [11.08.2020].

<sup>566</sup> Inter-American Court of Human Rights Case of Claude-Reyes et al. v. Chile Judgment of September 19, 2006. ხელმისაწვდომია: <[http://www.corteidh.or.cr/docs/casos/articulos/seriec\\_151\\_ing.pdf](http://www.corteidh.or.cr/docs/casos/articulos/seriec_151_ing.pdf)> [11.08.2020].

იძლება არ დაუშვან დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.<sup>567</sup> აღნიშნული ჩანაწერით დგინდება, რომ მიუხედავად პროცესის მონაწილე პირების სასამართლო პროცესზე იდენტიფიცირებისა, აღნიშნული თავისთავად არ გულისხმობს მათი პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას. ინფორმაციის თავისუფლება მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც წარმოადგენს პიროვნებისა და საზოგადოების ინფორმირებულობას სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების შესახებ. სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს სამართლებრივი პოლიტიკა და შექმნას შესაბამისი აქტები აღნიშნული უფლებების განსახორციელებლად. სულ მცირე, მან უნდა შექმნას ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობის გარანტიები.<sup>568</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. ეს არის ნორმა, რომელის კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციის ფილტრის“ დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის. გამოხატვის თავისუფლება ადამიანის არსებობის თანმდევ, განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლს<sup>569</sup> ძალიან ფართო და მრავალმხრივი შინაარსი აქვს. თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს.“<sup>570</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის

<sup>567</sup> ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“-ს 2016 წლის 23 ივნისის „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხზე, ხელმისაწვდომია: <[https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc\\_amicus.pdf](https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc_amicus.pdf)> [11.08.2020].

<sup>568</sup> ავტორთა კოლექტივი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბ. 2013, ხელმისაწვდომია: < [http://www.library.court.ge/upload/Constitution\\_Commentary\\_Human\\_Rights.pdf](http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf)> [11.08.2020]

<sup>569</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

<sup>570</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 3.

შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის როგორც არაერთ ზ/მოყვანილ სასამართლო გადაწყვეტილებასთან, არამედ საფრთხეს უქმნის დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების არსებობას, რადგან შეუძლებელს ხდის საზოგადოების ინფორმირებას, დისკუსიასა და ღია მსჯელობას ისეთ საკითხებზე, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს. შეუძლებელი ხდება საზოგადოებაში დისკუსია და ამრთა მიმოცვლა საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე, მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ხარვეზებზე და სხვ., რაც დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის. ინფორმაციის მიღების უფლების ამგვარი შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არათანაბომიერ საშუალებას წარმოადგენს, რადგან არ ტოვებს შესაძლებლობას შეფასდეს საჯარო ინტერესის არსებობა ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის მყარი გარანტიების შექმნის მიზნით. საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,<sup>571</sup> სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელობაზე, როგორც ადამიანებისათვის, ასევე, საზოგადოებისათვის<sup>572</sup> და განმარტა: „ეს უფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის.“<sup>573</sup> „თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას, მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირებას, რაც საზოგადოების არსებობის თანმდევი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომლის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ყველას გააჩნია. ადამიანი წარმოადგენს თავისუფალი ღირსების მქონე არსებას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ძირითადი მიზანია, დაიცვას ინდივიდი

<sup>571</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 2.

<sup>572</sup> ერემაძე ე., „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში“, თბ.2018, გვ. 163.

<sup>573</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 2.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული თვითნებური ჩარევისაგან.<sup>574</sup> პირადი ცხოვრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს „დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი და პროპორციული გზით მოხდება.“<sup>575</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით არ არის დასახელებული პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები,<sup>576</sup> არ ნიშნავს იმას, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფუნდამენტური ასპექტები აბსოლუტურია და შეზღუდვას არ ექვემდებარება. შესაბამისი ლეგიტიმური მიზნების არარსებობის პირობებში, უფლების შეზღუდვა, თუნდაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას, წარმოადგენს უფლებაში თვითნებურ ჩარევას.<sup>577</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დანაშაულის თავიდან აცილება ემსახურება ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვას, რაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა.“<sup>578</sup> უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლებზე საუბრისას, სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ უფლებაზე, რომ-

<sup>574</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 15.

<sup>575</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 აპრილის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ა(ა)იპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ა(ა)იპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 28.

<sup>576</sup> ერემაძე ქ., „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში“, თბ.2018, გვ. 171.

<sup>577</sup> იხ. იქვე., გვ. 172.

<sup>578</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/2/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 9.

ლის თანახმადაც, უფლებებში ჩარევა დასაშვებია, როდესაც ეს აუცილებელია: „დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“<sup>579</sup> სასამართლომ, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აგრეთვე მიუთითა, რომ: „თვალსაჩინო უნდა იყოს საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობა. შესაბამისად, კანონმდებლობა ადეკვატური მექანიზმებით უნდა ქმნიდეს ისეთ ვითარებას, რომ საჯარო ინტერესების მისაღწევად უფლებებში ჩარევა ხდებოდეს მხოლოდ რეალური აუცილებლობის შემთხვევაში.“<sup>580</sup> უფლებებში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ის, რომ გამოირიცხოს ხელისუფლების თვითნებობა, შეცდომა თუ ცდუნება, ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში მაშინ, როდესაც ამისთვის ობიექტური საფუძველი და უკიდურესი საჭიროება არ არსებობს.<sup>581</sup> სასამართლო წარმოადგენს იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომელმაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოახდინოს შეფასება რომელიმე უფლებებრივი კომპონენტის შესაზღუდად. ვინაიდან, უფლების შეზღუდვა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ გარანტს წარმოადგენს როგორც თავად უფლების დაცვის, ასევე, კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებისათვის, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისთავად სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა, აპრიორი, უფლებებში თანაბომიერ ჩარევას არ გულისხმობს.<sup>582</sup> მნიშვნელოვანია, რომ უფლებებში ჩარევა არ მოხდეს კონსტიტუციური გარანტიის იგნორირებით.<sup>583</sup> ხელისუფლებამ არ უნდა იმოქმედოს

<sup>579</sup> იხ. იქვე. იხ. აგრეთვე., ერემადე ქ., „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში“, თბ.2018, გვ. 172.

<sup>580</sup> იხ. იქვე., გვ. 173.

<sup>581</sup> იხ. იქვე., გვ. 178.

<sup>582</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 24.

<sup>583</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ა(ა)იპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ა(ა)იპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 43.

კონსტიტუციის მოთხოვნების უგულებელყოფით.<sup>584</sup>

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, უფლებაში ჩარევა გადაუდებელი აუცილებლობის კონკრეტული რეგლამენტაციის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ ვანონმდებელს. „გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს დროის სიმცირეს.“<sup>585</sup> სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხე იზრდება, თუ პირად ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა არ არის დაბალანსებული კონტროლის სათანადო და საკმარისი მექანიზმებით.<sup>586</sup>

### 3. თანაზომიერების პრინციპი, როგორც კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმი

„თანაზომიერების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს, მისი ძირითადი დატვირთვა არის ადამიანის უფლებების შეზღუდვისას სახელმწიფოს ფარგლების განსაზღვრა, უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ განონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმი. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.“<sup>587</sup> საქართველოს კონსტიტუციაში თანაზომიერების პრინციპი ცალკე ნორმად არ არის განმტკიცებული, თუმცა მას კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპად აღიარებენ.<sup>588</sup>

<sup>584</sup> ერემაძე ქ., „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში“, თბ.2018, გვ. 180.

<sup>585</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 26.

<sup>586</sup> ერემაძე ქ., „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში“, თბ.2018, გვ. 184.

<sup>587</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>588</sup> იზორია ლ., ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, 2002 წ, გვ. 43.

იგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.<sup>589</sup> თანაზომიერების პრინციპი გერმანიაში კონსტიტუციური მნიშვნელობის დასაბუთების თვალსაზრისით, ადმინისტრაციული სამართლიდან კონსტიტუციურ დონეზე იქნა აყვანილი.<sup>590</sup> გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად, ცალსახად აღნიშნა, რომ თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციაში განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ძირითადი კონსტიტუციური უფლებების არსიდან გამომდინარეობს,<sup>591</sup> რომელიც სამართლის პრინციპს წარმოადგენს.<sup>592</sup> თანაზომიერების პრინციპი არის ლიბერალური სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მონაპოვარი, რომელიც იცავს მოქალაქეს სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევისაგან და აგრეთვე სხვა მოქალაქეების მხრიდან მისი უფლებების ხელყოფისგან.<sup>593</sup> თანაზომიერების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს, მისი ძირითადი დატვირთვა არის ადამიანის უფლებების შეზღუდვისას სახელმწიფოს ფარგლების განსაზღვრა, უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ განონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.<sup>594</sup> თანაზომიერების პრინციპით სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შედარებისთვის გასაანალიზებელია შეზღუდვის დასაშვებობის, აუცილებლობის, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პროპორციულობის საკითხები. კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად კანონმდებელმა უფლებაში ჩარევის თანაზომიერი გზა უნდა აირჩიოს. ამისთვის კი კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს

<sup>589</sup> Bleckmann, Begründung und Anwendungsbereich des Verhältnismäßigkeitsprinzips, JuS 1994, S. 178.

<sup>590</sup> იზორია ლ., ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, 2002 წ, გვ. 44.

<sup>591</sup> იხ. იქვე., გვ. 45.

<sup>592</sup> Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, DVBl 1985, S. 98.

<sup>593</sup> განერელია ა., გეგენავა დ., კობახიძე ი., და სხვ. ავტორთა კოლექტივი., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, თბ. 2016, გვ. 32.

<sup>594</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული.<sup>595</sup> კანონმდებელი ვალდებულია, უფლებაშემზღუდველი ნორმების დადგენისას, დაიცვას გონივრული ბალანსი მისაღწევ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის, რათა ადამიანის უფლება იმაზე მეტად არ შეიზღუდოს, ვიდრე ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური უფლებების არსებობა მხოლოდ ფორმალურ, დეკლარაციულ ხასიათს შეიძენდა.<sup>596</sup> ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია ნორმის შემდგომი შემოწმების გარეშე.<sup>597</sup> კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაციით ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს, ანუ ის (რეგულაცია) რეალურად უნდა იყოს ორიენტირებული ლეგიტიმური მიზნის დაცვასა და უზრუნველყოფაზე, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის, მისაღებ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების,<sup>598</sup> ინტერესების უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირად მიადგება ზიანი როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესებს.<sup>599</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის არა მხოლოდ გამოსაღებ, არამედ ყველაზე ნაკლებად მზღუდველ, თანაბომიერ საშუალებასაც.<sup>600</sup> შესაბამისად, ყოველ

<sup>595</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 27.

<sup>596</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 7.

<sup>597</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 27.

<sup>598</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 10.

<sup>599</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 30.

<sup>600</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 18.

კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ არ არსებობს სხვა უფრო ნაკლებად მზლუდველი ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.<sup>601</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ვვალება, რომ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის კონფლიქტის დროს, გაავლოს ზღვარი, რომელიც ამ ინტერესებს შორის კონსტიტუციურ ბალანსს ასახავს.<sup>602</sup> სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და, იმავდროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება, მხოლოდ ასეა შესაძლებელი როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არცერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე. ამასთან, ადამიანის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. როდის, როგორ და რა ინტენსივობით შეუძლია სახელმწიფოს, ჩაერიოს ადამიანის თავისუფლებაში ისე, რომ ეს ჩაითვალოს აუცილებელ ჩარევად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამისთვის სამართლებრივ საფუძველს და შეფასების მასშტაბს კონსტიტუცია იძლევა, პირველ რიგში, ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები და თავად უფლებების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური ნორმები. სწორედ აქ არის მოცემული კერძო და საჯარო ინტერესების თანათარდობის განსაზღვრის დასაშვები ფარგლები.<sup>603</sup> საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის შინაარსის გარკვევის პროცესში, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი დროში მოქმედების ფარგლები. წესი, რომელიც მოქმედებს შემზღუდული ვადით, შესაძლებელია ინვევდეს უფლების იმაზე ნაკლები ინ-

<sup>601</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 44.

<sup>602</sup> იხ. იქვე.

<sup>603</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 29.

ტენსივობით შეზღუდვას, ვიდრე მუდმივად მოქმედი წესი. ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმით დადგენილ ქცევის წესს, თუმცა დროებითი ხასიათი აქვს, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც იქნეს განხილული როგორც ისეთი განსხვავებული ნორმატიული მოცემულობა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჭიროებს ახალი პროცესის ფარგლებში არსებით განხილვას. მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც განუსაზღვრელი ვადით ითვალისწინებდა რომელიმე უფლების შეზღუდვას და მიუთითა, რომ ნორმის არაკონსტიტუციურობას იწვევდა პირის უფლებაში ჩარევის მომეტებული ინტენსივობა, რაც განპირობებულია სწორედ უფლების განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ მიღებული ქცევის იგივე წესის შემცველი ნორმა, რომელიც განსაზღვრელი ვადით მოქმედებს, შეიძლება შეფასდეს როგორც განსხვავებული ნორმატიული მოცემულობა, რომელიც ავტონომიურად საჭიროებს არსებით განხილვას. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პირის უფლების შემზღუდველი ნორმატიული რეგულირება ლოგიკურად არ უკავშირდება დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მისი მიღწევის საშუალებას, პირის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ხარისხს, ნორმის კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, არ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა. ასეთი ნორმა, პირის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის შეფასების გარეშე, უკვე არაკონსტიტუციურია. უფლების შემზღუდველი ნორმატიული აქტის მოქმედების ვადას, არც იმ შემთხვევაში აქვს არსებითი მნიშვნელობა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კონსტიტუციური უფლების დარღვევა გარდაუვალია სადავო ნორმით უფლებაში ჩარევის ინტენსივობის მიუხედავად.<sup>604</sup> უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაბრობიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.<sup>605</sup> კონსტიტუცია ასევე მოითხოვს, რომ შეზღუდვა იყოს ვიწროდ პროპორციული, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არ განხორციელდეს უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე,

<sup>604</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 47.

<sup>605</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეივე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

უფლებისათვის მიყენებული ზიანი არ უნდა აღემატებოდეს იმ ინტერესს, რომლის დაცვისათვისაც ის იზღუდება. სწორედ თანაზომიერების პრინციპი უზრუნველყოფს ერთის მხრივ, თავისუფლების და, მეორეს მხრივ, თავისუფლების შეზღუდვის ერთგვარ განონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და ადამიანის უფლებების ზომაზე მეტად შეზღუდვას კრძალავს.<sup>606</sup> ამდენად, თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებების ფორმალური შეზღუდვის მატერიალური სისწორის კონსტიტუციური საზომი და კრიტერიუმი. კონსტიტუციური კონტროლის თვალსაზრისით, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>607</sup> თანაზომიერების პრინციპზეა დამოკიდებული ადამიანის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლება. აღსაღნიშნავია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის განჩინება<sup>608</sup>, რომედესაც სასამართლოს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 31 დეკემბრის N733 ბრძანებულების კონსტიტუციურობა უნდა დაედგინა, რომლის მიხედვითაც, ალექსანდრე ჭავჭავაძის პარკისა და სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამთავრობო რეზიდენციის შენობა-ნაგებობები და ღვინის ქარხანა, რომელიც ვერძო საკუთრება იყო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლად გამოცხადდა. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა, ღვინის ქარხნის შენობის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მოქცევის შესაძლებლობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბრძანების ფორმალური კონსტიტუციურობის გარკვევით შემოიფარგლა ხოლო საფუძვლის მატერიალური სისწორე, ყურადღების მიღმა დატოვა. თანაზომიერების პრინციპის, როგორც კონსტიტუციური კონტროლის მნიშვნელობა სწორედ მატერიალური სისწორის დადგენაში მდგომარეობს, რომელმაც ნორმატული აქტის შინაარსის კონსტიტუციურობა უნდა უზრუნველყოს. მოცემულ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანაზომიერების პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა და ბრძანებულების სამართლიანობა დაედგინა. იმ შემთხვევაში თუ საკონსტიტუციო სასამართლო ღვინის ქარხანას კულტურულ ღირებულებას დაასაბუთებდა, მაშინ თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, ქარხნის მესაკუთრის შეზღუდვის მოცულობა სწორედ ვერძო და საჯარო ინტერესების თანაზომიერ შეფარდებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

<sup>606</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბ. 2002, გვ. 50.

<sup>607</sup> იხ იქვე.

<sup>608</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის N2/85/1 განჩინება.

### 3.1. გამოსადეგობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის არა მხოლოდ გამოსადეგ, არამედ ყველაზე ნაკლებად მზღუდველ, თანაბომიერ საშუალებასაც.<sup>609</sup> თანაბომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაბომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.<sup>610</sup>

სადავო ნორები უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის ელემენტს, ვერძოდ, უნდა ხდებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნების მიღწევა, რომლის მიღწევასაც ისინი რეალურად ემსახურება. ამ უკანასკნელის იდეალური პრაქტიკული რეალიზაცია მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ მხოლოდ შესაბამისი, გამოსადეგი ღონისძიებები იქნება გამოყენებული. რა დროსაც, არსებითი დატვირთვის მატარებელია სასამართლოს შეფასება. ვერძოდ, ყოველ განსახილველ საქმეზე რამდენად იქნება გამოყენებული, შეფასებული და ყურადღება გამახვილებული გამოსადეგობის ელემენტზე. შესაბამისად, სასამართლოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი კავშირი თითოეულ საქმეზე, დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

გამოსადეგობის მოთხოვნების უგულებელყოფასთან მაშინ კი არ გვაქვს საქმე, როდესაც პირის მიერ უფლებით სარგებლობა საფრთხეს არ უქმნის ლეგიტიმურ საჯარო მიზანს, არამედ მაშინ როდესაც პირის ქმედებიდან ასეთი საფრთხის მოლოდინი არსებობს, მაგრამ სახელმწიფოს მიერ უფლებაშემზღუდველი ნაბიჯები საზოგადოებას ვერ აცილებს ამ საფრ-

<sup>609</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 31.

<sup>610</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეივე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 60.

თხეს.<sup>611</sup> აღნიშნულის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „მარიხუანის დეკრიმინალიზაცია“, <sup>612</sup> სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „მარიხუანის მოხმარების ინდივიდუალური შემთხვევების დასჯადობა ვერ იქნება განხილული როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ვარგისი საშუალება.“<sup>613</sup> გადაწყვეტილების ლოგიკის მიხედვით მარიხუანას მოხმარება არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, შესაბამისად, არ არსებობს მისი სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების „ლეგიტიმური საჯარო მიზანი“.<sup>614</sup> ფაქტობრივად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მიზნის მიღწევის საშუალებანი გამოუსადეგარი იყო. ამგვარად, სასამართლომ შეცდომა დაუშვა „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ „ლეგიტიმური საჯარო მიზნის“ განხილვისას და „გამოსადეგობის“ საფეხურზე ჩააგდო, მაშინ როცა, ის საერთოდ არ არსებობდა. მოცემულ საქმეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად ღიად დატოვა გამოსადეგობის ეტაპი. უფლების შეზღუდვა გამოუსადეგარი ინსტრუმენტით შემდგომში საჯარო მიზნის მისაღწევად წარმოადგენს ამ უფლების დარღვევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ თითოეული ღონისძევა უნდა იყოს მიზნის მიღწევის გამოსადეგი, ეფექტური და უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება. ნებისმიერი შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს. თანაზომიერების პრინციპის უმთავრესი მოთხოვნაა, რომ ვანონის ნორმა იმ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი საშუალება იყოს რომლის მისაღწევადაც არის შემოღებული.<sup>615</sup>

<sup>611</sup> მენაბდე ვ., რა მიმართულებებს აძლევს ნარკოპოლიტიკას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <[https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/rule\\_of\\_law/marijuana\\_court\\_decision\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/marijuana_court_decision_analyses.pdf)> [11.08.2020].

<sup>612</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

<sup>613</sup> იხ. იქვე., II, პარ. 37.

<sup>614</sup> მენაბდე ვ., რა მიმართულებებს აძლევს ნარკოპოლიტიკას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <[https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/rule\\_of\\_law/marijuana\\_court\\_decision\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/marijuana_court_decision_analyses.pdf)> [11.08.2020].

<sup>615</sup> საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით მონაწილეობისათვის დადგენილ ბინადრობის ცენზს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, თბ. 2015. ხელმისაწვდომია: <[http://www.gyca.ge/ge/page/news\\_item/saqartvelos-axalgazrda-konstitucionalistta-asociacia-adgilobriv-tvitmmartvelobis-organoebis-arcevnebsi-pasiuri-saarcevno-uflebit-monawileobisatvis-dadgenil-binadrobis-cenzs-arakonstituciurad-miicnevs-17-03-2015](http://www.gyca.ge/ge/page/news_item/saqartvelos-axalgazrda-konstitucionalistta-asociacia-adgilobriv-tvitmmartvelobis-organoebis-arcevnebsi-pasiuri-saarcevno-uflebit-monawileobisatvis-dadgenil-binadrobis-cenzs-arakonstituciurad-miicnevs-17-03-2015)> [11.08.2020].

### 3.2. აუცილებლობა

კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. „თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, გამოსადეგობასთან ერთად, შერჩეული ღონისძიება აუცილებლობის მოთხოვნასაც უნდა აკმაყოფილებდეს.“<sup>616</sup> სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ ის, მართალია, ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებას არ წარმოადგენს. როგორც კანონის სიცხადე და ეფექტიანობა მისი კონსტიტუციურობის გარანტია ყოველთვის ვერ იქნება, ასევე არასწორია იმის მტკიცება, რომ კანონი მხოლოდ იმიტომ შეიძლება იყოს არაკონსტიტუციური, რომ იგი დანაშაულის აღკვეთის მაქსიმალურად ეფექტურ საშუალებას არ წარმოადგენს... უფლებაშემზღუდველი ნორმის არსებობა გამართლებულია, თუ ის კონსტიტუციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ნაკლებად მზლუდავი (თანაზომადი) საშუალებაა. ასეთი ნორმა კონსტიტუციის შეუსაბამო მაშინ ხდება, როდესაც ის მიზნის მიღწევის არათანაზომად, არაგონივრულად მკაცრ ან/და უვარგის საშუალებას წარმოადგენს.<sup>617</sup> ადამიანის უფლების შეზღუდვის მიზანს ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს სხვა კონსტიტუციური სიკეთის დაცვა, რადგან უფლების შეზღუდვის საჭიროება, ზოგადად, იმ შემთხვევაში დგება, როდესაც ამ უფლების რეალიზება შემხებლობაში მოდის სხვათა უფლებებთან ან დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებთან. აღნიშნულ კონტექსტში თანაზომიერების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყურადსაღებია სამართლებრივი სიკეთისადმი მოსალოდნელი საფრთხის სიმძიმე. სამართლებრივი სიკეთე, ერთი მხრივ, წარმოდგენილია კონკრეტული უფლების სახით, რომლის შეზღუდვაც ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომლის დაცვასაც ემსახურება შესაბამის უფლებაში ჩარევა.<sup>618</sup> ადამიანის უფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობა გულისხმობს, შესაძლო ზიანის მინიმუმამდე დაყვანას. ადამიანის უფლებების რეალიზაციის პროცესში დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტერესთა კონფლიქტი არ არის უჩვეულო. კონსტიტუციური წესრიგის მიზანია სათანადოდ დააბალანსოს წინააღ-

<sup>616</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 42.

<sup>617</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 40.

<sup>618</sup> იხ. იქვე.

მდევობრივი ინტერესები ისე, რომ ერთი სიკეთის დაცვა არ მოხდეს მეორე სიკეთეში არათანაზომიერი ჩარევის ხარჯზე.<sup>619</sup> კონსტიტუციური უფლების შემლუდვისას არა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნები უნდა არსებობდეს, არამედ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების თანაზომიერი უნდა იყოს.<sup>620</sup> გამოსადევობასთან ერთად, მზლუდავი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას. კერძოდ, არ უნდა არსებობდეს ამავე ლეგიტიმური მიზნის ნაკლებად მზლუდველი საშუალებით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა. ნორმის მზლუდავი ეფექტის ლეგიტიმურ მიზნებთან თანაზომიერება მოითხოვს უფლებაში ჩარევის ინდივიდუალიზაციასა და საჭიროებებზე მაქსიმალურ მორგებას. ნორმა, რომელიც უპირობოდ და სრულად მზლუდავს უფლებას, რთულად თუ დააკმაყოფილებს კონსტიტუციურობის სტანდარტს.<sup>621</sup> საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა უმთავრესი ინტერესია, რომელსაც ემსახურება ქვეყნის სამართალდამცავი სისტემა, მართლმსაჯულება და რომლის უზრუნველყოფისთვისაც შესაბამისი პირობების, უპირველესად კი, ადეკვატური კანონმდებლობის, გამჭვირვალე, ეფექტური და სამართლიანი პროცედურების შექმნა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შესაბამისად, დასახელებული ინტერესები ნამდვილად წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, რომლის დაცვის აუცილებლობის შემთხვევაშიც უფლებაში ჩარევა შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ, იმავდროულად, ჩარევა იქნება დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაციით შესაძლებელი იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, ან რეგულაცია რეალურად უნდა იყოს ორიენტირებული ლეგიტიმური მიზნის დაცვასა და უზრუნველყოფაზე. უფლების შემლუდვა ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირად მიადგება ზიანი როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესებს.<sup>622</sup> ვერცერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევა თავისთავად ვერ გამართლებს უფლებაში იმაზე უფრო

<sup>619</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 70.

<sup>620</sup> იხ. იქვე.

<sup>621</sup> იხ. იქვე.

<sup>622</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 23.

მკაცრ ჩარევას, ვიდრე ეს აუცილებელი და საკმარისია ამ მიზნის მისაღწევად. საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და, იმავედროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სახელმწიფომ უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება, მხოლოდ ასეა შესაძლებელი როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არცერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე. ამასთან, ადამიანის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>623</sup> ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელს ვერ შესთავაზებს საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ გზას და ვერ შეებოჭავს მას საკითხის სწორედ ამ გზით გადაწყვეტის უპირობო აუცილებლობით. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ, იმავედროულად, უნდა გააანალიზოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლო გზები, რადგან მას აქვს ვალდებულება, არაკონსტიტუციურად ცნოს ნორმა, რომელიც მიზნის მიღწევის ალტერნატიულ შესაძლებლობებს შორის არ არის უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი.<sup>624</sup> ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელმა უნდა იხელმძღვანელოს თანაზომიერების კონსტიტუციური სტანდარტით და შეარჩიოს რეგულირება, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.<sup>625</sup> თანაზომიერების პრინციპის უმთავრესი მოთხოვნაა, რომ უფლების შეზღუდვა არ განხორციელდეს იმაზე მეტად, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ პირის შესახებ რაიმე ინფორმაციის ფლობას, აუცილებელია თანაზომიერების პრინციპის დასახელებული მოთხოვნის განუხრელად დაცვა. კერძოდ, დასაშვებია სახელმწიფომ პირის შესახებ ინფორმაცია შეინახოს

---

<sup>623</sup> იხ. იქვე.

<sup>624</sup> იხ. იქვე.

<sup>625</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 23.

მხოლოდ იმ გონივრული ვადითა და მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური საჯარო მიზნების მისაღწევად. სხვა შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ პირის თაობაზე ინფორმაციის შეგროვებას გამოეცლება ლეგიტიმური საფუძველი და არაკონსტიტუციურად ჩაითვლება.<sup>626</sup> „პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, უფლების შესაზღუდად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი, საჯარო ინტერესი, რომლის დაცვასაც დადგენილი რეგულირება ემსახურება.<sup>627</sup> უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის არა მხოლოდ გამოსაღვე, არამედ ყველაზე ნაკლებად მზღუდველ, თანაბომიერ საშუალებასაც.<sup>628</sup> „თანაბომიერების პრინციპის მიხედვით, გამოსაღვეობასთან ერთად, შერჩეული ღონისძიება აუცილებლობის მოთხოვნასაც უნდა აკმაყოფილებდეს.<sup>629</sup> ცხადია, თანაბომიერების პრინციპის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა და სამართლებრივი მონესრიგების მიზნის მისაღწევ საშუალებად გამოსაღვეობა არ არის საკმარისი. აუცილებელია, გასაჩივრებული რეგულაცია ასევე წარმოადგენდეს უფლებაში ჩარევის თანაბომიერ, პროპორციულ საშუალებას. თანაბომიერების პრინციპის გამოყენება უნდა მოხდეს შესაფასებელი სამართალ-ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით. თანაბომიერების პრინციპის მიხედვით, ნორმატიული აქტი აუცილებელი უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად. მხოლოდ ის, რაც მისაღება, შეიძლება იყოს აუცილებელი. რაც აუცილებელია არ შეიძლება იყოს დაუშვებელი. აუცილებლობას უპირატესი მნიშვნელობა აქვს დასაშვებობასთან მიმართებით, ვინაიდან აუცილებლობის დადგენა მხოლოდ დასაშვებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, მაგრამ დასაშვებობის დადგენა ყოველთვის არ არის მისი აუცილებლობის საფუძველი.<sup>630</sup>

<sup>626</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II, პარ. 28.

<sup>627</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის N1/3/638 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 23.

<sup>628</sup> იხ. იქვე.

<sup>629</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 42.

<sup>630</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული), ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბ. 2002, გვ. 45-46.

### 3.3. შესაბამისობა

ევროპული სასამართლო, ერთი მხრივ, თანაბომიერების პრინციპის საერთო-ევროპული ღირებულების (the proportionality test) განმტკიცების, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს გარკვეული შეფასების თავისუფლების აღიარების (recognition of a margin of appreciation) პირობებში ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის ე.წ. ევროპულ სტანდარტს.<sup>631</sup> ამასთან, კონვენციის საფუძველზე ჩამოყალიბებული უფლებათა დაცვის სისტემა არ ზღუდავს სახელმწიფოებს, ჰქონდეთ უფრო მაღალი ინტენსივობის დაცვის მექანიზმები. შესაბამისად, კონვენცია ქმნის უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტიანი დაცვის მინიმალურ სტანდარტს.<sup>632</sup> აუცილებელია აწონ-დაწონა და ბალანსის დაცვა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. უნდა შეფასდეს, ერთი მხრივ, კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის (მათ შორის, ძირითადი უფლებებისათვის) მიყენებული ან შესაძლო ზიანი, ხოლო, მეორე მხრივ, ის სიკვთე და მისი მნიშვნელობა, რომელთაც ემსახურება კონკრეტული გადაწყვეტილება.<sup>633</sup>

ცხადია, თანაბომიერების პრინციპის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა და სამართლებრივი მოწესრიგების მიზნის მისაღწევ საშუალებად გამოსადეგობა არ არის საკმარისი. აუცილებელია, გასაჩივრებული რეგულაცია ასევე წარმოადგენდეს უფლებაში ჩარევის თანაბომიერ, პროპორციულ საშუალებას. თანაბომიერების პრინციპის გამოყენება უნდა მოხდეს შესაფასებელი სამართალურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„ცალკეულ სფეროებში სახელმწიფოს, რეგულირების კუთხით, გააჩნია განსაკუთრებით ფართო დისკრეცია. ცხადია, დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს აბსოლუტურ თავისუფლებას. სამართალშემოქმედის მიხედულების ფარგლები პირობადებულია კონსტიტუციური პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებით, რაც უზრუნველყოფს უფლებამოსილების გადაჭარბებისა და მისი არამიზნობრივად გამოყენების რისკის თავიდან აცილებას. სხვაგვარად, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შეუზღუდავი თავისუფლებაა და მისი გამოყენება ყოველ-

<sup>631</sup> D. J. Harris/M. O'Boyle/E. P. Bates/C. M. Buckley, Law of the European Convention on Human Rights, Harris/O'Boyle & Warbrick, Oxford 2014, 10-12.

<sup>632</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კორკელია ვ.-ს რედაქტორობით, სტატიათა კრებული, თბ. 2018, ხელმისაწვდომია: <[http://ewmi-prolog.org/images/files/4791AUD\\_2018\\_Inter\\_N.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/4791AUD_2018_Inter_N.pdf)> [11.08.2020].

<sup>633</sup> კორკელია ვ., ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბ. 2018, გვ. 188.

თვის გულისხმობს გადანყვეტილების შედეგების დასაბუთებას. ამ თვალსაზრისით, გადანყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს იმგვარი დასაბუთების მოთხოვნას, რომელიც შესაძლებელს გახდის სამართლებრივი შედეგის სისწორის შეფასებას.<sup>634</sup>

„თანაზომიერების პრინციპის კიდევ ერთი მოთხოვნაა, რომ დაცული იყოს პროპორციულობა ვიწრო გაგებით. ე.ი. დაცული ინტერესი მნიშვნელობით უნდა აღემატებოდეს შეზღუდულ ინტერესს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიების – სრული პირადი შემონმების ჩატარება ისეთი საფუძვლებით, რომლებიც უკავშირდება ბრალდებული/მსჯავრდებული პირების კონტაქტს გარესამყაროსთან<sup>635</sup>, ასევე მათ გადაადგილებას პენიტენციურ დაწესებულებაში (სამართლო საკანში და საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში მოთავსება), დაცული ინტერესი აღემატება შეზღუდულ ინტერესს<sup>636</sup> იმ საფრთხის თავიდან აცილების ინტერესი, რაც შესაძლოა პენიტენციურ დაწესებულებას და იქ მყოფ პირებს, ასევე მართლწესრიგს მიადგეს დაწესებულებაში აკრძალული ობიექტების შეტანის, ბრუნვის, დამზადების და დაწესებულებიდან გამოტანის შემთხვევაში, ნამდვილად გადანონის ბრალდებული/მსჯავრდებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ინტერესს. თითოეულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული/მსჯავრდებული ამყარებს კონტაქტს გარესამყაროსთან ან/და გადაადგილება დაწესებულების შიგნით, მისი სრული პირადი შემონმება სასიცოცხლოდ აუცილებელია საფრთხეების აღსაკვეთად. აღნიშნული საფრთხეების აღკვეთა კი უაღრესად მაღალი კონსტიტუციური ღირებულებისაა.“<sup>637</sup>

### **3.3.1. გონივრული ბალანსი მისაღწევ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის**

სუბსიდიარობა, ისევე როგორც თანაზომიერების პრინციპი, კონსტიტუციის დაუნერვლი პრინციპია. კონსტიტუციით განმტკიცებულ ძირითად

<sup>634</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 20.

<sup>635</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 28 ივლისის N2/4/665,683 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II, პარ. 75.

<sup>636</sup> იხ. იქვე., სამოტივაციო ნაწილის 75-76 პარაგრაფები.

<sup>637</sup> იხ. იქვე.

უფლებებში ჩარევა კანონის ფორმით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არ ხდება ამ უფლების არსებითად შეზღუდვა. ჩარევის მიუხედავად მოქალაქის კონსტიტუციურმა უფლებამ არ უნდა დაკარგოს რეალური შინაარსი. ჩარევის საშუალება გონივრულ პროპორციაში უნდა იყოს მის (ჩარევის) მიზანთან, ხოლო არჩეული საშუალება უნდა იყოს შესაბამისი დასახული მიზნის მისაღწევად. თუ დასახული მიზნის მისაღწევად გამოდგება სხვადასხვა საშუალება, მაშინ უნდა ავირჩიოთ ისეთი, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეზღუდავს ადამიანის უფლებას. მოქალაქის თავისუფლება უნდა შევზღუდოთ მხოლოდ იმ დოზით, რომელიც უპირობოდ აუცილებელია.<sup>638</sup> რაც უფრო ნეგატიურია მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება, მით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს მიზანი. თანაბომიერების პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული შემზღუდველი ხასიათის ღონისძიება უნდა აკმაყოფილებდეს თანაბომიერების კრიტერიუმებს. თანაბომიერების პრინციპი არის გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არსებული დამოკიდებულების შემონშემების ინსტრუმენტი. ყოველი მმართველობითი ღონისძიება უნდა იყოს შესაფერისი, აუცილებელი და პროპორციული.<sup>639</sup> გამოსადეგობა, დასაშვებობისა და აუცილებლობის განსაზღვრა არ არის იმდენად პრობლემატური, რამდენადაც პროპორციულობის დადგენა, რომელიც სხვადასხვა დაპირისპირებულ სიკვთეს შორის წონასწორობის დამყარებაში გამოიხატება, ერთის მხრივ ადამიანის უფლებასა და მეორეს მხრივ, იმ ღირებულებას შორის, რომლის შედეგადაც ხდება უფლების შეზღუდვა,<sup>640</sup> შემდგომში შეპირისპირებულ უფლებათა ოპტიმალურის გამოვლენის მიზნით.<sup>641</sup> დაუშვებელია საპირისპირო სიკვთეების შეჭერების დროს, ერთი სიკვთე მეორეს ხარჯზე არაპროპორციულად იყოს შეფასებული. აბსოლუტურია პროპორციულობის მუდმივი მოთხოვნა. მაგალითად, მოსამართლეს აქვს უფლება, პრესის თავისუფლების მნიშვნელობიდან და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, კონკრეტული უფ-

<sup>638</sup> საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, ხუბუა გ.-ს რედაქტორობით, ხელმისაწვდომია: <[http://ias.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/handbook-legal-bases-public-administration.pdf](http://ias.tsu.ge/data/image_db_innova/handbook-legal-bases-public-administration.pdf)> [11.08.2020].

<sup>639</sup> იხ. იქვე.

<sup>640</sup> Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 1985, S. 108f.; Schneider, Die Güterabwägung des Bundesverfassungsgerichts bei Grundrechtskonflikten, 1979, S. 211 f.; Schwabe, Probleme der Grundrechtsdogmatik, 1977, S. 320 f., იხ. აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში., სტატიათა კრებული ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბ. 2002, გვ. 49.

<sup>641</sup> იხ. იქვე. გვ. 50.

ლების შეზღუდვის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაიყვანოს, თუმცა თუ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება საქართველოს უშიშროებას უქმნის საფრთხეს, მაშინ პრესის თავისუფლება შესაბამის შეზღუდვას დაექვემდებარება.<sup>642</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის ობიექტური საზომი მისივე გადანყვეტილებებია, მათში ვლინდება სასამართლოს რეალური დანიშნულება და პრაქტიკული მნიშვნელობა.<sup>643</sup>

როგორც უკვე ავღნიშნე, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს რა კონსტიტუციის ნორმებს, შედეგად ქმნის ცოცხალ კონსტიტუციას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, სასამართლომ, კონსტიტუციური ღირებულებების სრულყოფილად გააზრების გზით და მათზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ქვეყნის მთავარი ვანონის პრაქტიკული ქმედითობა. სასამართლომ, თითქმის ყველა საქმეზე, უშუალოდ ეხება რა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათი განმარტება უნდა დააფუძნოს თითოეული ამ უფლების შინაარსის, ფარგლების, დიაპაზონის სრულყოფილად შეგრძნებასა და გაანალიზებას, რათა განმარტების შედეგად მიღებული უფლების პრაქტიკული შინაარსი სრულად ადეკვატური იყოს ამ უფლების კონსტიტუციური წონისა. საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები ხელს უნდა უწყობდეს სამართლის განვითარებას.<sup>644</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციაში მოცემული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, მიზნის მიღწევის თანაბომიერი საშუალებების გამოყენებით.“<sup>645</sup> გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას კონსტიტუციაში მოცემული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, მიზნის მიღწევის თანაბომიერი საშუალებების გამოყენებით.<sup>646</sup>

<sup>642</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში., სტატიათა კრებული ვ. კორკელიას რედაქტორობით., თბ. 2002, გვ. 50-51.

<sup>643</sup> ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები, გვ. 3, ხემისანვდომია: <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41650.pdf>> [11.08.2020].

<sup>644</sup> იხ. იქვე.

<sup>645</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუმი, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 7.

<sup>646</sup> 2015 წლის 20 ნოემბრის N693 საკონსტიტუციო სარჩელი, „ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ შედგენილი სასამართლოს მეგობრის პოზიცია საქმეზე, „ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გონივრული ბალანსის დადგენა მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის გულისხმობს იმას, რომ ადამიანის უფლება იმაზე მეტად არ იქნეს შეზღუდული, ვიდრე ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური უფლების არსებობა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის იქნება. იმისათვის, რომ კონსტიტუციური უფლება მხოლოდ ფორმალური არ იყოს, დემოკრატიული სახელმწიფო პატივისცემით უნდა მოეკიდოს ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას, მისი შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული, საჭირო და აუცილებელი ადამიანთა დემოკრატიულ საზოგადოებაში თანაცხოვრებისათვის. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ თანაბომიერების პრინციპის გამოყენებით უნდა მოხდეს. „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.“<sup>647</sup>

უფლების შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას.<sup>648</sup> მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმას გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, ეს თავისთავად არ არის საკმარისი სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებასა და მისაღწევ მიზანს შორის. ამასთანავე, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული და არსებობდეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და საპირწონე ინტერესს შორის.<sup>649</sup> უფლებაში ჩარევა არ უნდა იყოს თვითმიზანი,<sup>650</sup> იგი უნდა ემსახურობდეს განსაზღვრული, ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.<sup>651</sup>

---

<sup>647</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლები.

<sup>648</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 15.

<sup>649</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 40.

<sup>650</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჯანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 20.

<sup>651</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის არა მხოლოდ გამოსადგე, არამედ ყველაზე ნაკლებად მზღუდველ, თანაზომიერ საშუალება-საც.<sup>652</sup> შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ არ არსებობს სხვა უფრო ნაკლებად მზღუდველი ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.<sup>653</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ევალეზა, რომ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის კონფლიქტის დროს, გაავლოს ზღვარი, რომელიც ამ ინტერესებს შორის კონსტიტუციურ ბალანსს ასახავს.<sup>654</sup> სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და, იმავდროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება, მხოლოდ ასეა შესაძლებელი როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არცერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე.

ამასთან, ადამიანის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. როდის, როგორ და რა ინტენსივობით შეუძლია სახელმწიფოს, ჩაერიოს ადამიანის თავისუფლებაში ისე, რომ ეს ჩაითვალოს აუცილებელ ჩარევად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამისთვის სამართლებრივ საფუძველს და შეფასების მასშტაბს კონსტიტუცია იძლევა, პირველ რიგში, ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები და თავად უფლებების მარეგლამენტირებელი

---

ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II, პარ. 34.

<sup>652</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 31.

<sup>653</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 44.

<sup>654</sup> იხ. იქვე.

კონსტიტუციური ნორმები. სწორედ აქ არის მოცემული ვერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობის განსაზღვრის დასაშვები ფარგლები.<sup>655</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის შინაარსის გარკვევის პროცესში, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი დროში მოქმედების ფარგლები. წესი, რომელიც მოქმედებს შეზღუდული ვადით, შესაძლებელია ინვევდეს უფლების იმაზე ნაკლები ინტენსივობით შეზღუდვას, ვიდრე მუდმივად მოქმედი წესი. ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმით დადგენილ ქცევის წესს, თუმცა დროებითი ხასიათი აქვს, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც იქნეს განხილული როგორც ისეთი განსხვავებული ნორმატიული მოცემულობა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჭიროებს ახალი პროცესის ფარგლებში არსებით განხილვას. მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც განუსაზღვრელი ვადით ითვალისწინებდა რომელიმე უფლების შეზღუდვას და მიუთითა, რომ ნორმის არაკონსტიტუციურობას ინვევდა პირის უფლებაში ჩარევის მომეტებული ინტენსივობა, რაც განპირობებულია სწორედ უფლების განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ მიღებული ქცევის იგივე წესის შემცველი ნორმა, რომელიც განსაზღვრული ვადით მოქმედებს, შეიძლება შეფასდეს როგორც განსხვავებული ნორმატიული მოცემულობა, რომელიც ავტონომიურად საჭიროებს არსებით განხილვას. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პირის უფლების შეზღუდველი ნორმატიული რეგულირება ლოგიკურად არ უკავშირდება დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მისი მიღწევის საშუალებას, პირის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ხარისხს, ნორმის კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, არ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა. ასეთი ნორმა, პირის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის შეფასების გარეშე, უკვე არაკონსტიტუციურია. უფლების შემზღუდველი ნორმატიული აქტის მოქმედების ვადას, არც იმ შემთხვევაში აქვს არსებითი მნიშვნელობა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კონსტიტუციური უფლების დარღვევა გარდაუვალია სადავო ნორმით უფლებაში ჩარევის ინტენსივობის მიუხედავად.<sup>656</sup>

<sup>655</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 29.

<sup>656</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 20.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, იმისთვის, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის აუცილებლობის კრიტერიუმებს. თანაზომიერების პრინციპის ელემენტები მოითხოვს ლოგიკური კავშირის არსებობას საკანონმდებლო რეგულირებასა და მისალწვე მიზანს შორის. ამასთან, უფლების განსახილველი ინტენსივობით შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.“<sup>657</sup>

ყოველივე ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლების შეზღუდვის როგორც კონსტიტუციური გამართლების, ისე უფლების შეზღუდვის არაკონსტიტუციურობის დადგენის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მოსამართლის სამართლიანი არგუმენტია.<sup>658</sup>

### **3.3.2. მონაცემთა დამუშავების შინაარსის და მოცულობის პროპორციულობა და ადეკვატურობა მონაცემების დამუშავების მიზნის პირისპირ**

სასამართლო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს პროპორციულობის ტესტის საფუძველზე, რაც გულისხმობს უფლების შეზღუდვის მიზანსა და საშუალებას შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენას. პროპორციულობის ტესტი ემყარება ადმინისტრაციული საქმიანობის ისეთ პრინციპებს, როგორცაა თანაზომიერების, ეკონომიურობის, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების პრინციპები და კანონიერი ნდობის უფლება. აღნიშნული პრინციპის თანახმად, უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ჩაითვლება დარღვევად, თუ კი შეზღუდვა გათვალისწინებული იყო კანონით, შეზღუდვას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი და შეზღუდვა საჭირო იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქმეში „ბელგიელი ლინგვისტები“,<sup>659</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია „არ კრძალავს განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც ეყრდნობა არსებითად განსხვავებული გარემოებების ობიექტურ შეფასებას და რომელიც, საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზე, ადგენს სამარ-

<sup>657</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 22.

<sup>658</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში., სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით, თბ. 2002, გვ. 51.

<sup>659</sup> Siatkowska v. Poland (Case N8932/05), ECHR, 22nd of March 2007.

თლიან ბალანსს, საზოგადოების ინტერესის დაცვასა და კონვენციით დაცული უფლებებისა, ასევე თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით“.<sup>660</sup>

თანაზომიერების შეფასებისას გადამწყვეტია მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციულობის საკითხის გარკვევა. ზუსტად ეს უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, როდესაც არც ერთი მათგანის დაცვა არ ხდება მეორეს არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე.<sup>661</sup> კონკრეტული ლეგიტიმური საჯარო მიზნის გარეშე უფლებაში ჩარევა, მისი შემდგომი შეფასების გარეშე, თავისთავად არაპროპორციულია.<sup>662</sup> თანაზომიერების პრინციპით სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შედარებისთვის გასაანალიზებელია შეზღუდვის დასაშვებობის, აუცილებლობის, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პროპორციულობის საკითხები. თანაზომიერების შეფასებისას გადამწყვეტია მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციულობის საკითხის გარკვევა. ზუსტად ეს უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, როდესაც არც ერთი მათგანის დაცვა არ ხდება მეორეს არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე.<sup>663</sup>

კანონმდებელი ვალდებულია, კონკრეტული სახის ქმედების განხორციელებისას მოქმედებდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით.<sup>664</sup> კანონმდებლის მიერ არაგონივრული და არაპროპორციული ქმედება გამოიწვევს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.<sup>665</sup>

---

<sup>660</sup> როგორ იქნა გამოყენებული ექვივალენტური დასაბუთება საქმეებში, მაგ. Marckx v. Belgium, (Case N6833/74), ECHR, 13th of June 1979, Par. 33; Abdulaziz, Cabales and Balkandali v the United Kingdom, ECHR, 28th of may 1985, Par. 72 and ÜNAL TEKELI v. TURKEY (Case N 29865/96) 16th of November 2004, Par. 32. და სხვ.

<sup>661</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჭიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 22.

<sup>662</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 11.

<sup>663</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჭიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 23.

<sup>664</sup> თავხელიძე მ., ღლონტი გ., ქემერტელიძე ნ., „სამართალი“, „ბიზნესი და მართვა“ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სტატიათა კრებული, თბ. 2018, გვ. 26.

<sup>665</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის N4/482/483/-487/502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქე ზვიად ძიძიგური და ვახა ვუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლო ყოველთვის ცდილობს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით მაქსიმალურად ფართოდ განმარტოს ადამიანის უფლებები. ამ გზით სასამართლომ შექმნა არაერთი უფლების კონსტიტუციური დაცვის გარანტიები.<sup>666</sup> საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოებს კანონმდებლობით ენიჭებათ განსაკუთრებული უფლებამოსილება გადაწყვიტონ სამართლის საკითხები. გარდა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის ნეგატიური კანონმდებელი და აუქმებს არაკონსტიტუციურ ნორმებს, ის ასევე არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკა კი მთელი სამართლებრივი პოლიტიკის საფუძველია. ეს ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებისას შეზღუდულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებებით, რომელსაც ის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აყალიბებს.<sup>667</sup> ამდენად, ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი, პოტენციური არბიტრი და სამართლის დოქტრინების ავტორი წარმოადგენს სამართლის პოლიტიკის ქმედით სუბიექტს, თუმცა მისი უფლებამოსილების ფარგლები განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა საკანონმდებლო პრობლემასთან გვაქვს საქმე. არსებობს სფეროები სადაც საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებით აქტიურად ერთვება სამართლის ფორმირებაში და სფეროები, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლებას ქმედების ფართო არეალი აქვს. საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს არ იმსჯელოს იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიურ კომპეტენციაში შედის. მაგალითად, ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხის დარეგულირების მიზნით, არსებული ალტერნატივებიდან კონკრეტული სისტემების/მიდგომის შერჩევა კანონმდებლის კომპეტენციას წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ იმას, კანონმდებლის მიერ შერჩეული მექანიზმები და სისტემები ხომ არ არღვევს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. თავის მხრივ, ამ შემოწმების დროს შეფასების თავისუფლების მოცულობაც დამოკიდებულია თავად უფლების შინაარსზე. მაგალითად, თუ პირად უფლებებზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო შეფასების ფართო ზღვრით სარგებლობს, სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელები ხშირად დასაშვებობის ეტაპსაც ვერ გადის, რადგან მაღალია ამ სფეროში მოსამარ-

<sup>666</sup> ერემაძე ქ., კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები., ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, 2013 წ. გვ. 72.

<sup>667</sup> თავხელიძე მ., ლლონტი გ., ქემერტელიძე ნ., „სამართალი“, „ბიზნესი და მართვა“ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი., სტატიათა კრებული, თბ. 2018, გვ. 27.

თლეთა თვითშეზღუდვა. კიდევ უფრო იშვიათ შემთხვევაში შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: კონკრეტული ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადების კონსტიტუციურობა, სასჯელის/სახდელის ფორმისა და ზომის კონსტიტუციურობა და სხვ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ გამონაკლის შემთხვევებში ეს საკითხებიც შეიძლება დაექვემდებაროს კონსტიტუციურ კონტროლს.

მონაცემთა დამუშავების შინაარსის და მოცულობის პროპორციულობა და ადეკვატურობა დამოკიდებულია მონაცემების დამუშავების მიზანზე. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დამუშავების კონკრეტული მიზნის განსაზღვრა. ეს არის „ე.წ. „მონაცემთა მინიმუმაციის“ პრინციპი – მონაცემთა დამუშავებელმა არ უნდა დაამუშავოს იმაზე მეტი მონაცემი ვიდრე საჭიროა დამუშავების მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, მის მიერ შენახული მონაცემები არ უნდა შეიცავდეს საჭიროზე მეტ დეტალებს. ადეკვატურობისა და პროპორციულობის პრინციპიც კავშირშია ასევე კონკრეტულ ინდივიდთან, თუ მონაცემთა დამუშავებელს საჭიროება ინფორმაცია კონკრეტული პირის შესახებ, არაადეკვატურია სხვა პირების შესახებ იმავე მონაცემების ამ მიზნით შეგროვება. მაგალითისათვის, დამსაქმებელი დასაქმებულებს სთხოვს, რომ მიაწოდონ ინფორმაცია სისხლის ჯგუფის შესახებ, რადგან ზოგიერთი მათგანი აყვანილია იმ სამუშაოზე, რომელიც შეიცავს ჯანმრთელობის დაზიანების რისკს. ამ შემთხვევაში სისხლის ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა საჭიროა, თუმცა სხვა თანამშრომლების მიმართ, რომლებიც მხოლოდ საოფისე სამუშაოს ასრულებენ, იგივე მოთხოვნის დაწესება არაპროპორციული და არაადეკვატურია.“<sup>668</sup>

#### 4. კერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობის ფარგლები

სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობა მისი ლეგიტიმაციის აუცილებელი კომპონენტია. ინფორმაცია წარმოადგენს საჯაროს<sup>669</sup>, თუკი არ არსებობს ორი გარემოება. პირველი, ინფორმაციის გამჟღავნება აზიანებს დაცულ ინტერესს, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლებას. და მეორე, ზოგადი საჯარო ინტერესი, რომელიც ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, უპირატესობას ანიჭებს კონფიდენციალობის უფლებას.<sup>670</sup> სასამართლო გადაწყვეტილების სრული ხელმიუწვდომლობა საზოგადოებისათვის

<sup>668</sup> „პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის სახელმძღვანელო“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2013 წელი, გვ.18-19.

<sup>669</sup> John Henry Dingfelder Stone., Court Interpreters and fair trials, 2<sup>nd</sup> of May, 2018, page 114.

<sup>670</sup> იხ. იქვე.

არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გამართლებულად. სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა მიზნად ისახავს საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემის კრიტიკის უზრუნველყოფას.

არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნების დაცვა ისეთი ფუნდამენტური პროცედურული გარანტიების სრული უგულებელყოფის გარეშე, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა.<sup>671</sup>

ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები საკასაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფისათვის, სასამართლო გადაწყვეტილების ნაკითხვის გარდა, მიმართავენ სხვა საშუალებებს, მაგალითად, ისეთ მექანიზმებს, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ რეესტრში განთავსება, მათ შორის საკასაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფისათვის.<sup>672</sup> მითითებულ რეესტრში განთავსებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულად საზოგადოებისათვის „როგორც უფლება“, გადაწყვეტილების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის წარმოჩენის მოთხოვნის გარეშე.<sup>673</sup> პრაქტიკაში ევროპულ ქვეყანათა უმეტესობა ძირითადად აკმაყოფილებს გადაწყვეტილებათა საქვეყნოობის მოთხოვნას, იმ საკითხის გათვალისწინებით მოიცავს თუ არა აღნიშნული პერსონალურ მონაცემებს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ქვეყნდება ელექტრონულ რესურსებზე. შესაბამისად, ისინი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

განსხვავებული რეგულაციები არსებობს კვიპროსში, სადაც არ არის კანონმდებლობით დადგენილი სასამართლოს ვალდებულება გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების თაობაზე, პრაქტიკაში სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ ხდება ყველა გადაწყვეტილების შესაბამის ინტერნეტ რესურსებზე განთავსება. ასევე, მაკედონიის პარლამენტის მიერ, 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი, სასამართლო დოკუმენტაციის მართვის შესახებ, რომელიც ყველა ინსტანციის სასამართლოს ავალდებულებს გადაწყვეტილება გამოაქვეყნონ ინტერნეტ რესურსებზე. თუმცა, კვიპროსისგან განსხვავებით, მაკედონიაში შეინიშნება პრობლემები პრაქტიკაში, რადგან არ ხდება მიღებული კანონის მოთხოვნათა სრული იმპლემენტაცია.<sup>674</sup>

<sup>671</sup> სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2016 წ, გვ. 18.

<sup>672</sup> Pretto and Others v. Italy, 8<sup>th</sup> of December 1983 Case N 7984/77, Par 26.

<sup>673</sup> Werner v. Austria., 24<sup>th</sup> of November 1997, Case N 21835/93 Par. 57-60.

<sup>674</sup> სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა EBRD-ის ბენეფიციარ ქვეყნებში,

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში,<sup>675</sup> გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობისა და სასამართლო სხდომების ღიაობის საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში<sup>676</sup>, დადგენილია „სასამართლო წესები“-თ.<sup>677</sup> აღნიშნული წესის 33<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ყველა ის დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იქნება დავის მხარისა თუ მესამე პირების მიერ, არის ხელმისაწვდომი, როგორც პროცესის მონაწილეებისათვის, ასევე, ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისათვის.<sup>678</sup> „სასამართლო წესების“ 47<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ვინაობის დაფარვა. რა თქმა უნდა, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული.<sup>679</sup>

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობას განიხილავს, როგორც უფლებას საჯარო ინფორმაციაზე, რომელზეც ვრცელდება ინფორმაციის გაცემის ზოგადი წესები და არ არის გათვალისწინებული მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სასამართლოსადმი ნდობის ლეგიტიმური ინტერესები. თუმცა, აშკარაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა წარმოადგენს საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის ეფექტურ საშუალებას.<sup>680</sup>

არსებითი განსხვავებაა ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციულ საჯაროობასა და პროცესის საჯაროობას შორის.<sup>681</sup> კერძოდ, პირველი შეეხება სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ხოლო ეს უკანასკნელი კი, სასამართლო პროცესის შედეგად წარმოქმნილ მონაცემებს.<sup>682</sup>

---

თბ. 2015, ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/ge/accessibility-of-judicial-decisions-in-the-ebrds-countries-of-operations>> [11.08.2020].

<sup>675</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია: <<http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/>> [11.08.2020].

<sup>676</sup> იხ. იქვე.

<sup>677</sup> Rules of Court., 01.06.2015, <[http://www.echr.coe.int/Documents/Rules\\_Court\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf)> [11.08.2020].

<sup>678</sup> იხ. იქვე., მუხლი 33 პრიმა.

<sup>679</sup> იხ. იქვე., მუხლი 47 პრიმა.

<sup>680</sup> Szonja Navratil., A comprahative overview of publicity in the administration of justice, Chapter 8, page 117.

<sup>681</sup> Attila Bado., Fair Trial and Judicial Independence., Hungarian Perspectives., Comparative Perspectives on Law and Justice, page 179.

<sup>682</sup> იხ. იქვე.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ, საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. გადაწყვეტილებათა ელექტრონულ რესურსებზე განთავსება ხდება მხოლოდ ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ. თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიდგომას, როგორც პირველი, ასევე, ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია საზოგადოებისათვის.<sup>683</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მრავალ ქვეყანაში აუცილებელია ძირეული ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტინენტური სამართლის ქვეყნების შემთხვევაში, სადაც მხარეთა ვინაობის დაფარვის პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული. მიუხედავად ამისა ხსენებული პრობლემა აქტუალურია საერთო სამართლის ქვეყნებშიც, მაგალითად, ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როდესაც შესაძლებელია სათანადოდ არ ხდებოდეს მხარეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესების გათვალისწინება.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთ ნაწილში კერძო ცხოვრება უგულებელყოფილია ან, ძირითადად, იდენტური შინაარსისაა და შეიმჩნევა გარკვეულ დებულებებთან დაკავშირებით ევროსასამართლოს პრაქტიკით ხელმძღვანელობა. საჯარო ცხოვრების ცნების დადგენა აუცილებელია კერძო ცხოვრების არსის განსაზღვრისთვის, ვინაიდან საჯარო სფეროს დეფინირება არის კერძო ცხოვრების შინაარსის გარკვევის წინაპირობა.<sup>684</sup> საჯარო ცხოვრება შინაარსობრივად უახლოვდება საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც, სოციოლოგიური გაგებით, არის იმ მოვლენათა კომპლექსი, რომლებიც გარკვეულ შემზღუდულ სივრცეში მყოფი ინდივიდებისა და ერთობების ურთიერთქმედებით წარმოიქმნება.<sup>685</sup> კერძო ცხოვრება კომპლექსური სამართლებრივი დაცვის ობიექტია.<sup>686</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მედიას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დაესწროს ნებისმიერ ღია სასამართლო სხდომას,<sup>687</sup> როგორც კი სა-

<sup>683</sup> Byfield Paul., Kroytor O., Accessibility of judicial decisions in the EBRD's countries of operations: a comparative review., Law in Translation online 2015. Article N1.

<sup>684</sup> Lesch W., Medien ethik zwischen öffentliche mund privatem, 11 Juli 1998, 40.

<sup>685</sup> შჩეპანსკი ი., „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები“, თბილისი 1997, გვ. 14-16.

<sup>686</sup> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე არსებული „სამართლის ჟურნალი“, N1, თბ. 2011, გვ. 71.

<sup>687</sup> მათ შორის, მედიას აქვს უფლება, გააშუქოს და პირდაპირი ტრანსლირება განახორციელოს მაუწყებელში.

სამართლო სხდომა სრულდება, არავის, მათ შორის მედიასაც, არ შეუძლია მოითხოვოს ამ სასამართლო სხდომის გადანყვეტილება. არ შეუძლია მოითხოვოს იქიდან გამომდინარე, რომ როდესაც ადამიანი ითხოვს კონკრეტულ პიროვნებაზე ან კონკრეტულ საქმეზე გადანყვეტილებას, დღეს დამკვიდრებული პრაქტიკით და სასამართლო სისტემით, ეს მიიჩნევა პერსონალური მონაცემების შემცველად და ამიტომ სასამართლო გადანყვეტილებები არ გაიცემა, ვინაიდან, მიიჩნევა, რომ შეიძლება მოხდეს სხვისი ინტერესების შელახვა მათი პერსონალური მონაცემების დაფარვის შეუძლებლობის გამო.<sup>688</sup>

არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც მასში დაცული უფლების შინაარსიდან გამომდინარე არ ექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ ერთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მცირედი ეჭვის არსებობის შემთხვევაშიც კი განიხილავს საკითხს, სხვა შემთხვევაში სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად და ნორმის კონსტიტუციურობის შესაფასებლად საჭირო ხდება იმის დასაბუთება, რომ ადგილი აქვს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების არა უბრალო, არამედ ძალიან უხეშ დარღვევას.<sup>689</sup> კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დადგენისათვის აუცილებელია გამოყენებულ საშუალებათა პროპორციულობა. საკონსტიტუციო სასამართლომ მის ერთ-ერთ გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს აუცილებელ და პროპორციულ ჩარევად.<sup>690</sup> სასამართლო გადანყვეტილების მთავარი მიზანია, მკაფიოდ და არაორაზროვნად დადგინდეს ის მოქმედებები, რომლებიც სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგის პრაქტიკულად განსახორციელებლადაა საჭირო.<sup>691</sup>

ზოგადად სამართლის განვითარების საერთო გამოწვევების კვალდაკვალ, როგორც ქვეყნის კონსტიტუციის დინამიკურობის, ისე მისი მთავარი დამცველის – საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების ადეკვატურობის ხელშეწყობა, საბოლოო ჯამში, დადებითად უნდა აისახოს როგორც ადამიანის უფლებების, ისე ძირითადი კონსტიტუციური ღირებუ-

<sup>688</sup> მიმდინარე საქმეები თბილისის საქალაქო სასამართლოში, <<http://oldtcc.court.ge/index.php?m=443&date=2016.5.16&newsid=841>> [11.08.2020].

<sup>689</sup> იხ. იქვე., გვ. 28.

<sup>690</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 101.

<sup>691</sup> თავხელიძე მ., ლლონტი გ., ქემერტელიძე ნ., „სამართალი“, „ბიზნესი და მართვა“, სტატიათა კრებული, თბ. 2018, გვ. 80.

ლებების ეფექტურ დაცვაზე.<sup>692</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც შეკრების თავისუფლებას შეეხებოდა, არაორაზროვნად მიუთითა, რომ უფლების შეზღუდვა ან მასში ჩარევა მხოლოდ რეალური საჭიროების არსებობის არის შესაძლებელი – როდესაც საჯარო ინტერესებს მართლაც უშუალო საფრთხე ემუქრება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება უფლებაში ჩარევის თანაბომადი, პროპორციული საშუალება.<sup>693</sup> ბუნებრივია, სასამართლო არ შეიძლება იდგეს ისეთი გამონკვევის წინაშე, რომ მისი გადაწყვეტილება იწვევდეს უფლებების ან საჯარო ინტერესების დარღვევას, როდესაც სასამართლო თანაბომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კერძო და საჯარო ინტერესების ანონის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ ნორმა არაკონსტიტუციურია, მან, ბუნებრივია, უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ იქნება საქართველოს კონსტიტუციის დადგენილი პრინციპების დარღვევით. იმავდროულად, ასეთმა სწორმა გადაწყვეტილებამ არ შეიძლება წარმოშვას უფრო სერიოზული პრობლემები ადამიანის უფლებების თუ საჯარო ინტერესების ხელყოფის თვალსაზრისით.<sup>694</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით, დაცული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“.<sup>695</sup> შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაბომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და და-

---

<sup>692</sup> როზენი ჯ., გადაწყვეტილების მიმღები: პირადი ცხოვრებისა და სიტყვის თავისუფლების მომავალი „გუგლისა“ და „ფეისბუქის“ ეპოქაში, სტატიათა კრებული, ხელმისაწვდომია: <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41650.pdf>> [11.08.2020].

<sup>693</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის”, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს კონსერვატიული პარტია”, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა ვუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 59.

<sup>694</sup> როზენი ჯ., გადაწყვეტილების მიმღები: პირადი ცხოვრებისა და სიტყვის თავისუფლების მომავალი „გუგლისა“ და „ფეისბუქის“ ეპოქაში, სტატიათა კრებული, ხელმისაწვდომია: <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41650.pdf>> [11.08.2020].

<sup>695</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

სახელ მიზანს შორის... ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს.<sup>696</sup> ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული უფლებაა, იგი ქმნის მექანიზმს სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დასაცავად. შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვა, ისევე როგორც ზეპირი მოსმენის ჩატარება, არ არის თვითმიზანი, მისი საჭიროება არსებობს მაშინ, როდესაც ზეპირი მოსმენის ჩატარება ობიექტურად აუცილებელია საქმის სრულყოფილი გამოკვლევისათვის და საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.<sup>697</sup>

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ისეთი უფლებათა და ინტერესთა წესრიგის შექმნა, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების არსებობას საფრთხეს არ შეუქმნის და ასეთი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების საფუძველი იქნება.<sup>698</sup> პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ინფორმაციული ბალანსი წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესების განონასწორებელი არსებობის საფუძველს.<sup>699</sup> „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“.<sup>700</sup> ძირითადი უფლებისადმი წაყენებული ეს მოთხოვნა ეხება არა მარტო კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს, არამედ იგი საერთოდ უფლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი პრინციპია. ერთი ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის უფლება იწყება. აღნიშნული კონსტიტუციური აქსიომა განონასწორებელი, დაბალანსებული და მშვიდობიანი ღირებულებითი ურთიერთობების წინაპირობაა. გამოხატვის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომ თავისუფალი საზოგადოების არსებობა მის გარეშე წარმოუდგენელია.<sup>701</sup>

<sup>696</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის № /3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>697</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შ.პ.ს. სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შ.პ.ს. ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 12.

<sup>698</sup> ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, თბ. 2013, გვ. 271.

<sup>699</sup> იხ. იქვე.

<sup>700</sup> იხ. იქვე.

<sup>701</sup> იხ. იქვე. გვ. 274.

ევროპული სასამართლო მის ერთ-ერთ განჩინებაში,<sup>702</sup> ამკვიდრებს გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს, რომლის თანახმადაც შეიძლება დაცული იყოს „შეურაცხყოფელი, გამოოგნებელი, შემაშფოთებელი იდეები“ და „ინფორმაცია“. დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ემყარება პლურალიზმისა და შემწყნარებლობის (ტოლერანტობის) ფასეულობებს, ცალკეულ შემთხვევებში ადამიანებს ავალდებულებს აიტანონ მათთვის შეურაცხყოფელი, გამოოგნებელი, შემაშფოთებელი იდეებისა და ინფორმაციის მოსმენა. დაუშვებელია ინფორმაციის თავისუფლების მოტივით დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებათა გაუფასურება. ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით, გამოარკვიოს, ხომ არ კარგავს გამოხატვის თავი სუფლება თავის არსს იმით, რომ მომეტებულად ფართოდება მისი მოქმედების ფარგლები, ან მომეტებულად იკვეცება იგი. სასამართლო ვალდებულია გამონახოს „ოქროს შუაღედი“, რომლითაც აზრის თავისუფლებაც იქნება განხორციელებული და იმ პირთა უფლებებიც დაცული, რომლებიც ამ თავისუფლების სამიზნე აღმოჩნდებიან. ამ საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომა საძირკველს გამოაცლის დემოკრატიულ საზოგადოებას და სამართლებრივი ორბიტიდან მოწყვეტს მას.<sup>703</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება, რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის.<sup>704</sup>

#### 4.1. „უფლება, იცოდე, ვინ ცხოვრობს შენს მეზობლად“

უფლება ინფორმაციაზე, საერთაშორისო სამართალში არსებული მიდგომებით დაცულია როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება – გამოხატვის თავისუფლება. პროგრესული ინტერპრეტაციის საშუალებით,

<sup>702</sup> გოცირიძე ე., აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (დისერტაცია), თბ. 2006, გვ. 163-164.

<sup>703</sup> ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეთა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, თბ. 2013, გვ. 276.

<sup>704</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები დავით ჭიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ინფორმაციის უფლება გაგებული იქნა, როგორც თანმდევნი გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო გარანტიისა. „გამოხატვის თავისუფლებისათვის დამახასიათებელია საზოგადოების უფლება ინფორმაციის ღია წვდომაზე და იმის ცოდნა, თუ რას აკეთებს ხელისუფლება მათი სახელით, რის გარეშეც სიმართლე შესუსტდებოდა და სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობა ფრაგმენტული სახით წარმოდგებოდა.“<sup>705</sup>

ინფორმაცია, თუ აღნიშნული არ ატარებს პირად ხასიათს, არ არსებობს გამოხატვის თავისუფლებასა<sup>706</sup> და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დადგენის აუცილებლობა.<sup>707</sup> ამის ნაცვლად, უპირატესობა გამოხატვის თავისუფლების ინტერესს ენიჭება. მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემი, ავტომატურად არ წარმოშობს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.<sup>708</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია მოიცავს აზრის გამოხატვის თავისუფლების მყარ გარანტიებს.<sup>709</sup> მიუხედავად კონსტიტუციური გარანტიებისა, ამერიკის შეერთებული შტატები იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქვეყნებს შორის, რომელმაც მიიღო კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.<sup>710</sup> უდავოდ უპრეცედენტოა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება,<sup>711</sup> რომელიც შეეხებოდა სექსუალური დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტში რეგისტრაციას, შემდგომში მათი საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, რომელსაც ითვალისწინებს კონფედერაციის შტატში არსებული „მეგანის კანონი“.<sup>712</sup> აღნიშნული პირის რეგისტრაცია მოიცავს მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეესტრში განთავსე-

<sup>705</sup> 1999 წლის 26 ნოემბრის დეკლარაცია. იხ. <http://www.osce.org/fom/66176?page=1>.

<sup>706</sup> მოცემულ შემთხვევაში უფლებას ინფორმაციის წვდომაზე.

<sup>707</sup> 1999 წლის 26 ნოემბრის დეკლარაცია. იხ. <http://www.osce.org/fom/66176?page=1>, პარაგრაფი 196.

<sup>708</sup> იხ. იქვე.

<sup>709</sup> Toby Mendel., *Freedom of Information, Comparative Legal Research*, Second Edition, Paris, 1998, p. 142.

<sup>710</sup> კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მიღებულ იქნა 1966 წელს და მასში უკანასკნელი ცვლილებები 2007 წლის 18 დეკემბერს განხორციელდა.

<sup>711</sup> *Connecticut Dept. of Public Safety v. Doe., Certiorari to the United States Court of Appeals for The Second Circuit* N01-1231. Argued November 13, 2002 – Decided March 5, 2003.

ხელმისაწვდომია: <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/538/1/>> [11.08.2020].

<sup>712</sup> *California Megan’s Law*. <<https://www.meganslaw.ca.gov/>> [11.08.2020].

ბას, როგორცაა მაგალითად: სახელი და გვარი, ფოტოსურათი, საცხოვრებელი სახლის მისამართი და სხვა.<sup>713</sup> მითითებულ რეესტრზე წვდომის უფლება კი, გააჩნია უკლებლივ ყველას.

მოსარჩელე მხარე (შემდგომში რესპოდენტად წოდებულმა), რომელიც წარმოადგენდა სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებულ პირს, თავდაპირველად სარჩელი ფედერალურ სასამართლოში შეიტანა და ამტკიცებდა, რომ 1983 წელს მიღებული კანონი „სამოქალაქო აქტივობა უფლების ჩამორთმევის შესახებ“<sup>714</sup> წინააღმდეგობაში მოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეოთხემეტე შესწორებასთან<sup>715</sup>, რომელიც შეეხება „კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას“.<sup>716</sup> აღნიშნული შესწორების სასამართლო გადაწყვეტილებაში ინტერპრეტაცია არაერთხელ განხორციელდა.<sup>717</sup> მოსარჩელე მხარე დაობდა, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არაფრის მომტანი იყო როგორც სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებული პირებისათვის, ასევე, „ინტერესის თავისუფლებისათვის“ და წინააღმდეგობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან, რადგან ოფიციალური პირები არ აძლევდნენ მსჯავრდებულებს საკუთარი აზრის გამოხატვისა და დაფიქსირების შესაძლებლობას, რომ სანამ მათი ინფორმაცია გახდებოდა ყველასათვის ხელმისაწვდომი, მომხდარიყო მათი მოსმენა, რათა დაედგინათ, დანამდვილებით წარმოადგენენ თუ არა საზოგადოებისათვის საშიშ პირებს.<sup>718</sup>

---

<sup>713</sup> Civil action for deprivation of rights, U.S. Code 42, 1983. ხელმისაწვდომია: <<https://www.law.cornell.edu/uscode/text/42/1983>> [11.08.2020].

<sup>714</sup> იხ. იქვე.

<sup>715</sup> U.S. Constitution., 14<sup>th</sup> Amendment., იხ. <https://www.law.cornell.edu/constitution/amendmentxiv>

<sup>716</sup> Legal Information Institute, Equal Protection, ხელმისაწვდომია: <[https://www.law.cornell.edu/wex/equal\\_protection](https://www.law.cornell.edu/wex/equal_protection)> [11.08.2020].

<sup>717</sup> Brown v. Board of Education of Topeka N1, Argued: December 9, 1952. Decided May 17, 1954. ხელმისაწვდომია: <<https://www.britannica.com/event/Brown-v-Board-of-Education-of-Topeka>> [11.08.2020]. Roe v. Wade (N70-18) Argued: December 13, 1971, Decided: January 22, 1973. იხ. <<https://www.oyez.org/cases/1971/70-18>> [11.08.2020]. George W. Bush, et. Al., Petitioners v. Albert Gore, Jr, et al. Florida Suoreme Court, December 12, 2000. იხ. <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/531/98/case.pdf>> [11.08.2020]. Reed v. Reed (N70-4), Argued Octomber 19, 1971, Decided November 22, 1971, 93 Idaho 511, 465 P.2d 635. იხ. <<https://www.enotes.com/homework-help/what-was-outcome-supreme-court-case-reed-v-reed-466317>> [11.08.2020]. Regents of the University of California v. Bakke (N7811), Argued Octomber 12, 1977, Decided June 28, 1978, 18 Cal.3d 34, 553 P.2d 1152. იხ. <<https://www.britannica.com/event/Bakke-decision>> [11.08.2020] და სვგ.

<sup>718</sup> Florida Supreme Court Options. <<https://www.floridasupremecourt.org/Opinions>> [11.08.2020].

ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლომ, დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ ინფორმაციის ასეთი გამჟღავნება, მისი სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე, დანამდვილებით წარმოადგენდა კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევას. უზენაესმა სასამართლომ კი მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვა, რათა დაედგინა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება, რომელიც ითვალისწინებდა სექსუალური ძალადობის მუხლით მსჯავრდებული პირის რეესტრში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე ღიად განთავსებას.<sup>719</sup> ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გამოაქვეყნა შემაჯამებელი დასკვნა, რომლის მიხედვითაც არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ინფორმაცია პირდაპირ საჯარო ინტერნეტს დაუქვემდებარა.

მოცემულ საქმეში, ერთმანეთს დაუპირისპირდა პირის პერსონალური მონაცემები და საზოგადოების საჯარო ინტერნეტი. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ რეკუტაციის ხელყოფა არ წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლების ინტერნეტის საგანს და მიუთითებდა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1976 წლის გადაწყვეტილებაზე.<sup>720</sup> თუმცა, ივარაუდება, რომ მოსარჩელეს ჩამოერთვა აზრის გამოხატვის თავისუფლება, რადგან მის მიმართ მიმდინარე პროცესი არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ დაემტკიცებინა საზოგადოებაში მისი ინტეგრაციით შესაძლო საფრთხის არ არსებობა. რეესტრი ეფუძნება საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას, რათა ხელი შეუწყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღება სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა შესახებ. მოცემული ინფორმაციის ინტერნეტ რესურსებზე განთავსების მთავარი მიზანია სამოქალაქო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ინფორმაციის საჯაროობა და კონკრეტული პიროვნებისაგან სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილება.<sup>721</sup> უფრო ადრე, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ აღიარებულ იქნა, რომ პიროვნების რეკუტაცია არის დაცული თავისუფლების ინტერნეტის სათანადო პროცედურებით.<sup>722</sup> ამერიკის შტატ უისკონსინში, კანონმდებლობით დადგენილია უფლებამოსილება,

<sup>719</sup> Oyez: Connecticut Dept. of Public Safety v. Doe, 538 U.S. 1 (2003), U.S. Supreme Court Case Summary & Oral Argument". [www.oyez.org](http://www.oyez.org). Retrieved 2008-03-16.

<sup>720</sup> Paul v. Davis., 23<sup>rd</sup> of March 1976, Case N74-891. ხელმისაწვდომია: <<https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/424/693.html>> [11.08.2020].

<sup>721</sup> Connecticut Department of Public Safety v. Doe, 538 U.S. 1 (2003).

<sup>722</sup> Wisconsin v. Constantineau, 400 U.S. 433 (1971). იხ. <https://casetext.com/case/wisconsin-v-constantineau/analysis?citingPage=1&p=1&sortCiting=relevance&sort=relevance>

რომ რაიმე საფრთხის შემცველი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს შეტყობინების სახით, რათა შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება იყოს შესაძლებელი.<sup>723</sup> როგორც „სამოქალაქო აქტივობა უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ორგანიზაციის ელექტრონულ ვებ-გვერდზე განმარტებული, აუცილებელია მოხდეს მსჯავრდებულის კანონის ნორმათა სრული დაცვით გასამართლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარღვეულ იქნება კანონის უზენაესობა, რაც წინააღმდეგობაში მოდის უშუალოდ კონსტიტუციასთან. მითითებულის წინაშე კი, უკლებლივ ყველა სასამართლო პროცესი სამომავლოდ უძლური იქნება.<sup>724</sup> მოსარჩელე (შემდგომში წოდებული როგორც რესპოდენტი), აშკარად უარყოფდა კონსტიტუციის მე-14 შესწორების არსებით კომპონენტებს და აღნიშნავდა, რომ მისი გამონვევა წარმოადგენდა მხოლოდ პროცედურულ საკითხს. თუმცა, შტატების არ გააჩნიათ „სათანადო სამართლებრივი პროცედურების“ დავის პროცედურულ კლასიფიცირებაზე აკრძალვის დოქტრინა.<sup>725</sup> ამგვარი პრეცედენტები „საბოლოო ჯამში უნდა გაანალიზდეს“ საქმის არსებითი განხილვის დროს.<sup>726</sup> იმის გათვალისწინებით, რომ საკითხი სასამართლოს წინაშე არ იყო სათანადოდ დასმული, არ გამოხატავდა აზრს, თუ რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს სამართალს არსებითი სათანადო პროცესის ჩატარების პრინციპები.<sup>727</sup> თავისუფლების მტკიცების ტვირთი არ შეიძლება დაეკისროს მას, ვისაც არ შესწევს უნარი მოახდინოს საკუთარი ქმედების დემონსტრაცია, რათა დაამტკიცოს, რომ არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საფრთხეს.

ამერიკის ორმოცდაათივე შტატსა და კოლუმბიის ოლქში არსებობს შესაბამისი რეესტრი, სადაც ხდება სექსუალურ ქმედებაში დამნაშავეთა რეგისტრაცია, რომელიც სრულიად ღია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. დაკარგულ და დაზარალებულ ბავშვთა რეესტრის მონაცემებით, შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული იყო 859,500 დამნა-

---

<sup>723</sup> Bassler Will., Would this New Law Stand a Constitutional Challenge., Sex offender Solution and Education Network, 19<sup>th</sup> of June, 2016. <https://sosen.org/blog/2016/06/19/would-this-new-law-stand-a-constitutional-challenge.html> [11.08.2020].

<sup>724</sup> Ronaldo V.del Carmen., Susan E. Ritter., Betsy A. Witt., Briefs of Leading Cases in Corrections, 6<sup>th</sup> Edition, page 372.

<sup>725</sup> Michael H. v. Gerald D. United States Supreme Court., 491 U.S. 110 (1989). <https://www.quimbee.com/cases/michael-h-v-gerald-d> [11.08.2020].

<sup>726</sup> იხ. იქვე., გვ. 121.

<sup>727</sup> Frank D. Wagner., Reportes of Decisions., United States Reports Volume 541., Cases Adjudged in The Supreme Court at October Term, 2003 March 2, through June 8, 2004. Washington 2006. Page 270.

შავე.<sup>728</sup> შტატების უმრავლესობისა და ადგილობრივი ფედერალური მთავრობის მიერ, დანაშაულის ფაქტობრივი სიმძიმის, დანაშაულის გამოვლენისა და აღიარების ფორმის მიუხედავად, ხორციელდება ყოველი მონაცემის რეესტრში ასახვა. მოსამართლე ვი, როგორც წესი ვერ იყენებს მის დისკრეციულ უფლებამოსილებას ამგვარ რეგისტრაციასთან დაკავშირებით.<sup>729</sup> ზოგიერთ შტატში, ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირები, როგორცაა მაგალითად, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, ასევე ხვდებიან რეესტრში.<sup>730</sup> ადამიანის უფლებების დამცავი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციის<sup>731</sup> განმარტებით, აღნიშნულ რეესტრში 9 წლის ასაკის ბავშვიც არის განთავსებული.<sup>732</sup> არასრულწლოვანი დამნაშავეები რეგისტრირებულ პირთა 25 პროცენტს შეადგენს.<sup>733</sup> ზოგიერთ სახელმწიფოში რეესტრში რეგისტრაციის ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება დანაშაულის ან შეფასებული რისკის დონის მიხედვით,<sup>734</sup> სხვა დანარჩენში, ყველა რეგისტრაცია არის სიცოცხლის ბოლომდე.<sup>735</sup> არასრულწლოვან დამნაშავეთა ინფორმაცია სამართალდამცავებისთვისაა მხოლოდ ღია და ხელმისაწვდომი, ხოლო სხვა დანარჩენ პირებს არ გააჩნიათ მათზე წვდომა, სანამ მათ არ შეუსრულდებათ 18 წელი, რა დროსაც ინფორმაცია ხდება საჯარო.<sup>736</sup> შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გააშუქა სქესობრივი მსჯავრდებულის როგორც სარეგისტრაციო აქტები, აგრეთვე, ამ აქტების განხილვისა და რეგისტრაციის პროცედურაც.<sup>737</sup> კალიფორნია წარმოადგენდა პირველ

---

<sup>728</sup>"Map of Registered Sex Offenders in the United States" National Center for Missing and Exploited Children. Retrieved 2016-01-07.

<sup>729</sup> Harris, A. J.; Lobanov-Rostovsky, C.; Levenson, J. S. (2 April 2010). "Widening the Net: The Effects of Transitioning to the Adam Walsh Act's Federally Mandated Sex Offender Classification System". *Criminal Justice and Behavior*. 37 (5): 503–519. doi:10.1177/0093854810363889. Archived from the original on 30 September 2015.

<sup>730</sup> "Court keeps man on sex offender list but says 'troubling'". *Toledo News*, 28 March 2015. Archived from the original on 2 April 2015.

<sup>731</sup> Human Rights Watch was founded in 1978.

<sup>732</sup> Raised on the Registry: The Irreparable Harm of Placing Children on Sex Offender Registries in the US (2012) Human Rights Watch ISBN 978-1-62313-0084. იხ. აგრეთვე, "When Kids Are Sex Offenders". *Boston Review*. 20 September 2013.

<sup>733</sup> Lehrer, Eli (7 September 2015). "A Senseless Policy – Take kids off the sex-offender registries". *The Weekly Standard*. Retrieved 1 September 2015.

<sup>734</sup> "Megan's Law by State". *Klaas Kids Foundation*. 2014-04-14. Retrieved 2015-08-21.

<sup>735</sup> იხ. იქვე.

<sup>736</sup> "How do Registration Laws Apply to Juvenile Offenders in Different States?" Center for Sex Offender Management.

<sup>737</sup> "Adult Sex Offender Management" (PDF). U.S. Department of Justice. p. 3.

შტატს, რომელმაც 1947 წელს შექმნა სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა სარეგისტრაციო პროგრამა.<sup>738</sup> 1990 წელს ვაშინგტონმა პირველად უზრუნველყო სარეგისტრაციო პროგრამის შექმნა და განსაკუთრებული კატეგორიის საქმეების ყველასათვის საჯაროდ ხელმისაწვდომობა უზრუნველყო.<sup>739</sup> შედეგად, საჯარო პოლიტიკამ ფოკუსირება მოახდინა საზოგადოების წინასწარ ამოუცნობი საფრთხისგან დაცვაზე.<sup>740</sup> 1990 წლებიდან, სახელმწიფოსა და ფედერალურ კანონებში ქვეყნდებოდა მსხვერპლთა სახელებიც, რამაც საზოგადოებაში შფოთვა გამოიწვია<sup>741</sup> და სამართლიანი უკმაყოფილო განცხადებებიც გაკეთდა,<sup>742</sup> განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც უცხო პირის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალურ დანაშაულს წარმოადგენდა.<sup>743</sup> 2003 წლის ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ ის პირები, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ სექსუალურ დანაშაულში და 1994 წელს განთავისუფლდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, ოთხჯერ მაინც იყვნენ დაპატიმრებულნი იმავე დანაშაულისთვის, ვიდრე ის პირები, რომლებიც იმავე წელს განთავისუფლდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, თუმცა ჰქონდათ სხვა დანაშაული ჩადენილი.<sup>744</sup> კვლევა მიუთითებს იმაზე, რომ რაც უფრო ხანში შესული პირი განთავისუფლდება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, მით უფრო ნაკლებია დანაშაულის ჩადენის რისკი.<sup>745</sup> ამერიკის შეერთებული შტატები, საკუთარი მოსახლეობის დასაცავად, ძალას არ იშურებენ და ამ საკითხებს სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით არეგულირებენ.<sup>746</sup> სწორედ

<sup>738</sup> "California Megan's Law – California Department of Justice – Office of the Attorney General". Archived from the original on 2015-11-04.

<sup>739</sup> იხ. მაგ. Westley Allan Dodd [https://en.wikipedia.org/wiki/Westley\\_Allan\\_Dodd](https://en.wikipedia.org/wiki/Westley_Allan_Dodd)., Earl Kenneth Shriner ხელმისაწვდომია: <[https://en.wikipedia.org/wiki/Earl\\_Kenneth\\_Shriner](https://en.wikipedia.org/wiki/Earl_Kenneth_Shriner)> [11.08.2020], Jesse K. Timmendequas ხელმისაწვდომია:<[https://en.wikipedia.org/wiki/Murder\\_of\\_Megan\\_Kanka#Jesse\\_Timmendequas](https://en.wikipedia.org/wiki/Murder_of_Megan_Kanka#Jesse_Timmendequas)> [11.08.2020] და სხვ.

<sup>740</sup> Wright, Ph.D Richard G. (2014). Sex offender laws : failed policies, new directions (Second ed.). Springer Publishing Co Inc. pp. 50–65. ISBN 9780826196712.

<sup>741</sup> Lancaster, Roger (20 February 2013). "Panic Leads to Bad Policy on Sex Offenders". The New York Times. Retrieved 26 November 2014.

<sup>742</sup> Wright, Ph.D Richard G. (2014). Sex offender laws : failed policies, new directions (Second ed.). Springer Publishing Co Inc. pp. 50–65. ISBN 9780826196712.

<sup>743</sup> იხ. იქვე.

<sup>744</sup> "5 Percent of Sex Offenders Rearrested for another Sex Crime within 3 Years of Prison Release". Bureau of Justice Statistics. November 16, 2003. Retrieved October 25, 2015.

<sup>745</sup> იხ. იქვე.

<sup>746</sup> "Sex Offenders Myths and Facts". New York State Division of Criminal Justice Services. April 2014. Retrieved October 25, 2015.

ამ კანონებზე დაყრდნობით 2002 წელს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა უპრეცედენტო გადაწყვეტილება საქმეზე Connecticut Dept. of Public Safety v. Doe.<sup>747</sup> ყოველდღიურად ჩვენ გვინწევს ადამიანებთან ურთიერთობა, ვზრდით შვილებს და ვცხოვრობთ ისეთი საზოგადოების მეზობლად, რომელთა შესახებაც ხშირ შემთხვევაში არაფერი ვიცით. რა წარსულის მატარებელი არიან? წარმოადგენენ თუ არა საფრთხეს ჩვენთვის და ჩვენი ოჯახის წევრებისათვის, გარშემო მყოფათათვის? სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გქონდეს წვდომა პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე, გაეცნო მის ვინაობას, მის წარსულს. აღნიშნული კი, ხშირად ფატალური შედეგითაც მთავრდება და ისმის შეკითხვა: რა იქნებოდა რომ გცოდნოდა? რა თქმა უნდა მოახერხებდი საფრთხის თავიდან აცილებას. განსხვავებით საქართველოსგან, ამერიკის თითქმის ყველა შტატში არსებობს არაერთი ინტერნეტ ვებ-გვერდი<sup>748</sup>, საიდანაც შეგიძლია მოიძიო ნებისმიერი ინფორმაცია პირის შესახებ. ადამიანის ყოველი ქმედება ფიქსირდება სხვადასხვა დანესებულებაში. შემდგომ კი, ხდება მათი თავმოყრა და ერთ პაკეტად გაერთიანება. გასაოცარია, მაგრამ აგრეთვე არსებობს ვებ-გვერდი, სადაც შეგიძლია ნახო, სარგებლობს თუ არა მეზობელად მცხოვრები პირი შენი ინტერნეტით (wi-fi).<sup>749</sup> მხოლოდ მისამართის მითითებაც კი საკმარისია, იმისათვის რათა გაიგო პირის ვინაობა.<sup>750</sup>

საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, ვინაიდან სწორედ ამ საზოგადოების წევრებს შეადგენენ მსჯავრდებულები, დამნაშავეები, რომლებიც არსებით საფრთხეს შესაძლოა წარმოადგენდნენ და ჩვენს მეზობლადაც ცხოვრობდნენ. სწორედ ასეთი პირებისაგან დაცვის მიზნით, ამერიკა სთავაზობს თავის მოქალაქეებს უამრავ შესაძლებლობას, სრულიად მარტივად და ამასთან, სრულიად უფასოდ მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია ნებისმიერი პირის შესახებ.<sup>751</sup> აგრეთვე, შექმნილია სპეციალური რუკა, სახელწოდებით “Family Watchdog”,<sup>752</sup> რომელიც იძლევა პირის იდენტიფი-

<sup>747</sup> Connecticut Department of Public Safety v. Doe, 538 U.S. 1 (2003).

<sup>748</sup> იხ. მაგ. <https://www.whitepages.com/> და ათასობით სხვა.

<sup>749</sup> იხ. <<https://www.komando.com/tips/378593/check-to-see-if-your-neighbors-are-stealing-your-internet-2>> [11.08.2020].

<sup>750</sup> იხ. <<https://www.komando.com/cool-sites/394770/find-out-your-neighbors-name-the-easy-way>> [11.08.2020].

<sup>751</sup> იხ. <<https://www.usatoday.com/story/tech/columnist/komando/2017/03/31/check-out-your-neighbors-online-kim-komando/99781508/>> [11.08.2020].

<sup>752</sup> იხ. <<https://www.familywatchdog.us/Default.asp>> [11.08.2020].

ცირების შესაძლებლობას, სადაც საჭიროა მხოლოდ ე.წ. „ბიპ კოდი“-ს მითითება.<sup>753</sup> მსგავს მომსახურებას წარმოადგენს აგრეთვე, „Dru Sjodin National Sex Offender Public Website“<sup>754</sup> რომლითაც ახდენ საკუთარი ადგილსამყოფელის მიმდებარე ტერიტორიაზე მსჯავრდებულის ან დამნაშავის იდენტიფიცირებას. დღესდღეობით პროგრამა სახელწოდებით “nextdoor” განსაკუთრებით პოპულარულია.<sup>755</sup> იმ შემთხვევაში, თუ მოგინია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, აღნიშნული პროგრამა იძლევა საუკეთესო შესაძლებლობას მოახდინო შენს მეზობლად არსებული პირების სრული იდენტიფიცირება, გაიგო მათ შესახებ უკლებლივ ყველაფერი. მითითებულის მეშვეობით აგრეთვე, მეზობლად მცხოვრები პირები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან და ახდენენ ისეთი ინფორმაციის გაცვლას, როგორცაა მაგალითად ახალი ამბები ქვეყანაში, სამეურნეო საქმიანობა, დაკარგული ცხოველის პოვნა, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას, აფრთხილებენ ვანდალიზმისა და ყაჩაღობის ფაქტების შესახებ და უზიარებენ რეკომენდაციებს.<sup>756</sup> განსაკუთრებული ადგილი უკავია ვებ-გვერდს სახელწოდებით “Advance Transaction Query by Individual Contributor”, რომლის მეშვეობითაც ხდება პოლიტიკურად აქტიური პირებისა და მათი ფინანსური ტრანზაქციების იდენტიფიცირება.<sup>757</sup>

ამერიკის შეერთებული შტატები ისტორიულად წარმოადგენს ქვეყანას, სადაც დადგენილია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მსოფლიოში ყველაზე მაღალი სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს კონსტიტუცია არ შეიცავს ჩანაწერს, რომელიც კონკრეტულად სასამართლო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გარანტი იქნებოდა, აღნიშნული განმტკიცებულია კონსტიტუციის პირველი შესწორებიდან, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება.<sup>758</sup> გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია შესაბამისი ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას ეხება. ამრის თავისუფლება ინფორმაციის ერთგვარი წყაროა, ხოლო ინფორმაციის თავისუფლება

---

<sup>753</sup> იხ. იქვე.

<sup>754</sup> იხ. <<https://www.komando.com/cool-sites/7404/find-out-if-theres-a-sex-offender-near-you/all>> [11.08.2020].

<sup>755</sup> იხ. <<https://nextdoor.com/>> [11.08.2020].

<sup>756</sup> Komando Kim., 3 ways to check out your neighbors online, Special for USA TODAY, 31 March, 2017.

<sup>757</sup> იხ. <<https://classic.fec.gov/finance/disclosure/advindsea.shtml>> [11.08.2020].

<sup>758</sup> Legal Information Institute, First Amendment, ხელმისაწვდომია: <[http://www.law.cornell.edu/constitution/first\\_amendment](http://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment)> [11.08.2020].

აზრის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.<sup>759</sup> ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, იგი ინფორმაციის პასიურად მიღების უფლებით სარგებლობს, როგორცაა გაზეთი, ინტერნეტი და სხვა.<sup>760</sup>

#### 4.2. საჯარო ინფორმაციის თავისუფლება

დემოკრატიული მმართველობის უმთავრეს პრინციპს და დანიშნულებას ხალხის ნების და საზოგადოების მოთხოვნილებების განხორციელება წარმოადგენს, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, განათლებული და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბება.<sup>761</sup> საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო აქტები ადგენენ სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყონ ინფორმაციის თავისუფლების უფლების შესრულება. უზრუნველყოფის მექანიზმები კი შემოიფარგლება ეფექტიანი მექანიზმების შექმნის ვალდებულებით. ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებაა. სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმთავრეს მოთხოვნას.<sup>762</sup>

ინფორმაციის თავისუფლება, დემოკრატიულ საზოგადოებასა და სახელმწიფო ინტერების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებობს კანონმდებლობის მიზანი გამჭვირვალე გახადოს საჯარო დანესებულებათა საქმიანობა რაც, არ შეიძლება დაბრკოლდეს ბიუროკრატიული, სამართლებრივად უსაფუძვლო შეხედულებებისა და დამოკიდებულებების მიზეზით. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენს ყველა საჯარო დანესებულება, რომელსაც გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია, მიუხედავად იმისა არის თუ არა განმცხადებელი ამ ინფორმაციის ავტორი. როგორც ავღნიშნე, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება მოქალაქის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას წარმოადგენს.

<sup>759</sup> იხ. იქვე., გვ. 260.

<sup>760</sup> ჯორბენაძე ს., მაჭარაძე მ., ბახტაძე უ., „მედია სამართალი“, თბილისი 2014, გვ. 83.

<sup>761</sup> ჯორბენაძე ს., ინფორმაციის თავისუფლება (გზამკვლევი), პირველი გამოცემა, 2012. გვ. 4.

<sup>762</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II, პარ. 4.

პირს, რომელსაც აქვს ინტერესი გაცნოს საჯარო დაწესებულების მუშაობას და საჯარო დაწესებულებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, უფლება აქვს გამოითხოვოს ინფორმაცია. ღია საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. რაც გულისხმობს იმას, რომ ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმის და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად.<sup>763</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2006 წლის 10 ივლისის მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>764</sup>, განსაკუთრებული მიდგომა დაადგინა, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარი წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ შეაფასა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარი მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და აღნიშნა, რომ „როდესაც მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს მაღალი საჯარო ინტერესის საგანს ან მიმდინარეობს საჯარო დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფოს უარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით უნდა დაექვემდებაროს საზოგადოების მხრიდან მკაცრ ზედამხედველობას და უნდა შეიცავდეს შესაბამის და საკმარის დასაბუთებას.“<sup>765</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2007 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაში<sup>766</sup> არაპირდაპირ დაადგინა საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება და აღნიშნა, რომ „სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემზღვეველი ნებისმიერი ღონისძიების საფუძვლიანი დასაბუთება, რომლის მიღების უფლება საზოგადოებას გააჩნია.“<sup>767</sup> სასამართლომ საქმეზე Guja v Moldova განმარტა, რომ „საჯარო ინტერესი კონკრეტული ინფორმაციის მიმართ შესაძლოა ისეთი მაღალი იყოს, რომ გადაფაროს აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება“.<sup>768</sup>

ინფორმაციის თავისუფლების ორი სახე არსებობს: პასიური ინფორმაციის თავისუფლება და აქტიური ინფორმაციის თავისუფლება. პასიური

<sup>763</sup> სზაკ-ის 37-ე მუხლი.

<sup>764</sup> Sdruzeni Jiboceske v Czech Republic, 10<sup>th</sup> of July, 2006. ხელმისაწვდომია: <<http://merlin.obs.coe.int/iris/2006/9/article1.en.html>> [11.08.2020].

<sup>765</sup> იბ. იქვე.

<sup>766</sup> Timpul Info-Magazine and Anghel v Moldova, 27<sup>th</sup> of January, 2007, Par. 31.

<sup>767</sup> იბ. იქვე.

<sup>768</sup> Guja v Moldova, 12<sup>th</sup> of February 2008, Par. 43.

ინფორმაციის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციის ძებნას, მოპოვებასა და მიღებას, ხოლო, აქტიური ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის გადაცემასა და გავრცელებას.<sup>769</sup> ინფორმაციის თავისუფლება დაკავშირებულია პირის თავისუფლებასთან და წარმოადგენს აზრის გამოხატვის წინაპირობას. სახელისუფლებლო დანესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომა წარმოადგენს ხელისუფლების შებოჭვის ერთ-ერთ თანამედროვე საშუალებას. საჯარო დანესებულება ვალდებულია, ინფორმაციის მოთხოვნისთანავე გასცეს აღნიშნული.<sup>770</sup>

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ პირს.<sup>771</sup> ამ უკანასკნელის გაცემა კი, წარმოადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების მხრივ.<sup>772</sup> სამართლიან სახელმწიფოში საჯარო ინფორმაციის გაცემა სახელმწიფოს მიერ უმაღლეს ხარისხში უნდა იყოს აყვანილი.<sup>773</sup> ინფორმაციის თავისუფლების მომანერგებელი სამართლის ნორმების უპირველესი დანიშნულება სწორედ ინფორმაციის გაცემაა.<sup>774</sup> საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გაეცნოს საჯარო დანესებულებებში დაცულ ინფორმაციას თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. თავის მხრივ, საჯარო დანესებულებებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საქართველოს კანონმდებლობით, ინფორმაციის მომთხოვნი თავად ირჩევს ინფორმაციის მიღების ფორმას. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოებში ან მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს როგორც გადაწყვეტილების გაუქმება ასევე, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. სამწუხაროდ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მიუხედავად საკანონმდებლო ნორმების არსებობისა, სახელმწიფო დანესებუ-

<sup>769</sup> ახალგაზრდა ომბუდსმენის ბლოგი, დაიცავი შენი უფლება, ხელმისაწვდომია: <<https://gia1999.wordpress.com/2016/04/28> > [11.08.2020].

<sup>770</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის №ს-1410-1374(კ10) გადაწყვეტილება.

<sup>771</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლი.

<sup>772</sup> ინფორმაციის თავისუფლების გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/upload/24732012-04-17.pdf> > [11.08.2020].

<sup>773</sup> Mehr Demokratia, ხელმისაწვდომია: <<http://www.mehr-demokratie.de/informationsfreiheit.html> > [11.08.2020].

<sup>774</sup> ადვიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 266.

ლებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება ყოველთვის არ არის მარტივი, რადგან საჯარო დაწესებულებების დამოკიდებულება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებისადმი არაერთგვაროვანია. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხდება მოქმედი საკანონმდებლო ნორმების განსხვავებული ინტერპრეტირება. არსებული პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება, მოქალაქეების ცოდნის არეალის გაფართოება და ამ გზით მათი აქტიური ჩართვა ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუციონალურ განვითარებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალედ საქმიანობას.

### 4.3. სამართლებრივი უსაფრთხოება და განჭვრეტადობა

ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული დაცვის გარანტი მხოლოდ სტაბილური და სამართლიანი კანონმდებლობით არის შესაძლებელი, რაც ნორმატიული აქტისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შენარჩუნების წინაპირობაა.<sup>775</sup> „სახელმწიფოს არსებობა ზოგადად უკავშირდება რა ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას, დრო ვერ გააბათილებს ასეთ ვალდებულებას. ამავე დროს, ყველა ადამიანის მიმართ სახელმწიფოს სწორედ ასეთი ვალდებულების თანაბრად არსებობის ძალით, კონკრეტული პირის უფლების დროში უსასრულოდ დაცვის შესაძლებლობას უპირისპირდება სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობა.“<sup>776</sup> ვინაიდან, სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკვითის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.<sup>777</sup> სამართლებრივი უსაფრთხოება წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფოს მხრიდან კა-

<sup>775</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>776</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 38.

<sup>777</sup> იხ. იქვე.

ნონის დარღვევით გამონვეული ზიანის გამოსწორების ან/და უფლების აღდგენის შესაძლებლობა.<sup>778</sup>

სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ინდივიდმა წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რას მოითხოვს მისგან სამართლის ნორმა. გარდა ამისა, ურთიერთობაში მონაწილე მხარეს უნდა შეეძლოს მეორე მხარის ქცევის პროგნოზირებაც. სამართლებრივი უსაფრთხოება გამორიცხავს სახელმწიფოს კანონსაწინააღმდეგო ქცევას – კანონი ერთნაირად სავალდებულოა როგორც მოქალაქეც, ასევე, სახელმწიფოსთვის. კანონის ტექსტი უნდა ჩამოყალიბდეს ნათლად და გარკვევით. სამართალი უნდა იყოს სტაბილური. კანონის ხშირი ცვლილებებისას ნორმის ადრესატებს უჭირთ განსაზღვრონ ქცევის სასურველი მასშტაბი, რაც უარყოფითად აისახება მართლწესრიგის საერთო მდგომარეობაზე. მხოლოდ სტაბილური კანონმდებლობის დროს შეუძლია მოქალაქეს იმოქმედოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური ცნება აღნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სამართლის ფორმით უნდა ხორციელდებოდეს.<sup>779</sup> კერძოდ, სახელმწიფოს წარმომადგენლები კონსტიტუციით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში, კანონისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე უნდა მოქმედებდნენ, მათი გადაწყვეტილებები კი სასამართლო გზით გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს. აღნიშნული ელემენტები თითოეულ მოქალაქეს სამართლებრივი უსაფრთხოების განცდას აძლევს.<sup>780</sup> სამართლებრივი უსაფრთხოება არის თითოეულის თავისუფლების მნიშვნელოვანი წინაპირობა.<sup>781</sup>

კანონი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, წინასწარგანჭვრეტადი და ზუსტად განსაზღვრული, უნდა შეიცავდეს სხვა გარანტიებს თვითნებობის რისკისგან დასაცავად.<sup>782</sup> პირს წინასწარ უნდა შეეძლოს იმ სავარაუდო შედეგის განჭვრეტა, რომელიც მოცემულ გარემოებებსა და მის ქმედებას შეესაბამება.<sup>783</sup> მოსამართლის ქმედებაც მოითხოვს განჭვრეტადობას, რომლის ვალდებულებაც კანონმდებელს ეკისრება, რადგან მან განსაკუთ-

<sup>778</sup> იხ. იქვე.

<sup>779</sup> Böckenförde, Ernst-Wolfgang, Entstehung und Wandel des Rechtsstaatsbegriffs, in: FS für Adolf Arndt, 1969, S. 53.

<sup>780</sup> იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ. 2008, გვ. 186.

<sup>781</sup> იხ. იქვე., გვ. 199.

<sup>782</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>783</sup> იხ. იქვე.

რებით მკათიოდ და გასაგებად უნდა დაადგინოს გარკვეული განსაზღვრებები კანონმდებლობაში. კანონის განსაზღვრულობა კი წარმოადგენს კანონმდებლის ინსტრუქციას, რომელიც ვალდებულია მოსამართლეს ნათლად დაუდგინოს სამოქმედო არეალი და ფარგლები.<sup>784</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>785</sup> აღნიშნა, რომ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტები, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ კონსტიტუციის რომელიმე ნორმით არ იყოს გათვალისწინებული, თუმცა არანაკლები დატვირთვის მატარებელი იყოს, რადგან მათ გარეშე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზება შეუძლებელი იქნებოდა. ასეთ ელემენტს წარმოადგენს სწორედ „განჭვრეტადობის პრინციპი“, რომელიც ნორმის შინაარსობრივ სიზუსტესა და არაორაზროვნებაზე მიუთითებს. მხოლოდ თეორიულად ნორმის განსაზღვრულობა არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია რეგულირების საგნის, მიზანსა და მასშტაბებზე ორიენტირებულობა, რათა ადრესატის მიერ მოხდეს კანონის სწორი აღქმა და ქმედების შედეგების განჭვრეტა იყოს მარტივად შესაძლებელი. განჭვრეტადობის მასშტაბების დადგენა შეუძლებელია. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია კონკრეტული შედეგის თავისებურებაზე. თუმცა, კანონმდებელი ვალდებულია ძირითადი მიზანი, საკანონმდებლო ნება სრულად და გარკვევით ჩამოაყალიბოს.<sup>786</sup> თავის მხრივ, „განჭვრეტადობის პრინციპი“ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან დაკავშირებული სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. განსაზღვრულობის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მაშინ, „თუ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში შეუძლებელი იქნება ნორმის თვითნებური და ადამიანის უფლებებისათვის საზიანო გამოყენება“.<sup>787</sup> იმისთვის, რომ ნორმამ თანაზომიერების ტესტი დააკმაყოფილოს, ის უნდა იყოს განჭვრეტადი, უფლებაში ჩარევა უნდა ემყარებოდეს ობიექტურად იდენტიფიცირებად საფუძვლებს.<sup>788</sup> აგ-

<sup>784</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>785</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 33.

<sup>786</sup> იხ. იქვე.

<sup>787</sup> იხ. იქვე.

<sup>788</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 25.

რეთვე, ნათელი უნდა იყოს უფლების შეზღუდვის მიზნები, მისი საფუძვლები, ასევე განჭვრეტადი უნდა იყოს ის შედეგებიც, რომლებიც შესაძლებელია უფლებაში ჩარევას მოჰყვეს. უფლებაზემზღუდველი ნორმა საკმარისად ცხადი უნდა იყოს, რათა არ გამოიწვიოს უფლების იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირად თავისუფლებაში ჩარევას უკავშირდება, მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს.<sup>789</sup> განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან, მეორე მხრივ კი, ადგენს გარანტიას, რომ პირმა მიიღოს მკაფიო შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს, რომელი ქმედებაა კანონით აკრძალული და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განჭვრიტოს საკუთარ ქმედებაში აკრძალული ქმედების ნიშნები და წარმართოს საკუთარი ქცევა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.<sup>790</sup> პირს კანონის მიხედვით უნდა შეეძლოს იმის განჭვრეტა, არღვევს თუ არა ის კანონს, იმისათვის რომ შეეძლოს, თავიდან აიცილოს კანონის დარღვევის ნეგატიური სამართლებრივი შედეგები. ამასთან, მეორე მხრივ, პირს უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა იმის თაობაზე, მის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში როგორი იქნება მოსალოდნელი პასუხისმგებლობის სიმძიმე, რა ტვირთს აკისრებს მას სახელმწიფო. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის სახელმწიფოსთან ურთიერთობის განჭვრეტისა და პროგნოზირებისათვის, ამასთან, სახელმწიფოს ნებისმიერი თვითნებობის თავიდან აცილებისთვის.<sup>791</sup> კანონმდებელი ვალდებულია მოსამართლეს მაქსიმალურად ნათლად დაუდგინოს სამოქმედო ფარგლები, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს კანონმდებლის ვალდებულებას ყველა ტერმინის უპირობოდ ერთ აქტში განმარტებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაისვას ბლანკეტური დისპოზიის მქონე სამარ-

<sup>789</sup> იხ. იქვე.

<sup>790</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუმი, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მასიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 30.

<sup>791</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გლობახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 50.

თლებრივი ნორმების აკრძალვის და მსგავსი შინაარსის სამართლებრივი ინსტიტუტების არაერთ სამართლებრივ აქტში დუბლირების საკითხი, რაც სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით გაუმართლებელია. ნორმა უნდა იძლეოდეს იმ ინსტიტუტების და ცნებების განმარტებას, რომლებიც ან შესაბამისი სამართლებრივი აქტისთვის არის მხოლოდ დამახასიათებელი ან რომლებსაც შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიზნებისათვის სხვა ნორმატიულ აქტებში მოცემულისგან განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება. საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოთ მითითებულ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა სწორედ შესაბამისი აქტით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გამოყენების წინაპირობების წესის და ფარგლების განჭვრეტადობის და სიცხადის საკითხზე, თუმცა არ და ვერ დაავალდებულებდა/ვერ განუსაზღვრავდა კანონმდებელს სამართლებრივი ტექნიკის რომელი მიდგომა გამოიყენოს ამა თუ იმ აქტის შემუშავებისას, თუ მასში მოცემული კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი ინსტიტუტის გამოყენების წესი, წინაპირობა, საფუძველი და პროცედურა მკაფიოდ არის განწერილი. სხვაგვარი მიდგომა გამოიწვევდა სასამართლოს მხრიდან პოზიტიური კანონმდებლის ფუნქციებში შეჭრას.<sup>792</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმის განჭვრეტადობაზე მსჯელობისას აფასებს, რამდენად აკმაყოფილებს ნორმის განსაზღვრულობის ხარისხი იმ დონეს, რომ მისი გამოყენების საფუძველზე, ცალსახად გამოირიცხოს კონსტიტუციური უფლების დარღვევის შემთხვევა.<sup>793</sup> ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა კი ქმნის ნოყიერ ნიადაგს თვითნებობისათვის.<sup>794</sup> აღნიშნული პრინციპი ერთის მხრივ, იცავს პირს ბუნდოვანი კანონმდებლობისაგან და მას შესაძლებლობას აძლევს წინასწარ განჭვრიტოს საკუთარი ქმედებების სამართლებრივი შედეგები, ხოლო მეორეს მხრივ, განჭვრეტადობა უკავშირდება პირის უფლებას, რომ კანონმდებლობის თვითნებური გამოყენებისაგან იყოს დაცული.<sup>795</sup>

<sup>792</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანიას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 50.

<sup>793</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II, პარ. 26.

<sup>794</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „„შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 29.

<sup>795</sup> იხ. იქვე.

„კანონად“ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც პასუხობს კანონის ხარისხის მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან. ამ პრინციპების რეალური დაცვისთვის პრაქტიკული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას. კანონის ხარისხი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია იყოს იმდენად მკაფიო, რომ პირმა, რომლის უფლებაში ჩარევაც ხდება, შეძლოს სამართლებრივი მდგომარეობის ადეკვატურად შეცნობა და საკუთარი ქმედების შესაბამისად წარმართვა.<sup>796</sup> ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა. არაერთ გადამწყვეტილებაში მითითებულია, რომ კონკრეტული კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც უნდა შეეძლოს, წინასწარ განსაზღვროს ამ კანონის მის მიმართ გამოყენების შედეგები. ასევე, კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლის უზენაესობის პრინციპს.<sup>797</sup> ნორმის ბუნდოვანება, რომელიც ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის კრიტერიუმებით ფასდება, არსებით გავლენას ახდენს, თანაბრობიერების პრინციპზე დაყრდნობით, ნორმის კონსტიტუციურობის დადგენაზე.<sup>798</sup>

როგორც უკვე ავღნიშნე, კონკრეტულ უფლებაში ჩარევა ხდება გარკვეული საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად. თანაბრობიერების პრინციპზე დაყრდნობით უფლების სავარაუდო დარღვევის საკითხის გარკვევისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართლებრივი სიკეთისადმი მოსალოდნელი საფრთხის სიმძიმეს. ეს სამართლებრივი სიკეთე, ერთი მხრივ, არის კონკრეტული უფლება, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც დგება და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ინტერესი, რომლის დაცვისთვისაც აუცილებელია უფლებაში ჩარევა.<sup>799</sup> თუ მკაფიო, ნათელი და საკმარისად კონკრეტული არ იქნება უფლებაში ჩარევის ყველა წინა პირობა, საფუძველი თუ წესი, ეს, თავისთავად, განაპირობებს არა მხოლოდ უფლებაში გადამეტებული ჩარევის, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების არასწორად დაკ-

<sup>796</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადამწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>797</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადამწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 12.

<sup>798</sup> იხ. იქვე.

<sup>799</sup> იხ. იქვე.

მაყოფილების რისკსაც. შესაბამისად, ვერ მიიღწევა ვერძო და საჯარო ინტერესების გონივრული და პროპორციული თანაფარდობა. უფლებაში ჩარევის მარეგულირებელი ასეთი ნორმაც ვერ დააკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.<sup>800</sup> კანონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს აუცილებელ პირობებსაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, მკაფიო და გასაგები.<sup>801</sup> აღსაღნიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ კანონის არ დააკმაყოფილებს მითითებულ განჭვრეტადობის პრინციპის მოთხოვნებს, ბუნებრივია, სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაც სათუო გახდება. გაიზრდება აგრეთვე, ნორმის არაერთგვაროვანი აღქმისა და გაგების შესაძლებლობა. თუმცა, ნორმის ბუნდოვანება არ გადის მისი არაკონსტიტუციურობის ზღვარზე, მანამ, სანამ მისი გონივრული განმარტება არის შესაძლებელი ისე, რომ ცხადი, დამატურებელი და თვალსაჩინო იყოს ნორმით მონესრიგებული ურთიერთობების ნამდვილი არსი.<sup>802</sup> იმ შემთხვევაში, თუ ნორმა არ იქნება ნათელი და განჭვრეტადი, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამართალშემფარდებელთა სწორი, კონსტიტუციის შესაბამისი პრაქტიკა.<sup>803</sup>

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ რაც უფრო ინტენსიურად ხორციელდება ადამიანის უფლებაში ჩარევა, მით მეტი ვალდებულება ეკისრება კანონმდებელს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია ნორმის ზუსტი, წინასწარი განჭვრეტა, მის ფაქტობრივ შედეგებზე, ამიტომ კანონმდებელი უტოვებს სამართალშემფარდებელს იმის შესაძლებლობას, რომ მან მოახდინოს ნორმის სამართლებრივი ინტერპრეტაცია. მოცემულ შემთხვევაში, უმთავრეს გარემოებას წარმოადგენს, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილ იქნეს ფარგლები, რომელსაც შემდგომში სამართალშემფარდებელი ინტერპრეტაციის დროს ვერ გასცდება და ვერ მოახდენს უფლებაში არსებით ჩარევას. სამართლებრივ უსაფრთხოებასა და განჭვრეტადობასთან ერთად, აუცილებელია ნდობის დაცვის პრინციპი, რომელიც მოქმედი სამართლის მიმართ მოქალაქის

<sup>800</sup> იხ. იქვე.

<sup>801</sup> იხ. იქვე.

<sup>802</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

<sup>803</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნდობის განმტკიცებას ემსახურება.<sup>804</sup> საჯაროობის გარეშე კი, წარმოუდგენელია სამართლებრივი უსაფრთხოება. ამიტომაც, ყველა სამართლებრივი ნორმა ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას.<sup>805</sup>

## 5. გამომრიცხავი გარემოებები

ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსი და ფარგლები აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით. თუ კონსტიტუცია მოქალაქეების იმ ნებას გამოხატავს, რომ ინდივიდებს ჰქონდეთ უფლების დაცვის შესაძლებლობა, აღნიშნული მიიღწევა მხოლოდ კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვით. ხოლო, ვინაიდან სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, ხელისუფლების უფლებამოსილება, საბოლოო ჯამში, ემსახურება ამ უფლებების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში სრულად და ადეკვატურად განხორციელებას, რაც ხელისუფლების, მისი სამივე შტოს უმთავრესი მიზანი, ადამიანის უფლებების არსიდან გამომდინარე, ხელისუფლების კონსტიტუციური ვალდებულებაა.<sup>806</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლების რომელიმე შტოს მიერ ვერ მოხდება რომელიმე უფლების შეცვლა, დავიწროება და შემცირება, რადგან ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციების კონსტიტუციით უზრუნველყოფის მიზანი ბუსტად ადამიანის კონსტიტუციური უფლებების სრულად დაცვა და უზრუნველყოფაა.<sup>807</sup> ამიტომაც, მიზნის მიღწევის საშუალება ვერ იქნება თავად მიზნის მიღწევის საინააღმდეგო, მისი გამომრიცხავი.

გამოხატვის თავისუფლების კანონიერი შეზღუდვა დასაშვებია, მხოლოდ მისი შეზღუდვის ფარგლები, ანუ დაცული სიკეთე, საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) მნიშვნელობის უნდა იყოს. აღნიშნულით დასტურდება გამოხატვის თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების არა აბსოლუტური ხასიათი.<sup>808</sup> გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის საფუძველს წარმოადგენს,<sup>809</sup> რომელიც მოიცავს არა

<sup>804</sup> იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ. 2008, გვ. 200.

<sup>805</sup> იხ. იქვე., გვ. 202.

<sup>806</sup> ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბ. 2013, გვ. 81.

<sup>807</sup> იხ. იქვე.

<sup>808</sup> იხ. <<https://www.constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/1654>> [11.08.2020].

<sup>809</sup> ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., თავი მეორე., საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი., გამომცემლობა „პეტიტი“, თბ., 2013, გვ. 255.

მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ, მესამე პირთათვის სასიამოვნო შეხედულებების გამოხატვას, არამედ დაუფიქრებელ, სპონტანურ, მწვავე და პოლემიკურ გამონათქვამებსაც,<sup>810</sup> რომელიც არ უნდა სცდებოდეს სასამართლოს ფარგლებს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთერთ გარანტს წარმოადგენს.<sup>811</sup> აღნიშნულ საფუძველზე კი, სახელმწიფოში შესაძლებელი გახდება სხვადასხვა საკითხზე შესაბამისი პოზიციის დაფიქსირება, ადამიანის ნების საფუძველზე მისი ინტერესების გასაჯაროება და სხვ.<sup>812</sup> თანაზომიერების პრინციპის ფუნქცია, ზოგადად სახელმწიფო ხელისუფლებისათვის გარკვეული საზღვრების დადგენაში, ხოლო კონკრეტულად – სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრაში მდგომარეობს. თანაზომიერების პრინციპის განსაკუთრებული როლი იმ ძირითად კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით გამოიხატება, რომლებიც შეზღუდვის უშუალო კანონისმიერ დათქმას ახდენს. თუმცა, აღნიშნული პრინციპი ისეთ კონსტიტუციურ უფლებებთანაც გამოიყენება, რომელთაც არ აქვთ მითითებული დათქმა. სახელმწიფო შეზღუდულია თანაზომიერების პრინციპით. მისი ჩარევა შესაძლებელია, მხოლოდ გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში. ზოგადთეორიულ ასპექტში, თანაზომიერების პრინციპი სამართლის პრინციპს წარმოადგენს, რომელიც სამართლიანობის იდეიდან გამომდინარეობს და უმაღლესი რანგის სამართლის წყაროს წარმოადგენს.<sup>813</sup> სამართლის სისტემის მატერიალური საფუძველი, სამართლის პრინციპებია, რომელთა წინააღმდეგობაში არ შეიძლება სხვა სამართლის წყაროები მოვიდეს.<sup>814</sup> იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი ნორმა, რომელიც წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს მოაწესრიგებს, აუცილებელია სამართლის პრინციპების გამოყენება, ვინაიდან ისინი არ შეიცავენ კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას. მათი გამოყენება არის შესაძლებელი და არა სავალდებულო.<sup>815</sup>

<sup>810</sup> ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედიასამართალი“, თბილისი 2014, გვ. 83.

<sup>811</sup> იბ. იქვე.

<sup>812</sup> ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., თავი მეორე., საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი., გამომცემლობა „პეტიტი“, თბ., 2013, გვ. 256.

<sup>813</sup> Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 1955.

<sup>814</sup> იზორია ლ., ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, თბ. 2002, გვ. 43.

<sup>815</sup> Pieroth/Schlink, Staatsrecht II, 1997, S. 65.

## დასკვნა

მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ცივილიზაცია მორიგ გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ცდილობს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, აგრეთვე, სასამართლო პრაქტიკის დონეზე მოახდინოს თავისი თავის, როგორც სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს იდენტიფიცირება. მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად და არცთუ იშვიათად წარუმატებლადაც მიმდინარეობს და ერთ-ერთ ნაკლებად გადაუჭრელ პრობლემად აქ კვლავ რჩება ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ურთიერთმიმართება. საქართველო საუკუნეების განმავლობაში დიდი გამოწვევების წინაშე იდგა. ამრთა ჭიდილი მიმდინარეობდა ინფორმაციის თავისუფლებასა და პერსონალური მონაცემების დაცვას შორის ერთგვარი ბალანსის დადგენის მიზნით. აღნიშნული მიჯნის განსაზღვრის პროცესში კი, არსებითი ზიანი მიადგა ინფორმაციის თავისუფლებას, განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ნაწილში, ვინაიდან, სწორედ სასამართლოები უზრუნველყოფენ კანონის სიცოცხლისუნარიანობას, რითაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ინფორმაციის თავისუფლებისა და ღია მმართველობის პრაქტიკის დანერგვაში, როგორი პრაქტიკაც არსებობს მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

განსხვავებით საქართველოსგან, ამერიკის თითქმის ყველა შტატში არსებობს არაერთი ინტერნეტ ვებ-გვერდი, საიდანაც შეგიძლია მოიძიო ნებისმიერი ინფორმაცია პირის შესახებ. ადამიანის ყოველი ქმედება ფიქსირდება სხვადასხვა დაწესებულებაში. შემდგომ კი, ხდება მათი თავმოყრა და ერთ პაკეტად გაერთიანება. გასაოცარია, მაგრამ აგრეთვე არსებობს ვებ-გვერდი, სადაც შეგიძლია ნახო, სარგებლობს თუ არა მეზობელად მცხოვრები პირი შენი ინტერნეტით (wi-fi). მხოლოდ მისამართის მითითებაც კი საკმარისია, იმისათვის რათა გაიგო პირის ვინაობა. უდავოდ, არსებითად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ აგველო მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დაგვენერგა ის პრაქტიკა, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მოიცავს. აღნიშნულის შედეგად მივიღებდით ღია და გამჭვირვალე მართლმსაჯულებას, რაც დემოკრატიის პრინციპების უმთავრესი მოთხოვნაა, ვინაიდან, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ არსს, დანიშნულებას და გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა – ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გარანტირება.

სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სწორედ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი. „სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოთხოვნაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა.“ ასეთია ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი.

თუმცა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლებისა და მმართველობის საჯაროობის კუთხით, არსებითად შეიცვალა 2013 წლიდან. დღესდღეობით ქვეყანაში სამწუხარო რეალობას ვუპირისპირდებით, რადგან პერსონალური მონაცემების დაცვას ენიჭება უპირატესობა. აღნიშნულით ვი, ირღვევა სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი, არსებითი ზიანი ადგება პირველ რიგში სამოქალაქო საზოგადოებას და თავად სახელმწიფოს დემოკრატიაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკვთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვით ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება მართლმსაჯულების კუთხით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, მათი მოგვარება. შედეგად ვი ვიღებთ არაინფორმირებულ საზოგადოებას. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც მედია, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებულ როლს უნდა თამაშობდეს სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების გაძლიერებაში.

კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილი და ბუნებრივი კომპონენტია. როგორი მოწესრიგებულებაც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფა და სამართლებრივი ინსტიტუტები როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ, სოციალური კონფლიქტის თავიდან აცილება გამორიცხებულია, რადგან აღნიშნული წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობების თანმდევ მოვლენას. ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით, ადამიანები მიმართავენ სასამართლოს. საზოგადოება მიმართავს სასამართლოს უფლების დაცვისა და დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე, როგორც მნიშვნელოვანი კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპი, გულისხმობს პირის პირადი უფლების განხორციელებას როგორც პირადად, ასევე წარ-

მომადგენლის მეშვეობით. სამართლიანი სასამართლოს უფლება საქმის სამართალწარმოებაზე ვრცელდება და გულისხმობს პირის შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტზე, ნებისმიერი გაუმართლებელი და პრაქტიკული ბარიერის გარეშე. სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფს და ხელს უწყობს კონსტიტუციური უფლებების დაცვას და სამართალწარმოების სწორად წარმართვას. ამასთან, სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მნიშვნელოვანი კომპონენტია დაცვის უფლება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული უფლებაა, იგი ქმნის მექანიზმს სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დასაცავად. სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა კი, წარმოადგენს საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის ეფექტურ საშუალებას. სასამართლო ხელისუფლების ჭრილში აუცილებელია ოთხი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება:

1. სასამართლოს დამოუკიდებლობა;
2. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულება;
3. ეფექტიანი და ხარისხიანი სისტემა;
4. ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და სანდრო მართლმსაჯულება.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გარდაქმნის პროცესშია. მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების პარალელურად, მნიშვნელოვანია არსებული ვითარების გაანალიზება რომლის შედეგად, თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ განსაკუთრებით მწვავე საკითხად რჩება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა.

ამასთან აღსაღნიშნავია, რომ ინტერესთა შედარებისას მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნოობის საფუძვლად არსებული პრინციპების გათვალისწინება. სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს გამოვლინებას. მართლმსაჯულების განხორციელების გამჭვირვალობა ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების მიღწევას, რომლის უზრუნველყოფაც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით საფუძველს და მისი განვითარებისა და თითოეული ადამიანის თვითრეალიზების ერთ-ერთ ძირეულ პირობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იცავს პირის უფლებას, ვერძო წყაროებიდან მოიპოვოს ინფორმაცია, ასევე, მის ხელთ არსებული ნებისმიერი კანონიერი საშუალებით მოახდინოს ინფორმაციის გავრცელება. სახელმწიფოს ეკრძალება საინფორმაციო ბაზრის რეგულირება, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა და საშუალებებით. ადამიანის უფლებების შეზღუდვა კონსტიტუციურია, თუ კონსტიტუცია თვითონ იძლევა ასეთი შეზღუდვის კანონისმიერ დათქმას.

კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სადავო ნორმები ვერ უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, რადგან კანონმდებლის მიერ მიღებულია იმგვარი ზომა, რომლითაც სასამართლო გადაწყვეტილების სრული სახით გამოთხოვა და მიღება ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლებელია, მაშინაც კი, როდესაც საქმის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს. გარდა ამისა, ინფორმაციის მიღების უფლების ამგვარი არათანაბომიერი შეზღუდვა გამოუსადეგარი და არაპროპორციულია, რადგან სასამართლო სხდომების საქვეყნობა, მედიის მიერ მათი გაშუქება და გადაწყვეტილების საჯარო გამოცხადება პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას გულისხმობს, შესაბამისად, ერთხელ გამჟღავნებული პერსონალური მონაცემების შემდგომში დაფარვის სამართლებრივი ინტერესი აღარ არსებობს.

ინფორმაციის თავისუფლება ძლიერი იარაღია საზოგადოებისათვის, რათა მუდმივად შეძლოს კონტროლი სახელმწიფო ხელისუფლების კეთილსინდისიერებისა და ეფექტიანობის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ამ უფლებას, როგორც მისი სხეულის განუყოფელ ნაწილს და როგორც დემოკრატიის ერთ-ერთ გარანტორ ფაქტორს. საქართველოს კონსტიტუციის მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა.

ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება, რადგანაც ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დოსკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან

ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის. შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის გამოვლინებას, რომელიც გამოიხატება ინფორმაციის მუდმივი მოძრაობით, ღიაობითა და საყოველთაო ჩართულობით.

ინფორმაციის თავისუფლება დაკავშირებულია პირის თავისუფლებასთან და წარმოადგენს აზრის გამოხატვის წინაპირობას. სახელისუფლებლო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომა წარმოადგენს ხელისუფლების შებოჭვის ერთ-ერთ თანამედროვე საშუალებას. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ინფორმაციის მოთხოვნისთანავე გასცეს აღნიშნული.

საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება მოიცავს მათ შორის საჯარო დაწესებულებაში დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. სახელმწიფო ნებისმიერ აქტში დაცული პერსონალური მონაცემები, არ არის გაცემული იმ საფუძვლით, რომ სახელმწიფო იცავს ადამიანს პერსონალური მონაცემების გაცემისგან, თუმცა აღნიშნულის გამოსადეგობა სათუთაა. ერთია და ცალკე მოცემულობაა საჯარო სხდომა და მეორეა სხდომის შედეგად მიღებული აქტი. სხდომა არის გარკვეულ წილად იმ წუთიერი მიუხედავად მედიის დასწრებისა და სხვ. განსხვავებულია მასშტაბები. სასამართლოგან მიღებული აქტი სარგებლობს ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხით, ავტორიტეტული და სარწმუნო დოკუმენტია. ინტენსივობა განსხვავებულია. სასამართლო გადაწყვეტილების სრული ხელმიუწვდომლობა საზოგადოებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გამართლებულად. სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა მიზნად ისახავს საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემის კრიტიკის უზრუნველყოფას. სასამართლოს ხელმისაწვდომობა მოიცავს როგორც სასამართლოს ფორმალურ ხელმისაწვდომობას, ასევე, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას.

უდავოდ დადებითად უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკა საკუთარი სხდომების შესახებ ინფორმაციის საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებასთან დაკავშირებით. თუმცა, ძალზედ დამახინჯებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გაწარმოებული საქმის ღიაობის პრინციპი, კერძოდ, პრაქტიკაში პრობლემურია თავად სასამართლოს მიერ გადაღებული სასამართლო სხდომის მასალების გაცემის საკითხი. კანონი არ ადგენს აღნიშნული მასალების ღიაობის პრეზუმციას და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზოგადი სტანდარტის შესაბამისად სასამართლოს არ აკისრებს მისი გაცემის ვალდებუ-

ლებას. უფრო მეტიც, კანონი სცნობს სასამართლოს დისკრეციას მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული მასალების ხელმისაწვდომობის თაობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ღიაობის ზოგად სტანდარტთან. სასამართლო სხდომის ჩანაწერები ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიერ დადგენილი საჯარო ინფორმაციის დეფინიციის ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლოს უნდა დაეკისროს ვალდებულება სზაკ-ით დადგენილი წესის შესაბამისად გასცეს მის ხელთ არსებული მასალები.

ამ პირობებში მნიშვნელოვანია, ცვლილებას დაექვემდებაროს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ის ჩანაწერი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ღიაობის ზოგად სტანდარტებთან და ასევე, მოხდეს როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობა, ინფორმირებულობა, რათა აღმოიფხვრას პრაქტიკაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემები.

რაც შეეხება „პერსონალური მონაცემების დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონს. ამ უკანასკნელს სრულყოფილებამდე ბევრი უკლია, უფრო მეტიც, იგი შინაარსობრივად და სამართლებრივად უამრავ პრობლემას წარმოშობს. უდავოა, რომ აღნიშნული კანონი საჭიროებს საფუძვლიან ცვლილებებს, უკეთ მოწესრიგებასა და ნორმების ამომწურავი განმარტების სრულყოფილად დადგენას, რათა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ და აღიარებულ ნორმებთან, ასევე, სხვათა უფლებები მაქსიმალურად უნდა იყოს რეალიზებული. 2019 წლის 27 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ შემოთავაზებული ინიცირებულ იქნა კანონპროექტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. ინიცირების მთავარ მიზანს წარმოადგენს უკვე არსებული კანონის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება შემდგომში ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვლისწინებს სასამართლოში დაცული ინფორმაციის (საქმის მასალები, გადაწყვეტილებები) გაცემის და დამუშავების (დაშტრიხვის) წესებს. აღნიშნული არ რეგულირდება რაიმე სახის კანონქვემდებარე აქტით. არ არსებობს ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფდა ზოგადი სახის სტანდარტის დადგენას. ყოველივე ზემოაღნიშნული პრაქტიკაში უამრავ პრობლემას წარმოქმნის. უპირველეს ყოვლისა იკვეთება არაერთგვაროვანი მიდგომა გამოთხოვილ გადაწყვეტილებებში გარკვეული მონაცემების დამუშავებისა (დაფარვა, დაშტრიხვა). არ არსე-

ბობს სახელმძღვანელო სტანდარტი სასამართლოს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი თუ სხვა უფლებამოსილი პირებისთვის, რაც საბოლოოდ დაინტერესებულ პირს სასამართლოს უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული არასრული ინფორმაციის გასაჩივრების უფლებას უკარგავს. საკითხის რეგულირებისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს სამართალწარმოების თავისებურებები, რაც განსხვავებული მიდგომების ჩამოყალიბებაში უნდა აისახოს. უნდა მოხდეს საჯარო და ვერძო ინტერესებს შორის მკვეთრი მიჯნის დადგენა და განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ინფორმაციის გაცემის შეზღუდვა. ამასთანავე, დადგენილი სტანდარტები უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კანონმდებლობასა და ინფორმაციის თავისუფლების პრინციპებს.

საჭიროა შეიქმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების სისტემაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, იმავე დოკუმენტით უნდა დადგინდეს საერთო სასამართლოების სისტემაში შექმნილ დოკუმენტებში იმ მონაცემთა დამუშავების წესები, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო ინფორმაციას ან წარმოადგენენ დახურული სახის საჯარო ინფორმაციას და დაუშვებელია მათი გაცნობა არაუფლებამოსილი პირებისთვის. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს ქვეყანას, სადაც დადგენილია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მსოფლიოში ყველაზე მაღალი სტანდარტი. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკას და აგრეთვე იმას, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოთხოვნაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ შეიქმნას შესაბამისი რეესტრი, სადაც იქნება განთავსებული იმ პირთა ვინაობა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისათვის შესაძლოა არსებითი ზიანის მომტანი გახდეს. აღნიშნულ რეესტრზე წვდომის უფლება კი უნდა ჰქონდეს უკლებლივ ყველას, რომლებიც უტყუარ და გადამოწმებულ მონაცემებს მიიღებენ. უფრო მეტიც, მოცემულ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებელია პერსონალური მონაცემების დაცვაზე მითითება, რადგან მიმაჩნია, რომ რეესტრში უნდა იყოს ასახული არა მხოლოდ ნასამართლეობის მქონე ან სხვა რაიმე ნიშნით პიროვნება, არამედ უკლებლივ ყველა საქართველოს მოქალაქე. რაც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვას, ეს უკანასკნელი გამართლებულია მხოლოდ არასრულწლოვან პირთა და სახელმწიფოსათვის არსებითი ზიანის მომტანი ინფორმაციის მიმართ. ყველა სხვა შემთხვევაში, ინფორმაციის თავისუფლება არის პრიორიტეტული. სა-

სამართლო გადაწყვეტილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და პირადი თავისუფლება, ისევე, როგორც სასამართლო პროცესის მუშაობის ხარისხი წარმოადგენს საკონსტიტუციო სახელმწიფოს ხარისხის მაჩვენებელს. ინფორმაციის გამჭვირვალობა, სახელმწიფო ორგანოებს შორის ეფექტური კომუნიკაცია, მონაცემებისა და დოკუმენტაციის მიმოცვლის უზრუნველყოფა და ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა, საბოლოო ჯამში იძლევა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული უფლებების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ არადისკრიმინაციული და თავისუფალი სივრცე შექმნას, რათა ხელი შეუწყოს ინფორმაციის თავისუფლებას.

კანონმდებლობის მთავარი მიზანია, რომ იძლეოდეს დეტალურ რეგულირებას, თუ რა შემთხვევაში არის სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების დაფარვა. სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი, აგრეთვე კონკრეტული საქმის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნობითა და ინფორმაციის თავისუფლებით ხდება საზოგადოების ჩართულობა, ინფორმირებულობა სასამართლო საქმიანობის შესახებ, რაც წარმოადგენს სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის საფუძველს.

სხდომების საჯაროობა, სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობის, აგრეთვე, მართლმსაჯულების ხარისხის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა სასამართლოსადმი ნდობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა მოიაზრებს გარკვეული ლეგიტიმური ინტერესების შეზღუდვის დასაშვებობას. საჯარო სხდომაზე ხდება ყველა იმ არგუმენტისა თუ ინფორმაციის გამორკვევა, რასაც ეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილება. საქმის საჯარო განხილვა წარმოუდგენელია გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე. შესაბამისად, თუ ინფორმაციის დაფარვის მომეტებული ინტერესი არ არსებობს, სასამართლო სხდომაზე გამჟღავნებული ინფორმაცია წარმოადგენს საჯაროს. საქმის განხილვის საჯაროობას და მართლმსაჯულების გამჭვირვალობას საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს უპირობო უპირატესობას, ვინაიდან გათვალისწინებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვა სხდომის დახურვის სახით. ხოლო, სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა წარმოადგენს საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის ეფექტურ საშუალებას. სა-

სამართლო სხდომისა თუ გადანაცვტილების საჯაროობით მოპოვებულ იქნება საზოგადოების ნდობა, რაც ხელისუფლების ყველა შტოს შეცდომებისა თუ გადაცდომების პრევენციას უზრუნველყოფს და უზრუნველყოფილ იქნება ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლი.

1. უმნიშვნელოვანესია, რომ საჯაროობის პრინციპი განსხვავებული იყოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში, რათა დაცული იყოს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსი, ვინაიდან ერთიანი სტანდარტების დამკვიდრება უზრუნველყოფს ერთგავროვანი პრაქტიკის განვითარებას საერთო სასამართლოთა სისტემაში და ამავდროულად, ხელს შეუწყობს სასამართლოს გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებას.
2. აუცილებელია შეიქმნას ერთიანი სტანდარტი სასამართლო სისტემაში არსებული ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით, სამართალწარმოების ტიპების თავისებურებების გათვალისწინებით.
3. სასამართლო გადანაცვტილებები უნდა გახდეს სრულიად საჯარო, საზოგადოების თითოეული წევრისათვის ხელმისაწვდომი.
4. შეიქმნას მონაცემთა ბაზის ერთიანი რეესტრი, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.
5. დამკვიდრდეს ერთიანი სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საჯაროობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ერთგავროვანი პრაქტიკის განვითარებას საერთო სასამართლოთა სისტემაში და ამავდროულად, ხელს შეუწყობს სასამართლოს გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებას.
6. ჩამოყალიბდეს განსხვავებული მიდგომა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, რათა დაცული იყოს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსი.
7. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი საჭიროებს ძირეულ ცვლილებას, რათა წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებულ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობასთან.
8. სრულიად უკონტროლოა მონაცემთა დამუშავების მდგომარეობა, რომელიც საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს.
9. უნდა განისაზღვროს ის პირთა წრე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციის დამუშავებასა და მათ ხელმისაწვდომობაზე.

10. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია განთავსდეს საჯაროდ, ელექტრონულ რესურსებზე, რათა გამარტივდეს მათზე ხელმისაწვდომობა.
11. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებული უნდა იყოს გამოიყენოს კონრეტული დამუშავების მეთოდები, ინდივიდუალური საქმიდან გამომდინარე, რა დროსაც უნდა დაექვემდებაროს შესაბამის კონტროლს.
12. ასევე, დასახვეწია ვიდეო და აუდიო ჩანერის პრობლემატიკა, კერძოდ, ეს უკანასკნელი დღეის მდგომარეობით ემსახურება მხოლოდ დადებით მიზნებს, თუმცა სახელმწიფო მას მხოლოდ ბიუჯეტის შესავსებად, კონკრეტული პირის გადაადგილების, თუ საქმიანობის გასაკონტროლებლად იყენებს.
13. ასევე, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, სრულად, შესაბამისობაში მოვიდეს როგორც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ინფორმაციის თავისუფლების პრინციპთან, ასევე, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან.
14. უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის გარანტიების შექმნა და მხარდაჭერა, რათა სამოქალაქო საზოგადოებას ნდობა ჰქონდეთ და ინფორმირებულნი იყვნენ სახელისუფლებო საქმიანობის მიმართ.
15. მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების როლი გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის კუთხით, ვინაიდან, მათი გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და სამოქმედო მიმართულებას წარმოადგენს როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ასევე, არასამთავრობო სექტორისათვის.
16. მნიშვნელოვანია მედია საშუალებების ინფორმირებულობა, რადგან ამ უკანასკნელთა მხრიდან, მოხდეს ინფორმაციის სწორად და ზუსტად მინოდება საზოგადოებისათვის.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობის გარანტიების სრულყოფის კუთხით, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გააჩნია, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2019 წლის 7 ივნისს გამოტანილი NN1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე,

„ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის აღსრულებისათვის საქართველოს პარლამენტისათვის მიცემულ იქნა ვადა 2020 წლის 30 მაისამდე, დღემდე არ აღსრულებულა. (17 აგვისტო 2020 წ.), რაც უდავოდ ნათელი მაგალითია არსებული ნორმის პრაქტიკაში აღსრულებადობის პრობლემატიკის.

თუმცა ყველაფერი გამოსწორებადია, თუკი გათვალისწინებული იქნება ამ მიმართულებით გამოცდილი ქვეყნების რეგულირება და პრაქტიკა, როგორცაა მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები.

და ბოლოს, სასამართლოს დამოუკიდებლობა მეტწილად ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მართლმსაჯულება „არა მარტო უნდა ხორციელდებოდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდევ, რომ ხორციელდება“.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

### სამეცნიერო ლიტერატურა

1. შჩეპანსკი ი., „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები“, თბილისი 1997.
2. ცაცანაშვილი მ., „ინფორმაცია, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტი“, ავტორეფერატი, თბილისი, 1999.
3. ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002.
4. იზორია ლ., ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, 2002 წ.
5. იზორია ლ., ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული, თბ. 2002.
6. იზორია ლ., კორკელია ვ., კუბლაშვილი ვ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2005 წ.
7. ადეიშვილი მ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005.
8. ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ. 2005.
9. გოცირიძე ე., ამრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (დისერტაცია), თბ. 2006.
10. ჩუგოშვილი თ., ლომჯარია ნ., კორძაია თ., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტი „ფინანსური გამჭვირვალობა და საჯარო დაწესებულებების ანტი-კორუფციული მონიტორინგი“-ს ანგარიში, თბ. 2007.
11. გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბ. 2007.
12. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., პერსონალური მონაცემების დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი, 2007.
13. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007.
14. კუბლაშვილი ვ., ძირითადი უფლებები, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ. 2008.
15. იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ. 2008.
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს კვლევითი განყოფილების მიერ მომზადებული სახელმძღვანელო იურისტებისათვის, „სა-

მართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი)“, თბ. 2008.

17. ლ. სუნდე, სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. ვ. კორკელია, 2010 წელი.
18. ეუთოს კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, 2010.
19. ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის, მარინა დეკანოიძის რედაქტორობით, თბ. 2011.
20. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011.
21. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე არსებული „სამართლის ჟურნალი“, N1, თბ. 2011.
22. ჩაბრავა ე., ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი, შედარებითი ანალიზი, თბ. 2012.
23. ჯგერენაია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, თბილისი 2012.
24. ჯორბენაძე ს., ინფორმაციის თავისუფლება (გზამკვლევი), პირველი გამოცემა, 2012.
25. ერემაძე ე., კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები., ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, 2013 წ.
26. ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, GIZ, თბილისი, 2013.
27. ერემაძე ე., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბ. 2013.
28. „პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის სახელმძღვანელო“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2013 წელი.
29. ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, თბ. 2013.
30. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2013-2014 წლის ანგარიში.
31. ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., მედიასამართალი, თბილისი, 2014.

32. სტატიათა კრებული შრომის სამართალში., რედ: ჩაჩავა ს., ბაალიშვილი ვ., „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების იმპლემენტირება შრომის სამართალში“, თბ. 2014.
33. სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა EBRD-ის ბენეფიციარ ქვეყნებში, 2015 წელი.
34. საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემები – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ჭრილში. რედ. კორკელია ვ., ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2015.
35. გოშაძე ვ., „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2015.
36. ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი, „საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კვლევის ანგარიშის მოკლე მიმოხილვა“, 2015 წელი.
37. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2015 წლის ანგარიში.
38. იზორია ლ., ბერაია ი., და სხვები, „საპოლიციო სამართალი“, თბ. 2015, შსს-ს აკადემიის გამომცემლობა.
39. განწერელია ა., გეგენავა დ., კობახიძე ი., და სხვ. ავტორთა კოლექტივი., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, თბ. 2016.
40. სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2016 წ.
41. სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ ერთობლივი N5-ე გამოცემა, 2016 წელი.
42. „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები (სტატიათა კრებული)“, ქალდანი თ., სარიშვილი ნ., სტატია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, 2016 წელი.
43. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო., ავტორთა კოლექტივი., ხუბუა გ., და ზომერმანი ვ.პ.-ს რედაქტორობით, თბ. 2016.
44. გაგნიძე ე., საიქოძე ნ., პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული კერძო და საჯარო ინტერესის თანაფარდობა და უფლებაში ჩარევის საფუძვლიანობის კრიტერიუმები“, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2016 წ.
45. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), 2016.
46. ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ. 2017.

47. გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბ. 2017.
48. თავხელიძე მ., ლლონტი გ., ქემერტელიძე ნ., „სამართალი“, „ბიზნესი და მართვა“ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სტატიათა კრებული, თბ. 2018.
49. ხათიაშვილი თ., ბერიძე მ., პერსონალური მონაცემების დაცვის ფარგლები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადამწყვეტილებებში ადვოკატის პერსონალური მონაცემების საჯარო განთავსების ჭრილში, თბ. 2018.
50. ერემაძე ქ., „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში“, თბ.2018.
51. A. H. Robertson, Jacques Velu, "The European Commission on Human Rights and the Right to respect for private life, the home and communications" Privacy and Human Rights, 1973.
52. Pierre Juvigny, "Modern Scientific and Technological Developments", 1973.
53. James, S.F. Liberty, Equality, Fraternity, (1873).
54. Cooley, T.M. A Treatise on the Law of Torts 29. United States, (1888).
55. S.D. Warren & L.D. Brandeis, "The Right to Privacy", Harvard Law Review, 1890.
56. Böckenförde, Ernst-Wolfgang, Entstehung und Wandel des Rechtsstaatsbegriffs, in: FS für Adolf Arndt, 1969.
57. Schwabe, Probleme der Grundrechtsdogmatik, 1977.
58. Schneider, Die Güterabwägung des Bundesverfassungsgerichts bei Grundrechtskonflikten, 1979.
59. Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 1985.
60. The Federal Data Protection Act of 20 December 1990.
61. Bleckmann, Begründung und Anwendungsbereich des Verhältnismäßigkeitsprinzips, 1994.
62. Harris, Boyle and Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, Butterworths, 1995.
63. J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, №11-12, 1996.
64. Sweeney, L., 'Weaving Technology and Policy Together to Maintain Confidentiality', The Journal of Law, Medicine & Ethics, 1997.
65. Council of Europe, Committee of Ministers, Recommendation No. R (97) 5 on the Protection of Medical Data (Feb. 13, 1997).
66. Vogel, J., Juristische Methodik, 1998.
67. Toby Mendel., Freedom of Information, Comparative Legal Research, Second Edition, Paris, 1998.
68. Lesch W., Medien ethik zwischen öffentliche mund privatem, 11 July 1998.
69. L. Wildhaber, Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European

- Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special iss.), № 50, 2000.
70. Stanley Lai., *The Copyright Protection of Computer Software in the United Kingdom*, Oxford-Portland Oregon, 200.
  71. Dunkel, Y., 'Medical Privacy Rights in Anonymous Data: Discussion of rights in the United Kingdom and the United States in the light of the Source Informatics Cases', *Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review*, February 2001.
  72. Draft Guidance, 'Use and Disclosure of Medical Data', issued for consultation by the Information Commissioner, May 2001.
  73. A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.) 2001.
  74. M. Macovei, *Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights*, 2001.
  75. Noted in the House of Lords, Science and Technology Committee, Fourth Report, 'Human Genetic Databases: Challenges and Opportunities', 20 March 2001.
  76. Ian Walden, *Anonymising Personal Data*, (2002).
  77. Muller/Christensen, *Juristische Methodik, Band II, Europarecht*, 2003.
  78. U. Kilkelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003.
  79. Jessica Almqvist., *Human Rights, Culture, and the Rule of Law*, Oxford and Portland, Oregon, 2005.
  80. Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., *Arbitration and Mediation in International Business*, Kluwer Law International, Alphen aad den Rijn, 2006.
  81. Frank D. Wagner., *Reportes of Decisions.*, United States Reports Volume 541, Cases Adjudged in The Supreme Court at October Term, 2003 March 2, through June 8, 2004. Washington 2006.
  82. Ronaldo V.del Carmen., Susan E. Ritter., Betsy A. Witt., *Briefs of Leading Cases in Corrections*, 6<sup>th</sup> Edition, 15<sup>th</sup> of October, 2008.
  83. Report on access to Judicial Information, Open Sociality Justice Initiative, March 2009.
  84. Szonja Navratil., *A comprahative overview of publicity in the administration of justice*, 2009.
  85. KYIV recommendations on judicial Independence in Eastern Europe, South Caucasus and Central Asia., *Judicial Administration, Selection and Accountability*, Kiev, 23-25 June 2010.
  86. *Research Handbook on International Human Rights Law*, edited by Sarah Joseph and Adam Mcbeth, 2010.
  87. *Mastering Criminal Procedure*, vol. 1, Investigative Stage, P. Henning et.al, 2010.

88. Sophie Stalla-Bourdillon, Joshua Philips, Mark D. Ryan, *Privacy vs. Security*, 2010.
89. Agreement between the European Union and the United States on the processing and transfer of Financial Messaging Data from the European Union to the United States for the purposes of the Terrorist Finance Tracking Program, OJ L 195, 27 July 2010.
90. *Research Handbook on International Human Rights Law*, edite by Sarah and Adam Mcbeth, 2010.
91. W. Singoreli, *Criminal Law, Procedure and Evidence*, 2011.
92. Jilrgen Habermas speaking at the European Council on Foreign Relations (translated and quoted in Judy Dempsey, 'EU elites keep power from the people', *New York Times*, 22 August 2011).
93. *Freedom of Information and Access to Government Records around the World*; David Banisar; Privacy International, April 2011.
94. J. Cook, III, *Inside Investigative Criminal Procedure: What Matters and Why*, 2012.
95. The right of access to information in the European Union institutions and the role of the European Ombudsman in this process, *Institute for Development of Freedom of Information*, Nino Tsukhishvili 2013.
96. Attila Bado., *Fair Trial and Judicial Independence., Hungarian Perspectives, Comparative Perspectives on Law and Justice*, 24<sup>th</sup> of October 2013.
97. Townend, Judith. 'Closed Data: Defamation and Privacy Disputes in England and Wales'. *Journal of Media Law* 5, 2013.
98. M. Britz, *Computer Forensics and Cyber Crime*, 3rd ed., 2013.
99. P. Hustinx, *EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and The Proposed General Data Protection Regulation*, 2013.
100. "When Kids Are Sex Offenders". *Boston Review*. 20 September 2013.
101. D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014.
102. D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014.
103. Zoltan Fleck., "A comparative analysis of judicial power, organizational issues in judicature and the administration of courts, September 2014.
104. D. J. Harris, M. O'Boyle, E. P. Bates, C. M. Buckley, *Law of the European Convention on Human Rights*, Oxford 2014.
105. Lee Dave., *Google Ruling "Astonishing", Says Wikipedia Founder Wales*, BBC News, May 14, 2014 (<http://www.bbc.co.uk/news/technology-27407017>).
106. Tereza M. Payton and Theodore Claypoole "Privacy in the age of big data", May 2014.
107. Wright, Ph.D Richard G., *Sex offender laws : failed policies, new directions (Second ed.)*, Springer Publishing (2014).

108. Lancaster, Roger (20 February 2013). "Panic Leads to Bad Policy on Sex Offenders". The New York Times. Retrieved 26 November 2014.
109. "5 Percent of Sex Offenders Rearrested for another Sex Crime within 3 Years of Prison Release". Bureau of Justice Statistics. November 16, 2003. Retrieved October 25, 2015.
110. "Sex Offenders Myths and Facts". New York State Division of Criminal Justice Services. April 2014. Retrieved October 25, 2015.
111. Byfield Paul., Kroytor O., Accessibility of judicial decisions in the EBRD's countries of operations: a comparative review, Law in Translation online 2015.
112. Townend, Judith. 2015. 'Defamation, Privacy & the "Chill": A Socio-Legal Study of the Relationship between Media Law and Journalistic Practice in England and Wales, 2009–13'. PhD thesis. City University London.
113. The Right To Privacy, Samuel D. Warren & Luis D. Brandies, Published in the 2015 Hardcover Edition By Quid Pro Books.
114. Christopher Kuner, 'Extraterritoriality and regulation on international data transfers in EU data protection law', 2015.
115. Lehrer, Eli (7 September 2015). "A Senseless Policy – Take kids off the sex-offender registries". The Weekly Standard. Retrieved 1 September 2015.
116. Harris, A. J.; Lobanov-Rostovsky, C.; Levenson, J. S. (2 April 2010). "Widening the Net: The Effects of Transitioning to the Adam Walsh Act's Federally Mandated Sex Offender Classification System". Criminal Justice and Behavior, Archived from the original on 30 September 2015.
117. "Court keeps man on sex offender list but says 'troubling'". Toledo News, 28 March 2015. Archived from the original on 2 April 2015.
118. Byfield Paul., Kroytor O., Accessibility of judicial decisions in the EBRD's countries of operations: a comparative review, Law in Translation online 2015.
119. European Commission. 'Special Eurobarometer 431: Data Protection', 2015. ([http://ec.europa.eu/public\\_opinion/archives/ebs/ebs\\_431\\_en.pdf](http://ec.europa.eu/public_opinion/archives/ebs/ebs_431_en.pdf).)
120. David S. Ardia., Anne Klinefelter., Privacy and Court Records: An Empirical Study, 2015.
121. Elgot, Jessica. 'UK Bill of Rights Will Not Be Scrapped, Says Liz Truss'. The Guardian, August 22, 2016.
122. "Map of Registered Sex Offenders in the United States" National Center for Missing and Exploited Children. Retrieved 2016-01-07.
123. Bassler Will., Would this New Law Stand a Constitutional Challenge., Sex offender Solution and Education Network, 19<sup>th</sup> of June, 2016.
124. Liem C., Petropoulos G., "The economic value of personal data for online platforms, firms and consumers", 2016.
125. Hanna, Mark, and Mike Dodd. McNae's Essential Law for Journalists, 2016.

126. G.T. Laurie, S.H.E. Harmon, and G.Porter, Mason and McCall Smith's Law and Medical Ethics, Oxford University Press, Tenth Edition, 2016.
127. BURQAK UNSAL, Protection of Personal Data in Turkey and Japan, TURKISH COMMERCIAL LAW REVIEW, 2016.
128. Tomlinson, Hugh, 'Case Law, Belgium: Olivier G v Le Soir. "Right to Be Forgotten" Requires Anonymization of Online Newspaper Archive'. Inform's Blog. July 19, 2016. (<https://inform.wordpress.com/2016/07/19/case-law-belgium-olivier-g-v-le-soir-right-to-be-forgotten-requires-anonymisation-of-online-newspaper-archive-hugh-tomlinson-qc/>).
129. Eduardo Carmigniani, Hugo Garcia Larriva, Daniel Dziouba and Carla Cepeda, Global Arbitration Review, Court system, The General organisation of the court system for civil litigation, 2017.
130. Komando Kim., 3 ways to check out your neighbors online, Special for USA TODAY, 31 March, 2017.
131. Court Decisions in Georgia: How to Negotiate the Minefield Between Access and Respect for Privacy – Toby Mendel Executive Director Centre for Law and Democracy February 2017.
132. Runeberg K., Balancing the Right to Data Protection and the Right of Access to Documents, Lund University, Faculty of Law, 2018.
133. John Henry Dingfelder Stone., Court Interpreters and fair trials., 2<sup>nd</sup> of May, 2018.
134. The first German court, the Regional Court (Landgericht) Bonn. decision dated 29 May 2018, case number 10 O 171/18.
135. R. Wolfrum (Ed.), The Max Planck Encyclopedia of Public International Law Oxford: Oxford University Press, June 2019.
136. International Journal of Legal Information 45.1, 2017 (<https://scholarship.law.cornell.edu/ijli/>).
137. EU Network of Independent Experts on Fundamental Rights, Commentary of the Charter of Fundamental Rights of the European Union, 90. <http://ec.europa.eu/justice/fundamental-rights/> Commentary of the Charter of Fundamental Rights of the European Union.
138. Council of Europe Recommendation No. R(91) 10, 'Communication to third parties of personal data held by public bodies', Explanatory Memorandum.

### **ნორმატიული აქტები**

1. საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995 (2018 წლის რედაქცია).
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 31/01/1996.

3. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი 04/12/2009.
4. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი 27/02/1996.
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 14/11/1997.
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 25/06/1999.
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 22/07/1999.
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009.
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 11/05/1994.
10. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი 16/12/1966.
11. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენცია, 1981 წლის 28 იანვარი, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს, ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან.
12. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 28/12/2011.
13. U.S. Constitution, 14<sup>th</sup> Amendment, July 9, 1868.
14. Lennart Weibull., Freedom of the Press Act of 1766, Swedish Legislation.
15. Council of Europe, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Convention 108, 1981.
16. Civil action for deprivation of rights, U.S. 1983.
17. The Federal Data Protection Act of 20 December 1990.
18. Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data.
19. ORGANIC LAW 15/1999 of 13 December on the Protection of Personal Data (published in the Boletín Oficial del Estado, no. 14, of 14 December 1999).
20. Regulation 45/2001 of the European Parliament and of the Council of 18 December 2000 on the protection of individuals with regard to the processing of personal data by the Community institutions and bodies and on the free movement of such data [2001] OJ L8/1.
21. Regulation No 1049/2001 of the European Parliament and of the Council of 30 May 2001 regarding public access to European Parliament, Council and Commission documents [OJ] L 145/43.
22. Regulations on the processing of personal data (Personal Data Regulations), Issued by the Ministry of Justice and the Police, transferred to the Ministry of Labour and Government Administration by the Decree of 15 December 2000 No. 1263. Amended on 23 December 2003 No. 1798.

23. AUSTRIA THE FED. CONSTITUTIONAL LAW OF 1920 as amended in 1929 as to Law No. 153/2004, December 30, 2004.
24. European Union, Charter of Fundamental Rights of the European Union [2000] OJ C364/01 and [2010] OJ C83/389.
25. Personal Data Protection Law, 23<sup>rd</sup> of March 2000, Retrieved on 23<sup>rd</sup> of February 2012.
26. Article 29 working party opinion 05/2014 on Anonymisation Techniques.
27. "Megan's Law by State". Klaas Kids Foundation. 2014-04-14. Retrieved 2015-08-21.
28. Europe-v-Facebook.org. 2016. 'NSA Mass Surveillance: US Government Wants to Intervene in European Facebook Case'. [http://www.europe-v-facebook.org/PR\\_MC-US.pdf](http://www.europe-v-facebook.org/PR_MC-US.pdf).
29. General Data Protection Regulations of Germany, Law stated as at 20 Dec, 2017.
30. The EU General Data Protection Regulation, May 25th, 2018. (This regulation is applicable in all member states to harmonize data privacy laws across Europe).

### **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის N2/85/1 განჩინება.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანიძე, შუთა ბუაძე, სოლომონ სანაღი-რაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N2/3/359 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზ-რდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის Ne /3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღ-მდეგ“.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვახ-ტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღ-მდეგ“.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჭიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მერე კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ევატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/1/403,427 გადაწყვეტილება საქმეზე, „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის N2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის 1/1/452-453 განჩინება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
16. საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის”, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს კონსერვატიული პარტია”, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და ვახა ჯუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 აპრილის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეივე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N2/4/546 განჩინება საქმეზე, „ა(ა)იპ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.
31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
33. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
34. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
35. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
36. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
37. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
38. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის N2/2/610 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლია ჯანაშვილი

და ხათუნა საგინაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ”.

39. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება, საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
40. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N1/1/618 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი კვეცნაძე, ნინო კვეცნაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჭაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „შაერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
43. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შ.პ.ს. სამაუნყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შ.პ.ს. ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
44. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.
45. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“.
46. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის N1/3/638 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
47. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N1/7/864 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ს.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.
50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
51. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
52. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
53. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ს.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/1-2-864-saqartvelos-moqalaqe-sg-saqartvelos-parlamentis-winaagmddeg.page>).
54. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
55. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
56. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის N2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
57. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
58. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 28 ივლისის N2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“.
59. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

60. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
61. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის NN1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
62. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის N4/482/483/487/502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქე ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
63. 2015 წლის 20 ნოემბრის N693 საკონსტიტუციო სარჩელი, „ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ შედგენილი სასამართლოს მეგობრის პოზიცია საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
64. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის 2015 წლის 25 ნოემბრის N3/9/682 საოქმო ჩანაწერი.
65. ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2016 წლის 22 დეკემბრის N693 და N857 კონსტიტუციური სარჩელები.
66. ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“-ს 2016 წლის 23 ივნისის „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხზე ([https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc\\_amicus.pdf](https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc_amicus.pdf)).

## საერთო სასამართლოები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის Nას-593-1241-03 განჩინება.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 ივლისის N11ბ/6856 განჩინება საქმეზე, „ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ“ საქმე № 086300712002.
3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 აპრილის N010703113207137 განჩინება (<https://www.hr.gov.ge/files/c6836b88-6a08-461f-a4d5-eb12a3f6710f>)
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის N3/3/601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სის-

ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის Nბს-286-284 (კ-17) გადაწყვეტილება საქმეზე, “ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ”.

### **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. Golder v. the United Kingdom (Case N 164863) ECHR, 21<sup>st</sup> of Feb, 1975.
2. Klass and others v Federal Republic of Germany, (Case N1979-80), ECHR, 6 September 1978.
3. Marckx v. Belgium, (Case N6833/74), ECHR, 13<sup>th</sup> of June 1979.
4. Winterwerp v. the Netherlands (Case N6301/73) ECHR, 24<sup>th</sup> of October, 1979.
5. National Panasonic v Commission (Case N C-137/79), ECHR, 1980.
6. Piersack v. Belgium, (Case N8692/79), ECHR, 1982.
7. Pretto and Others v. Italy, (Case N 7984/77), ECHR, 8<sup>th</sup> of December 1983.
8. De Cubber v. Belgium, (Case N8/1983/64/99), ECHR, 1984.
9. X and Y v. the Netherlands (Case N 8978/80) 26<sup>th</sup> of March 1985.
10. Abdulaziz, Cabales and Balkandali v the United Kingdom, ECHR, 28th of may 1985.
11. LEANDER v. SWEDEN (Application no. 9248/81), STRASBOURG, 26 March 1987.
12. Hauschildt v. Denmark, (Case N10486/83), ECHR, 1989.
13. Gaskin v. the United Kingdom (Case N10454/83), ECHR, 7<sup>th</sup> of July 1989.
14. Niemietz v. Germany (Case N251-B) ECHR, 16<sup>th</sup> of December 1992.
15. Costello-Roberts v. the United Kingdom (Case N247-C), ECHR, 25<sup>th</sup> of March 1993.
16. Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece (Case N13427/87), ECHR, December 1994.
17. Murray v. the United Kingdom (Case N14310/88), ECHR, 28<sup>th</sup> of October 1994.
18. Stran Greek Refineries and Stratis Andreadis V. Greece (Case N22/1993/417/496), ECHR, 9 December 1994.
19. ANKERL v. SWITZERLAND (Case N 17748/91) ECHR, 23<sup>rd</sup> of October, 1996.
20. Werner v. Austria, (Case N21835/93.), ECHR, 24<sup>th</sup> of November 1997.
21. Z. v. Finland (Case N9/1996/627/811), ECHR, 25<sup>th</sup> of February 1997.
22. M.S. v. Sweden (Case N 74/1996/693/885), ECHR, 27<sup>th</sup> of August 1997.
23. Fressoz and Roire v France, (no. 29183/95), ECHR 21<sup>st</sup> of Jan 1999.
24. Dombó Beheer B.V. v. the Netherlands (Case N 14448/88) 27<sup>th</sup> of October 1999.
25. Amann v. Switzerland, (Case N27798/95), ECHR, 16th of February 2000.
26. Rotaru v. Romania (n. 28341/95), European Court of Human Rights, 4 May 2000.
27. P.G. and J.H. v. The United Kingdom (Case N44787/98), ECHR, 25th of September 2001.

28. PerotePellon v. Spain, (Case N45238/99), ECHR, 2002.
29. Rechnungshof v Osterreichischer Rundfunk and others, (Case NI-04989), ECHR, 2003.
30. Von Hannover v. Germany (Case N59320/00), ECHR, 24<sup>th</sup> of June 2004.
31. ÜNAL TEKELI v. TURKEY (Case N 29865/96) 16th of November 2004.
32. Yakovlev v. Russia, Human Rights Court N72701.01 Decision, 15<sup>th</sup> of March 2005.
33. Jasinski v. Poland, (Case N30865/96), ECHR, 2005.
34. Stow and Gai v Portugal (Case N18506/04), ECHR, 2005.
35. Sdružení Jihočeské Matky v. Czech Republic, (Case N19101/03) ECHR, 10 July 2006.
36. Inter-American Court of Human Rights Case of Claude-Reyes et al. v. Chile Judgment of September 19, 2006.
37. L.L. v. France (Case N 7508/02), ECHR, 10<sup>th</sup> of October 2006.
38. Radio Twist, A.S. v. Slovakia (Case N622002/00), ECHR, 2006.
39. Siałkowska v. Poland (Case N8932/05), ECHR, 22nd of March 2007.
40. Smirnov v. Russia (Case N71362/01), ECHR, 7<sup>th</sup> of June 2007.
41. Beian v. Romania (N1) (Case N 30658/05) ECHR, 6th of December 2007.
42. TIMPUL INFO-MAGAZIN AND ANGHEL v. MOLDOVA (Case N 42864/05) ECHR, 27 November 2007.
43. Warsicka v. Poland, (Case N 2065/03), ECHR, 2007.
44. Productores de Música de España (Promusicae) v Telefónica de España (Case C-275/06), ECHR, 2008.
45. S. and Marper v. the United Kingdom (Case N 30562/04), ECHR, 4<sup>th</sup> December 2008.
46. Taxquet v. Belgium (Case N 926/05), ECHR, 12<sup>th</sup> of January 2009.
47. Társaság A Szabadságjogokért (Hungarian Civil Liberties Union) v. Hungary, (Case n. 37374/05) ECHR, 14 April 2009.
48. Guja v. Moldova (Case N14277/04), ECHR, 2009.
49. Commission v Bavadan Lager (Case NC-28/08), ECHR, 29<sup>th</sup> of June 2010.
50. Volker und Markus Schecke and Eifert (Case NC-92/09), ECHR, 9<sup>th</sup> of November 2010.
51. Maximillian Schrems v Data Protection Commissioner (Case NC-362/14), ECHR, 2015.
52. Olivier G v Le Soir (Case NC.15.0052.F), ECHR, 29<sup>th</sup> of April 2016.
53. Magyar Helsinki Bizottság v. Hungary, (Case N18030/11.) ECHR, 8<sup>th</sup> of November 2016.
54. Google Spain SL, Google Inc. v Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González, (Case NC-131/12), ECHR, 2016.

## **მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლო გადანყვეტილებები**

1. National Panasonic v Commission (Case N C-137/79), ECHR, 1980.
2. Productores de Música de España (Promusicae) v Telefónica de España (Case C-275/06), ECHR, 2008.
3. Commission v Bavadan Lager (Case NC-28/08), ECHR, 29<sup>th</sup> of June 2010.
4. Volker und Markus Schecke and Eifert (Case NC-92/09), ECHR, 9<sup>th</sup> of November 2010.
5. Maximillian Schrems v Data Protection Commissioner (Case NC-362/14), ECHR, 2015.
6. Google Spain SL, Google Inc. v Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González, (Case NC-131/12), ECHR, 2016.

## **ამერიკის შეერთებული შტატების გადანყვეტილებები**

1. Wheaton v. Peters, (Case N591), U.S. Supreme Court, January 1834.
2. Brown v. Board of Education of Topeka N1, Argued: December 9, 1952. Decided May 17, 1954.
3. Reed v. Reed (N70-4), Argued October 19, 1971, Decided November 22, 1971.
4. Wisconsin v. Constantineau, (400 U.S. 433), Argued December 10, 1970, Decided January 19, 1971.
5. Michael H. v. Gerald D., United States Supreme Court, (491 U.S. 110), 1989.
6. Roe v. Wade (N70-18) Argued: December 13, 1971, Decided: January 22, 1973.
7. Paul v. Davis (Case N74-891) United States Supreme Court, 23<sup>rd</sup> of March 1976.
8. Regents of the University of California v. Bakke (N7811), Argued October 12, 1977, Decided June 28, 1978.
9. United States v. Progressive, Inc., 467 F. Supp. 990 (W.D. Wis. 1979). (<https://law.justia.com/cases/federal/district-courts/FSupp/467/990/1376343/>).
10. Richmond Newspapers Inc. v. Virginia, (Case N448 U.S. 555) United States Supreme Court, 1980.
11. George W. Bush, et. Al., Petitioners v. Albert Gore, Jr, et al. Florida Supreme Court, December 12, 2000.
12. Connecticut Dept. of Public Safety v. Doe., Certiorari to the United States Court of Appeals for The Second Circuit N01-1231. Argued November 13, 2002 – Decided March 5, 2003.
13. State of Louisiana v. Dan Bright (Case N 002-KP-2793, 2003-KP-2796), Supreme Court of Louisiana, Decided: May 25, 2004.
14. UNITED STATES of America, Plaintiff-Appellee, v. James RICCARDI, Defendant-Appellant (Case N 03-3132), 19th of April, 2005.

15. United States v. Triplett and United States v. Burgess (Case N576), 2009.
16. Law Society of British Columbia v. Trinity Western University, (Case N 37318), SUPREME COURT OF CANADA, June 15, 2018.

### ინდოეთის სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. Mr. 'X' vs Hospital 'Z' (Case N 4641), 21 September, 1998.

### ინტერნეტ წყაროები

1. <https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf>
2. [http://www.court.ge/files/files/1356432100\\_r\\_664.pdf](http://www.court.ge/files/files/1356432100_r_664.pdf)
3. <https://jelec.iliauni.edu.ge/samarthlebrivi-sakhelmtsiphos-printsipi/>
4. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>
5. [https://www.oas.org/es/sla/ddi/docs/acceso\\_informacion\\_base\\_dc\\_leyes\\_pais\\_TT\\_2.pdf](https://www.oas.org/es/sla/ddi/docs/acceso_informacion_base_dc_leyes_pais_TT_2.pdf)
6. <https://idfi.ge/public/upload/courts/conscom/Paper-on-Access-to-Court-Decisions%20geo.pdf>
7. [https://www.brainyquote.com/quotes/hillary\\_clinton\\_170394](https://www.brainyquote.com/quotes/hillary_clinton_170394)
8. <https://idfi.ge/ge/accessibility-of-judicial-decisions-in-the-ebrds-countries-of-operations>
9. <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/>
10. [http://www.echr.coe.int/Documents/Rules\\_Court\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf)
11. [http://coalition.ge/files/emc-sasamartlo\\_aqtebis\\_xelmisawvdomoba\\_04052016.pdf](http://coalition.ge/files/emc-sasamartlo_aqtebis_xelmisawvdomoba_04052016.pdf)
12. [http://www.menschenrechte.ac.at/orig/97\\_6/Werner.pdf](http://www.menschenrechte.ac.at/orig/97_6/Werner.pdf)
13. <https://idfi.ge/ge/access-to-court-decisions-the-best-international-practice>
14. <http://www.cylaw.org/>
15. [http://datalex.am/dl\\_case\\_search.php?lang=eng](http://datalex.am/dl_case_search.php?lang=eng)
16. <http://www.sudbih.gov.ba/?jezik=e>
17. <https://www.canlii.org/en/ca/fct/doc/2017/2017fc114/2017fc114.html>
18. <http://www.pacer.gov/>
19. <http://netgazeti.ge/law/169056/>
20. <http://www.supremecourt.ge/news/id/1367>
21. <http://daccessods.un.org/TMP/6700160.50338745.html>
22. <https://www.epa.gov/laws-regulations/summary-freedom-information-act>
23. [http://www.law.cornell.edu/constitution/first\\_amendment](http://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment)
24. <http://ec.europa.eu/justice/fundamental-rights/>

25. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/coe-human-rights-protection.pdf>
26. [https://idfi.ge/public/upload/Meri/Projects/courts\\_of\\_general\\_jurisdiction\\_practice\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/Meri/Projects/courts_of_general_jurisdiction_practice_analyses.pdf)
27. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>
28. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046>
29. [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_FOTOS\\_2016/Prolog\\_closing\\_event/Paper\\_on\\_Access\\_to\\_Court\\_Decisions\\_geo.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Prolog_closing_event/Paper_on_Access_to_Court_Decisions_geo.pdf)
30. <http://catalog.supremecourt.ge/blog/foto/400.pdf>
31. <https://www.theguardian.com/law/2016/aug/22/uk-bill-of-rights-will-not-be-scrapped-says-liz-truss>.
32. <http://europe-v-facebook.org/EN/en.html>
33. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62006CJ0275>
34. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/coe-human-rights-protection.pdf>
35. <http://www.cbronline.com/news/cybersecurity/data/dataprotection-day-improve-your-privacy-policy-or-lose-your-data-4796165>
36. <http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf>
37. <https://info.parliament.ge/file/BillReviewContent/>
38. <https://info.parliament.ge/#law-drafting/18184>
39. <https://gdi.ge/ge/news/statement-04-11-18.page>
40. <http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf>
41. <http://www.freedominfo.org/documents/sweden%20personal%20data%20act-eng.pdf>
42. <https://personaldata.ge/ka/orginnerpage4>
43. [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/rule\\_of\\_law/marijuana\\_court\\_decision\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/marijuana_court_decision_analyses.pdf)
44. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe.samartal>
45. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2010:0609:FIN:EN:PDF>
46. [www.edps.europa.eu](http://www.edps.europa.eu)
47. <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-21-15-22-36/298-2014-07-01-07-31-30>
48. [https://www.researchgate.net/publication/276855387\\_Bomb\\_threats\\_and\\_reports\\_of\\_suspicious\\_items\\_in\\_the\\_Philippines\\_Spatial\\_and\\_temporal\\_patterns](https://www.researchgate.net/publication/276855387_Bomb_threats_and_reports_of_suspicious_items_in_the_Philippines_Spatial_and_temporal_patterns)
49. <https://law.justia.com/cases/federal/district-courts/FSupp/467/990/1376343/>
50. <http://freeuni.edu.ge/sites/default/files/amikus.pdf>
51. <https://drive.google.com/file/d/0Bw15WoYsRZ4zSnFFZ0VhSE1Bd1k/view>

52. <https://idfi.ge/ge/rules%20of%20the%20constitutional%20court%20on%20covering%20personal%20data%20are%20problematic>
53. <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/europeancourtofhumanrights>
54. [https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc\\_amicus.pdf](https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/emc_amicus.pdf)
55. <https://emc.org.ge/ka/products/emc-m-sakonstitutsio-sasamartlos-tsarudgina-sasamartlos-megobris-mosazreba-sasamartlo-aktebis-khelimisatsvdomobaze>
56. [http://www.library.court.ge/upload/Constitution\\_Commentary\\_Human\\_Rights.pdf](http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf)
57. <https://www.meganslaw.ca.gov/>
58. [https://www.law.cornell.edu/wex/equal\\_protection](https://www.law.cornell.edu/wex/equal_protection)
59. <https://www.floridasupremecourt.org/Opinions>
60. <https://www.whitepages.com/>
61. <https://www.komando.com/tips/378593/check-to-see-if-your-neighbors-are-stealing-your-internet-2>
62. <https://www.usatoday.com/story/tech/columnist/komando/2017/03/31/check-out-your-neighbors-online-kim-komando/99781508/>
63. <https://www.familywatchdog.us/Default.asp>
64. <https://www.komando.com/cool-sites/7404/find-out-if-theres-a-sex-offender-near-you/all>
65. <http://constcourt.ge/ge/questions/xshirad-dasmuli-kitxvebi>
66. <https://nextdoor.com/>
67. <https://classic.fec.gov/finance/disclosure/advindsea.shtml>
68. [http://www.law.cornell.edu/constitution/first\\_amendment](http://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment)
69. <https://www.komando.com/cool-sites/394770/find-out-your-neighbors-name-the-easy-way>
70. <https://gia1999.wordpress.com/2016/04/28>
71. <http://www.mehr-demokratie.de/informationsfreiheit.html>
72. <http://csogeorgia.org/uploads/publications/34/26-geo.pdf>
73. <https://www.constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/1654>
74. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222087?>
75. <https://info.parliament.ge/#law-drafting/18184>
76. <https://www.scribd.com/doc/125796218/პირადი-ცხოვრების-ხელშეუხებლობის-დაცვის-გარანტიები-საქართველოში-და-საერთაშორისო-ასპექტები>
77. <http://www.mkd.ge/ge/რესურსები/newsletter/347-პერსონალურ-მონაცემთა-დაცვა-საქართველოს-კანონმდებლობაში>
78. <https://ninishoshiashvili.wordpress.com/2014/12/24/ასოცირების-ხელშეკრულება/>
79. <https://blogs.dlapiper.com/privacymatters/germany-first-court-decision-on-gdpr/>
80. <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/>

81. [http://www.echr.coe.int/Documents/Rules\\_Court\\_ENG.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf)
82. <http://oldtcc.court.ge/index.php?m=443&date=2016.5.16&newsid=841>
83. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41650.pdf>
84. [http://ewmi-prolog.org/images/files/4791AUD\\_2018\\_Inter\\_N.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/4791AUD_2018_Inter_N.pdf)
85. [http://ias.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/handbook-legal-bases-public-administration.pdf](http://ias.tsu.ge/data/image_db_innova/handbook-legal-bases-public-administration.pdf)
86. <https://mimomxilveli.wordpress.com/tag/უსაფრთხოება>
87. <https://snapshot.ict.govt.nz/assets/GCPO/Information-privacy-principles.pdf>
88. <http://library.court.ge/upload/24732012-04-17.pdf>
89. <http://www.osce.org/fom/66176?page=1>
90. [http://www.library.court.ge/upload/aleko\\_nachkhebia\\_final.pdf](http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf)
91. [http://www.gyca.ge/ge/page/news\\_item/saqartvelos-axalgazrda-konstitucionalistta-asociacia-adgilobrivi-tvitmmartvelobis-organoebis-arcevnebsi-pasiuri-saarcevno-uflebit-monawileobisatvis-dadgenil-binadrobis-cenzs-arakonstituciurad-miicnevs-17-03-2015](http://www.gyca.ge/ge/page/news_item/saqartvelos-axalgazrda-konstitucionalistta-asociacia-adgilobrivi-tvitmmartvelobis-organoebis-arcevnebsi-pasiuri-saarcevno-uflebit-monawileobisatvis-dadgenil-binadrobis-cenzs-arakonstituciurad-miicnevs-17-03-2015)



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com